

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал  
“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 7-8, 2013

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგონია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (რუსეთი); რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯიბანიძე.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вапакидзе З., Гогохия Р., Гурицкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршавя К., Месхия Я., Папавя В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (Украина); Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л., Читанавя Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Шенгелия Н.; Циклаური Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAUA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; N. SHENGELIA; ZH. TSKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. LIBUTI; R. JABNIDZE.

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა:

### ანალიზი, პროგნოზები, პარამეტრები

ლელა ონიანი - კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკის ანალიზი -----	8
---	---

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგნოზები

გიორგი მალაშხია - უქმი ეკონომიკა და კეთილდღეობის დანაკარგები-----	15
კარლო ლურნკაია, რამაზ ოთინაშვილი, ილია პაპაშვილი, ეკატერინე ჩიქოვანი - სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობების ევოლუცია -----	32
ქეთევან კინძარიშვილი - ლიბერალიზმი ეკონომიკაში -----	42
ნატალია რობიტაშვილი - მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში -----	45

## შინადასახეობა, ბანკები, ბირჟები

ნანა ბენიძე, ჯამბულ ბინაძე - პირადი დაზღვევის სისტემის პრობლემები: დამახასიათებელი ნაკლი თუ ადმინისტრირების პრობლემები? -----	57
ნინო გრიგალაშვილი - საქართველოს საბანკო სექტორში საკრედიტო რისკის მართვა -----	63
ხათუნა შალამბერიძე - საბანკო კონკურენციის სრულყოფის გზები საქართველოში -----	67

## რეგიონული ეკონომიკა

ლელა ონიანი - კომერციული ბანკების რეგიონული ფილიალების კორპორაციულ კლიენტებთან ურთიერთობის პრინციპები -----	74
ნარგიზა ქარქაშაძე, ლელა კამლაძე - კულტურული ტურიზმის როლი და მნიშვნელობა რეგიონის განვითარებაში -----	83

## დარგობრივი ეკონომიკა

### სერგო თურმანიძე, ბაგრატ დევაძე -

კრუიზის ინდუსტრიის განვითარება შავიზღვისპირეთში----- 92

### ნათია შენგელია, ყუყუნა ნიკლაური-შენგელია, რევაზ შენგელია -

მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები საზღვარგარეთ

და საქართველოში, მათი აღრიცხვის სპეციფიკა ----- 101

### მედია ქავთარაძე, ნათია ბეჟანიძე -

საკრუიზო ტურიზმი თავისებურებები, არსებული

მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები----- 110

### ერეკლე სოლომნიშვილი -

მარაგები და მათი შეფასების გამარტივების მეთოდები ----- 119

### დარეჯან ჩხუბაძე - მათემატიკური მოდელირების

მეთოდები ეკონომიკურ ანალიზში ----- 127

### ირმა ჩხაიძე - სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული

პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში ----- 133

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

### ევგენი ბარათაშვილი, ანა ბოლქვაძე - საქმიანი კულტურა –

შედარებითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი ----- 142

### მანანა სამადაშვილი - შრომითი მოტივაციის

როლი პერსონალის მართვის პროცესში ----- 148

### თამარ ლამბაშიძე, ნაირა ღვინდაშვილი - უმუშევრობის

თანამედროვე ტენდენციები და მისი მართვის პერსპექტივები ----- 153

### ალექსანდრე შარაშენიძე - სტრატეგიული ალიანსები და

მათი როლი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ----- 166

### Natia Shengelia - Analysis of Cash Flows and Profit & Loss

Statements, Interconnections and Differences Between Them ----- 171

### ვასილ ხიზანიშვილი - ბიზნეს ეთიკის მენეჯმენტი ----- 179

### მანანა სამადაშვილი - დროის მართვის რაციონალური

გამოყენების მნიშვნელობა პერსონალის მართვის პროცესში ----- 183

### ქეთევან კინმარიშვილი - გლობალურ გარემოში

ბიზნესის მართვა კომპანია „ზარას“ მაგალითზე ----- 188

<b>ვასილ ხიზანიშვილი</b> - ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზება --	191
<b>მანანა სამადაშვილი</b> - ადამიანური რესურსების	
სტრატეგიული მართვა -----	196

**მსოფლიო ეკონომიკა**

<b>ნონა ახვლედიანი</b> - გლობალიზაცია და სტატისტიკის	
აქტუალური პრობლემები 21ე საუკუნეში (სამეცნიერო საინოვაციო	
გლობალიზაციის ძირითადი საპროგნოზო მიმართულებები) -----	200
<b>როლანდ სარჩიმელია, გელა ლობჯანიძე</b> - მეცნიერება და რელიგია	
ეკონომიკური გლობალიზაციის გააქტიურების პირობებში -----	207
<b>ხათუნა შალამბერიძე</b> - გლობალიზაცია და ქვეყნის ფინანსურ	
ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი აქტუალური საკითხი ----	219
<b>ქეთევან კინძარიშვილი</b> - საერთაშორისო ორგანიზაციის	
შექმნის ეტაპები -----	225

**ეკონომისტი აუდიტორიაში**

<b>ყუყუნა ნიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია, რევაზ შენგელია</b> -	
გადასახადი, როგორც სახელმწიფოს შემოსავალი -----	229
<b>რევაზ შენგელია</b> - სახელმწიფოს ეკონომიკური	
საქმიანობის არსი და მიზანი -----	237
<b>Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia</b> - The Improvement	
of Teaching Financial Accounting with Modern Accounting Software--	245
<b>რევაზ შენგელია, ნათია შენგელია</b> - ეკონომიკაში სახელმწიფოს	
მონაწილეობის ობიექტური აუცილებლობა, ფუნქციები,	
ფორმები და მასშტაბები -----	252
<b>რევაზ შენგელია</b> - საშუალო, ზღვრული ხარჯი და	
ზღვრული პროდუქტი -----	258
<b>SUMMARY</b> -----	262

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS:

### ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

**Lela Oniani** - Analysis of Percentage Policy of Commercial Banks----- 8

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

**Giorgi Malashkhia** - Useless Economics and Losses of Welfare ----- 15

**Karlo Ghurtskaia, Ramaz Otinashvili, Ilia Papashvili, Ekaterine**

**Chiqovani** - The Evolution of Relations of Government and Economy---- 32

**Ketevan Kitsmarishvili** - Liberalism in Economy----- 42

**Natalia Robitashvili** - The Current Issues about Statistics

of Population's Income Differentiation In Georgia ----- 45

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

**Nana Benidze, Jambul Bitsadze** - Private Insurance System Problems:  
the Characteristic Defects or Problems with the Administration?----- 57

**Nino Grigalashvili** - Credit Risk Management in Banking  
Sector of Georgia ----- 63

**Khatuna Shalamberidze** - The Ways of Improvement  
of Banking Competitiveness in Georgia ----- 67

## REGIONAL ECONOMY

**Lela Oniani** - The Principles of Relationship of Commercial  
Banks' Regional Subsidiaries with Corporate Clients ----- 74

**Nargiza Qarqashadze, Lela Kamladze** - The Role and Importance  
of Cultural Tourism in the Development of Region----- 83

## SECTORAL ECONOMY

**Sergo Turmanidze, Bagrat Devadze** -  
The Development of Cruise Industry in Black Sea ----- 92

<b>Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Revaz Shengelia -</b> Profit and Income Taxes in Georgia and Abroad, and the Specifics of their Accounting -----	101
<b>Medea Qavtaradze, Natia Bejanidze -</b> The Characteristics, Current Situation and the Development Prospects of Cruise Tourism -----	110
<b>Erekle Solomnishvili -</b> The Role and Importance of Cultural Tourism in the Development of Region-----	119
<b>Darejan Chkhubadze -</b> The Mathematical Modeling Methods in Economic Analysis-----	127
<b>Irma Chkhaidze -</b> Demographic Problems of the Rural Population, and their Solutions in Georgia-----	133

### **BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

<b>Evgeni Baratashvili, Ana Bolqvadze -</b> Business Culture a Key Element of Comparative Management-----	142
<b>Manana Samadashvili -</b> The Role of Motivation in the Work during the Management Process of Personnel -----	148
<b>Tamar Ghambashidze, Naira Ghvedashvili -</b> Modern Trends of Unemployment and Prospects of its Management-----	153
<b>Alexandre Sharashenidze -</b> The Strategic Alliances and their Role in raising the Competitiveness -----	166
<b>Natia Shengelia -</b> Analysis of Cash Flows and Profit & Loss Statements, Interconnections and Differences Between Them-----	171
<b>Vasil Khizanishvili –</b> Business Ethics Management -----	179
<b>Manana Samadashvili -</b> The Importance of Rational Usage of Time Management in the Management Process of Personnel -----	183
<b>Ketevan Kitsmarishvili -</b> Business Management in Global Environment based on an example of “ZARA” -----	188
<b>Vasil Khizanishvili -</b> Organizing Business Ethics Management-----	191
<b>Manana Samadashvili -</b> Strategic Management of Human Resources--	196

## **WORLD ECONOMY**

<b>Nona Akhvlediani</b> - “Globalization and Statistical Current Problems of the 21th Century” (Main Directions of Scientific and Innovative Globalization)-----	200
<b>Roland Sarchimelia, Gela Lobjanidze</b> - The Science and Religion in the circumstances of Activated Economic Globalization ----	207
<b>Khatuna Shalamberidze</b> - Globalization and Several Actual Aspects for Financial and Economic Development of the Country-----	219
<b>Ketevan Kitsmarishvili</b> - The Stages of Creation of International Organizations -----	225

## **THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM**

<b>Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, Revaz Shengelia</b> - Tax as Income for Government -----	229
<b>Revaz Shengelia</b> - The Essence and Purpose of the Government’s Economic Activities -----	237
<b>Natia Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia</b> - The Improvement of Teaching Financial Accounting with Modern Accounting Software-----	245
<b>Revaz Shengelia, Natia Shengelia</b> - The Objective Necessity, Functions, Forms and Scales of Government’s Participation in Economy-----	252
<b>Revaz Shengelia</b> - The Average, Marginal Costs and the Marginal Product -----	258
<b>SUMMARY</b> -----	262



**ეკონომიკური რეფორმა:  
ანალიზი, პრობლემები  
პერსპექტივები**



**კომერციული ბანკების საპროცენტო  
პოლიტიკის ანალიზი**

**ლელა ონიანი**

ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი

საკრედიტო პორტფელის ფორმირების პროცესში კომერციული ბანკებისათვის მთავარი ორიენტირია საპროცენტო განაკვეთების სწორად განსაზღვრა აქტიურ და პასიურ ოპერაციებზე. ბანკთა-შორის კონკურენციული ბრძოლის პროცესში დგება მომენტები, როდესაც ბანკები იძულებულნი ხდებიან ანიონ ან დანიონ ფასები სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტებზე, რასაც შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში სავალალო შედეგიც კი მოჰყვეს ბანკისათვის. ასე, მაგალითად, დეპოზიტებზე ფასების ანევის შემთხვევაში რესურსების შემოღინება იმდენად შეიძლება გაიზარდოს, რომ მათი აქტიურ ოპერაციებში განთავსება ზარალით დამთავრდეს, ან კიდევ პირიქით დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების დაწევის შემთხვევაში რესურსების მოზიდვა იმდენად შეიძლება შემცირდეს, რომ საკრედიტო პორტფელის საკმარისი რესურსებით ფორმირება შეუძლებელი დარჩეს.

კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ეს ფაქტორები მათი გავლენის სფეროს მიხედვით დაყავით ორ ჯგუფად: შიდა და გარე ფაქტორებად.

- გარე ფაქტორებია:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა;
2. საკრედიტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ურთიერთდამოკიდებულება;

3. ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე;
4. ქვეყანაში არსებული ბიზსნეს კლიმატი.
5. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა;
6. უცხოური ინვესტიციებისა და სესხების შემოდინების დონე.  
- შიდა ფაქტორებია:

1. სესხებზე და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირება;

2. რისკების შემცირება განაკვეთების მართვით;

3. კლიენტის სანდოობა;

4. პროდუქტების და მომსახურების სპეციფიკა: ვადების, უზრუნველყოფის ფორმების, კრედიტის მოცულობის, ხარჯებისა და კონტროლის მეთოდების მიხედვით (იხ. ნახაზი);

გავანალიზოთ თუ, როგორ გავლენას ახდენს თითოეული მათაგნი საპროცენტო პოლიტიკაზე განსაკუთრებით დეპოზიტებთან და კრედიტებთან მიმართებაში.


საქართველოს ეროვნულმა ბანკი აქტიურად იყენებს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს — ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები. აღნიშნული ინსტრუმენტის საშუალებით ხორციელდება საბანკო სექტორისთვის მოკლევადიანი ლიკვიდობის, საჭიროებისამებრ მიწოდება. რეფინანსირების ინსტრუმენტის მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა. ეროვნული ბანკი არის ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელი, ამდენად მას აქვს საშუალება რეფინანსირების ინსტრუმენტით მიაღწიოს ბანკთაშორის ბაზარზე სასურველ საპროცენტო განაკვეთს. კერძოდ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მართვით ეროვნული ბანკი ზეგავლენას ახდენს ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კომერციული ბანკების ჯერ მოკლევადიან, ხოლო შემდგომ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე და საბოლოო ჯამში ქვეყანაში ერთობლივ მოთხოვნაზე.<sup>1</sup>

საპროცენტო განაკვეთის სიდიდის ერთ-ერთი განმსაზღვრელია საკრედიტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული

---

**1** [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)

საპროცენტო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები



თანაფარდობა. თუ მოთხოვნა სესხებზე ეცემა, ხოლო რესურსების მიწოდება იგივე დონეზე რჩება, მაშინ საპროცენტო განაკვეთები მცირდება და პირიქით, როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს ეკონომიკის დაკრედიტებას, სასესხო საშუალებების მიწოდება იკლებს, რაც მოთხოვნის დონის უცვლელიობის შემთხვევაში იწვევს საპროცენტო განაკვეთების დონის ზრდას.

## **ეკონომიკური რაზორგა-ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები**

რაც შეეხება ინფლაციის მოლოდინს, შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის დონესა და საპროცენტო განაკვეთების დონეს შორის პირდაპირი დამოკიდებულებაა. ინფლაცია არსებით გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებზე, კერძოდ ინფლაციის მოლოდინში კომერციული ბანკები იძულებულნი ხდებიან თავის დაზღვევის მიზნით გაზარდონ კრედიტებზე განაკვეთები.

ბანკთაშორის კონკურენციული ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდია საპროცენტო განაკვეთების შემცირება. კონკურენცია ეს არის ბაზარზე კომერციულ ბანკებს შორის ბრძოლის პროცესი პირველობის მოპოვებისა და ლიდერი ბანკის იმიჯის დამკვიდრებისათვის.

საბანკო კონკურენცია ხასიათდება რიგი თავისებურებებით, კერძოდ: განვითარების მაღალი ინტენსივობით, ვინაიდან საბანკო კონკურენციას არ გააჩნია შეჭრის ბარიერები, რაც სხვა ბიზნესსფეროებისთვისაა დამახასიათებელი. კომერციული ბანკის კონკურენტებად ბაზარზე ხშირად გამოდიან სპეციალიზებული არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებიც, ამასთან კონკურენციული სივრცე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი საბანკო ბაზრებით, სადაც ბანკები გამოდიან ზოგ შემთხვევაში მყიდველების, ზოგ შემთხვევაში კი გამყიდველების როლში.

უპირატესად კონკრეტული ხასიათის მატარებელია შიდადარგობრივი კონკურენცია, რაც დაკავშირებულია საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების დიფერენციაციასთან, ამასთან შეზღუდვები ფასების კონკურენციაში წინა პლანზე წევს საბანკო პროდუქტების მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრობლემებს.

საბანკო კონკურენციას აძლიერებს საბანკო პორდუქტებზე მოთხოვნების ზრდა და შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ბანკთაშორისი კონკურენცია ყოველთვის სასიკეთოდ ადგება მომხმარებელს, რაც შეიძლება თვითონ ბანკებისთვის ზოგ შემთხვევაში დამლუპველიც იყოს.

- ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო პირდაპირ დამოკიდებულებაშია ბანკების საპროცენტო განაკვეთებთან. თუ ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაშინ საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ციკლი ემთხვევა ეკონომიკაში საქმიანი აქტივობის ციკლს, ხოლო როცა იწყება ეკონომიკაში

ნომიკური ვარდნა, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებიც იწვევს კლებას.

ვალუტის გაცვლითი კურსი გამოხატავს დამოკიდებულებას მსოფლიო და შიდა საპროცენტო განაკვეთებს შორის. როცა საზღვარგარეთის ბაზრებზე არსებული განაკვეთები და უცხოური ინვესტიციების განაკვეთები მაღალია, მაშინ კაპიტალის ქვეყნიდან გადინებისა და ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით ადგილობრივი ინვესტიციების განაკვეთებიც უნდა გაიზარდოს.

როცა განვიხილავთ ისეთ ფაქტორს, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური სესხების შემოდინების დონე, უნდა ავლენინოთ, რომ შიდა და უცხოური ფინანსების ლიბერალიზაცია იწვევს საპროცენტო განაკვეთების დაახლოებას. თუმცა საშუალო და გრძელვადიანი შიდა საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია სტრუქტურული რისკები, რაც თავისთავად გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას.

არანაკლებ ზეგავლენას ახდენენ ბანკის საპროცენტო პოლიტიკაზე ასევე შიდა ფაქტორებიც. კერძოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში საბანკო ოპერაციების რენტაბელობის უზრუნველყოფის მიზნით სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირება გულისხმობს დეპოზიტებისა და კრედიტების ვადებისა და თანხების მაქსიმალურ შესაბამისობას, რაც ამავე დროს ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორიცაა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ლიკვიდობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, დეპოზიტების სტაბილურობა. ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა დაწესდეს სავალდებულო თანაფარდობა საკუთარ საშუალებებსა და მოზიდულ რესურსებს შორის. ბალანსის ლიკვიდობის ანალიზის პროცესში ვლინდება თუ რამდენად დაცულია მინიმალური და მაქსიმალური დასაშვები ზღვრები, რომელთა დარღვევასაც ხშირად აქვს ადგილი. მინიმალურ ზღვარს ქვევით მაჩვენებლის ნიშნულის გამოვლენის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ის მოიყვანოს დაშვებულ ნორმატივებთან შესაბამისობაში, რაც შესაძლებელია კრედიტორული დავალიანებების შემცირებისა და საკუთარი სახსრების ზრდის

## **მკონოშიპური რაზორგა-ანალიზი, პრობლემაი, პერსპექტივაი**

ხარჯზე. თუ ლიკვიდობის კოეფიციენტი დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ბევრად მაღალია, მაშინ როგორც მოგების მაქსიმალური მიღების მიზნით საშუალებათა მაქსიმალურად ვერ გამოყენების თვალსაზრისით ბანკის საქმიანობა აქციონერთა მხრიდან შესაძლებელია შეფასდეს უარყოფითად. ამასთან, უნდა ავლნიშნოთ, რომ ბანკის ლიკვიდობისა და მოგების ანალიზი ერთდროულად უნდა ჩატარდეს. ბანკების საქმიანობის პრაქტიკიდან ჩანს, რომ ბანკები მაშინ ლებულობენ მაქსიმალურად მაღალ მოგებას, როცა ლიკვიდობის მაჩვენებელი მიახლოებულია დასაშვებ მინიმალურ ზღვართან. ანუ, როცა მაქსიმუმამდე იყენებენ საკრედიტო რესურსების მოზიდვის დასაშვებ უფლებებს. თუ გაცემული კრედიტების თანაფარდობა მიმდინარე ანგარიშებთან, ანაბრებთან და დეპოზიტებთან სისტემატიურად ცდება დაშვებულ ნორმატიულ ზღვარს, მაშინ ბანკმა სადეპოზიტო პოლიტიკის გააქტიურებისა და სარესურსო პოტენციალის გაფართოების მიზნით ახალი სტრატეგია უნდა შეიმუშავოს.

საბანკო რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით საპროცენტო განაკვეთების მართვაში მოიაზრება შემდეგი: საპროცენტო განაკვეთების შემცირების პერიოდში როცა ბანკი მგრძნობიარეა აქტივების მიმართ, შეიმჩნევა მოგების ვარდნა, ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ საპროცენტო განაკვეთის შემცირება თავისთავად იწვევს აქტივებიდან შემოსავლების უფრო შემცირებას, ვიდრე ხარჯების ეკონომიას პასიურ ოპერაციებზე. ხოლო რაც შეეხება ბანკის მგრძნობელობას პასივებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების შედეგად, ამ შემთხვევაში პასიურ ოპერაციებზე ხარჯების ეკონომიის საფუძველზე ხდება მოგების ზრდა. საპირისპირო პროცესი ვითარდება საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემთხვევაში.

რაც შეეხება კლიენტის სანდოობის ფაქტორს, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო სტაბილური და მტკიცე ფინანსური მდგომარეობით, ასევე მაღალი რეპუტაციით ხასიათდება კლიენტი, ბანკისათვის ის უფრო სანდო და სასურველია. ბანკმა ასეთი კლიენტებისათვის უნდა შეიმუშაოს სტანდარტულისაგან განსხვავებული პირობები, რომელშიც პირველ რიგში გათვალ-

ისწინებული იქნება დაბალი ფასები.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბანკის საპროცენტო პოლიტიკის მექანიზმის შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება, მასზე მოქმედი შიდა თუ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე რთული პროცესია და საჭიროებს სისტემატურ რეგულირებას;

- მაქსიმალური მოგების მიღებით დაიტერესებულმა ბანკმა არ უნდა დაანესოს აქტივების განთავსებაზე მაქსიმალურად მაღალი დასაშვები განაკვეთი და დეპოზიტებსა და ანბარებზე მაქსიმალურად დაბალი დასაშვები განაკვეთი;

- საპროცენტო პოლიტიკის შემუშავებისას საკრედიტო განაკვეთები ისე უნდა ვარეგულიროთ, რომ კლიენტს კრედიტის აღების გარდა სხვა საბანკო პროდუქტებით სარგებლობის სურვილიც გაუჩნდეს.

- მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს კლიენტებთან ჰქონდეს ხანგრძლივი და სტაბილური თანამშრომლობა, რაც, თავის მხრივ, მოგების სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს.



## აკონომიკური თეორიის თანაგედროვე პრობლემები



### უკვი აკონომიკა და კეთილდღეობის დანაკარგები

გიორგი მალაშხია  
ემდ,სტუ სრული პროფესორი

**სტატიაში მოცემულია რიგი თეორიული საკითხის ახლებური გააზრება. მკითხველებს ვთხოვთ მოგვანოდონ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ სიახლეთა შესახებ.**

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უხსოვარი დროიდან დღემდე მთელი შექმნილი დოვლათი არ ხმარდება ადამიანთა რეალურ კეთილდღეობას. ეს აქამდე სათანადო თეორიული განსჯის საგანიც არ გამხდარა. ეს ფაქტი კი უაღრესად საყურადღებოა. განსხვავება წარმოებული დოვლათის რაოდენობასა და მის ზრდას, ერთი მხრივ, და კეთილდღეობას და მის ამაღლებას შორის, მეორე მხრივ, იმდენად დიდია, რომ ამ საკითხის სპეციალური თეორიული გამოკვლევა და სათანადო დასკვნების გაკეთება აუცილებელია. ის მეტად მწმენელოვანია პრაქტიკისთვისაც. ეს განსხვავება წარმოდგება იქიდან, რომ მთელი შექმნილი დოვლათის საკმაოდ დიდი ნაწილი მოიხმარება არარაციონალურად, არაჯანსაღ, არაგონივრულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ძვეს გამოუყენებლად ან კიდევ ადამიანთა საზიანოდ გამოიყენება. საბოლოო ანგარიშით, იგი წარმოგვიდგება დანაკარგად ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის. ამის გამო შესაბამისად მცირდება საყოველთაო კეთილდღეობა იმასთან შედარებით, როგორც ის შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დანაკარგების გარეშე. საზოგადოების

**დოვლათის ამ ნაწილს, ადამიანთა კეთილდღეობის თვალსაზრისით, განვიხილავთ როგორც უქმს, უსარგებლოს.**

ამასთან, ამ დოვლათის სარგებლობის პოტენციალი ან მასზე განეული დანახარჯები შეიძლება მოხმარებოდა ადამიანთა გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, მკვანია, რომ ამგვარი უქმი დოვლათი შეიძლება ჩავთვალოთ კეთილდღეობის **ამაღლების განსაკუთრებულ რესურსად**. ამ საკითხებზე გვექნება მსჯელობა ქვემოთ.

გასარკვევია, თუ შექმნილი დოვლათის რა ნაწილები ვერ ხმარდება კეთილდღეობას და რა მიზეზით. მის დადგენასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვანია ზოგიერთი ცნების შინაარსის დაზუსტება, კერძოდ, ასეთია: „მოთხოვნილება“, „კეთილდღეობა“, „რაციონალური მოხმარება“, „რაციონალური ქცევა“, „მომხმარებლის სუვერენიტეტი“, „რეალური დანაკარგები“ და სხვ. ვფიქრობთ ჩვენი მსჯელობებისთვის სასარგებლოა აგრეთვე მოხმარების პროცესი წარმოვიდგენოთ **ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთეში ტანსფორმირებად**, ასევე ადამიანთა განსაკუთრებული თვისება - **ზომიერება განვიხილოთ ეკონომიკური კატეგორიის რანგში**.<sup>1</sup>

მოთხოვნლებები ობიექტურად, მათი დაკმაყოფილების შედეგის მიხედვით, მართებულია დავყოთ **რეალური სარგებლობის (სიკეთის) მომტან, ანუ ჯანსაღ, გონივრულ მოთხოვნლებებად და არაჯანსაღ, არაგონივრულ მოთხოვნლებებად**, რომელთა დაკმაყოფილება არაა რეალური სიკეთე, სასარგებლო ადამიანებისთვის და არც მიზანშეწონილია.<sup>2</sup> ეს უკანასკნელი თავისთავად ორგვარია: **მოთხოვნლებები**, რომელთა დაკმაყოფილება უშუალო ბოროტებას წარმოადგენს ადამიანებისთვის და **უაზრო, ფუჭი, ფუქსავატური მოთხოვნლებები**, რომელთა დაკმაყოფი-

1 ამ მიდგომების შესახებ იხ ჩვენი მონოგრაფია „მეტაეკონომიკა - ეკონომიის ფილოსოფია“. თბილისი, 1995.

2 შარლ მონტესკიე აღნიშნავდა: „... საჭიროა, რომ კანონი აძლევდეს ყველას მხოლოდ ცხოვრებისათვის აუცილებელს. თუ ადამიანებს აუცილებელზე მეტი ექნებათ, ერთნი ფლანგვას დაიწყებენ, მორენი კი შემენას და უთანასწორობა წარმოიშობა“. შარლ მონტესკიე . კანონთა გონი. ქართული თარგმანი. თბილისი, 1994. გვ.124.

ლება არაფრის მომცემი, ან ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის მომტანია. ორივე საზიანოა ინდივიდისა და საზოგადოებისათვის.<sup>1</sup> სამწუხაროა, რომ ეკონომიკური თეორია, სოციალური მეცნიერებები საერთოდ, გვერდს უვლის ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის, კიდევ მეტი „ადამიანთა მიერ თავისი და სხვების საზიანო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დოვლათის მოხმარების (დაგროვების), მაშასადამე, არარაციონალური მოხმარებისა და დაგროვების ფაქტს, მაშინ როცა მას დიდი ადგილი უკავია ადამიანთა ცხოვრებაში. ეს თეორიის დიდი ნაკლია.

კეთილდღეობის ქვემარტივ გაგების შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი მეტწილად არადეკვატურად ესმით თეორიაში და ყოფით დონეზე. კეთილდღეობა გაგებულია როგორც საერთოდ ადამიანთა ყოველგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საქონლითა და მომსახურებით. აქედან გამომდინარეობს, რომ თითქოს ყოველგვარი მოხმარება სიკეთეა (იხ. თეორეტიკოსები ა. პიგუ, ი. ლიტლი, ა. ბერგსონი. კ. ეროუ, კუზნეცი და სხვ.).<sup>2</sup> ასეთ გაგებას უკავშირდებენ ადამიანის უფლებებს, მომხმარებლის ინტერესებს, სუვერენიტეტს. სინამდვილეში ეს ასე არაა და არ შეიძლება იყოს, ყოველგვარ დაკმაყოფილებას არ მოაქვს სიკეთე, რადგან ადამიანებს ბევრი გაუკუღმართებული მოთხოვნილებებიც გააჩნიათ. მომხმარებლის სუვერენიტეტსა და ინტერესებს რეალურად შეესაბამება ის, რომ მისი ჯანსაღი მოთხოვნილებები კმაყოფილდებოდეს და არა ყოველგვარი მოთხოვნილებები. არაჯანსაღ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დოვლათის მოხმარებას განვიხილავთ როგორც არარაციონალურს, ამგვარად მოხმარებულ დოვლათს, სრულიად გამოუყენებლად არსებულთან ერთად,

---

1 ეს უძველეს დროში (ძვ. წ. ა. მე-6 - მე-5 საუკუნეში კარგად ესმოდა ლაო ძის, რომელიც წერდა: „სამეფო კარი თუ ბრწყინავს, მინდვრები გახრიკებულია, ბედლები დაცრიელებულია. დიდებულნი თუ ძვირფასეულობით შემოსილან, ბრწყინვალე საჭურჭლით შეჭურვილან, უკადრისობენ მდაბიურ სუფრას და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან, ეს ავაზაკობა და ზვიადობაა.“ ლაო-ძი. დაო დე ძინი. თბილისი 1990. გვ.123..

2 იხ. Macmillan Dictionary of Modern Economics. London and Basingstoke. 1992. „Economic welfare“, and „Social welfare Function“.

რაც არაიშვიათად გვეხვდება, როგორც **ზედმეტს ინდივიუბისთვის**.<sup>1</sup> იგი არ ხმარდება რეალურ სარგებლობას ადამიანებისთვის, სიკეთეს, უქმია ან ხმარდება ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას. ამ შემთხვევებში დოვლათი არ მოხმარდა თავის ნამდვილ დანიშნულებას - რაციონალურ მოხმარებას, მაშასადამე ის რეალური დანაკარგებად გვევლინება. ადამიანებისთვის რეალური სარგებლობის მიღებას კი ვუნოდებთ ეკონომიკური დოვლათის ტრანსფორმაციას სოციალურ სიკეთედ (სოციალური სიკეთეში გადასვლას)<sup>2</sup>. მასში და მის ზომაში გამოვლინდება წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საზრისი, საბოლოო შედეგი.

ადამიანთა (საზოგადოების) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გონივრულ ფარგლებში განვიხილავთ **ზომიერებად, ხოლო ამაზე გადაჭარბებით მოხმარებას (დაგროვებას)- ზედმეტობად**, რაც წარმოიშვება ადამიანთა სიხარბის შედეგად. სიხარბე კი კაცობრიობის ცხოვრებაში დამანგრეველი ძალაა, რომელიც აპირისპირებს ადამიანებს ბუნებასთან და ერთმანეთთან. **რადგან დოვლათის უაზრო, ფუჭი მოხმარება, საკუთარი და სხვების საზიანო გამოყენება ფართოდ შეინიშნება ადამიანთა ქცევებში**, მისი შემაფერხებელი გავლენა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე დიდია. მნიშვნელოვანწილად ამ მიზეზების გამო საყოველთაო კეთილდღეობის პრობლემა ვერ წყდება და მთელი კაცობრიობისა და ცალკეული ხალხების ცხოვრებაში ადგილი აქვს აღმამფოთებელ ხარვეზებს, ადამიანთა დიდი უმრავლესობის სიდუხჭირეს. ამიტომაც **ზომიერების დაცვა, სიხარბის დაძლევა, უქმი დოვლათის შემცირება და აღკვეთა მთელი კაცობრიობის ერთ-ერთი მთა-**

1 ზედმეტისა და უკმარის კატეგორიებს საფუძველი ჩაუყარეს პლატონმა და არისტოტელემ. „ ის, რაც აჭარბებს ზომიერ ბუნებას და ის, რაც მასზე მეტია სიტყვით და საქმით, ნამდვილად არის ზედმეტი. Платон. Политик. Соч. т. 3, ч. II. С. 45-47. არისტოტელე ზედმეტსა და უკმარს განიხილავდა როგორც საშუალოდან, სასურველიდან გადახრას. Аристотель . блСоч. , т. 4. Изд. „ Мысль “. М., 1984. С. 88, 876 118, 215..

2 ეს ცნება ჩვენს მიერ შემოღებულია მონოგრაფიაში „მეტეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია“ ( 1995) და გამოყენებული ნაშრომებში; „ეკონომიკის ჰუმანიზაციისა და დეჰუმანიზაციის ტენდენციები“ ( 2001, რუს. ენაზე ), „მოგების მეტათეორია . ახალი ხედვა (2007, რუსულ ენაზე) და სხვ.

**ვარი პრობლემაა.** ამრიგად, **ზომიერება არაა მხოლოდ ყოფითი სიბძნის გამომხატველი ცნება, არამედ თეორიული კატეგორიის შინაარის მატერებელიცაა.** ეს მომენტი კი ერთ-ერთი ცენტრალური უნდა იყოს კეთილდღეობის თეორიაში.

მოთხოვნილებათა დიდი ნაწილის არაჯანსაღი, არაგონივრული ხასიათი, ის, რომ ადამიანები ეტანებიან ისეთ რამეებს, რაც **თვით მათაც აზიანებს (ეს პარადოქსია, მაგრამ რეალობაა!) და სხვებსაც ან სრულიად არაფრის მომცემია, უაზროა, ცნობიერებისა და ყოფიერების დიდი ნაკლია.** ადამიანებს ხშირად სურთ დაეუფლნენ საგნებს არა ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ პრესტიჟისთვის (ტ. ვებლენი და სხვ.), სხვებზე ძალაუფლების, უპირატესობის მოსაპოვებლად. ასეთი მიდრეკილება არსებულ სინამდვილეში ადამიანთა დიდი ნაწილის უარყოფით თვისებად უნდა იქნეს შეფასებული. **იგი ეფუძნება სიკეთის (სარგებლობის) არაქეშმირი გაგებას, არასწორად გაგებულ (მახინჯ) ინტერესებს, გამრუდებულ მენტალიტეტს. ცნობიერება და მენტალიტეტი განსაზღვრავს ქცევას.** გამრუდებული ცნობიერებიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარეობს ადამიანთა მეორე უარყოფითი თვისებაც - მათი **არარაციონალური, ე.ი. ისეთი ქცევა, რომელსაც რეალური (ნამდვილი) სასარგებლო შედეგი, სიკეთე არ მოაქვს.** თეორიის მტკიცება, რომ **საერთოდ ადამიანები არიან რაციონალურები, რომ ინდივიდები ყოველთვის ყველაზე უკეთ აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, პრაქტიკაში არ დასტურდება.** ადამიანები უშვებენ ბევრ შეცდომას, ხშირად არ ფლობენ ოპტიმალური გადაწყვეტილების უნარს, ამისთვის საჭირო ცოდნას. ეს ვლინდება მათ მიერ დოვლათის მოხმარებასა და დაგროვებაში არაჯანსაღი, არაგონივრული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, განუსაზღვრელი სიმდიდრისადმი (შემოსავლისადმი) მისწრაფებაში და სხვ.

სხვანაირად ესაა **ადამიანთა არაზომიერება (ზომიერების პრინციპის დარღვევა).** ამის გამო იქცევა გარკვეული დოვლათი ინდივიდთა ნაწილისთვის **ზედმეტობად, არსებითად არასაჭიროდ, უქმად.** თეორია, როგორც ცნობილია, ქადაგებს **მოთხოვნილებების განუსაზღვრელობას, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ.** გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებები როგორც პრაქტიკა ად-

ასტურებს, შეზღუდულია მოცემულ მომენტში. **ადამიანთა სამომხმარებლო ძალა განუსაზღვრელი არაა**, მათ არ შეუძლიათ უზომო რაოდენობით მოიხმარონ დოვლათი, რასაც თეორია გვერდს უვლის. მოთხოვნილებათა უსაზღვრობის დოქტრინა ადამიანთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს პასუხობს, რომ მოგების უსაზღვრო ზრდას მი-  
**აღწიონ. სწორი იქნება ვთქვათ, რომ მოთხოვნილებები მხოლოდ იცლება, ვითარდება განუსაზღვრელად.**

აქვე შევნიშნავთ, რომ საყოველთაო კეთილდღეობაში არ ვგულისხმობთ ევალიტარიზმს, ბანალურ გამათანაბრებლობას, ადამიანთა მიერ ერთნაირ მოხმარებას, რაც გაუმართლებელია, რადგან მათი მოთხოვნილებები განსხვავებულია. ერთნაირი მოხმარება, შემოსავლები უსამართლობა და უწესრიგობა იქნებოდა. **საქმე ეხება გონივრულ, ჯანსაღ მოთხოვნილებათა თანაბარ დონეზე დაკმაყოფილებას, რაც აუცილებელია სამართლიანი, ჰუმანური საზოგადოებისთვის.**

ადვილი გასაგებია, რომ მოხმარებასა და ქონების დაგროვებას ზომიერების საზღვრებს იქით, ადამიანებისთვის არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს (შეიძლება მოჰქონდეს ილუზიური სიკეთე). გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროზე ზედმეტი ეკონომიკური დოვლათი რომ არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთედ, სწორედ აქედან გამომდინარეობს **შეფარდებით ზედმეტი** (ფაქტობრივად სასარგებლოდ გამოუყენებელი, უქმი) დოვლათის (სიმდიდრის) არსებობის ფაქტი. სწორედ ამგვარი ზედმეტი, უქმი დოვლათი უნდა ჩაითვალოს **რეალურ დანაკარგად ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის**. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, გარკვეულწილად ამის შედეგად არსებობს **დოვლათის უკმარობა** ადამიანთა დიდი ნაწილისთვის იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა არ ყოფილიყო ადამიანთა ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთელი არსებული დოვლათის რაციონალურად და სრულად გამოყენებისას.

ამგვარი რეალობის, ზომიერების დაკარგვის არსებობის უპირველესი მიზეზია საერთოდ ადამიანთა დამახინჯებული ცნობიერება, კეთილდღეობის ყალბი გაგება. მისგან მომდინარეობს ადამიანთა მიდრეკილება ზედმეტი სიმდიდრის დაგროვებისაკენ,

## **აქონობის თეორიის თანამედროვე პრობლემები**

მოხმარებისკენ, იმის მიუხედავად, არის ნამდვილი აზრი, სიკეთე ამგვარ მისწრაფებაში და მის საფუძველზე მოქმედებაში, თუ არა. საბოლოოდ, საზოგადოების მასშტაბით, მთლიანობაში, ჩნდება ასევე მასობრივი გავრცელების ფაქტორი - ადამიანთა მიმბაძველობა, შეჯიბრი სამომხმარებლო სფეროში, მოხმარების, სიმდიდრის მეშვეობით უპირატესობის დადასტურებისთვის.

რეალობა ასეთია: ფუჭი, უაზრო მოხმარება, რომელსაც არ მოაქვს ჭეშმარიტი სიკეთე, საერთოდ ადამიანთა ცხოვრების თანამგზავრი გახდა, რაც ისტორიული პროცესის შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანთა ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამცირებს საყოველთაო კეთილდღეობას. ყოველივე ეს ისტორიის - ობიექტური სინამდვილის „ცოდვებია“ („შეცდომებია“). ვგულისხმობთ საზოგადოების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების არასაკმარის დონეს.

**მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ზედმეტობა ერთ მხარეს და უკმარობა მეორე მხარეს დიდწილად უკავშირდება დამკვიდრებულ სოციალურ ეკონომიკურ გარემოს, ურთიერთობებს, უსამართლობას საერთოდ და შემოსავლების (სიმდიდრის) განაწილებასა და გადანაწილებაში, ადამიანთა შორის მეტისმეტ უთანასწორობას, ზნეობრივ ხარვეზებს, საერთოდ საზოგადოების ცხოვრების, მონყობის მანკიერებებს. თეორიის დიდი ნაკლია, რომ იგი არ ითვალისწინებს ამ კავშირსაც.**

უქმი, ზედმეტი დოვლათის რამდენიმე ძირითადი სახეობა შეიძლება განვიხილოთ მათი წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით.

უწინარესად შეიძლება ვთქვათ, რომ **თვით კერძო ინდივიდები, როგორც მასობრივი მომხმარებლები**, იძენენ ნივთებს, ფლობენ ქონებას, რომელთა ამა თუ იმ (ხშირად დიდ) ნაწილს არ იყენებენ ჯანსაღი დანიშნულებით. ადამიანთა უმეტესობისთვის ამას ადგილი აქვს **არასწორი სამომხმარებლო არჩევანის გამო**, რაც არარაციონალობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ამგვარი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ცხოვრებისეული ფაქტები, მიუხედავად თეორეტიკოსთა მტკიცებისა, თითქოს საშუალოდ მომხმარებელთა არჩევანი - მჯობინება, უპირატესობის მიკუთვნება ამა თუ იმ პროდუქტისთვის საერთოდ სწორი იყოს. ჩვეულებრივ კი

ადამიანები ხშირად ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს და იძენენ ნივთებს, რომელთაც არ იყენებენ სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების შემდეგ აგდებენ, ან კიდევ უფუნქციოდ ინახავენ, ასევე დიდი რაოდენობით აფუჭებენ ან ცუდად იყენებენ საგნებს, რის გამო ისინი **ზედმეტის** სახე იღებს. ამიტომ **ოჯახების უმრავლესობაში შევხვდებით ზედმეტ, გამოუყენებელ საგნებს, როცა მათ აკლიათ სხვა უფრო საჭირო რამეები.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **მდიდრთა მოხმარებისა და ქონების შესახებ.** მათ გააჩნიათ პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი დიდი სიმდიდრე, რომლის ნაწილი ემსახურება არა გონივრული (ჯანსაღი), არამედ პრესტიჟის, უპირატესობის დადასტურების, ზოგჯერ ფუქსავტური და ფუფუნებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რასაც, ჭეშმარიტი გაგებით, არა მოაქვს არავითარი რეალური სიკეთე. ეს სიმდიდრე, ჯანსაღი აზრით, უნდა განვიხილოთ როგორც **ზედმეტი, რომელიც არსებობს უქმად.** მისი არსებობა არღვევს **ზომიერების** ფარგლებს, აუცილებელისა და ზედმეტის ზღვარს.

**დიდი სიმდიდრე რომ უმტესნილად არაა და არ შეიძლება იყოს იმ სუბიექტების მონაგარი, რომლებიც მას ფლობენ,** ეს დიდი ხანია ბევრმა უნცის.<sup>1</sup> სრულიად გაუმართლებელია ასეული ათასობით, მილიონობით ან მილიარდობითაც ღირებული დოვლათის შექმნა ერთეულებს მივანეროთ, როცა ადამიანთა საშუალო შრომის ნაყოფიერება ათასობით თუ ათიათასობით და მეტად ნაკლებია. ადამიანებს შორის ასეთი განსხვავება უნარის მიხედვით არ არსებობს.<sup>2</sup> მაშასადამე, ლოგიკურია ვთქვათ, რომ **ასეთი განსხვა-**

1 ფ. ბასტია ადამიანთა კუთვნილად მათ მიერ შრომით შექმნილ დოვლათს მიიჩნევს. იგი აღნიშნავს: „საკუთრება მე მესმის, როგორც მშრომელი ადამიანის უფლება იმაზე, რაც მან შრომით შექმნა“. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში დოვლათის შექმნაში ადამიანთა წვლილისა და მითვისებაში წილის დაცილება ერთმანეთისგან დამკვიდრდა ცხოვრების დიდი მანკიერებად, რომელიც ჯერ კიდევ არაა აღკვეთილი.

2 ამას ჯერ კიდევ ადამ სმითი მიუთითებდა (იხ. მისი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 2007. გვ. 137) . ამას ადასტურებს ადამიანთა ინტელექტუალობის კოეფიციენტის შესახებ თანადროვე გამოკვლევები. ეს ისედაც გასაგებია ამ საკითხში ჩახედული ნებისმიერი პირისათვის.

ვებები ადამიანთა შემოსავლებს შორის სულ მცირე არაობიექტურია. ამის მიხვედრა ძნელი არაა, მაგრამ საერთოდ მაინც კარგად არაა გარკვეული, თუ რატომ და როგორ ხდება ეს. ჩვენ შევეცადეთ და დავასაბუთეთ, რომ, ჯერ ერთი, საზოგადოების სიმდიდრე ან მისი ნაწილი შეიძლება შეიქმნას არა წარმოების ცალკეულ ფაქტორთა, არამედ მათი ერთობლივი მოქმედებით იმის შედეგად, რომ ადამიანები იყენებენ ბუნების ძალებს კაცობრიობის მთელი დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული მიღწევების საფუძველზე, მაშასადამე, ბუნებისა და ისტორიისაგან უსასყიდლოდ (მუქთად) მიღებული წყაროების მეშვეობით. მეორე, ისტორიის მიერ ჩამოყალიბებული განაწილების მექანიზმი კი არსებული გარემოს წყალობით ცალკეულ ადამიანებს უქმნის შესაძლებლობას იღებდნენ და ფლობდნენ მეტს აღნიშნული უსასყიდლო (მუქთი) წყაროების დახმარებით მიღებული დოვლათიდან, ვიდრე მათ დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილით ეკუთვნით. ამის ნიადაგზე მათ ხელში თავს იყრის მათთვის გონივრულ ფარგლებში საჭიროზე ზედმეტი დოვლათი (სიმდიდრე),<sup>1</sup> რაც ობიექტურობისა და სამართლიანობის პირობებში მთელი საზოგადოების ხელში უნდა გადასულიყო სათანადოდ გამოსაყენებლად.

სწორედ წმინდა (დანახარჯებზე მეტი) პროდუქტი და მისი წარმოქმნის შესაძლებლობა, დოვლათის განაწილების არსებული მექანიზმი არის ზედმეტი მოხმარების და ზედმეტი სიმდიდრის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. დოვლათის განაწილებისა და გადაწილების მექანიზმი მნიშვნელოვნად განაპირობებს დოვლათის შექმნაში სუბიექტთა წვლილისა და მის მითვისებაში წილს შორის განხვავებას. ეს წინააღმდეგობაა, მაგრამ რეალობაა. ამ პირობათა შედეგად წმინდა პროდუქტის ნაწილი იქცევა ზედმეტად მოხმარებულ თუ დაგროვებულ პროდუქტად, ე.ი ფაქტობრივად არასწორად გამოყენებულ, სასარგებლო შედეგის, (სიკეთის) არმომცემ, უქმ დოვლათად. ადვილი გასაგებია, რომ აქ ამკარავდება დოვლათის განაწილების მეტისმეტი უთანასწორობა.

---

1 ჩვენი დასახელებული ნაშრომები.

ზედმეტს უნდა მივაკუთვნოთ, პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ადამიანთა საზიანოდ მიზანმიმართულად ან მახინჯი ქცევის, ჩვევების შედეგად. **ნარკოტიკული ნივთიერებები, ადამიანთა გონებისა და ზნეობის ამრევი ე.წ. ლიტერატურა და ხელოვნების ნაწარმოებები, გართობის სხვადასხვა უსარგებლო საშუალებები**, რომლებიც ინტენსიურად ვრცელდება და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის უზარმაზარი შემოსავლების წყაროა. ეს ცივილიზაციის აღმამფოთებელი პარადოქსია, მაგრამ საზოგადოების გულგრილობის შედეგად კარგად ხეირობს.

**შეფარდებით ზედმეტი, უქმი დოვლათი (სიმდიდრე)** საყოველთაო თვალსაზრისით არის ადამიანთა მოსპობისა და ადამიანებზე ძალადობის საშუალებები. მათ გარკვეულ ნაწილზე მოთხოვნილება წარმოიშვება **საზოგადოებრივ მანკიერებათა** (აგრესიის, ძალადობის, ადამიანთა, ხალხების კონფლიქტების, უნდობლობის და სხვ.) გამო. ობიექტურად, **თუ ცხოვრების მოვლენათა სწორი გაგება იარსებებდა**, ადამიანებსა და ხალხებს შორის კონფლიქტის მიზეზებს ადგილი არ ექნებოდა. ისინი აღმოცენდება სუბიექტური მიზეზებით, გაუკულმერთებული ცნობიერებისა და ინტერესების საფუძველზე. მაშასადამე, ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოების პირობებში ყოველივე ეს სრულიად არასაჭირო, ზედმეტია, ე.ი. ასეთი საგნების საჭიროება იქმნება ხელოვნურად.<sup>1</sup>

ფაქტების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ **საზოგადოების განკარგულებაში არსებული სიმდიდრის (დოვლათის) სასარგებლო, სიკეთის პოტენციალი, ერთი მხრივ, და საყოველთაო კეთილდღეობა, მეორე მხრივ, ყოველთვის ბევრად სცილდებოდა და სულ უფრო მეტად სცილდება ამჟამადაც ერთმანეთს. საყოველთაო კეთილდღეობა არ მისდევს დოვლათის,**

---

1 აბა, რაში დასჭირდებოდა გონიერ, ცივილზებულ კაცობრიობას, ხალხებს ატომური იარაღი, თუნდაც კალაშნიკოვის ავტომატები. ამიტომაც დიდი ხანია, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობის მოწინავე ნაწილი ოცნებობს უიარაღო მსოფლიოზე და აყენებს საკითხს განიარაღების შესახებ. ეს კარგად უწყიან ისტორიის მცოდნეებმა. ზედმეტობის ამგვარ და სხვა კონკრეტულ ფაქტებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით. ისინი ურიცხვია და შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ. მათ განათლებული საზოგადოება კარგად იცნობს.

**სიმდიდრის ზრდას.** ეს უკანასკნელი საგრძობლად ჩამორჩება პირველს. ეს გარემოება კი ყურადღების გარეშეა დატოვებული თეორიის მიერ, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა.

ხაზი უნდა გაესვას ადამიანთა არასწორი სოციალური ქცევის ხასიათის დიდ ადგილს დოვლათისა და შემოსავლების უსამართლო, მეტისმეტად უთანაბრო, უნესრიგო განაწილებაში. ეს **არის საზოგადოების მონყობის უდიდესი ხარვეზი, რომელიც მთელ ისტორიას** გასდევს. იგი ვერ სწორდება საზოგადოების მიერ გამოყენებული საშუალებებით, შემოსავლების გადანაწილების სისტემებით, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ნებისმიერ ქვეყნაში მოქმედებს, უმთავრესად სახელმწიფოს მეშვეობით.

საგულისხმოა, რომ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის არსებული დამახინჯებული გარემო ხელსაყრელი და სავსებით მისაღებია, მათთვის ცვლილებები მიზანენონილი არაა (მათი გაგებით). ეს დაბრკოლებები ძლიერი და მყარია, რომელთა გადალახვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებათა, ზომიერებაზე გადასვლის, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლების დამაბრკოლებელი ფაქტორების სიმძიმეს თვით ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები ადასტურებს.

**უქმი დოვლათის (ეკონომიკის) შემცირებისა და აღკვეთის** ერთ-ერთი, მეტად მნიშვნელოვანი პირობა, განსაზღვრების მიხედვით, არის **ზომიერების დამკვიდრება**. ამის საფუძველზე უქმი დოვლათის არსებობის **დაძლევაში ძვეს საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლების ერთობ დიდი რეზერვი**. ეს დოვლათი თავისი ხასიათით, გარკვეული აზრით, შეიძლება **განვიხლოთ იაფ (მუქი) რესურსად**, რამდენადაც სრულიად არ საჭიროებს ან თითქმის არ საჭიროებს დამატებით დანახაჯებს შესაქმნელად, საქმე ეხება არსებულის გამოყენებას, დანაკარგის თავიდან აცილებას. მხოლოდ გამოყენება შეიძლება იყოს დაკავშირებული რაღაც დანახარჯებთან, რაც მსჯელობისას დასაშვებია უგულვებლევყოთ კიდევ.

ყოველივე ეს შეიძლება **შევადართო საწარმოო რესურსების** გამოყენებას. ცხადია, თუ შექმნილ საწარმოო სიმძლავრეს უფრო

სრულად გამოვიყენებთ, მეტ პროდუქციას მივიღებთ, ხოლო თუ არასრულად ვიყენებთ, ან ვიყენებთ არაჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ან სულაც საზიანო (რაც არა-იშვიათად ხდება) პროდუქტების წარმოებისთვის, განეული კაპიტალური დანახარჯები და მით შექმნილი სიმძლავრე, ასევე სხვა რესურსები უქმია, დანაკარგია. თუ ამ რესურსებს გამოვიყენებდით რეალურად სასარგებლო მიზნით, შეიძლება ვთქვათ, რომ შესაბამისად შევამცირებდით დოვლათის უკმარობას, ავამალლებთ ადამიანთა კეთილდღეობას დამატებით დოვლათის (სიმდიდრის) გარეშე. უეჭველია, რომ მსოფლიოში, განსაკუთრებით მდიდარ (განვითარებულ) ქვეყნებში ეს რეზერვი უზარმაზარია. მასში დიდ ნაწილი მდიდარ ადამიანთა ხელში არსებული ის ქონებაა, რომელიც ფაქტობრივად გამოუყენებელია რეალური სარგებლობის მისაღებად ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (ფემენებელური მარვალსართულიანი სასახლეები, ჭარბი სატრანსპორტო და გართობის საშუალებები, ფუფუნების სხვადასხვა საგნები და ა.შ.).<sup>1</sup>

მაშასადამე, თეორიულად საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად წარმოგვიდგება ზომიერ, გონივრულ მოთხოვნილებებზე ზევით მოხმარებული, მოჩვენებითი სარგებლობის, ზიანის მომტანი და, ჯანსაღი აზრით, უსარგებლოდ და უმიზნოდ მოხმარებული და დაგროვილი დოვლათი (სიმდიდრე). იგი ადამიანთა გონივრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის გამოყენების შემთხვევაში დანაკარგიდან იქცევა კეთილდღეობის რესურსად, ანუ უქმი დოვლათიდან რეალურ დოვლათად მხოლოდ გამოყენების ნების, მართებული დანიშნულების, განაწილებით ურთიერთობათა სამართლიანობის,

---

1 მათ ზედმეტობაზე მიუთითებს ზოგიერთი ძალიან მდიდარი ადამიანების მოკრძალებული მოხმარების მაგალითი, როგორცაა ამერიკელი მუტიმილიარდერი ჩაკ ფინი, რომლის ქონება 7,5 მილიარდს შეადგენს (არიან სხვა ასეთებიც). იგი არ ფლობს მვირადღირებულ მანქანებს, თვითმფრინავებს, გადაადგილდება თვითმფრინავით ეკონომკლასის სალონში, ქირაობს ბინას და ატარებს 15 დოლარიან საათს. თავის სიმდიდრეს სხვებს უფრო ახმარს, 30 წლის განმავლობაში ქველმოქმედებისთვის დახარჯა 6 მილიარდი დოლარი. ასე თუ მოიქცეოდა ყველა მდიდარი, მსოფლიოში ბევრი პრობლემა მოიხსნებოდა.

**მომხმარებლის რაციონალურობის პირობებში, რაც არავითარ ინვესტიციას არ ან თითქმის არ საჭროებს.**

საკითხი დგება ამ რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და ფაქტობრივად გამოყენების შესახებ. ასეთი შესაძლებლობა არსებობს, რაც ძნელი არაა სათანადო არგუმენტებით დავამტკიცოთ. თავიდან აქ უნდა ითქვას **ზომიერების დამკვიდრების პირობებზე**. ჯერ ერთი, ესაა საერთოდ მომხმარებელთა ქცევის რაციონალიზაცია, **ზომიერების არეში ჩაყენება**. მომხმარებლების მიერ დოვლათის შექენას მხოლოდ გონივრულ, ჯანსაღ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თუ ექნებოდა ადგილი, თუ ისინი არ გასცდებოდნენ **ზომიერების ფარგლებს** დოვლათის დაგროვებისას, საზოგადოების მთელი დოვლათის ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენების პრობლემაც გადაიჭრებოდა, არ იარსებებდა ზემოთ განხილულ დანაკარგები. ეს მომენტი ადამიანთა რაციონალურობის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ასპექტია.

მეორე, ადამიანები უნდა თავისუფლდებოდნენ მათ **ხელში ზედმეტად თავმოყრილი ქონებისაგან**. მათ უნდა მოიშორონ ის, რაც საჭირო არაა **ნორმალური, გონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად**, რაც შექენილია ან დაგროვილია არასწორი სამომხმარებლო არჩევანის, არარაციონალური დაგროვების შედეგად. ესეც რაციონალური ქცევის ხარისხის ამაღლების საგულისხმო კომპონენტია. იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ადამიანთა ერთი ნაწილის სათნოების (სიქველის) საფუძველზე სხვებისთვის **სიმდიდრის (ქონების) მნიშვნელოვანი ნაწილის უანგაროდ გადაცემის გზით**. ეს მიმართულება უთუოდ ადვილად გასაგებია. ადამიანთა ხელთ **არსებული ზედმეტი დოვლათისაგან გათავისუფლების** მაგალითები ცნობილია წარსულიდანაც და დღევანდელ სინამდვილეში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს ადამიანთა სალი ცნობიერების, შეგნების, ჰუმანური ბუნების ნიადაგზე. არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით, რომ „დიდებულია ადამიანი, რომელიც გასცემს“ (არისტოტელე). ასევე: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ (რუსთაველი). რელიგიური მოძღვარნი ქადაგებენ: „სიმდიდრე და ქვლმოქმედება განუყრელი უნდა იყოს“, ან კიდევ: „შენ იმიტომ

გედღევა სიმდიდრე, რომ გასცემდე“; „რამდენი სიმდიდრეც არ უნდა მოვიპოვოთ, მაინც სამარეში ჩავალთ, სადაც მეფეს გლახაკისგან ვერ გაარჩევ“ და ა.შ.

მთელ მსოფლიოში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, ფართოდაა გავრცელებული ქველმოქმედება. ამ მიმართულებით ცნობილია საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა. ქველმოქმედების აქტს დიდი წვლილი შეაქვს უპოვარ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში.<sup>1</sup> ამის მაგალითი მრავალია. მათ შორის ერთ-ერთი შტამბექდავია ამერიკელი გამორჩეული 38 მილიარის გადანყვეტლება უორენ ბაფეტი-სა და ბილ გეიტსის მეთაურობით შექმნან ფონდი სახელწოდებით „ჩუქების ფიცი“<sup>2</sup>, რაც გულისხმობს მათი ქონების ნახევრის გადაცემას საქველმოქმედო მიზნით. ამაზე უკეთესი რამ არსებულ რეალობაში მათ რა უნდა გააკეთონ !

ადამიანები სხვადასხვა, მათ შორის მათთვის ზედმეტ, ე.წ მეორად საგნებს გადასცემენ ხელმოკლეებს უსასყიდლოდ ან იაფად. ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზებული წესითაც ხდება მათი შეგროვება და გადაცემა ქვეყნის შიგნით ან გარეთ უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასებში.

ამასთან, **ყოველივე ეს სულაც არაა საკითხის სრულად გადანყვეტა**. მხოლოდ ნაწილობრივ შევლის ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტი დოვლათის, როგორც ასეთის, შემცირებას ან გამო-

---

1 ამის შესახებ იხილეთ: Waldemar A. Nielsen. The Big Foundations. New York – London 1972 . მასალები ქველმოქმედების ირგვლივ მრავლადაა ინტერნეტში - პორტალი „ქველმოქმედება“ და სხვ.

2 2010 წელს აშშ-ში ქველმოქმედების მასშტაბმა 291 მილიარდ დოლარს მიაღწია, მათგან 212 მლრდ კერძო პირებისა იყო, დანარჩენი საზგადოებრივი ორგანიზაციების. რამდენიმე ამერიკელმა მილიარდერმა უარი თქვა თავისი ქონების მემკვიდრეობით გადაცემაზე. ბუნ პიკინსი აცხადებს: „მე არა ვარ სიმდიდრის მემკვიდრეობით გადაცემის მომხრე. ასეთ მემკვიდრეობას მხოლოდ ბოროტბა მოაქვს“. [http://ambebi.ge/boocs/6017rogor\\_azrovneben\\_mdidrebi.html](http://ambebi.ge/boocs/6017rogor_azrovneben_mdidrebi.html). საკვირველია და გაუგებარია ლიბერტარიანელების გადარბუნებული აზრი, რომ ქველმოქმედება ადამიანთა ბუნებრივ ინსტიქტებს აუკუღმართებს და არღვევს ტრადიციულ სოციალური კავშირებს. ეს ხომ ანტიჰუმანური შეხედულებაა? რიგი არსებული სოციალური კავშირები კი დიახაც რომ დასარღვევია!

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

რიცხვას, უქმი დოვლათის (სიმდიდრის) გადაქცევას საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად.

უდიდესი საკითხია ის, კონკრეტულად თუ რა გზით განხორციელდეს საერთოდ ზედმეტი მოხმარებისაგან და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლება. ეს პრაქტიკულად უშუალო კავშირშია ადამიანთა შეგნებულობასთან, ზნეობასთან, ცნობიერებასთან, ტრადიციასთან ერთად, ინტერესებთან, ადამიანების ბუნების ღრმა ცვლილებებთან, შეიძლება ვთქვათ, სალი აზრის გამარჯვებასთან, ნამდვილ მენტალურ რევოლულუციასთან. ამასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური გარემოს, ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას, მათ სამართლიანობას, ჰუმანიზაციას.

ზომიერების დამკვიდრება და ცხოვრების ჰარმონიზაცია თეორიულად თითქოს სულაც მარტივია: ყველამ თავისი ნებით, შინაგანი კარნახით უნდა თქვას უარი ზედმეტ მოხმარებაზე და ზედმეტის ფლობაზე, თითოეულმა შინაგანი მოწოდებით დაიცვას ზომიერება. სინამდვილეში ყოველივე ეს დიდ სირთულეებს აწყდება, თუმცა შეუძლებელი არაა, რადგან არსებობს ხელშემწყობი ფაქტორებიც. 1. მატერიალური სიმდიდრე თანდათან უფასურდება უფრო მაღალი სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის გვერდით. ამით სუსტდება მისდამი მიდრეკილება, იგი გარკვეულ ფარგლებს იქით, გადადის აბსურდში; 2. მატერიალური სიმდიდრე სულ უფრო მეტი ტვირთი ხდება ადამიანებისთვის და მისგან მიღებულ კმაყოფილებას აჭარბებს უსიამოვნება,<sup>1</sup> საზრუნავი, რაც მას უკავშირდება მძიმე, დამთრგუნველ ხასიათს იძენს. 3. ადამიანთა საერთო განათლებულობა, ცივილიზებულობა ასუსტებს ზედმეტ მიდრეკილებას მატერიალური ნივთებისადმი. განათლებული ადამიანები მათ უფრო ნაკლებად ეტანებიან, ვიდრე დაბალი განათლებისანი და გაუნათლებლები. იცვლება ადამიანთა ფასეულობითი ორიენტაცია, მათ მიდრეკილებებში მეტ ადგილს იკავებს მაღალი სულიერი და სოციალური ფასეულობები, ვიდრე დაბალი მატერი-

---

<sup>1</sup> ამ უსიამოვნებაზე ვერც რამაა ცნობილი. აქ მოვიტანდი ერთაფორიზმს: მდიდარი ადამიანები არიან შეპყრობილნი და არა ნასიამოვნებნი“ (ჰომეროსი).

ალური. 4. დიდია საზოგადოების ელიტარული ნაწილის, პროგრესული იდეოლოგიის, მათ შორის პოლიტიკურის როლიც. ძალადობის გარეშე ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია ადამიანთა რაციონალური ქცევის, ზომიერების დამკვიდრების საქმეში, რომლის გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული პროგრესულ ლიდერებზე, საზოგადოების ელიტაზე, მათ მოქმედებებზე, მათი ყოფის მაგალითზე და ა.შ. 5. არც თუ ისე მცირეა შიშის ფაქტორის, იმ საფრთხის გაცნობიერების როლი, რომელიც ელოდება ადამიანებს (კაცობრიობას) არაზომიერების, სიხარბის სამყაროში.

ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს **ზნეობის ფაქტორს**. სოციოლოგიის ფუძემდებლის ა. კონტის აზრით, საზოგადოების მორალური სრულყოფა შესაძლებელია ალტრუისტული გრძნობის გაძლიერებით. მეტად მნიშვნელოვანია ადამიანთა აზროვნების (ცნობიერების) შეცვლა, ჭეშმარიტებისაკენ მობრუნება. გუსტავ ლებონის აზრით, დიად გარდაქმნათა, ცივილიზაციების შეცვლის წინაპირობა იყო აზროვნების წესის კარდინალური შეცვლა.<sup>1</sup>

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამაოა ველოდოთ სწრაფ გადასვლას ზომიერების, ცივილიზებულობისა და ჰარმონიული, ჰუმანური ცხოვრების მაღალ სამყაროში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი თვითდინებაზე იყოს მიშვებული, რომ საზოგადოება, კაცობრიობა ბუნებრივი სვლის მოლოდინში იყოს და მიზანმიმართულად არ მოქმედებდეს ამ პროცესის დაჩქარებისთვის, რადგან ზომიერების დამკვიდრებაში, ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტის ფლობისაგან ადამიანთა გათავისუფლებაში ძვეს საზოგადოების პროგრესის, ცივილიზებულობისთვის უდიდესი მნიშვნელობის შედეგები. კერძოდ, ესენია შემდეგი:

1. ზედმეტობასთან ერთად მცირდება ან ქრება უკმარობა, მაშასადამე, მაღლდება საეყოველთაო კეთილდღეობა გამოუყენებელი, უქმი იაფი (მუქთი) რესურსების „გაცოცხლებით,“ დანაკარგების აღკვეთით, ძირეული, ნებაყოფილობითი სამართლიანი გადანაწილების გზით, დამატებითი დანახარჯების გარეშე;

2. აღმოიფხვრება დაცილება ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას შორის - უდიდესი წინააღმდეგობა საზოგა-

**1 Gustav Le Bon . The Crowd . N. Y. Voling Prss. 1962. P. 13.**

დოების განვითარებაში;

3. ამაღლება ადამიანთა თავისუფლების ხარისხი, ერთნი გა-  
თავისუფლებიან ზედმეტი სიმდიდრის ტვირთისაგან, მეორენი -  
უკმარობისაგან, გაჭირვებისაგან;

4. უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი, აღმოიფხვრება უსამარ-  
თლობა, გაუმართლებელი უზომო უთანასწორობა, ადამიანთა დი-  
დი ნაწილის სიდუხჭირე; საზოგადოების, ხალხების, კაცობრიობის  
ცხოვრებაში მყარდება ჰარმონია, ცხოვრება ხდება უფრო ჰუმანუ-  
რი, სასიამოვნო ყველასათვის, ურთიერთობები ადამიანური, ესთე-  
ტიკურად მომხიბლველი.

ეს ნიშნავს ახალ, სიხარბისაგან თავისუფალ, ნამდვილად ჰუმან-  
ურ, ზომიერ ადამიანთა საზოგადოებას. კაცობრიობის გზა აქეთ-  
კენ ან კატასტროფისკენაა.

## **სახელმწიფოსა და ეკონომიკის შრთიეროტოზების ევოლუცია**

**კარლო ღურნკაია**  
ემდ,სტუ სრული პროფესორი  
**რამაზ ოტინაშვილი** –  
ემდ,სტუ სრული პროფესორი  
**ილია პაპაშვილი**  
სტუ დოქტორანტი  
**ეკატერინე ჩიქოვანი**  
სტუ დოქტორანტი

შეიძლება ითქვას სახელმწიფოს როლი ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამუშავებული პრობლემაა. მერკანტილისტებიდან მოყოლებული ეკონომიკური თეორიის ნებისმიერ სკოლაში მიმდინარეობს კამათი სახელმწიფოს როლის შესახებ. ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული მიმართულებები, სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას არც ერთი ცნობილი სკოლა არ უფლის გვერდს. თუმცა თითოეული განსხვავებულად წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების მიზნებსა და მეთოდებს.

თავისუფალი (წმინდა) საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი განთავისუფლებულიყო ფეოდალური სახელმწიფოს-შინაარსით არაეკონომიკური ურთიერთობებისაგან, საკუთარი ანგარებითი ინტერესის განსახორციელებლად. იგი ესწრაფოდა თავის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევისაგან მაქსიმალური თავისუფლების მიღწევას. ამ მიდგომის პოლიტიკურ გამოხატულებად იქცა ე.წ. სახელმწიფოს - „ღამის დარაჯის“ ანუ „მინიმალური სახელმწიფოს“ თეორია, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს. ისინი სახელმწიფოს მთავარ ამოცანას ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფასა და მოქალაქეთა კერძო ცხოვრებაში მინიმალურ ჩარევაში ხედავდნენ. ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, ურთიერთობების, ფასეულობების ფართო კომპლექსთან ერთად, მათი მონაზრებით ის სფერო იყო, სადაც სახელმწიფოს ჩარევის უფლება

არ ჰქონდა. ეს პერიოდი დაახლოებით XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.

თუმცა სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე იმდენად შესამჩნევი როდი იყო, როგორც იგი XX საუკუნეში გახდა, მაგრამ იგი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისგან განზე როდი იდგა. უფრო მეტიც, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულებების განსაზღვრაში. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, სადაც თითქოსდა სუფთა სახით მოიხინჯა საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის ძირითადი იდეები.

მრავალ მეცნიერთა აზრით, ამა თუ იმ პროცესებისა და ტენდენციების სახელმწიფო რეგულირების პრინციპები დამახასიათებელი იყო ამერიკის ეკონომიკისთვის მისი ისტორიის დასაწყისიდანვე. უკვე კოლონიალურ პერიოდში კოლონიების მთავრობების მიერ საქმიანი ცხოვრების რეგულირებამ საკმაოდ დიდი გაქანება ჰპოვა. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი თ. კობრენი შენიშნავს, ახალი ცნება: „ლაისსებ ფაირე“, რომელიც თავისუფალ კონკურენციას ნიშნავდა, ამერიკის პირველ ბიზნესმენებს უტოპიად ესახებოდათ.

ქვეყნის მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლი, როგორც ეროვნულ, ისე შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დონეებზე ხორციელდებოდა. ჩატარებული კვლევების მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველა შტატი იყენებდა საზოგადოებრივ ფონდებს გზების, საბანკო სფეროს, სამრეწველო წარმოების და ა.შ. განსავითარებლად. ბევრ შტატში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირდაპირ სამთავრობო ინვესტიციებს სხვადასხვა კომპანიებში, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლებოდა ეკონომიკის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონებისათვის. მრავალ დარგში ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა ფედერალური მთავრობის ჩარევა სამეურნეო საქმეებში. მრავალი ხიდის, სარწყავი არხის, გზატკეცილისა თუ რკინიგზის მშენებლობა განხორციელდა ფედერალური მთავრობისა და შტატების მთავრობების უშუალო მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

ამ და მრავალი სხვა მსგავსი ფაქტის საფუძველზე შეიძლება გა-

კეთდეს დასკვნა, რომ თავისუფალ-სამენარმეო კაპიტალიზმს აშშ-ში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ეტაპებზე გაბატონებული პოზიციები ეკავა, არასდროს უარსებია წმინდა სახით. თავისუფალი მენარმეობის პრინციპებისადმი მიდრეკილებაზე დეკლარაციების მიუხედავად, საჭირო დროს მიმდინარეობდა სახელმწიფოს ჩარევა სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, ბაზრის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების და გამოსწორების მიზნით

მაშასადამე, ბიზნესზე სახელმწიფო კონტროლის ტრადიცია, ისტორიულად მომდინარე და ღრმად ფესვგადგმულია ამერიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში. აღნიშნული კიდევ უფრო მართებულია ევროპული ქვეყნებისათვის. თავისუფალი-სამენარმეო კაპიტალიზმის პერიოდშიც კი სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრაში. ამიტომ, ქვეყნის საბაზრო რელსებზე გადასვლა არ უნდა გავიგოთ როგორც სახელმწიფოს წასვლა ეკონომიკიდან და ბიზნეს-სუბიექტებს შორის სტიქიური ურთიერთობების დამყარება წმინდა სახით.

როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკას არასდროს უარსებია და ვერც იარსებებს, წმინდა სახით, საზოგადოების მიღმა და სახელმწიფოსაგან განცალკევებულად. მართალია ეკონომიკის საბაზრო ორიენტაცია, რომელიც, ერთი მხრივ, არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს, თეორიულად ეკონომიკური და სოციალური სფეროების განსახელმწიფოებას ითვალისწინებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო სრულებით თავიდან იცილებს ამ პროცესების რეგულირებას მაკრო და მიკრო დონეებზე.

სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობათა განვითარების მეორე ეტაპი XIX ს. უკანასაკნელ მეოთხედს და XX ს. დასაწყისს მოიცავს, როდესაც, სამამულო და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამ კუთხით თვისობრივი ცვლილებები განხორციელდა, რომლის მიხედვითაც შეხედულებები თავისუფალ კონკურენციაზე და თავისუფალ ბაზარზე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

იმ პერიოდიდან მოყოლებული გიგანტური კორპორაციები,

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რომელთაგან თითოეული მონოპოლიის დამყარებას ცდილობდა შესაბამის დარგებში, საერთო სიტუაციას განსაზღვრავდნენ ეკონომიკაში. შედეგად, ბაზრები დაყოფილი აღმოჩნდნენ უმსხვილესი კორპორაციების მიერ. მათ ერთმანეთთან ურთიერთმომგებიანი შეთანხმებების დადება შეეძლოთ ბაზრის გადანაწილების პირობებისა და პარამეტრების თაობაზე. ჰქონდათ რა უზარმაზარი ეკონომიკური ძალაუფლება, მსხვილმა კორპორაციებმა თავი გამოაცხადეს თავისუფალი კონკურენციის ქეშმარიტ დამცველებად. ამავე დროს ყველანაირად არღვევდნენ მის ფუძემდებლურ პრინციპებს. ასეთ სიტუაციას ჯ. გელბრეითმა არცთუ უსაფუძვლოდ ოლიგოპოლია უწოდა, რომელიც მონოპოლიური ძალაუფლების განმხორციელებელი რამდენიმე კორპორაციისაგან შედგება.

საბაზრო ეკონომიკა თავისი განვითარების კორპორაციულ სტადიაში შევიდა, რომლის ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ ნიშანს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი როლის არსებითი გაფართოება წარმოადგენს. ცხადი გახდა, რომ ადამ სმითის “უხილავი ხელი”, საყოველთაოდ მიღებულ განმარტებაში, მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს, რომ ბაზარს, რომელიც თავისუფალი, შეუზღუდავი კონკურენციის პრინციპებს ეფუძნება, არ ძალუძს საზოგადოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა, მათ შორის ეკონომიკურისაც.

კორპორაციული კაპიტალიზმის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი როლის გაფართოება. ეკონომიკურ „ავანსცენაზე“ კორპორაციების როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაბატონებული სუბიექტების გამოჩენისა და დამკვიდრების შედეგად, თავისუფალი კონკურენციისა და „ლამის დარაჯის“ სახელმწიფო იდეებმა, რომლებმაც რევოლუციური როლი ითამაშა ფეოდალიზმის დამხობისა და საბაზრო სისტემის აღზევებაში, ფუნქციების თავისებური „ინვერსია“ განიცადა.

თუ ბურჟუაზიული რევოლუციების პერიოდში ასეთი იდეები ეკონომიკური არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფის საქმესა და ეკონომიკისგარეშე ყოველგვარი დაბრკოლებების მო-

სპობას ემსახურებოდა ცალკეული პიროვნების თვითრეალიზაციის გზაზე, ახლა ისინი მსხვილი კორპორაციების ინტერესებში ჩადგნენ, რომლებიც რაც შეეძლოთ ყველაფერს აკეთებდნენ თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის. ჰქონდათ რა უზარმაზარი ეკონომიკური ძალაუფლება, სწორედ უმსხვილესმა კორპორაციებმა საკუთარი თავი კონკურენციის ჭეშმარიტ დამცველებად გამოაცხადეს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველანაირად არღვევდნენ მის ფუძემდებლურ პრინციპებს.

აღმოჩნდა, რომ თვითდინებაზე მიშვებულ ბაზარზე გარკვეულ პირობებში შეიძლება მოქმედებდეს ჯუნგლების კანონი, სადაც იმარჯვებენ ცხოვრებისადმი ყველაზე მორგებულნი. ამ დროს ძლიერი თრგუნავს და იმორჩილებს სუსტს. ამასთან აშკარა გახდა, რომ ერთი პრობლემის გადაჭრით ბაზარი ბევრ სხვა, არანაკლებ სერიოზულსა და ფეთქებადსაშიშ პრობლემას წარმოშობს. ეს პრობლემა გადაჭრილ იქნა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემისა და ინსტიტუტების შექმნის გზაზე.

ჯ. კეინზის ნაშრომის „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოქვეყნების დროიდან თვითრეგულირებადი ბაზრის თეორიას შედარებით მოკრძალებული მდგომარეობა უკავია. კეინზისა და მისი მიმდევრების პოზიციის არსი, როგორც ზემოთ აღვნიშნა, მდგომარეობდა თეზისში, რომლის თანახმადაც მხოლოდ სახელმწიფო ჩარევას შეუძლია უზრუნველყოს მყარი ეკონომიკური ზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება.

შედეგად, განვითარებული ქვეყნების მმართველი წრეები საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როგორც დე-ფაქტო, ისე დე-იურე ჩარევის აღიარების აუცილებლობის გაცნობიერებამდე მივიდნენ. ეკონომიკის საერთო ხელმძღვანელობის განხორციელების მოთხოვნილებამ მთელი XX საუკუნის მანძილზე ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს როლის ზრდას განსაკუთრებულად ძლიერი იმპულსი მისცა 1929-1932 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც საბოლოოდ გაფანტა ილუზიები შეუზღუდავ

თვითრეგულირებად ბაზარზე.

კეინზისა და მისი მიმდევრების რეცეპტების მიხედვით, რომლებიც საბიუჯეტო პოლიტიკის აქტიურ გამოყენებას მოითხოვდნენ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, ბევრმა მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები განახორციელა, რომლებიც მიმართული იყო უმუშევრობისა და სიღატაკის წინააღმდეგ საზოგადოებრივი სამუშაოებისა და სოციალური შემწეობების მეშვეობით.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო ჩარევის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში ეკონომიკის მრავალი დარგის ნაციონალიზაცია განხორციელდა, რამაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის აქტიური სუბიექტის როლის შესამჩნევი ზრდა გამოიწვია.

სახელმწიფოს როლის გაძლიერების ხელშემწყობ მიზეზებს შორის საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო მისთვის სრულიად ახალი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც ადრე მისი ყურადღების სფეროს მიღმა რჩებოდა. ამ ამოცანებს შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ შემოსავლების გადანაწილების სხვადასხვა ფორმები სოციალური უზრუნველყოფის (დაზღვევის) პროგრამების მეშვეობით. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი განათლების სისტემის ორგანიზებაში, შრომის ბაზრისა და ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებაში, გარემოსა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვაში და ა.შ.

სახელმწიფო ჩარევა მონოდებუღია შეარბილოს ბაზრის ნეგატიური შედეგები. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი ა. შლეზინგერი არცთუ უსაფუძვლოდ ამბობდა, რომ აშშ პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა, შეიმუშავა და განახორციელა რა საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისა და უქონელთათვის სოციალური დახმარების ვრცელი პროგრამა, კაპიტალიზმი გადაარჩინა კაპიტალისტებისაგან, რომლებიც თავიანთი სიხარბითა და არაშორსმჭვრეტელი ანგარებიანი მოქმედებებით ძირს უთხრიდნენ მას.

ამ მოსაზრებას ეთანხმება ნიგნის-„სახელმწიფოები და სუვერენიტეტი გლობალურ პოლიტიკაში“-ავტორთა პოზიცია. „სახ-

ელმნიფო აუცილებელია იმისათვის,-აღნიშნულია ნაშრომში,- რომ ბაზრებმა შეძლონ ფუნქციონირება და კაპიტალიზმმა არ გაანადგუროს საკუთარი თავი, ვინაიდან კაპიტალი ხშირად ბეცია, ხოლო ბაზარი - ირაციონალური. მორალურ-პოლიტიკური კანონებით შეუზღუდავმა ბაზრმა შეიძლება ყველაზე შემოსავლიანი საქონლის - ნარკოტიკების, იარაღის და პროსტიტუციის განვითარებას შეუწყოს ხელი.<sup>1</sup>

სახელმნიფო რეგულირების როლის ზრდას მნიშვნელოვანნილად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ვინაიდან მოთხოვნა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას, აუცილებელია გადახდისუნარიანი ანუ ერთობლივი მოთხოვნის მიზანმიმართული სტიმულირების გზებისა და საშუალებების მოძიება.

ეფექტიანი სტრატეგია, რომელიც მიმართულია კერძო მომხმარებლის სასურველი რეაქციის უზრუნველყოფაზე ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების მიმართ, გათვლილი უნდა იყოს იმაზე, რომ მას აუცილებელი სახსრები ან გადახდისუნარიანი მოთხოვნა გააჩნდეს, რომელიც ამ საქონლისა თუ მომსახურების შექენის საშუალებას იძლევა. სახელმნიფო რეგულირებაში ნეოლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული მიმართულებების ეკონომიკური თეორიების წარმომადგენლებმა ამ მიზნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება დაინახეს.

იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მოთხოვნის ზრდა, სახელმნიფომ შეიძლება ისეთი ზომები გამოიყენოს, რეგორიცაა გაზრდილი დანახარჯები. ინფლაციის შემთხვევაში სახელმნიფო მიმართავს მოთხოვნის ზრდის შემაკავებელ ღონისძიებებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოქმედება კერძო მომხმარებელზე, სახელმნიფოს მხრიდან შესამებულია საქონლის მოთხოვნაზე ზემოქმედებასთან. მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის მართვა სახელმნიფოზე ამა თუ იმ ხარისხის კონტროლს გულისხმობს. მოსახლეობის ზოგიერთი სახის სამომხმარებლო მოთხოვნის უზრუნველყოფა და სათანადო დონეზე შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ სახელმნიფოს მხრიდან დამატებითი ხარჯების განწევით.

---

1 States and Sovereignty in the Global Economy. N.Y., 1999. P. 7.

**ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

მაგალითად, მეტ-ნაკლებად სტაბილური მოთხოვნა ავტომობილებზე, თვითმფრინავებზე, სარკინიგზო ვაგონებსა და ელმავლებზე შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობით და განვითარებით. ამიტომ, ავტო,- ავია- და სარკინიგზო ტრანსპორტის ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელია სოლიდური სახელმწიფო ხარჯები გზატკეცილებისა და რკინიგზების, ხიდების, აეროპორტებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობისა და შენახვისათვის.

სახელმწიფო ხარჯები და შესყიდვები აუცილებელია საზოგადოებრივ საქროებებზე, რამაც უნდა წაახალისოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში სახელმწიფოს როლის გაფართოებაზე მოწმობს მთელი XX საუკუნის განმავლობაში გამოვლენილი სახელმწიფო დანახარჯების ზრდის ტენდენცია (იხ. ცხრილი-1).

**ცხრილი-1**

**ნამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების მშპ-ში სახელმწიფო დანახარჯების დინამიკა 1880-2000 წლებში<sup>1</sup>**

წლები ქვეყანა	1880	1929	1960	1970	1980	1985	1990	1995	2000
ა შ შ	8,0	10,0	27,8	32,2	31,4	32,5	32,8	33,2	33,1
იაპონია	11,1	19,0	18,3	19,3	32,0	31,6	31,3	35,7	35,5
ინგლისი	10,0	24,0	32,6	39,3	43,0	44,0	39,9	43,2	39,7
გერმანია	10,0	31,1	32,0	37,6	47,9	47,0	45,1	49,5	47,4
საფრანგ.	15,0	19,0	34,6	38,9	46,1	52,1	49,8	53,9	55,2
შვედეთი	6,0	8,0	31,1	43,8	60,1	63,3	59,1	66,4	60,8

<sup>1</sup> Word Development report, 1991 Washington 1991, p. 139. OECD. Economic Outlook, 2002, June P. A. 31.

სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვან ზრდას მოწმობს არა მარტო მშპ-ში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების წილის ზრდა, არამედ მთავრობის მარეგულირებელი ღონისძიებების მზარდი მნიშვნელობა, რაც მიმართულია ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების დაძლევაზე. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ამოცანების გადასაჭრელად დამკვიდრდა პრაქტიკა, რომელიც უშვებს გარკვეულ პირობებში ბიუჯეტის დაუბალანსებლობას. საშუალებას აძლევს მთავრობას მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება, განსაკუთრებით ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითების პერიოდებში.

მზარდი სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს როგორც სერიოზულ ბარიერს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირების გზაზე, ისე საზოგადოებაში სოციალური სიმშვიდის შენარჩუნების საშუალებას. სავალუტო ან სხვა სახსრებით სათანადო მანიპულირებისას მთავრობას ძალუძს ინფლაციის შემცირება, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და ამა თუ იმ ხარისხით წონასწორობის აღდგენა ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

ასე მაგალითად, 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის ფ. რუზველტის ადმინისტრაციამ შეიმუშავა და განახორციელა ე.წ. სოციალური სამუშაოების ვრცელი პროგრამა (გზების მშენებლობა, დასახლებული პუნქტების გამწვანება, ქალაქების ქუჩების დასუფთავება და ა.შ.). შემოღებულ და რეალიზებულ იქნა ასევე მოსახლეობის დაუცველი ფენებისა და უმუშევრებისათვის სოციალური დახმარების ფართომასშტაბიანი პროგრამები. აღნიშნული პროგრამები, მიზნად ისახავდა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ზრდას და ამით წარმოების სტიმულირებას. შემოღებული იქნა გადასახადების მოქნილი სისტემა, რომელიც ეკონომიკაში კონკრეტული კონიუნქტურის მიხედვით ზოგჯერ იზრდებოდა და მოხმარებელთა ხარჯების შეკავების საშუალებას იძლეოდა. ზოგჯერ მცირდებოდა, რაც ასტიმულირებდა მოსახლეობის ხარჯების ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, მოთხოვნის სტაბილიზების საშუალებას იძლეოდა.

აღნიშნული პროცესები მოწმობენ, რომ მთავრობის როლი ეკონომიკაში მეორეხარისხოვანი როდია. უფრო მეტიც, ეკონომიკის

## **ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ფუნქციონირება და სიცოცხლისუნარიანობა წარმოუდგენელი გახდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე. 1971 წლისათვის, როდესაც აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ე.წ. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ შემოიღო, აშშ-ში სახელმწიფო ჩარევის პრინციპები საყოველთაოდ მიღებულ ნორმად იქცა.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სკოლის - **ნეოკლასიკური სინთეზის** მიხედვით ერთდროულად და შეთანხმებულად უნდა გამოიყენებოდეს, როგორც სახელმწიფო ისე საბაზრო რეგულატორები. შერეული ტიპის ახალი მოდელი, საშუალებას იძლევა შეერწყას სახელმწიფო მართვის რეგულირება, საბაზრო ეფექტურობის მოქნილობას, რაც ოპტიმალურად აწონასწორებს ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას. ამასთან, ეკონომიკური კრიზისის დროს იზრდება სახელმწიფოს როლი, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008-2011 წლებში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. აღნიშნული თეორიის პიონერია პოლ სამუელსონი (1970 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში). ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ცნობილი სახელმძღვანელო „ეკონომიქსი“ 1948 წელს გამოვიდა პირველად და 17 გამოცემას გაუძლო. დღეს ამ სახელმძღვანელოს მილიონობით ეგზემპლარია დაბეჭდილი მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე.<sup>1</sup>

---

1 Самуельсон П.А., Экономика. Вводный курс, пер. с англ. Т1, М.: 1993 ст. 4.

ლიბერალიზმი (ფრანგ. libéralisme) – იდეოლოგია, ფილოსოფიური შეხედულება და პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით თავისუფლება ძირითადი პოლიტიკური ღირებულებაა. იდეოლოგია დასავლეთის განმანათლებლობის ეპოქაში (ფრანგ. siècle des lumières, გერმ. Aufklärung) იღებს დასაბამს, თუმცა ტერმინი ამჟამად გაცილებით მრავალფეროვან პოლიტიკურ ნააზრევს მოიცავს.

ვრცელი გაგებით თანამედროვე ლიბერალიზმის ქვაკუთხედი ინდივიდუალური უფლებებია. თანამედროვე საზოგადოებაში ლიბერალები მხარს უჭერენ ლიბერალურ დემოკრატიას ღია და თანასწორი არჩევნებით, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს კანონით და თანასწორი შესაძლებლობები წარმატებისთვის.

მრავალი ლიბერალი მხარს უჭერს მთავრობის თავისუფალ ბაზარში უფრო აქტიურ ჩარევას, ხშირად ანტიდისკრიმინაციული კანონების, პროგრესირებადი დაბეგვრის, საყოველთაო განათლების და სხვა სახით. ამ მრწამსით ასევე მოიაზრება, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საერთო კეთილდღეობის გარკვეული დონე, მათ შორის უმუშევართა კომპენსაცია, მიუსაფართა დასახლება, სამედიცინო მომსახურება ავადმყოფთათვის. ამგვარ საზოგადოებრივად დაფინანსებულ ინიციატივებსა და ჩარევებს ბაზარში ეწინააღმდეგებიან კლასიკური ლიბერალიზმის თანამედროვე მიმდევრები, რომლებიც პრიორიტეტს თავისუფალ კერძო მენარმეობას, ინდივიდუალურ ქონებრივ უფლებებსა და კონტრაქტის თავისუფლებას ანიჭებენ; კლასიკური ლიბერალების მრწამსით ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნება თავისუფალ ბაზარზე, არ არის საკმარისი არგუმენტი კერძო ქონებრივი უფლებების ხელყოფის გასამართლებლად. მიუხედავად ამისა, კლასიკური ლიბერალიზმის თანამედროვე მიმდევრები მხარს უჭერენ კორპორაციების უფრო მაღალ დაბეგვრას, პროგრესირებადი სამემოსავლო გადასახადის მიმდინარე ტენდენციის ნაცვლად, რაც გადასახადის მთელს ტვირთს ინდივიდუალურ მუშა-მოსამსახურეს აკისრებს.

„ლიბერალიზმი“, როგორც ტერმინი გამოიყენება 1812 წლიდან, მას შემდეგ, რაც ესპანეთში შეიქმნა ლიბერალების პარტია და სამოქალაქო კონფლიქტში კონსერვატიული და ავტორიტარული შეხედულებების მოწინააღმდეგეები გაერთიანდა. მას ლათინური ძირი აქვს და თავისუფლებას ნიშნავს. ლიბერალებს სურდათ, ამ სახელით გამოეხატათ პოლიტიკური იდეალები, მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც პიროვნებებს გააჩნიათ სრული თავისუფლება ესწრაფვოდნენ თავიანთ საკუთარ ბედნიერებას მათთვისვე მისაღები გზებით, იმ პირობით, რომ ამან არ უნდა შეზღუდოს სხვების თავისუფლება.

შინაარსი, რომელიც ტერმინ „ლიბერალიზმში“ ჩაიდო კაცობრიობისთვის ახალი არ ყოფილა. შორს რომ არ წავიდე, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალშექმნილი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით უკვე იყო აღიარებული მსგავსი უფლება და იგი მნიშვნელოვანწილად, ევროპელი ლიბერალების შთაგონების წყაროსაც წარმოადგენდა.

თუმცა, „ბებერ კონტინენტს“ საკუთარი ტრადიციებიც უხვად ჰქონდა, რომ „ლიბერალიზმი“ ესაზრდოებინა. დამფუძნებელი მამების „ამერიკული ოცნებაც“ ხომ, სინამდვილეში ანგლო-საქსური წარმოშობის იყო. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლიბერალიზმში გაერთიანებულია ე.წ. ანგლო-საქსური — ევოლუციონისტური და კონტინენტური, ანუ რაციონალისტური ტრადიციები. პირველი, ადამიანების თანამშრომლობის სპონტანურ წესრიგს აღიარებს, რომელიც მრავალი პიროვნების ინდივიდუალური, დამოუკიდებელი „მცდელობებისა და შეცდომების“ შედეგად ყალიბდება. მეორე, გადამწყვეტ როლს გონების „ყოველგვარი ცრურწმენისა და დოგმისგან განთავისუფლებას“ ანიჭებს და საზოგადოების უკეთეს მომავალს ყოვლისმომცველ რეფორმაციას უკავშირებს. პირველისათვის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის მიღწევის საკვანძო საშუალება თითოეულის თავისუფლებაა, მეორესთვის — ყველას თანასწორუფლებიანობა.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე თეორიული და პოლიტიკური ლიბერალიზმი ცდილობს, რომ თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ერთმანეთს შეურწყას. თუმცა წინააღმდეგობები, როგორც იმის განსაზღვრაში, თუ რა არის თავისუფლება

და რა არის თანასწორუფლებიანობა, ისე მათი მიღწევის გზების შერჩევაში, იმდენად ხშირი და მნიშვნელოვანია, რომ ლიბერალიზმი აღარ შეიძლება ჩაითვალოს მონოლითურ მსოფლმხედველობად. მისი „მემარჯვენე“ განშტოებები, რომლებიც ადამიანის თავისუფლების განუყოფელ ნაწილად ეკონომიკური საქმიანობაში ხელისუფლების ჩაურევლობას მიიჩნევენ, კონსერვატიზმს უახლოვდებიან, ხოლო „მემარცხენე“ განშტოებები, რომლებიც თანასწორობის გარანტიად, პირიქით, სწორედ რომ ამა თუ იმ სახელისუფლო რგოლის ჩარევას მიიჩნევენ — სოციალიზმს. გარდა ამისა, ლიბერალიზმის წიაღიდან მომდინარეობს „ლიბერტარიანიზმი“, რომელიც მინიმალური უფლებამოსილების, სიმბოლურ მთავრობას დასაშვებად მიიჩნევს, „პანარქიზმი“, რომელიც ექსტერიტორიალურ ხელისუფლებას უშვებს და „ანარქოკაპიტალიზმი“, რომელიც საერთოდ უარყოფს მთავრობის არსებობის საჭიროებას. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ რიგ ქვეყნებში ლიბერალები კონსერვატიული ხასიათის პარტიებში ერთიანდებიან, როგორც ეს ხდება, მაგალითად, იაპონიასა და ავსტრიაში. ხოლო სხვებში, მაგალითად, შეერთებულ შტატებში, ისეთ პარტიებში, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულია თავის არსით. არც ისაა გასაკვირი, რომ ზოგიერთები, საკუთარი ლიბერალობის ხარისხის განსამართლავად ტერმინებს: „კლასიკურ ლიბერალს“, „პალეო-ლიბერალს“, „ნაციონალ-ლიბერალს“, „სოციალ-ლიბერალს“, „ორდო-ლიბერალს“, „ნეო-ლიბერალს“ და სხვა მრავალს იყენებენ. ამასთან, დაუნდობლად აკრიტიკებენ ერთმანეთის „ლიბერალობას“.

შესაძლოა, „ლიბერალიზმის“ ასეთი მრავალსახეობა და „შიდაოჯახური“ ქიშპი, ვინმესთვის გამაღიზიანებელი იყოს და საერთოდ, „ლიბერალიზმს“, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, ექვით შეხედოს. მაგრამ, უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ სწორედ ეს მრავალფეროვნება იქნეს მიჩნეული „ლიბერალიზმის“ ცხოველუნარიანობის მთავარ არგუმენტად.

„ლიბერალიზმი“, უპირველეს ყოვლისა, თვითდამკვიდრების თავისუფლებას გულისხმობს; აზრის, სიტყვის, პრესის, რწმენის თავისუფლებას აღიარებს და იმ შეხედულებების არსებობასაც ლეგიტიმურად ცნობს, რომლებიც არა უბრალოდ განსხვავებული, არამედ ლიბერალიზმის საწინააღმდეგონიც კი არიან.

# მოსახლეობის უაქტიურობის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში

## ნატალია რობიტაშვილი

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი

მოსახლეობის ცხოვრების დონის ტრანსფორმაციული პროცესების გამოკვლევა თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური ამოცანაა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და შესაბამისად მის დიფერენციაციაზე. საქართველოში შემოსავლების მიხედვით საზოგადოების პირველმა მკვეთრმა დიფერენციაციამ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში იჩინა თავი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდს ნეგატიური პროცესები დაერთო თან, როგორცაა სამოქალაქო ომი, ჰიპერინფლაცია, კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება, პოლიტიკური არასტაბილურობა. გარდამავალ პერიოდში საქართველოში მიმდინარე რეფორმები მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ცხოვრების დონის შემცირების ხარჯზე წარიმართა. ცხოვრების დონის გაუარესება კი მოსახლეობის შემოსავლების კლებით იყო განპირობებული. შემოსავლების კლება შრომისუნარიანი მოსახლეობის უმუშევრად დარჩენამ განაპირობა. საქართველოში ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ღრმავდება სოციალური კრიზისი, რომელიც პირველ რიგში გამოიხატება მოსახლეობის სოციალური და მატერიალური დიფერენციაციის გაღრმავებაში, რაც სოციალურ დაძაბულობას იწვევს.

სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ინდიკატორს მოსახლეობის შემოსავლების დონე წარმოადგენს. მოსახლეობის შემოსავლების შედარებით თანაბარზომიერ დიფერენციაციას, რომელიც განისაზღვრება საშუალო კლასის მრავალრიცხოვნობით, ახასიათებს ინტენსიური სოციალური მობილობა, სოციალური ძვრებისა და პროფესიონალური ზრდის ძლიერი სტიმული. და პირიქით, ლათინოამერიკული ქვეყნების ისტორიული გამოცდილების თანახმად, საზოგადოება შემოსავლების მკვე-

თრი დიფერენციაციით ხასიათდება სოციალური არამდგრადობით, პროფესიონალური ზრდის სტიმულის არქონით, კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებით.

სოციალური დაყოფის ძირითადი ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით: დემოგრაფიული (მეურნეობის ზომა, მისი წევრების სქესი და ასაკი, დასაქმებულებზე დემოგრაფიული დატვირთვა და ა.შ.); სოციალურ-ეკონომიკური (შემოსავლების წყაროები, საოჯახო მეურნეობების წევრების განათლება და დასაქმება, საკუთრება და სხვა); გეოგრაფიული (ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რეგიონული ეკონომიკის და პოლიტიკის თავისებურებანი შემოსავლების, დასაქმების, ღირებულების და სხვა სფეროებში). ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს მოსახლეობის დაყოფა შემოსავლების დონის მიხედვით.

მოსახლეობის შემოსავლებისა და ზოგადად, ცხოვრების დონის დიფერენციაციის გამომწვევ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:


1. განსხვავება ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, განათლებასა და კვალიფიკაციაში, პროფესიონალური ინიციატივებისა და რისკისადმი მიდრეკილებაში;
2. შრომისმოყვარეობა და მოტივაცია;
3. პროფესია;
4. წარმომავლობა, ოჯახის შემადგენლობა და წევრთა რაოდენობა, ბედი, ილბალი და დისკრიმინაცია;
5. საკუთრების ფლობა;
6. შრომის ბაზრის განუვითარებლობა;
7. ბატონობა ბაზარზე (მონოპოლიზმი);
8. კავშირები;
9. უბედური შემთხვევები.

სოციალური დაყოფის სტატისტიკას საფუძვლად უდევს საოჯახო მეურნეობების (მოსახლეობის) განაწილების სტატისტიკური რიგების წყობა შემოსავლების დონის მიხედვით. მოცემული სტატისტიკური რიგები წარმოადგენენ საოჯახო მეურნეობების ბიუჯეტების სტატისტიკის მონაცემებს, რანჟირებულს შემოსავლების დონიდან გამომდინარე (დიაგრამა 1).

**ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

**შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით (%)**

დიაგრამა 1



წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის მძლავრი დიფერენციაციის შესამცირებლად საჭიროა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების მეცნიერული გააზრება სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების საშუალებით.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაცია განისაზღვრება დეცილური კოეფიციენტის მეშვეობით.

მოსახლეობის მთლიანი მოხმარება საშუალოდ თვეში ფულადი ხარჯების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში (ერთ სულზე)

ცხრილი 1

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2008	59.2	67.3	75.5	85.1	92.2	104.3	118.7	133.9	167.4	283.3
2009	55.7	68.3	75.7	82.2	90.2	101.0	116.3	136.2	170.7	277.6
2010	50.0	65.3	72.4	84.0	94.4	107.2	124.6	145.2	184.3	298.3

წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

დეცილური კოეფიციენტი 2008 წლისათვის განისაზღვრება:

$$K_1 = \frac{d_9}{d_1} = 2.8$$

2009 წლისათვის -  $K_2 = 3.1$

2010 წლისათვის -  $K_3 = 3.7$

მიღებული მაჩვენებელი მოსახლეობის ფენებს შორის დიფერენციაციის მაღალ დონესა და დინამიკაში ზრდაზე მეტყველებს.

რაც უფრო რთული და არასტაბილურია ცხოვრება, თანამედროვე ეტეპზე, მით უფრო საინტერესოა სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ მოვლენათა განვითარების ტენდენციების შესწავლა, შესაძლო დონეების განსაზღვრა, ცვლილებების ტემპებისა და მასშტაბების დადგენა, რასაც მეცნიერების დარგი – პროგნოზირება ემსახურება. მომავლის განსაზღვრის ინტერესი უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან. საშუალოწლიური აბსოლიტური მატების გამოყენებით მოსახლეობის შემოსავლების მოცულობა პერსპექტიული პერიოდისათვის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_t = S_0 + (t - 1)\bar{\Delta}$$

სადაც,

**ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

$S_t$  – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლებია ერთ სულ მოსახლეზე პერსპექტიული პერიოდისათვის;

$S_0$  – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების საწყისი მნიშვნელობაა პერსპექტიული პერიოდის დასაწყისში;

$\bar{\Delta}$  – მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების საშუალონ-ლიური აბსოლიტური მატება წარსულ პერიოდში;

$t$  – პერსპექტიული პერიოდის ხანგრძლივობა წლებში.

$$\bar{\Delta} = \frac{\sum_{t=1}^{n-1} \Delta_t}{n-1} \quad \Delta_{t-1} = y_t - y_{t-1}$$

ცხრილი 2.

**შინამეურნეობების შემოსავლები**

	2005	2006	2007	2008	2009	2010
საშუალოთვიური შემოსავალი ერთ სულზე (ლარი)	92.3	102.6	115.2	147.2	154.5	178.6

წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

შესაბამისად,

$\Delta_1 = 10,3$  ლარი;  $\Delta_2 = 12.6$  ლარი;  $\Delta_3 = 32$  ლარი;  $\Delta_4 = 7.3$  ლარი;  $\Delta_5 = 24.1$  ლარი.

აქედან,  $\bar{\Delta} = 17.3$  მაშინ,  $S_t = 178.6 + 17.3t$

პერსპექტიული პერიოდისათვის,

2013 წლისათვის –  $S_t = 178.6 + 17.3 \cdot 2 = 213.2$  ლარი

2020 წლისათვის –  $S_t = 178.6 + 17.3 \cdot 9 = 334.3$  ლარი

მოსახლეობის შემოსავლების დროის ფაქტორზე დამოკიდებულება შეიძლება ერთფაქტორული წრფივი ფუნქციის სახით გამოვსახოთ:

$y = a_0 + a_1 t$  სადაც,  $a_0$  და  $a_1$  ურთიერთკავშირის პარამეტრებია.

ურთიერთკავშირის პარამეტრების განსაზღვრისათვის ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum yt \end{cases}$$

შეიძლება მივმართოთ ამ სისტემის ამოხსნის გამარტივების წესს, წლების ათვლა გადავიტანოთ დინამიკური მწკრივის ცენტრში, მაშინ

$$\sum y = 0 \quad a_0 = \frac{\sum y}{n} \quad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2}$$

ერთ კაცზე საშუალო თვიური შემოსავლების მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ავაგოთ ცხრილი:

ცხრილი 3.

	Y	T	Yt	$t^2$
2006	102.6	-2	-205.2	4
2007	115.2	-1	-115.2	1
2008	147.2	0	0	0
2009	154.5	1	154.5	1
2010	178.6	2	357.2	4
$\Sigma$	698.1	0	191.3	10

წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

აქედან,  $a_0 = 139.6$   $a_1 = 19.1$

ექსტრაპოლაციის მეთოდის მეშვეობით, რომელიც მომდევნო უცნობი დონის პოვნას ითვალისწინებს, შეგვიძლია განვსაზღვ-

**აქონობის თარიღის თანამართლება პრობლემა**

რომ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლის შესაძლო მნიშვნელობა ერთ სულზე.

$$y = a_0 + a_1t = 139.6 + 19.1 \times 3 = 196.9 \text{ ლარი}$$

ე.ი მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულზე 2013 წლისათვის  $-y = a_0 + a_1t = 139.6 + 19.1 \times 5 = 235.1$  ლარი

2020 წლისათვის კი  $-y = a_0 + a_1t = 139.6 + 19.1 \times 12 = 368.8$  ლარი

როგორც ვხედავთ, პროგნოზირების ორივე მეთოდი ამტკიცებს, რომ მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლის სიდიდე ერთ სულზე დინამიკაში იზრდება, თუ შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი ფაქტორები არ იმოქმედებენ მასზე.

პროგნოზების თანახმად, მოსახლეობის შემოსავლები იზრდება, თუმცა საინტერესოა, ლარის მსყიდველობითუნარიანობა პერსპექტიული პერიოდისათვის, რადგან სწორედ ინფლაცია განაპირობებს მიღებული შემოსავლების ხარჯვით სტრუქტურასა და დონეს. წლიური ინფლაციის 2010 წლისათვის 11.2%-ული ერთეულით განისაზღვრა. დინამიკაში იგი არათანაბრად ვითარდება (ცხრილი 4.).

**ცხრილი 4.**

**წლიური ინფლაციის დონე**

	2005	2006	2007	2008	2009	2010
წლიური ინფლაციის დონე	6.2	8.8	11.0	5.5	3.0	11.2
	$y_1$	$y_2$	$y_3$	$y_4$	$y_5$	$y_6$

წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

დინამიკური მწკრივის დანიშნულებაა სწორი წარმოდგენა მოგვცეს მოვლენის განვითარების ტენდენციაზე. როდესაც იგი არათანაბრად ვითარდება, საჭიროა ზრდიდან კლებაში და კლები-

დან ზრდაში გადასვლის ლიკვიდაცია და განვითარების საერთო სურათის გამოსავლენად მწკრივის მოსწორება. ყველაზე მარტივი ხერხია მოსწორება სრიალა საშუალოს მეშვეობით:

$$\begin{aligned} \widehat{y}_1 &= \frac{y_1 + y_2 + y_3}{3} = 8.6 \\ \widehat{y}_2 &= \frac{y_2 + y_3 + y_4}{3} = 8.4 \\ \widehat{y}_3 &= \frac{y_3 + y_4 + y_5}{3} = 6.5 \\ \widehat{y}_4 &= \frac{y_4 + y_5 + y_6}{3} = 6.6 \end{aligned}$$

მაშასადამე, ზოგადად ინფლაციის დონე კლებულოს 2010 წლამდე, სამაგიეროდ, 2010 წელს მაღალი მაჩვენებლით 11.2%-ით ხასიათდება და 2011 წლის მაისისათვის საშუალო ინფლაციის დონე 13.6% განისაზღვრა (წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.4% შეადგინა).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის შემოსავლები პერსპექტიულ პერიოდში კი გაიზრდება, მაგრამ ინფლაციური პროცესების გავლენის შედეგად ცხოვრების დონე არ გაუმჯობესდება.

თუ როგორ შეიცვლება მომდევნო წლებში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაცია, შეიძლება განვსაზღვროთ პროგნოზირების მეთოდის მეშვეობით.

**ცხრილი 5.**

**მოსახლეობის შემოსავლების განაწილება განვიხილოთ დეცილური ჯგუფების მიხედვით**

წლები \ დეცილი	2006	2007	2008	2009	2010
1	2.5	2.3	2.5	2.4	2.1
9	16.3	16.6	16.5	16.7	16.9

წყარო: მასალები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

**პირველი რიგის დეცილური ჯგუფებისათვის:**

	Y	T	Yt	t <sup>2</sup>
2006	2.5	-2	-5	4
2007	2.3	-1	-2.3	1
2008	2.5	0	0	0
2009	2.4	1	2.4	1
2010	2.1	2	4.2	4

პირველადი მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

$$y = a_0 + a_1 t$$

სადაც,  $a_0$  და  $a_1$  ურთიერთკავშირის პარამეტრები

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = 2.4 \quad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2} = -0.07$$

2013 წლისათვის პირველი რიგის დეცილური ჯგუფის შემოსავლები განისაზღვრება:

$$y = 2.4 - 0.07 \times 5 = 2.05$$

$$2020 \text{ წლისათვის: } y = 2.4 - 0.07 \times 12 = 1.6$$

პროგნოზების მიხედვით, პირველი დეცილური ჯგუფის შემოსავლები დინამიკაში მცირდება.

**მეცხრე რიგის დეცილური ჯგუფებისათვის:**

	Y	T	Yt	t <sup>2</sup>
2006	16.3	-2	-32.6	4
2007	16.6	-1	-16.6	1
2008	16.5	0	0	0
2009	16.7	1	16.7	1
2010	16.9	2	33.8	4

პირველადი მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საიდანაც,

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = 16.6 \quad a_1 = \frac{\sum yt}{\sum t^2} = 0.13$$

2013 წლისათვის მეცხრე რიგის დეცილური ჯგუფის შემოსავლები განისაზღვრება:

$$y = 16.6 + 0.13 \times 5 = 17.25$$

$$2020 \text{ წლისათვის: } y = 16.6 + 0.13 \times 12 = 18.16$$

მეცხრე დეცილური ჯგუფის შემოსავლები დინამიკაში იზრდება.

მოსალოდნელი დიფერენციაცია მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დეცილურ ჯგუფებში შეგვიძლია გავიანგარიშოთ დეცილური კოეფიციენტის მეშვეობით:

2013 წლისათვის:

$$K_1 = \frac{d_2}{d_1} = 8.4$$

2020 წლისათვის:

$$K_1 = \frac{d_2}{d_1} = 11.4$$

მოსახლეობის შემოსავლები კი მატულობს, მაგრამ იზრდება დიფერენციაციის დონე, განსხვავება დაბალშემოსავლიან და მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებს შორის.

მიღებული შედეგების მიხედვით დასკვნა ერთგვაროვანია. სოციალური მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი წინსვლა არაა ნაგარაუდები: იზრდება უმუშევრობის დონე, მატულობს ინფლაციის ტემპები, მნიშვნელოვნად არ იზრდება ხელფასები და პენსიები, სამაგიეროდ იზრდება ფასები საკვებსა და პირველადი მოხმარების საგნებზე. ღარიბი მოსახლეობა უფრო დუხჭირულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მათი შემოსავლები 7–8-ჯერ განსხვავდება „მდიდარი“ მოსახლეობის შემოსავლებისაგან.

„ქართველი და ევროპელი ექსპერტების განცხადებით, მთავრობის ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორ-

## **აქონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ციელება მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას უფრო მკვეთრს ხდის.” ([www.presage.tv/?m=bp&AID=3036](http://www.presage.tv/?m=bp&AID=3036)) მოსახლეობის მცირე ნაწილი მდიდრდება, დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. თუმცა, მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაცია დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. იგი ეკონომიკური სტიმულატორის როლს თამაშობს, რადგან ადამიანი ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით ცდილობს დამატებით გამოიყენოს საკუთარი უნარი, ცოდნა და შესაძლებლობები შემოსავლების ზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით.

მოსახლეობის შემოსავლების, ცხოვრების დონისა და მისი დიფერენციაციის პროგნოზირებისათვის საჭიროა იმ მნიშვნელოვან ფაქტორთა გათვალისწინება, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ასეთ ფაქტორთა რიცხვს კი მიეკუთვნება შობადობის მაჩვენებლები, ინფლაციის დონე, უმუშევრობის დონე, სოციალური დახმარებების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, ეროვნული შემოსავლის მოცულობა, საბიუჯეტო ხარჯებში სოციალურ სფეროზე განეული დანახარჯების წილი და სხვა მრავალი ფაქტორები, რომლებიც თავს იჩენენ საზოგადოების კონკრეტულ ისტორიულ განვითარების პირობებში. პროგნოზირების სტატისტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ მოსახლეობის შემოსავლები დინამიკაში გაიზრდება, თუ მასზე შემთხვევითი, უარყოფითი ფაქტორები არ მოახდენენ გავლენას. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს ინფლაცია წარმოადგენს. ინფლაციის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამიტომ შემოსავლების ზრდა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე მნიშვნელოვნად არ აისახება. მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად და დიფერენციაციის შესამცირებლად სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები და პროექტები დაეხმარება.

## გაპოყენაპული ლიტერატურა

1. გაბიდაშვილი...2011: გაბიდაშვილი ბიკენტი, „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჟმენტში“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.

2. გაბიდაშვილი 2008: გაბიდაშვილი ბიკენტი, „პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში“, ბიზნესსა და მენეჟმენტში, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

3. გელაშვილი 1993: გელაშვილი ს., „სტატისტიკური მოდელირება და პროგნოზირება“, ლექციების მოკლე კურსი, ნაწ. I, თბილისი.

4. მესხია...2004: მესხია ი., გაბელაშვილი კ., „მოსახლეობის ცხოვრების დონე“ (ანალიზი და პროგნოზები), თბილისი.

5. რობიტაშვილი 2009: რობიტაშვილი ნ., „მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის გაანგარიშების სტატისტიკური მეთოდის შესახებ“, ეკონომიკა, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი, №5-6, თბილისი. [ნწნ.გეოსტატ.გე](#)



## **წინასწარი, განჯები, გირჩები**



### **პირადი დაჯგუფების სისტემის პრობლემები: დაქანასიათიკელი ნაკლი თუ აღმინისტრირების პრობლემები?**

**ნანა ბენიძე**

ეკონომიკის დოქტორი  
ანსუ ასოცირებული პროფესორი

**ჯამბულ ბინაძე**

ეკონომიკის დოქტორი  
ანსუ ასოცირებული პროფესორი

„თითოეულ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის უფლება, რომელიც მისი ცხოვრების ღირსეულ პირობებს უზრუნველყოფს“ - ნათქვამია სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში, სადაც ასევე განმარტებულია, რომ ეფექტური ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი სტანდარტის რეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობას უნდა უზრუნველყოფდეს.

ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტულობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ჯანდაცვაზე ქვეყნის მთლიანი დანახარჯია. მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლებს შორის.

საქართველოში უამრავი სამეცნიერო ნაშრომი და კვლევაა წარმოებული, რომელიც არგუმენტირებულად ადასტურებს სადაზღვეო საქმიანობის, კონკრეტულად, კი სიცოცხლის დაზღვევის ინსტიტუტის გაუმართავ ფუნქციონირებას საქართველოში.

დღესდღეობით გავრცელებული სადაზღვეო კოპანიების მომსახურების სერვისები მერყეობს 5 ლარიდან 50 ლარამდე და ით-

ვალისწინებს სხვადასხვა მომსახურებას. ამ მომსახურებებიდან ყველაზე მოთხოვნადია ამბულატორიული გამკვლევები, რაც აღნიშნული სადაზღვევო კომპანიების მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება.

ამბოლატორიული გამოკვლევა და პირადი ექიმის კინსულტაცია შედის ყველაზე დაბალ მომსახურებაში. კვლევებით დასტურდება ასევე ის ფაქტიც, რომ დაზღვეული მოსახლეობის უმეტესობა სარგებლობს ყველაზე დაბალ ტარიფიან სერვისით, სწორედ ეს განაპირობებს ამბოლატორიული გამოკვლევების მოთხოვნას, რადგან მოსახლეობას მხოლოდ ამ საშუალებით სარგებლობა შეუძლიათ ისიც განსაზღვრული ლიმიტით და რიგის მიხედვით, განსაზღვრულია სამედიცინო დაწესებულება.

საინტერესოა ფინანსური კუთხეც, იხარჯება თუ არა მიზნობრივად საბიუჯეტო სახსრები, რომელიც გამოყოფილია მოქალაქეთა დასახმარებლად. კონტროლის პალატამ 2011 წელს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს დაფინანსებით 2008—2010 წლებში განხორციელებული დაზღვევის პროგრამის აუდიტი ჩატარა. კონტროლის პალატის ხელმძღვანელის, ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, აუდიტის წინასწარი მონაცემები „საგანგაშო“ იყო. წინასწარი დასკვნის თანახმად, სადაზღვევო კომპანიებს 2008—2010 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 284 მილიონი ლარი გამოეყო დაახლოებით 808 000 ადამიანის ჯანმრთელობის დაზღვევისთვის; კონტროლის პალატის მონაცემებით, მოსახლეობის მომსახურებაზე აღნიშნული თანხის მხოლოდ 40% -მდე დაიხარჯა და დაზღვეულთა მხოლოდ მეხუთედს მოხმარდა.

“მკაცრი სახელმწიფო რეგულირების არარსებობის და სადაზღვევო კომპანიების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, ბოლო სამი წლის მანძილზე ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამიდან სადაზღვევო კომპანიების მოგების მარჟამ 60%—ს გადააჭარბა. სადაზღვევო პროგრამის ნაკლოვანი მხარეებია სამედიცინო მომსახურების ხელოვნურად შეზღუდული ხელმისაწვდომობა და პროგრამით მოსარგებლეთა არასაკმარისი ინფორმირება,” ნათქვამია საქართველოს კონტროლის პალატის განცხადებაში.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა 2008-2010 წლებში საქართველოში, ფაქტი ერთია, რომ სადაზღვევო კომპანიები გაუმართავად ფუნქციონირებენ, რაც გამოხატულია მოსახლეობის უკმაყოფილების მაღალი დონით. უკმაყოფილებას დაზღვეული მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოთქვამდა, ესაა აღნიშნული მომსახურებით მოსარგებლე ადამიანების დაახლოებით 80 პროცენტი, ისინი უჩივიან სადაზღვევო კომპანიებს შემოთავაზებული მომსახურების გამო. ეს უკმაყოფილება მოდის იმ სერვისებით სარგებლობიდან, რომლებითაც ყველაზე მეტად სარგებლობს მოსახლეობა და წარმოადგენს ყველაზე გამოყენებად სერვისებს. სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაში ძირითადი პრობლემები შემდეგი სახისაა:

- გამოკვლევებისათვის სამედიცინო დანესებულებების თავისუფალი არჩევა;
- ამბოლატორიული მომსახურების დაბალი ხარისხი;
- რიგები სამედიცინო დაზღვევით გათვალისწინებულ სამედიცინო პუქტებში;
- ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის, გამოყენების უცოდინრობა (ინფორმირების დაბალი დონე);
- უკმაყოფილება არაპროფესიონალურად განეული მომსახურებით;
- ასაკობრივი ნიშნით მოსახლეობის დაყოფა და ასაკობრივი ლიმიტის დანესებით გამონვეული უარყოფითი დამოკიდებულება. ასეთი გარემოებით კომპანიები ცდილობენ მოგების მიზნით რისკი შეამცირონ.

იმ მრავალრიცხოვან პრობლემებს იკვეთება უცნაური კიდევ ერთი გარემოება. ესაა სახელმწიფოს მიდგომა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ქვეყნის უმაღლესი ჯილდო ერგოთ. ისე მოხდა, რომ სახელმწიფომ რუსთაველის პრემიის ლაურეატები დააზღვია, სახელმწიფო პრემიის მფლობელები კი დაზღვევის მიღმა დატოვა, არადა, სამეცნიერო ელიტის ღირსეულ წარმომადგენლებს მხოლოდ სახელმწიფო პრემიებს ანიჭებენ, მხატვრებს, მოქანდაკეებს, მწერლებს, მუსიკოსებს და მსახიობებს კი - რუსთაველისა და სა-

ხელმწიფო პრემიებს. აქ აშკარად კუროიზული სიტუაცია იქმნება, მაგალითად: ზაქარია ფალიაშვილი ცოცხალი, რომ ყოფილიყო და რუსთაველის პრემიის ლაურეატი გამხდარიყო, მისი დაზღვევის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებდა, ივანე ჯავახიშვილის კი, თუ მას სახელმწიფო პრემიას მიანიჭებდნენ, დაზღვევაზე ეტყოდნენ უარს.

გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, თუ წინა წლებში სოციალურად დაუცველ ფენებს შეეძლოთ თავად გაეკეთებინათ არჩევანი ამა თუ იმ სადაზღვევო კომპანიას შორის, რაც, რასაკვირველია, ინფორმაციული ვაკუუმის გამო არც ისე ადვილი იყო და რითაც, სხვათაშორის, კომპანიები გარკვეული სახის ხეირსაც ღებულობდნენ, უკვე 2010 წლის 18 აპრილს ჩატარებული ტენდერის საფუძველზე ბენეფიციარს მხოლოდ იმ კომპანიასთან უწევს საქმის დაჭერა, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. რაც შეეხება ტენდერს, სადაზღვევო კომპანიები გეოგრაფიული არეალის მიხედვით გადანაწილდნენ.

ერთი პრობლემის არსი იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩვენ მონესრიგებულ სახელმწიფოში რომ ვცხოვრობდეთ, აუცილებლად გვეცოდინებოდა, ვინ არიან სადაზღვევო კომპანიის მფლობელები, ვის ეკუთვნის საკონტროლო პაკეტი, შეიცვალენ თუ არა მეპატრონეები, როგორ გადანაწილდა მათ შორის წილები და, ასე შემდეგ. რასაკვირველია ასეთი რეალური ინფორმაციის მოპოვება არის თითქმის შეუძლებელი და საბაზრო ურთიერთობები ძირითადად დამყარებულია ქორების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ასევე საინტერესო ტენდენცია შეინიშნება პირადი დაზღვევისას მედიკამენტებთან დამოკიდებულებაში, თუ რომელ მედიკამენტებს სთავაზობენ უფრო ხშირად პაციენტებს, ესაა სამამულო წარმოების, რომელიც იაფი ღირს თუ უცხოური, რომლის ღირებულება საგრძნობლად მაღალია? ამ საკითხის კვლევით აუცილებელია თავად სახელმწიფო იყოს დაინტერესებული, სახელმწიფო, რომელიც მართლა ცდილობს სადაზღვევო სფეროს განვითარებას. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ როდესაც სამედიცინო დაზღვევაზე ვლაპარაკობთ, ყველა გზას პირდაპირ ფარმაცევტულ კომპანიებამდე მივყავართ, რადგან რეცეპტების უმრავლესობას ექიმები „ავ-

ერსისა“ და „პე-ეს-პეს“ ლოგოებით დამშვენებულ ბლანკებზე გვიწერენ.

2013 წლის საყოველთაო დაზღვევის პროგრამით მოსახლეობის უნივერსალური საბაზისო პაკეტით უზრუნველყოფა დაიგეგმა, რომელიც მოიცავს 6—დან 60 წლამდე ბენეფიციელებს რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ დაზღვევა. ეს პაკეტი სამ ეტაპად ხორსიელდება. პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა რომელიც მოიცავს პირველად გადაუდებელ სტაციონალურ მომსახურებას, მეორე ეტაპი დაიწყო პირველი ივნისიდან და დაემატა გეგმიური სტაციონალური მომსახურება. ხოლო მესამე ეტაპი მოიცავს საყოველთაო დაზღვევას. ექსპერტების აზრით, თუ ეს პროგრამა სრულად განხორციელდა ქვეყანაში დღემდე მოქმედი ყველა სადაზღვევო პროგრამა დაიწყებს შეჩერებას. შეჩერდება უმწეოთა, პედაგოგების, პენსიონერების, ბავშვთა დაზღვევის პროგრამები და ყველა მოქალაქეს უნივერსალური საბაზისო პაკეტი გადაეცემა. შეჩერდება კორპორატიული დაზღვევით მოსარგებლე პირთა დაზღვევები. საქართველოში მილიონნახევარი ადამიანი კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს. ყველა ეს ადამიანი მომავალი წლიდან საბაზისო პაკეტს მიიღებს, რომელიც, პაკეტში განერილ მომსახურებაზე ყველა ადამიანს თანაბარ ხელმისაწვდომობას დაუდგენს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი ლაშა ნიკოლაძე იმ ადამიანებს ვისაც საშუალება აქვთ კერძო სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით ისარგებლოს, მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ხარჯზე დარჩენას არ ურჩევს.

ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს დახმარება მიმართული უნდა იყოს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, რომელთაც ამ დახმარების გარეშე სიღარიბე ემუქრებათ. შესაბამისად, დახმარება უნდა გავრცელდეს ყველაზე, რადგან უნივერსალურ დაზღვევას დიდი ფინანსური რესური სჭირდება, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს ყოველწლიურად მძიმედ დააწვება.

როგორც ვხედავთ პირადი დაზღვევის კუთხით საკმაოდ მძიმე სურათი გვაქვს სახეზე საქართველოში. უამრავი წვრილმანი სფე-

როა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას საჭიროებს. მომავალი ჩასატარებელი სამუშაოები მართლაც შრომატევად და დროში განელილ სამუშაო პროცესებს მოიცავს, სახელმწიფომ მართვის სისტემის დარეგულირებული მეთოდებით უნდა მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები და უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის პირადი დაზღვევის პერსპექტიული მოდელით უზრუნველყოფა.

ეს პროცესები რასაკვირველია არ არის ცალსახა, მასში აუცილებლად მოსახლეობის მაღალი ჩართულობა იგულისხმება, ბიზნეს პარტნიორებთან ერთობლივი მუშაობით უნდა შემუშავდეს ის ძირითადი მიდგომები, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის ქვეყანას სოციალურ ტვირთს შეუმსუბუქებს და იქნება მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტი.

## საქართველოს საბანკო სექტორში საკრედიტო რისკის მართვა

ნინო გრიგალაშვილი  
ბიზნესის ადმინისტრირების  
დოქტორი

საბანკო პრაქტიკაში რისკები ესაა ბანკის დანაკარგების საშიშროება (შესაძლებლობა) განსაზღვრული მოვლენების დადგომისას.

ფინანსური რისკი მოიცავს რისკის ფართო სფეროს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასთან. რისკები შეიძლება იყოს როგორც საბანკო (შიდა), რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან, ისე გარეშე, ანუ საერთო რისკები.

ფართო გაგებით საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური დანაკარგების შესაძლებელი კონტრაგენტების, პირველ რიგში, მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კონტრაგენტების, როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე ვალდებულებების მიხედვით. საკრედიტო რისკი შეიძლება აღინიშნოს პარტნიორების, მსესხებლების ან ემიტენტების არა მარტო ფორმალურ, არამედ არაფორმალურ ვალდებულებებშიც. მან შეიძლება გამოიწვიოს როგორც რეალური, ისე მინიმალური დანაკარგები.

საკრედიტო რისკს ცენტრალური ადგილი უკავია საბანკო რისკების ერთობლიობაში, ხოლო მის შემადგენელ ელემენტებს სხვა საბანკო რისკების სტრუქტურულ ელემენტებთან თავსებადობის ხასიათი გააჩნია, ეს კი თავის მხრივ მათ მჭიდრო კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას განსაზღვრავს.

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ამასთან ერთადერთი და მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასება, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

ამდენად, კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის გამოყენება (ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის თანხლებით) ბანკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, კონკურენტუნარიან საბანკო ინსტიტუტად ფუნქციონირების, საბანკო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა და გავლენის გაძლიერების აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადი იქნება ბანკის განვითარების პერსპექტივა,

წარმატებული დაკრედიტებისათვის ბანკმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს გასაგები, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოქნილი საკრედიტო რისკის მართვის სისტემა.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემის ძირითადი ელემენტებია: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა; საკრედიტო შეთავაზების შეფასება და მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი; კრედიტების რანჟირება საკრედიტო რისკის დონის (რეიტინგის დადგენა) და დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მიხედვით; საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა კრედიტების მიხედვით შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით; საკრედიტო გადანყვეტილების მიღებისას უფლებამოსილების განაწილება – კრედიტების ავტორიზაცია; საკრედიტო მონიტორინგი; საკრედიტო პორტფელის მართვა და პრობლემური კრედიტების აღდგენა

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნის ძირითად ფაქტორად ითვლება დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარება სტანდარტული ინსტრუქციის დანერგვის გზით ინიცირებისათვის, ანალიზისათვის, გადანყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის. საკრედიტო პორტფელის მართვა – უმაღლესი ხელმძღვანელობის ფუნქციაა, რომელიც მოითხოვს არსებული რისკის ყველა სახის გამოვლენას და იმ მაქსიმალურად დასაშვები დონის განსაზღვრას, რომელიც ბანკს შეუძლია მიიღოს. დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარების ფარგლების, ერთნაირი საკრედიტო ინსტრუქციების და რისკის მართვისადმი მიდგომების დანერგვა, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურად დამტკიცებული

საკრედიტო პოლიტიკის ელემენტებს.

დაკრედიტების ერთიანი კულტურა ბანკში ეყრდნობა შემდეგს:

– ერთიანი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას, დაკრედიტების სტანდარტების დანერგვას და რეალიზებას მათ ინსტრუქციებში;

– სტანდარტებისა და ინსტრუქციების ბანკის თანამშრომლებისთვის სწავლებას;

– საქმიანობის შედეგების შეფასებას და ბანკის საკრედიტო პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამის და საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე შრომის ანაზღაურების სიდიდის განსაზღვრას;

– ბანკისათვის „მისაღები“ კრედიტების პარამეტრების შემუშავებას;

– ყველა კრედიტისათვის აუცილებელი ანალიტიკური პროცედურის მითითებებს;

– უფლებამოსილების, შეთანხმების და დამტკიცების განაწილების პროცედურის დადგენას;

– ყველა საკრედიტო ხელშეკრულების ავტორიზაციას;

– საკრედიტო მონიტორინგისადმი ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრას.

საკრედიტო პორტფელის მართვისადმი მოცემული მიდგომის რეალიზაციის საერთო წინამძღვრებად ითვლება:

– დაკრედიტების შიდასაბანკო ლიმიტის დადგენა კონკრეტული მსესხებლებისა და მსესხებელთა ჯგუფებისათვის;

– საკრედიტო რისკების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რეიტინგთან და გამოიხატება ცალკეული მსესხებლის რისკის დონეში;

– დაკრედიტების დივერსიფიკაცია ცალკეული დარგების მიხედვით;

– რისკის დაბალი დონის მქონე პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა;

– საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება მაღალი რისკის მქონე დარგებთან დამოკიდებულებაში;

– კრედიტებზე ფასნარმოქმნის პოლიტიკის შემუშავება.

საკრედიტო რისკის მართვის პროცესი სამ შემადგენლად იყო-

ფა: საკრედიტო პორტფელის მართვა, „ბანკი-კლიენტის“ ტიპის ურთიერთდამოკიდებულების მართვა და მმართველობითი კონტროლი.

ამრიგად, საბანკო საკრედიტო რისკის მართვის მიზნები მოიცავს შემდეგს: რისკის გაფრთხილებას, განსაზღვრულ დონეზე მხარდაჭერას და რისკის მინიმიზაციას.

თანამედროვე პირობებში უფრო მეტად გავრცელებულია რისკების მართვის შემდეგი ოთხი მეთოდი: თავიდან აცილება ანუ უარის თქმა, შემცირება ანუ მინიმიზაცია, დაზღვევა და შენარჩუნება.

შემცირების მეთოდით ახდენენ კრედიტების დივერსიფიკაციას, რეზერვების შექმნას და კრედიტების სტრუქტურირებას.

## საბანკო კონკურენციის სრულყოფის გზები საქართველოში

### ხათუნა შალამბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბანკების საქმიანობა ხორციელდება კონკრეტულ გარემოში, რომელიც განსაზღვრავს ბანკებსა და მის კლიენტებს, ბანკებსა და ეკონომიკურ ურთიერთობათა და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათსა და პირობებს. კომერციული ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საფინანსო ბაზრებზე, როგორც მათი განუყოფელი მონაწილეები.

ბოლო 6 წლის მანძილზე საბანკო სექტორი ძალიან დინამიურად ვითარდებოდა: დღეს ქვეყანაში 20 ბანკი მოქმედებს და თავის მომსახურებას სთვაზობს მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 10 წლის წინ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება ცოტას თუ ჰქონდა, დღესდღეისობით ბანკი სულ უფრო და უფრო ხდება ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი.

საბანკო სექტორის სწრაფი განვითარებისა და ბანკებს შორის მზარდი კონკურენციის პირობებში საბანკო მომსახურების მრავალფეროვნებაც სწრაფი ტემპით იზრდება. კლიენტები საკუთარი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად აქტიურად სარგებლობენ ამა თუ იმ მომსახურებით, განსაკუთრებით სესხებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ასეთ სწრაფ ზრდას უარყოფითი მხარეც აქვს. კლიენტებისთვის საკმაოდ რთული ხდება ურიცხვ პროდუქტსა და მომსახურებას შორის გზის გაკვლევა, საჭირო მომსახურების სწორად შერჩევა. საბანკო მომსახურების სწრაფი განვითარება მოსახლეობის ფინანსური განათლების პარალელურად არ მომხდარა, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ამა თუ იმ მომსახურების რეკლამირებას, ვიდრე მომხმარებლისათვის შეთავაზებული მომსახურების შესახებ ამომწურავი და დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. მომხმარებელსა და ბანკის თანამშრომელს შორის

ურთიერთობისას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა საბანკო მომსახურების გამჭვირვალედ და მარტივად ახსნას. ძლიერი და სტაბილური საბანკო სექტორის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ფართო საზოგადოებას ჰქონდეს ზოგადი ცოდნა საბანკო საქმიანობისა და მომსახურების შესახებ. ეს საშუალებას მისცემს მომხმარებელს სწორად შეარჩიოს ბანკი და მიიღოს გონივრული გადაწყვეტილება საბანკო მომსახურების შესახებ.

ეკონომიკური საქმიანობისა და ზოგადად ქვეყნის განვითარების ტემპი დიდად არის დამოკიდებული სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე - საფინანსო ინსტიტუტების, ფირმების, ფიზიკური პირებისა და ქვეყნის მთავრობის ყოველდღიურ ფინანსურ გადაწყვეტილებებზე. უფრო მეტიც, რაც უფრო გამჭვირვალეა გადაწყვეტილებების მისაღებად შექმნილი გარემო, მით უფრო სტაბილურია ფინანსური სისტემა და მეტად არის გარანტირებული ეკონომიკური განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებები და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. ერთი მხრივ, საფინანსო ინსტიტუტებმა უნდა იზრუნონ კლიენტებისათვის უტყუარი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე, მათთვის პროფესიული რჩევის მიცემასა და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეფექტური მექანიზმების შეთავაზებაზე. მეორე მხრივ, კლიენტებმა წინასწარ უნდა გაანალიზონ თავიანთი ქმედებების ფინანსური შედეგები და შესაძლო ხარჯები უფრო გონივრულად დაგეგმონ.

გასულ წლებში საქართველოს ფინანსური სექტორი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, თუმცა ფინანსურ საკითხებში საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ამ პროცესებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ფინანსური პროდუქტები თანდათან რთულდებოდა და მომხმარებლებს ურიცხვი შემოთავაზებიდან მათთვის ყველაზე შესაფერისი პროდუქტის არჩევა სულ უფრო უჭირდათ. ეს კი იმის პოტენციურ სახეს ქმნიდა, რომ ფინანსური მომსახურების მომწოდებლები კლიენტების ასეთ არაინფორმირებულობას ბოროტად გამოიყენებდნენ. საქართველოს ბანკი თვლის, რომ ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი ფინანსური ბაზრებისათვის კლიენტების

მხრიდან უფრო კომპეტენტური გადანყვეტილებებია აუცილებელი და მიესალმება ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მოსახლეობის ფინანსური განათლების გაღრმავებისკენაა მიმართული.

ბანკის პროდუქტს წარმოადგენს ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, რომელიც იცვლება სხვა შრომის პროდუქტზე. ბანკის პროდუქტს მრავალი სხვა სახის მომსახურებაც წარმოადგენს. მათ მიეკუთვნებიან როგორც მომსახურების ტრადიციული (ანგარიშსწორების ორგანიზაცია როგორც ფულადი, ისე უნაღდო ფორმით, ანაბრები, დაკრედიტება), ისე არატრადიციული სახეები (გარანტიების გაცემა, კონსულტაციები, დავალებები).

საბანკო პროდუქტს, მომსახურების თითქმის ყველა სახეობას განსაკუთრებული ხასიათი და კანონზომიერებანი გააჩნიათ. სხვა საწარმოების პროდუქციისაგან განსხვავებით ბანკის პროდუქტი შენახვას არ ექვემდებარება. საბანკო მომსახურების უმთავრეს თავისებურებას მაინც ის წარმოადგენს, რომ ისინი ატარებენ არა იმდენად ფულად სახეს, რამდენადაც გააჩნიათ თვითდაბრუნებადი ღირებულების თვისება. მეანაბრებისაგან მიღებული რესურსები საკრედიტო ორგანიზაციამ ისე უნდა გამოიყენოს, რომ უზრუნველყოს მოგება როგორც მეანაბრისათვის, ისე საკუთრივ ბანკისათვის. ბანკი ვალდებულია გამოიყენოს აკუმულირებული რესურსები, მიმართოს ეს სახსრები მსახურებლებზე კრედიტის სახით იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დოვლათის გადიდება ე.ი. ღირებულების თვითდაბრუნება.

როგორც ვხედავთ საბანკო დაწესებულება როგორც საწარმო ვალდებულია მრავალი სახის მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ძირითად სახეებს შორის უნდა დავასახელოთ სავალუტო ოპერაციები, ვექსელების დამონება, კრედიტების გაცემა, საშემნახველო დეპოზიტები, ფასეულობათა შენახვა, მთავრობის დაკრედიტება, დეპოზიტები მოთხოვნამდე, სამომხმარებლო კრედიტი, საკონსულტაციო მომსახურება, ნაღდი ფულის ნაკადების მართვის მომსახურება, საბროკერო მომსახურება ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე, საინვესტიციო საბანკო მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება, ფინანსური მომსახურება (სატრასტო, ლიზინგი, ფაქტორინგი).

ბანკების მიერ მათთვის განკუთვნილი ფუნქციების შესრულება, საბანკო მომსახურების ეფექტიანად განხორციელება, მოგების უზრუნველყოფა აუცილებლად მოითხოვს ბანკების საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრას, საბანკო ბაზარზე საქმიანობის ანალიზს, შეფასებას, პროგნოზირებას.

ქვეყანაში ბანკების გარკვეული რაოდენობა და ყველა მათგანი თავის პროდუქტსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს, არჩევანი ფართოა, მაგრამ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც დაგვეხმარება სასურველი ბანკის არჩევაში:

**1. სტაბილურობა** . ბანკის სტაბილურობას განსაზღვრავს მისი ფინანსური მდგომარეობა, კაპიტალი, ლიკვიდურობა და მომგებიანობა, ასევე ის, თუ რამდენად უწყვეტად აწვდის ბანკი თავის კლიენტებს მომსახურებას. თუ ბანკმა თავისი რომელიმე ოპერაცია დროებით შეწყვიტა, ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ მას შეიძლება ფინანსური პრობლემები ჰქონდეს. თუ ბანკი მუდმივად განიცდის ზარალს, ამან შეიძლება საბოლოოდ მისი ოპერაციების შეჩერება გამოიწვიოს. აქციონერთა სტრუქტურა და მათი პრიორიტეტებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის საქმიანობის სტაბილურობის განსაზღვრაში. ყველა აქციონერი გარკვეულ მოგებას ელის თავისი ინვესტიციიდან, თუმცა ზოგი აქციონერი დაინტერესებულია მხოლოდ მოკლევადიანი მოგების მიღების მაქსიმიზაციით, რამაც შეიძლება ბანკს მაქსიმალური მოგების მისაღებად უფრო სარისკო და სპეკულაციურ გარიგებებში მონაწილეობისკენ უბიძგოს, ამან კი თავის მხრივ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მის გრძელვადიან სტაბილურობაზე.

როგორც წესი, მსხვილ ბანკებს დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორცაა Fitch Ratings, Standard and poor's da moody's, გარკვეული რეიტინგი ენიჭება. ამ სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგი ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და მის სტაბილურობას, ასევე იმ მხარდაჭერას, რომელიც ბანკმა შეიძლება საჭიროების შემთხვევაში მიიღოს თავისი აქციონერებისაგან.

**2. კლიენტების მომსახურება და ბანკის ადგილმდებარეობა**

.ბანკის მომსახურების დონე მეტწილად დამოკიდებულია მისი თანამშრომლების კომპეტენტურობაზე. ბანკის თანამშრომლები პროფესიონალები თუ არიან, უნდა შეეძლოთ კლიენტის ყველა კითხვაზე პასუხის სწრაფად და ამომწურავად გაცემა, მომსახურების ეფექტურად, თავაზიანად და კეთილსინდისიერად შესრულება.

პირველი ნიშანი იმისა, რომ ბანკი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის კლიენტებს, არის მისი თანამშრომლების მზადყოფნა და უნარი, კლიენტს ყველაფერი გასაგებად აუხსნან და ინფორმაცია ნათლად და ამომწურავად მიანოდონ. ბანკი, რომელიც საკუთარ კლიენტებს პასუხისმგებლობით ეკიდება, თავს უფლებას არ მისცემს, რომ მათ თავისი მომსახურებისა და პროდუქტების შესახებ ბუნდოვანი ან გაუგებარი ინფორმაცია მიანოდოს.

ადგილმდებარეობა ბანკის არჩევაში დიდ როლს თამაშობს. თუ მომხმარებელს საბანკო მომსახურებით სარგებლობა ხშირად უწევს, ის ბუნებრივია უპირატესობას მასთან ახლოს მდებარე ბანკს მიანიჭებს, შორს წასვლა რომ არ მოუხდეს. ბანკის შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია კლიენტებისთვის ადვილად მისადგომი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია აგრეთვე აქვს თუ არა ბანკს ავტოსადგომი კლიენტებისათვის, სად მდებარეობს ბანკი -ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, საგზაო მოძრაობით გადატვირთულ უბანში, თუ გარეუბანში; იოლად მისაგნებია თუ არა ბანკის შენობა. ყოველივე ეს გავლენას იქონიებს კლიენტის გადანიშნულებაზე ბანკის არჩევისას.

**3. მისია და ღირებულებები.** ყველა ბანკს აქვს თავისი მისია, რომელიც განსაზღვრავს ბანკის ბიზნეს ფილოსოფიას და ღირებულებებს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია იმაში გასარკვევად, თუ რა სახის საქმიანობას ეწევა ბანკი. ბანკი, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება თავის კლიენტებს, შეეცდება მათგან ურთიერთნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ხანგრძლივი პარტნიორობის დამყარებას. ამისათვის საზოგადოებას რეგულარულად მიანდის გამჭვირვალე ინფორმაციას საკრედიტო საქმიანობაში თვისი პარტნიორებისა და ორიენტირის შესახებ. კლიენტებმა უნდა იცოდნენ სადაა ბანკის ფული, ე.ი. მისი კაპიტალი და კლიენტების ანაბრები განთავსებული.

რადგან ჩვენთან საბანკო სექტორი რეგულირებადია, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს ეკისრება, ვიდრე კომერციული ბანკების მენეჯმენტს. უნდა გადაიხედოს ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა იმისათვის, რომ მაქსიმალურად შემსუბუქდეს რეგულირების ტვირთი, რომელსაც ბანკები მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ინაზღაურებენ.

ბიზნეს გარემოში არსებული რისკები სახელმწიფომ უნდა შეამციროს, ანუ ისეთი რეფორმები გაატაროს, რომელიც არსებულ რისკებს შეამცირებს. ბიზნეს გარემოში არსებულის გამო, კომერციული ბანკების მენეჯმენტი იძულებული ხდება კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები დაანოსოს. ისინი ცდილობენ, უფრო იაფად მოზიდული სახსრები ძვირად გაასესხონ.

კომპანიების მხრიდან ამ საკითხების ზერელე ცოდნა სერიოზულად ამუხრუჭებს და ხელს უშლის ბიზნესის ამ სექტორის განვითარებას, განსაკუთრებით საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნის ფორმირებისა და მომსახურების თვალსაზრისით. თუმცა ჩვენთან, კორპორატიულ კლიენტურასთან ურთიერთობის კულტურა მაინც უფრო დახვეწილია საცალო ბანკინგთან შედარებით. შემთხვევითი არ არის, რომ ბანკებთან პრეტენზიები უფრო ხშირად ფიზიკურ პირებს აქვთ ხოლმე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის გაზრდა ბანკებს აიძულებს უფრო ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებითაც გადადგან.

დღეს მთავარი ამოცანა კონკურენტული სივრცის შექმნა უნდა იყოს. ანტიმონოპოლიური რეგულირების თვალსაზრისით, უნდა მიიღონ ახალი კანონმდებლობა თავისუფალი კონკურენციის შესახებ, მათ შორის კარტერული საქმიანობის შესახებ და მოახდინოს თავისუფალი კონკურენციის სააგენტოს მოდერნიზაცია. ამ სახის ცვლილებები საშუალებას მოგვცემს საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განსაზღვრისას ამოვიდეთ ისეთი ფაქტორებიდან, როგორებიცაა: ცხადი ფასი, კომფორტი მომხმარებლისათვის, საზოგადოებრივი ნდობა.

კომერციული ბანკების მუშაობაში წარმატების საწინდარია მისი სტრატეგიული, ანუ პერსპექტიული მოღვაწეობის პროგრამის შექმნა, რომლის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ბან-

## **შინაწესი, ბანკები, ბირჟები**

კის სწორი სტრუქტურული, რაციონალური ორგანიზაცია და ყოველდღიური საქმიანობა. კომერციული ბანკების გავლენის სფეროს გასაფართოებლად და მისი ავტორიტეტის გასამტკიცებლად, ბანკის მოღვაწეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საბანკო მარკეტინგსა და მენეჯმენტს, ანუ საბანკო საქმის სწორ ორგანიზებასა და მეცნიერულად დასაბუთებას, აქტიურ რეკლამირებას.

უნდა შეიქმნას ცხადი და გამჭვირვალე წესები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში კონკურენციის დაცვასა და განვითარებას. და ასევე უნდა შეიქმნას შესაბამისი ინსტიტუტი, რომელიც იქნება დამოუკიდებელი ყოველგვარი სამთავრობო ჩარევებისგან და, რაც მთავარია, ის უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალი, მიუკერძოებელი კადრებით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კაკულია რ., ხელაია გ., — “ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია”, თბ., 2003წ
2. კაკულია რ., — “ფინანსების ზოგადი თეორია”, თბ., 2007 წ
3. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ. „ფინანსების თეორია“, თბ., 2012წ
4. ქოქიაური ლ., „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, თბ., 2010წ.

#### **ჟურნალები:**

- ეკონომიკური პროფილი
- ბანკები და ფინანსები
- ეკონომიკა

#### **ვებ-გვერდები:**

- [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
- [www.geoeconomics.ge](http://www.geoeconomics.ge)
- [www.banksandfinance.ge](http://www.banksandfinance.ge)
- [www.smartcampaign.org](http://www.smartcampaign.org)
- [www.creditinfo.ge](http://www.creditinfo.ge)



**კომპეტენციური განკავების რეგიონული  
ფილიალების კორპორაციულ კლიენტებთან  
ურთიერთობის პრინციპები**

**ლელა ონიანი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი

დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკების რეგიონული სერვისის ცენტრები (ფილიალები) სრულად შეესაბამებიან კონკრეტული რეგიონის სპეციფიკას, და შესაბამისად შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ რეგიონში მოქმედი სამეურნეო სუბიექტთა მოთხოვნები.

კვლევის მიზანია, რეგიონულ დონეზე განვიხილოთ თუ, რამდენად მნიშვნელოვანია კორპორაციული კლიენტები ბანკებისათვის და შესაბამისად შევიმუშავოთ ჩვენეული რეკომენდაციები მათთან ურთიერთობების ორგანიზების საკითხებში, რომელიც აისახება საბანკო კაპიტალის ეფექტურ მართვაში და რეგიონის ეკონომიკურ სექტორსა და საბანკო სისტემას შორის აქტიურ ურთიერთ დამოკიდებულებაში.

კორპორაციულ კლიენტებთან კომპეტენტური თანამშრომლობის ორგანიზება, თანამედროვე საბანკო ბიზნესის ეფექტურობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია, ამას განაპირობებს ის რომ დღეისათვის ბანკების მოზიდულ რესურსებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა იურიდიულ პირთა დეპოზიტები. 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 13 ბანკისა და 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის

**რეგიონული ეკონომიკა**

ვილიალი ფუნქციონირებს. მათი საქმიანობის სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ საერთო კლიენტურაში მაღალი ხვერდრითი წილით გამოირჩევიან კორპორაციული კლიენტები.

**საბანკო პროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები**  
 ( აჭარაში მოქმედი საკრედიტო ორგანიზაციების მიხედვით 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

მაჩვენებლების დასახელება	სულ ჯამი (ათასი ლარი)	მათ შორის			
		კორპორაციული კლიენტებზე (ათასი ლარი)	წილი%	ფიზიკურ პირებზე (ათასი ლარი)	წილი%
გაცემული კრედიტები	819 471,7	506 381,3	62	313 090,4	38
სახსრები დეპოზიტებზე	739729,6	505 025,1	68,3	234 704,5	31,7
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	96492,79	46316,54	48	50176,25	52

წყარო: 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; 2. სეზ-ის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი #166

როგორც ცხრილიდან ჩანს მათზე გაცემული კრედიტების რაოდენობამ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 506 381,3 ათასი ლარი, რაც საკრედიტო პორტფელის 62 % - ია, ხოლო სადეპოზიტო ანგარიშებზე არსესებულმა ნაშთებმა შეადგინა 505 025,1 ათასი ლარი, რაც მთლიანი დეპოზიტების 68,3%-ია. მართალია საპროცენტო შემოსავლებში კორპორაციული კლი-

ენტებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლების წილი შედარებით დაბალია (48%), ვიდრე ფიზიკური პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლისა (52%), მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კორპორაციულ კლიენტებზე შეთავაზებული სესხების საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 2012 წელში გამომდინარე ფასების დიფერენცირებულობის პრინციპიდან 14,8% შეადგენდა, ხოლო ფიზიკურ პირებზე 26,5%.

კომერციული ბანკებისათვის ლიკვიდობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია სადეპოზიტო ბაზა, რომელიც იქმნება ბანკში საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, ვადიან და საშემნახველო ანაზღაურებზე განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრებით. დეპოზიტების ხარისხის კრიტერიუმი კი არის მათი სტაბილურობა, ანუ, რაც უფრო მეტია წილი სტაბილური დეპოზიტებისა, მით უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდურობაც, ვინაიდან, სტაბილური დეპოზიტების ზრდა ამცირებს ბანკის მოთხოვნებს ლიკვიდურ აქტივებზე და ასეთი ვალდებულებები ბანკისათვის განახლებადი ხასიათისაა.

ისმება კითხვა: რომელი დეპოზიტებია სტაბილური?

უცხოელ მეცნიერთა კვლევებმა სხვადასხვა სახის დეპოზიტების მდგომარეობაზე ცხადყო, რომ ყველაზე მაღალი სტაბილურობით გამოირჩევა მოთხოვნამდე დეპოზიტები, ვინაიდან ასეთი სახის დეპოზიტი არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთებზე. ამ შემთხვევაში კლიენტებისათვის მთავარია მომსახურების ხარისხი და სისწრაფე, ბანკის საიმედოობა, საბანკო მომსახურებისა და პროდუქტების მრავალფეროვნება, ბანკისა და კლიენტის ოფისს შორის მანძილი. ამიტომაც ხსნის რა იურიდიული პირი ანგარიშს ბანკში და ხდება ბანკის კორპორაციული კლიენტი, იგი ხანგრძლივ კავშირს ამყარებს ბანკთან, თუ კი დააკმაყოფილებს ბანკი მის მოთხოვნებს. რაც შეეხება ვადიან და საშემნახველო დეპოზიტებს, ისინი უფრო ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევიან, ვინაიდან დამოკიდებულები არიან ბაზრის კონიუქტურაზე და ხშირად განიცდიან მიგრაციას ერთი ბანკიდან მეორეში.

სწორედ კორპორაციული კლიენტების ანგარიშებზე აკუმულირებული რესურსების ბაზაზე ხდება ბანკების საერთო შემოსავლის უმეტესი წილის ფორმირება. ამოტომაცაა, რომ დღეისათვის რეგიონში კორპორაციული კლიენტების მოზიდვის მიზნით, კომერციულ ბანკებს შორის შეიძლება ითქვას, რომ ძლიერი კონკურენციაა. ეს გამოიხატებაში იმაში, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სტაბილური კორპორაციული კლიენტები მომსახურების უკეთესი პირობების შეთავაზებების შემთხვევაში სხვა ბანკების ფილიალებში გადაინაცვლებენ. ვფიქრობთ, ბაზრის მოცემულ სეგმენტზე ბრძოლაში, ბანკის ფილიალების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა პროდუქტზე ორიენტირებული, არამედ მოქნილი და კლიენტზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება და მათზე მიწოდება.

კლიენტზე ორიენტირებული მოდელის შემუშავებისას ბანკის მენეჯმენტის მიერ გასათვალისწინებელია რიგი საკითხები, რომლებიც შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი პრინციპების სახით:

**- კლიენტის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლა და ორიენტირება შესაბამის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.** დღეისათვის ბაზარზე ცალკეული სეგმენტების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე ყველა კლიენტზე ერთიანი სტანდარტული პირობების შეთავაზება უკვე მოძველებული მეთოდია. ბანკის მენეჯმენტი, სთავაზობს რა თავის პროდუქტს კლიენტს, კარგად უნდა იცოს გარკვეული, თუ ეს პროდუქტი მომხმარებლის რომელ ჯგუფზეა გათვლილი და რამდენია ასეთი პროდუქტის პოტენციური მომხმარებელი. ამისათვის საჭიროა ბაზრის სწორი და კომპეტენტური მარკეტინგული ანალიზი. ბაზრის სეგმენტაციის პირველ ეტაპზე ტრადიციულად ძირითადი საბაზისო კრიტერიუმების (შემოსავლების, თანამშრომელთა რიცხოვნობისა და საბიუჯეტო ორგინაზაციების შემთხვევაში ხელფასის ფონდის) მიხედვით გამოყოფენ კლიენტთა სამ ძირითად კატეგორიას: მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის კლიენტები, რომელთა შორის არჩევენ „მნიშვნელოვან“ - მსხვილ და VIP კლიენტებს. ბაზრის ანალ-

იზის პროცესში მიზანშეწონილია შესწავლილი იქნეს კლიენტის შემდეგი პარამეტრები:

- საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი მაჩვენებლები;
- ქონებრივი მდგომარეობა;
- საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა;
- საინვესტიციო პროექტები, ან განვითარების სტრატეგია;
- კლიენტთა კრედიტუნარიანობა და რისკების დონე;
- ფულადი ნაკადის სქემა;

და სხვა

ფლობს რა ბანკი კონკრეტული რეგიონის ყველა მსხვილი თუ საშუალო დონის კლიენტთა შესახებ ინფორმაციას, შეიძლება გათვალისწინდოს საერთო პოტენციალი და ძირითადი პროდუქტებით (კრედიტები, დეპოზიტები, სახელფასო პროექტები) მომსახურების წილი ცალკეულ სეგმენტებზე.

კლიენტთა ფაქტიურ და პოტენციურ მოთხოვნათა შეფასების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ანალიზური ინსტრუმენტი, როგორცაა „მომხმარებელთა საშეღავათო მატრიცა“, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია კლიენტთა ცალკეულ სეგმენტებზე შეთავაზებულ საბანკო მომსახურებათა შეღავათების დაშვების შესახებ. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს ბანკის კორპორაციულ კლიენტებთან საქმიანობაში. ფორმირება წარმოებს, როგორც ურთიერთობათა ფაქტიური მონაცემების ანალიზის, ასევე კლიენტთა სპეციალიზებული ანკეტირების საფუძველზე. შესაბამისად ბანკმა ყოველი პრიორიტეტული დარგისათვის უნდა მოამზადოს სპეციალური წინადადებები მაქსიმალურად გაუმჯობესებული პირობებით.

**- კლიენტებთან ცენტრალიზებული ურთიერთობა და საბანკო პროდუქტების პაკეტური გაყიდვები.** აღნიშნული პრინციპი გამორიცხავს წინააღმდეგობებსა და კლიენტებთან კონტაქტების დუბლირებას ბანკის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების მხრიდან, რაც იწვევს ინტერესთა კონფლიქტებს და შესაბამისად გავლენას ახდენს მომსახურების ეფექტურობაზეც.

აღნიშნული პრინციპი კლიენტებთან ორგანიზებული ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით გულისხმობს ცალკე ე.წ. „კლიენტის“ განყოფილებების შექმნას. ცენტრალიზებულ ურთიერთობათა პრინციპი ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიულ ჭრილშიც, კერძოდ არის კორპორაციულ კლიენტთა კატეგორია, რომელთაც გააჩნიათ ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულები (საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე) ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის დოზე. ასევე სათაო ოფისის მდებარეობა ხშირად არ ემთხვევა იურიდიული მისამართსაც. ამიტომ კონკრეტული კლიენტის მიმაგრება ბანკის კონკრეტულ ფილიალზე, გამორიცხავს ორმაგ ურთიერთობებს და ფილიალთა შორის ინტერესთა კონფლიქტებს.

პაკეტური გაყიდვები გულისხმობს საბანკო მომსახურებასა და პროდუქტებზე კომპლექსური წინადადებების შეთავაზებას, რომელიც ორივე მხარისათვის მომგებიანია. კლიენტისთვის საინტერესოა ფასდაკლება შეთავაზებულ პაკეტზე, ხოლო ბანკის ინტერესი გამოიხატება იმაში, რომ იგი ასეთი კომპლექსური მომსახურებითა და დიფერენცირებული ფასების შეთავაზებით მოიზიდავს და აკავებს კლიენტებს. ასეთი პოლიტიკის შემთხვევაში მიუხედავად საბანკო შეთავაზებების დიფერენცირებული ფასებისა, საერთო შემოსავლები იზრდება, ხოლო კლიენტის ხარჯები საბანკო მომსახურებაზე მცირდება.

**„მნიშვნელოვან“ კლიენტთა ჯგუფებზე პირადი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.** ეს პრინციპი ლოგიკურ კავშირშია ზემოთ განხილულ ურთიერთობათა ცენტრალიზაციის პრინციპთან და მიმართულია კლიენტთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლებაზე. ამასთან მენეჯერების (კორპორაციული ბანკირების) კლიენტებზე მიმაგრების ხარისხი და შეთავაზებული პრეფერენციების მასშტაბი განისაზღვრება საბანკო მომსახურების მომგებიანობიდან და რენტაბელობიდან გამომდინარე.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პირადი მხარდაჭერის პრინციპს გარკვეული მინუსიც აქვს, კერძოდ არსებობს რეალური რისკი კლიენტთა ინტერესების ლობირებისა „კორპორაციული ბანკი-

რის, მხრიდან ბანკის ინტერების საზიანოდ. აღნიშნული ფაქტი დაკავშირებულია კლიენტსა და „ბანკირს“ შორის პირადი სანდო კონტაქტების დამყარებასთან. მსგავს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია;

1. შეიზღუდოს „კორპორაციული ბანკირების“ (პირადი მენეჯერების) უფლებამოსილება მიმაგრებულ კლიენტებზე ღირებული პრეფერენციების შეთავაზებაში;

2. რეგულარულად ჩატარდეს „კორპორაციული ბანკირების“ როტაცია კლიენტთა ჯგუფებს შორის;

3. კონკრეტულ კლიენტებთან მიმდინარე მოლაპარაკებებისა და კონტაქტების შედეგები უნდა დაფიქსირდეს ერთიან საინფორმაციო ელექტრონულ სისტემაში.

ამასთან პირადი მხარდაჭერის პრინციპი უფრო ეფექტური იქნება, თუ „კორპორაციული ბანკირები“ (პირადი მენეჯერები) კომპეტენტურები იქნებიან შეთავაზებული მომსახურების ყველა სფეროში და ისინი არ შეასრულებენ ჩვეულებრივი კოორდინატორის როლს კლიენტსა და ბანკის ცალკეულ განყოფილებებს შორის.

- **კლიენტთა მომსახურების ეკონომიკური შედეგის კომპლექსური შეფასება** . ამ პრინციპში მოვიაზრებთ ბანკსა და ცალკეულ კლიენტებს შორის ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებას, არა მომსახურების ცალკეული სახეების მიხედვით, არამედ ცენტრალიზებულად გამომდინარე საბანკო მომსახურების იმ სრული კომპლექსიდან, რითაც სარგებლობს კლიენტი.

ურთიერთობებისა და ანგარიშების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცენტრალიზებულად კლიენტებთან ჩასატარებელი სამუშაოების გეგმის მიხედვით, მოლაპარაკების შედეგები უნდა აისახოს შიდა საინფორმაციო ელექტრონულ ბაზაში. კომპლექსური შეფასების პრინციპი საშუალებას მოგვცემს „მნიშვნელოვან“ კლიენტებთან მოლაპარაკების პროცესში, ოპერატიულად იქნეს განსაზღვრული დიფერენცირებული ფასები მიმდინარე და გრძელვადიან პერსპექტივაში ბანკის მოგებასა და რენტაბელობაზე ორიენტირებულად.

ცალკეული სახის ოპერაციებისა და მომსახურების ეფექტიანობის შეფასებისას სასურველია შეფასების მეთოდების ინტეგრირება აღრიცხვის ავტომატიზირებულ სისტემაში, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავტომატიზირებულ რეჟიმში ვაწარმოოთ ფინანსური მაჩვენებლების გათვლა და ანალიზი. სწორედ საერთო შემოსავლის, მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლებიდან გამომდინარე წარმოებს „კორპორაციული ბანკირების“ (პირადიმენეჯერების) მუშაობის ეფექტურობის შესაწავლა და შეფასება.

- **კლიენტთა მოთხოვნებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით ბანკების ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია.** კლიენტზე ორიენტირებულობის მოდელის დანერგვის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს საბანკო ბიზნეს-პროცესების ოფტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს მოთხოვნებზე ოპერატიული რეაგირებას. ოპტიმიზაციის პროცესი, ერთი მხრივ, გაზრდის კლიენტთა კმაყოფილებას გაწეულ მომსახურებაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს ბანკის ხარჯებს კორპორაციულ კლიენტებთან არაპროდუქტიულ, უშედეგო ურთიერთობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკისათვის „მნიშვნელოვან“ კლიენტებთან ურთიერთობათა მასშტაბების ეფექტურობიდან გამომდინარე მთავარი აპრიორი ფასდაკლებაა, მაინც ასეთი კლიენტები ერთდროულად რამოდენიმე ბანკის შემოთავაზებების ურთიერთშედარებას ახდენენ და ამასთან ყურადღებას აქცევენ არა მარტო ფასებს, არამედ მათ მოთხოვნებზე რეაგირების ოპერატიულობასა და მგრძობელობას. ყველაზე ეფექტური ვადა მომსახურების ინდივიდუალური პირობების დადგენისა, გამომდინარე კლიენტთა ბრუნვის დონიდან არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს. არის შემთხვევები პრაქტიკაში, როდესაც ეს ვადა ერთ კვირასაც სცდება. ლოდინი უკვე იწვევს კლიენტის უარყოფიდ განწყობას ბანკისადმი და შესაბამისად ბანკის კონკურენტუნარიანობის მკვეთრ შემცირებას.

- **„კორპორაციული ბანკირების“ მოტივაციის ეფექტური სისტემის შემუშავება.** მოტივაციის სისტემის ორგანიზება უნდა ეფუძნებოდეს ბანკის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას.

ბებს. კლიენტებთან ურთიერთობის მიზნობრივი ორიენტირის ტრადიციულ მაჩვენებლებს წარმოადგენს:

1. საკრედიტო პორტფელის მოცულობა კლიენტთა კატეგორიების მიხედვით;
2. ანგარიშებზე, დეპოზიტებზე და ფასიანი ქაღალდებით მოზიდული სახსრების მოცულობა;
3. საკომისიო შემოსავლების მოცულობა;
4. ინტერნეტ-ბანკით, ბანკი-კლიენტით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით მოსარგებლე კლიენტთა რაოდენობა;
5. კლიენტთა მომსახურებიდან მიღებული საერთო შემოსავალი.

მოტივაციის სისტემის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ასპექტები:

- „კლიენტის“ განყოფილების მენეჯერებისა და პერსონალის შრომის ანაზღაურების საბაზისო დონე ბონუსების გარეშე, არ უნდა იყოს დაბალი სხვა განყოფილების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საბაზისო მაჩვენებელზე;

- გეგმიური მაჩვენებლების დადგენისას განხილული უნდა იქნეს კლიენტის საქმიანობის საწარმოო ციკლისა და სეზონურობის ფაქტორი;

- ხელის შემშლელი ფაქტორების მნიშვნელოვანი ზეგავლენის შემთხვევაში მენეჯერებისაგან დამოუკიდებლად შეტანილი იქნეს კორექტივები გეგმის შესრულების შეფასების სისტემაში.

- კლიენტზე ორიენტაციის მოდელის ან მისი ცალკეული ელემენტების დანერგვის პროცესი მკაცრად უნდა გაფორმდეს პროგრამის სახით, კონკრეტული ვადებისა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით.

მაშასადამე მომხმარებელზე ორიენტირებული მოდელის დანერგვა აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონული ფილიალების კორპორაციული კლიენტების სეგმენტთან საქმიანობის ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობას.

## **კულტურული ტურიზმის როლი და ინოვაციულობა რეგიონის განვითარებაში**

### **ნარგიზა ქარქაშიძე**

ედ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

### **ლელა კამლაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მონვეული სპეციალისტი

თანამედროვე ტურიზმი, ძალზედ ფაქიზად რეაგირებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად ჩნდება ახალი ტენდენციები, მოძრაობები, მიმართულებები. სწორედ აქედან გამომდინარე „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ [მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი] ტურიზმს განიხილავს, როგორც:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;
- მდგრადი განვითარების სექტორს;
- სფეროს, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

აღნიშნული ზოგადი შეფასებებიდან და დასკვნებიდან თუ გადავინაცვლებთ ტურიზმის, როგორც დარგის პროგრამული, გამოყენებითი მხარის ანალიზზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარება სახელმწიფოს და რაიონს მთლიანად, როგორც დაინტერესებულ (მონაწილე) მხარეს, უქმნის შესაბამისი სტიმულირების ნაირსახეობას:

- ახალი სამუშაო ადგილები და სანარმოები;
- დამატებითი შემოსავლები;
- ადგილობრივი პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრები;
- ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;
- ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების

ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია;

- საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანი გაგება.[1]

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით და გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირშესანიშნაობებით [2]

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში (2013 წელს ამოიღეს ბაგრატის ტაძარი, მასში თანამედროვე ელემენტების შეტანის გამო), 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა.ს. ესე იგი თუ ლოგიკას მივჰყვებით და არსებული პოტენციალის რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო და ა.შ.

საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს ანარმოებენ, ე.ი. საქართველოს ტურისტული ბაზარი უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდის და ფირმების 100% ძირითადად ამ სეგმენტზე მუშაობს [3].

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის განსახლების სისტემას, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს ნებისმიერი მხარე, აღნიშნული კუთხით რესურ-

სული პოტენციალის სიმცირეს არ უჩივის.

ტურიზმის განვითარების დაგეგმვის დროს პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისას აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას -რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისათვის? საერთაშორისო ექსპერტები ამ კომპონენტის ქვეშ გულისხმობენ:

- ღირშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატრების ფორმები - სანახაფი ადგილები და ის, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყფნისას;
- მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა - დაბინავებისა და კვების ადგილები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება - საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალება;
- მოგზაურობების ორგანიზება -ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;
- ტურისტული პროდუქტის წინ წამონევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა -ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებისას სხვა პრინციპებთან ერთად უმთავრესია გავითვალისწინოთ ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობას მოაქვს არა მარტო ეკონომიკური სარგებელი, არამედ გაცილებით უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ტურისტულ პროდუქტს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ნათელი მაგალითია აჭარის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო. რეგიონში მოქმედებს პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ბრენდის სასტუმრო. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს აჭარის რეგიონმა უმასპინძლა საქართვე-

ლოში ჩამოსული ტურისტების 85%-ს. ეს კი 2 მლნ-ზე მეტს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 36%-ით მეტია, 2004 წლიდან 2009 წლისათვის ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი სამჯერ გაიზარდა და შეადგინა 470 მლნ. აშშ დოლარი (2004 წელს - 147 მლნ. აშშ დოლარი) [2].

რაც შეეხება კულტურულ ტურიზმს, ის ერთგვარად უცხოა ქართული მენტალიტეტისათვის. ტერმინი პირველად იქნა გამოყენებული 1998 წელს დადგენილებაში „საქართველოში ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. წარსულში მას უწოდებენ „შემეცნებით ტურიზმს“.

კულტურული ტურიზმის ფორმებია: თემატური შემეცნებითი მოგზაურობები, აქტიური შემეცნებითი ტურები, მიზნობრივად შერჩეული ადგილის დათვალიერება, შემეცნებითი მიმოხილვითი კრუიზები.

კულტურული ტურიზმი უფრო ყოვლისმომცველია, უფრო საგნობრივია და ტურიზმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს, ვიდრე შემეცნებითი [ 1. გვ.5].

კულტურული ტურიზმი მოიცავს ყველა მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების მხრივ კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. აქვე უნდა აღინიშნოს კულტურული ღონისძიებათა ტურიზმისათვის ბაზარი იზრდება, იგი მოიცავს საერთაშორისო ფესტივალებისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენებს, რაც ტურისტულმა ორგანიზაციებმა კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირში უნდა განახორციელონ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ სანახაობათა ტურების ორგანიზაციებს მუზეუმების, ძეგლების, თეატრების მოვლა - პატრონობის გზით. ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შემდგომში ხელს შეუწყობენ კულტურული მემკვიდრეობის შენახვის თაობებისათვის გადასაცემად. კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსპორ-

ტის განახლება, შავ ზღვაზე კრუიზების ჩათვლით [1]

კულტურული ტურიზმის განვითარებაში უდიდეს ყურადღებას იმსახურებს ზემო სვანეთის რეგიონი, რომელიც ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილია მისი უნიკალური ბუნებისა და უძველესი ისტორიული ძეგლების გამო. რეგიონს გააჩნია მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში გვხვდება, კერძოდ ზაფხულის სათხილამურო ტრასა, რომელიც აკმაყოფილებს ოლიმპირ მოთხოვნებს და შესაძლებელია უახლოეს მომავალში მოეწყოს რამდენიმე მაღალი დონის სათხილამურო კურორტი. ასევე მნიშვნელოვანია მესტიის ახალი აეროპორტი, რომელიც ხელს შეუწყობს მესტიისა და უშგულის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბებას [2].

კულტურული ტურიზმისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ფართო მოცულობის შემეცნებითი ტურების ორგანიზება. ამ მიზნით უნდა მოხდეს სამხრეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლივი მარკეტინგული შესაძლებლობების გამოკვლევა. ასევე დადგინდეს თურქეთთან და რუსეთთან ერთობლივი მარკეტინგის გამოყენების მიზანშეწონილობა.

სახელმწიფოს ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს, საქართველოს როგორც ტურიზმის ქვეყნის გაცნობიერების სფერო ძირითადად პოტენციურ ბაზარზე.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გაანალიზებული იქნება საქართველოში ტრადიციულად არსებული შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები, რომლებსაც შესთავაზებენ უცხოელ ტურისტებს. ასევე განისაზღვრა ტურისტთა მოგზაურობების მოტივები და არსებული მოთხოვნები და გაკეთდა უმნიშვნელოვანესი ძეგლების ნუსხა, რომლებიც უნდა შევიდნენ ტურისტულ მარშრუტებში. ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა - მო-

ნესრიგებაზე.

საქართველოში შემოსული ტურისტებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ევროპის რეგიონზე მოდის. ამიტომ ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ ამ რეგიონზე. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველაზე მეტი ორგანიზებული მოგზაური არის გერმანიიდან და იტალიიდან. ამგვარი მოცულობითი ხვედრითი წილი განპირობებულია საქართველოს ტურისტული ბაზრის ევროპის რეგიონთან გეოპოლიტიკური სიახლოვით, კულტურული თანაზიარობით და ა.შ.

ევროპის შემდეგ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ამერიკის რეგიონია წარმოდგენილი, მესამეზე კი აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონი.

მეტად საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორია ქართული ტურისტული პროდუქტის გასაღების ეფექტიანობა დსთ-ს სივრცეში. ამ თვალსაზრისით საქართველოს მთავარ ბაზრად კვლავ რუსეთი რჩება - 50-ზე მეტი, მეორე ადგილზეა სომხეთი, ხოლო 42,9%- თანაბარი რაოდენობა მოდის აზერბაიჯანსა და უკრაინის ბაზრებზე.

ასევე საინტერესოა, როგორია მოთხოვნა სხვადასხვა ტურებზე. მარკეტინგულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კულტურული ტურებით სარგებლობენ - გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, უკრაინა, აშშ, კანადა, იაპონია, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის გარკვეული ნაწილი, აღმოსავლეთ აზია; სათავგადასავლო ტურებით - თურქეთი, უკრაინა; ეკოტურიზმით-გერმანია; აგროტურებით -საფრანგეთი; რელიგიური ტურებით -აშშ, ევროპის ქვეყნები; პროფესიული ტურებით -სომხეთი, აზერბაიჯანი, ნორვეგია; ღვინის ტურებით -რუსეთი; დსვენებითი კურორტებზე -სომხეთი.

საქართველოში ტურიზმის მდგომარეობის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორია სეზონურობა ტურიზმის სახეების მიხედვით. თუ კი პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი სეზონურობის ტურებს, მაშინ მივიღებთ ასეთ შედეგს: ძალიან მაღალი

## **რეგიონული აკონომიკა**

სეზონურობის ტურებს მიეკუთვნებათ მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული ტურები, ვინაიდან წელიწადის ოთხივე სეზონს მოიცავს. შემდეგ მოდის მაღალი სეზონურობის ტურები: კულტურული და სპეციალიზებული ტურები, ვინაიდან ისინი წელიწადის სამ სეზონს მოიცავენ და ა.შ.

აქტივობის მიხედვით ყველაზე ძალიან მაღალ აქტიური საქართველოს რეგიონების 40%-ია, ესენია: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი. მაღალი აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება რეგიონების 10%, ესენია: აჭარის რეგიონი, საშუალო აქტივობის ტურისტულ რეგიონებს მიეკუთვნებათ რეგიონების 50%.

კულტურულ ტურიზმში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღირსშესანიშნაობებს, რომელიც ტურისტებს იზიდავს, რის გამოც ტურისტები ერთიმეორეში მიემგზავრებიან და რომლის ნახვაც ერთდროულად დიდი სიამოვნებაა და პრესტიჟის საქმეც [4].

შეიძლება განვიხილოთ ღირსშესანიშნაობების ათი ძირითადი ტიპი:

1. ბუნებრივი სილამაზე და ობიექტები;
2. ისტორია და ცნობილი პიროვნებები;
3. ყიდვები;
4. კულტურული ღირსშესანიშნაობები; დასვენება და გართობა;
5. სპორტული არენები;
6. ფესტივალები და სხვა დღესასწაულები;
7. შენობები, მონუმენტები, ქანდაკებები; მუზეუმები;
8. სხვა [5.].

საქართველოს კუტურის ძეგლებიდან იუნესკოს ნუსხაში შევიდა ქალაქი მუზეუმი ღია ცის ქვეშ - მცხეთა; ბაგრატიის ტაძარი - ქუთაისში; გელათის სამონასტრო კომპლექსი და მაღალმთიანი სოფელი ზემო სვანეთში - უშგული. ასევე 2001 წელს პირველად მსოფლიოს ისტორიაში იუნესკომ გამოაქვეყნა მუსიკალური და არამატერიალური შედეგების ნუსხა, რომელშიც შევიდა ქართუ-

ლი მრავალხმიანობა, რაც ქართული ხალხური პოლიფონიის დიდი გამარჯვება იყო. ამდენად ქართული ფოლკლორი და მრავალხმიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც კულტურული ტურიზმის ატრაქცია (ნიშნავს მიზიდულობას).

კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ეროვნული ნუსხა იმ ღირსშესანიშნაობებისა, რომლებიც შეთავაზებული იქნება უცხოელი ტურისტებისათვის. ასევე აუცილებელია ქვეყანაში აღრიცხული 12 ათასი ძეგლიდან დაცული იქნას ნახევარზე მეტი. ამ მიმართულებით უნდა ჩატარდეს სხვადასხვა სამუშაოები. ამჟამად დაცული ძეგლების რაოდენობა 5 ათას შეადგენს.

ამასთან აუცილებელია კულტურული ობიექტების მარკეტინგი, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს შემოსავლების ალტერნატიულ წყაროს. ადგილობრივ მაცხოვრებლებს ყოველთვის ბოლომდე არ ესმით კულტურული ობიექტის გლობალური მნიშვნელობა და მიზეზები, რის გამოც მათ მიენიჭათ დაცვითი სტატუსი. საგანმანათლებლო პროგრამებს შეუძლიათ დაძლიონ ეს გაუთვითცნობიერებულობა. როცა მოსახლეობა ღებულობს რა ძვირფასია ობიექტი, მასში მატულობს პატივისცემის, თვითშეგნებისა და სიამაყის გრძნობა. შედეგად ებადება ობიექტის დაცვის სურვილი, რომელიც მხოლოდ ეკონომიკით არ შემოიფარგლება.

ტურიზმის გამოყენება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და შენახვისათვისაა სანერო შემოსავლების მისაღებად.

ტურიზმიდან შემოსავლების მიღება ხორციელდება უშუალოდ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მნახველებისაგან თანხების მიღებით, სხვადასხვა შემონირობების სახით. ამავდროულად მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებმა შეიძლება მიიზიდონ ტურისტული წარმოებები, რითაც გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესება და მიზიდვა. ეს საშუალებას მისცემს ტურისტულ პარტნიორებს განავითარონ შემოქმედებითი მიდგომა ფინანსური მოგების გაზრდისათვის.

კულტურული ტურიზმის როლი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვა-შენახვისათვის. ის შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ძალისხმევის კოორდინაციას და ეხმარება ობიექტების ხელმძღვანელებს გაუმკლავდნენ წარმოშობილ პრობლემებს.

ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ტურიზმი დაკავშირებულია კულტურული მემკვიდრეობისა და ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების დაცვასთან. კულტურულ მემკვიდრეობაში შედის არა მარტო ძეგლები, არამედ ფესტივალები, მუზეუმები, ხელოვნების შემოქმედებითი დარგები, კულტურული მოვლენები, კუსტარული მრეწველობის ნაკეთობები, კულინარია .

სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს საქართველოს, როგორც ტურიზმის ქვეყნის, გაცნობიერების სფერო ძირითად პოტენციურ ბაზრებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. [http://ka.wikibooks.org/wiki/%\\_1](http://ka.wikibooks.org/wiki/%_1)
2. [http://www.mfa.gov.ge/index.php?/ang\\_id=GEO&sec\\_id=80](http://www.mfa.gov.ge/index.php?/ang_id=GEO&sec_id=80)
3. [http://ka.wikibooks.org/wiki/%\\_2](http://ka.wikibooks.org/wiki/%_2)
4. [http://ka.wikibooks.org/wiki/%\\_3](http://ka.wikibooks.org/wiki/%_3)
5. Филип Котлер Маркетинг мест



**კრუიზის ინდუსტრიის განვითარება  
შავიზღვისპირაში**

**სერგო თურმანიძე**

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ბაგრატ დევაძე**

ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესორი

ჩვენი პლანეტის 71% დაფარულია წყლით, რაც ქმნის საზღვაო ტურიზმის განვითარების შეუზღუდავ შესაძლებლობებს. საკრუიზო გემები, როგორც მცურავი კურორტები, უზრუნველყოფენ მსოფლიოს მიმზიდველი ადგილების ხელმისაწვდომობას. ტურისტების უმეტესობისათვის კრუიზი ქმნის უსაფრთხო, სოციალურად ორიენტირებულ მომსახურებას მეგობრულ გარემოში. ტურისტი ეგუება გემის ცხოვრებას და ისვენებს ყოველგვარი რუტინის გარეშე. კრუიზი აძლევს საშუალებას ადამიანებს გაეცალონ თანამედროვე ცხოვრების ზენოლას და დაძაბულობას.

კრუიზის ინდუსტრია იზრდებოდა და აგრძელებს ზრდას მაღალი ტემპებით. 1985 წელს დარგმა დაარეგისტრირა 2.2 მლნ. მგზავრი. 1989-2000 წლებში ეს მაჩვენებელი 4-დან 10 მილიონამდე გაიზარდა. 21-ე საუკუნეში ბუმი გრძელდება და კრუიზის მგზავრების რაოდენობამ 2011 წელს მიაღწია 20,2 მლნ. კაცს. ამასთან ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს რიცხვი გაორმაგდა. 2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით საზღვაო კრუიზის ინდუსტრიას ემსახურება 285 გემი 417 ათასი სამგზავრო ადგილით(3, 4).

ამერიკულ ბაზარზე მოდის 11 მილიონზე მეტი მგზავრი ყოველწლიურად და იგი ქარბობს მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებს. ამ რეგიონს ემსახურება 138 გემი 201 ათასი სამგზავრო ადგილ-

ით. შვებულების შეზღუდული დღეები განაპირობებს იმას, რომ ამერიკელების უმეტესობა ირჩევს ახლომდებარე კრუიზის რეგიონებს (კარიბის ზღვა, ალიასკა, კანადა, ჰავაი). ევროპის ბაზარზეც ზრდის მაღალი ტენდენციებია. კრუიზის მგზავრების რაოდენობა 5.5 მლნ. კაცზე მეტია, მათ შორის დიდ ბრიტანეთზე მოდის 1.8 მლნ. და გერმანიაზე 1 მლნ. კაცი. ევროპას ემსახურება 121 გემი 155 ათასი სამგზავრო ადგილით.

კრუიზის ინდუსტრიის სავაჭრო ბრუნვა აღემატება 29 მლრდ. დოლარს. კრუიზის გემებზე დასაქმებულია 150 ათას კაცზე მეტი, აგრეთვე 15 ათასი სანაპირო მუშაკი. კრუიზის ინდუსტრია ხელს უწყობს დასაქმების ისეთ სფეროებს, როგორცაა სურსათის წარმოება, ტექნიკური მომსახურება, მრეწველობა, ნავსადგურები, აგენტები, სასტუმროები, ავტომანქანების გაქირავებისა და შრომითი დასაქმების ბიუროები.

ღია ზღვის კრუიზის ბაზარი მკლევარების მიერ (1, 2) პირობითად იყოფა შემდეგ ძირითად სეგმენტებად:

1) **კლასიკური კრუიზი.** ეს არის კრუიზის ყველაზე ცნობილი სახე და ბევრის მიერ აღიქმება, როგორც მისი ერთადერთი სახეობა. ამასთან პირველ რიგში ლაპარაკია თვით საზღვაო მოგზაურობაზე - განტვირთვა, სიმშვიდე და დასვენება გემის ბორტზე. ამასთან არის განსაკუთრებული სერვისი, მომსახურების მაღალი ხარისხი და მდიდრული იმიჯი.

**2. მდიდრული კრუიზი (Luxery)** გამოირჩევა განსაკუთრებულობით ყველა ასპექტში. ამ დროს წუნდაუდებელი უნდა იყოს გემი, კომპანია და მომსახურება. მგზავრების რაოდენობის შეფარდება ეკიპაჟის წევრებთან არის 2.0-ზე ნაკლები, საუკეთესო გემებზე კი 1.5-ზე ნაკლები. საცხოვრებელი ფართობი 1 მგზავრზე 45 კვ. მეტრზე მეტია, საუკეთესო გემებზე კი 60 კვ. მ-ზე მეტი. კრუიზის გემს აქვს დიდი კაიუტები და კუპები, საუკეთესო სამზარეულო და გამორჩეული სტანდარტის ღვინოები. მდიდრული კრუიზისათვის დამახასიათებელია მარშრუტები ეგზოტიკურ ადგილებში და განსაკუთრებული ატმოსფერო გემზე.

**3. კომფორტული კრუიზის სეგმენტი.** იგი უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს. საერთოდ მომსახურების და სამზარეულოს დონე ნაკლებია, ვიდრე მდიდრულ კრუიზში, მაგრამ დიდი თანხები იხარჯება ყურადღებიანი ატმოსფეროსა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის შექმნაში. ცხოვრების წესი ასეთ გემებზე კლასიფიცირდება სტანდარტულსა და პრემიუმს შორის. კლასიკური გემები და მეგალინერები კომფორტულ სეგმენტში მისაღებია მგზავრების ასაკობრივი ჯგუფების უმეტესობისათვის. პირველ რიგში ესენია კომფორტის მოყვარული ტურისტები და ადამიანები, რომლებსაც უყვართ მოგზაურობა ჯგუფებში. მათთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვეყნებისა და ადამიანების გაცნობა.

**4. თანამედროვე კრუიზი ანუ კლუბის კრუიზი** ასახავს კრუიზის ბაზრის ტენდენციებს. მისი ძირითადი ასპექტებია კომერციული საესტრადო პროგრამები (შოუ, კაბარე, მიუზიკლი და ა.შ) და სპორტის მრავალსახეობა (ტრენაჟორები, შეჯიბრებები და ა.შ). ამრიგად, კლუბ-კრუიზს ხმელეთის შვებულება გადააქვს გემზე. ამასთან კრუიზის გემები წარმოადგენენ ნამდვილ ატრაქციონებს. დანიშნულების პორტი ამ დროს გადადის უკანა პლანზე. თანამედროვე კრუიზი თავისი შეხვედრების, სპორტისა და თავისუფალი დროის ტარების გაზრდილი ასორტიმენტით მოითხოვს დიდი ზომის გემების გამოყენებას. მიწოდება ბაზრის ამ სეგმენტში მაღალხარისხიანია, თუმცა უპირატესობა ენიჭება მგზავრების რაოდენობას. საზღვაო მგზავრობის ცენტრში არის განცდები, რასაც აძლიერებს საზღვაო გარემო და გემის ატმოსფერო. ამრიგად, მეგალინერები შვებულების გატარების დარგში კონკურენციას უწევენ ხმელეთს.

თანამედროვე ტიპის კრუიზის გემები გათვლილია სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებზე. ძირითადად ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც მონყენილი აქვთ შვებულების გატარება სასტუმროში ან აგარაკებზე და უპირატესობას ანიჭებენ თავგადასავლებს. ბაზრის ეს სეგმენტი ფართო არჩევანს სთავაზობს უფრო ახალგაზრდა პუბლიკას, აგრეთვე მარტოხელებსა და ხანშიშესულებს.

კლიენტების მოზიდვისათვის შეთავაზებულია 3-5 დღიანი კრუიზი. ახალი მეგალაინერები წარმოადგენენ სტანდარტიზირებულ პროდუქტებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან, ერთი მხრივ, ზომიერ ფასებს მიზნობრივი ჯგუფების ფართო დიაპაზონისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, გემების ზომების ზრდის კვალობაზე უარესდება სერვისის ხარისხი. გემების დიდი ზომები მოითხოვს კლიენტების მოთმინებასა და გამძლეობას ზოგიერთი ატრაქციონის და ჩვენების რიგებში ყოფნისას.

**5) შემეცნებითი (სპეციალური, კვლევითი) კრუიზისათვის** მნიშვნელოვანია კულტურული ღირშესანიშნაობები. საექსპედიციო კრუიზი არის მისი ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტი. ასეთი კრუიზის დროს ხშირია იშვიათი ადგილები, როგორცაა არქტიკა, ანტარქტიკა და ა.შ. ამ დროს კრუიზი ტარდება გარკვეული დევიზით (ისტორიული, მხატვრულ-ისტორიული ან გეოგრაფიული). ბაზრის მოცემულ სეგმენტში მოქმედებენ სპეციალური გამყიდველები, რომლებსაც აქვთ მოცემულ სფეროში მუშაობისა და შთამბეჭდავი პროექტების შემუშავების გამოცდილება. დიდ იალქნიან გემებზე მოგზაურობის მოყვარულები აფასებენ ბუნებრივ სანახაობებს კომფორტულ და მოდურ გარემოში, რაც გამოიხატება მომხიბვლელობაში და ბუნებრივ სიმშვიდეში. სპეციალური კრუიზის ერთ-ერთი სახეობაა საზღვაო საექსპედიციო მოგზაურობები, რომლის დროსაც კრუიზის ფორმით ტარდება კვლევები. ამისათვის ხშირად მოითხოვება სპეციალური ყინულმჭრელი და გამძლე კორპუსის მქონე გემები. სპეციალური კრუიზის სახეობა: სანაპირო ზოლის კრუიზი (მაგ: ნორვეგიის სანაპიროები); იახტის კრუიზი; იაფფასიანი კრუიზი; იალქნიანი და საექსპედიციო გემები.

შავი ზღვა არის პოპულარული ტურისტული დანიშნულება, კრუიზის მგზავრებს შეუძლიათ მოინახულონ თურქეთის, უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, რუსეთისა და საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები და ცნობილი ღირშესანიშნაობები. კრუიზის ტურიზმის სულ უფრო მეტ აქტუალურობაზე მიუთითებს

ის, რომ 2000-2010 წლებში კრუიზის გემების შესვლის რაოდენობა გაიზარდა 86-დან 277-მდე, ხოლო კრუიზის მგზავრების რაოდენობა 52 ათასიდან 135 ათასამდე (ცხრილი 1). რეგიონში მომუშავე კრუიზის ოპერატორებია Azamara Club Cruises, AIDA Cruises, MSC Crociere, SWAN Hellenic და Oceania Cruises.

**ცხრილი 1.**

**კრუიზის განვითარება შავიზღვისპირეთში 2000-2010 წლებში**

	კრუიზის გემების შესვლის რაოდენობა	კრუიზის მგზავრების რაოდენობა
2000	86	52.823
2001	99	53.800
2002	123	68.147
2003	266	107.503
2004	326	132.226
2005	249	137.233
2006	335	160.435
2007	334	154.779
2008	273	145.992
2009	217	109.820
2010	277	134.869

წყარო: MedCruise Statistical Report, 2011

Azamara Club Cruises ემსახურება ბაზრის მდიდრულ და კომფორტულ სეგმენტებს. კრუიზი ტარდება ტრადიციულ მარშრუტებზე, ხშირად ალტერნატიულ გზებზე. საფირმო სასაქონლო ნიშანი ვრცელდება ყველა კაიუტაზე. კომპანიის საქმიანობის სტილი შეიძლება შეფასდეს, როგორც „მაღალი კლასის მომსახურება, პატარა გემი და არაჩვეულებრივი მარშრუტები“.

AIDA Cruises წარმოადგენს თანამედროვე კრუიზის ევროპულ ვარიანტს, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს ახალგაზრდულ მიზნობრივ ჯგუფებზე. კომპანია წარმატებით მუშაობს ხმელთა-შუაზღვისპირეთის, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილის და შავიზღვისპირეთის საკრუიზო ხაზებზე. მისი ფლოტი შედგება პრემიუმ და 4 ვარსვლავის სპექტრში მომუშავე 9 კრუიზის გემისაგან. გარდა ამისა დაკვეთილი აქვს 3 გემის მშენებლობა, რომლებიც მიწოდებული იქნება 2016 წლამდე.

შავი ზღვის რეგიონში 18 პორტია, სადაც შედიან კრუიზის გემები. მათ შორის ძირითადია:

**ოდესა** არის უკრაინის მესამე ქალაქი მოსახლეობის მიხედვით. მის პორტში 2012 წელს შევიდა 102 კრუიზის გემი, რომელთა მგზავრების რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა. პოტიომკინის კიბეები წარმოადგენს მის სახეს, ანუ ქალაქის ფორმალურ შესასვლელს ზღვიდან. ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ოპერისა და ბალეტის თეატრი, გაგარინისა და ტოლსტოის სასახლეები, არქეოლოგიური და ხელოვნების მუზეუმები, პასაჟი (სავაჭრო გალერეა), კატაკომბები (მინისქვეშა ხელოვნური ლაბირინთები) და აკერმანის ციხე ბელგოროდ-დნესტროვსკში.

**სოჭი** არის ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე, რუსეთის საკურორტო ქალაქი. 2014 წლისათვის აქ არის დაგეგმილი XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარება. ისტორიული და კულტურული ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია წმინდა მიხეილ მთავარანგელოზის ტაძარი, სტალინის საიდუმლო ვილა, კრასნაია პოლიანას სამთოსათხილამურო კურორტი.

**იალტა** არის სამხრეთ უკრაინის შავი ზღვის საკურორტო ქალაქი. ფყირიმის ნახევარკუნძულის პორტებში 2012 წელს შევიდა 79 კრუიზის გემი, რომელთა მგზავრების რაოდენობამ 60 ათასს გადააჭარბა. იგი ცნობილია ისეთი ისტორიული ძეგლებით, როგორიცაა ლივადიას სასახლე, სადაც 1945 წელს ჩატარდა ცნობილი იალტის კონფერენცია; ქრისტეს აღდგომის ეკლესია; ალექსანდრე ნეველის კათედრალური ტაძარი; ვორონცოვის სასახლე; ციხე-

კოშკი "მერცხლის ბუდე" და სხვა.

**სევასტოპოლი** მდებარეობს ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით. თავდაპირველად მას ახტიარი (თეთრი ფრიალო კლდე) ერქვა. დღევანდელ სახელს 1784 წლიდან ატარებს, რაც ბერძნულად „დიად ქალაქს“ ნიშნავს. ტურისტებისათვის აღსანიშნავია ყირიმის ომის 1855 წლის ალყის პანორამა მუზეუმი და მალახოვის ყორღანი; ქალაქის ფორმალური შესასვლელი ზღვიდან; ნახიმოვის სკვერი; ინკერმანის მღვიმე-მონასტერი, ღვინის ქარხანა და გალერეა; ბალაკლავის რიფი და წმინდა გიორგის მონასტერი; კლდეში გამოკვეთილი ციხე; საიდუმლო საზღვაო ბაზა; ბერძნული ქალაქის ნანგრევები; წმინდა ვლადიმირის საკათედრო ტაძარი; ბახჩისარაის ხანის სასახლე (40 კმ. სევასტოპოლიდან).

**ვარნა** არის ბულგარეთის უდიდესი ზღვისპირა კურორტი და მესამე ქალაქი მოსახლეობის მიხედვით. ტურისტული თვალსაზრისით აქ მნიშვნელოვანია კათედრალური ტაძარი, დრამატული თეატრი, რომაული ფორუმის ნარჩენები, წმინდა ათენასის სამრეკლოს ნარჩენები, 1444 წლის ვარნის ბრძოლის მემორიალი და კალოიანის (ბულგარეთის მეფე) ძეგლი.

**კონსტანცა** – უძველესი ქალაქი აღმოსავლეთ რუმინეთში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 302 ათას კაცს. 2010 წელს მის პორტში შევიდა 58 კრუიზის გემი, რომელთა მგზავრების რაოდენობამ 21 ათასს გადააჭარბა. ქალაქის ღირშესანიშნაობებია წმინდანთა პეტრესა და პავლეს საკათედრო ტაძარი, კათოლიკური ტაძარი, მეჩეთი, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მუზეუმები, კაზინო, ქალაქის ისტორიული მოედანი, აკვარიუმი, დელფინარიუმი, ობსერვატორია. ისტორიული კაზინო და სხვა.

**ბათუმის** სანაპირო ექსკურსიებია გონიო-ავსაროსის ციხე (117-138 წლები), პეტრას ციხე (527-565 წლები), ხელოვნებისა და არქეოლოგიური მუზეუმები, ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი, თეატრი, დელფინარიუმი, აკვარიუმი, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ბათუმიდან შესაძლებელია სანაპირო ექსკურსიების ორგანიზაცია ქუთაისში (ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, გეგუთის ციხე,

სათაფლიას მღვიმური ნაკრძალი და ბალნეოლოგიური კურორტი (წყალტუბო), მცხეთაში (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის ტაძარი, პომპეუსის ხიდი, ბებრისციხე, ბარბარეთის ეკლესია, აკლდამა, არმაზისციხე, ღვთისმშობლის ეკლესია), თბილისში (სამების ტაძარი, მეტეხის ეკლესია, ძველი უბანი, გოგირდის აბანოები, ნარიყალას ციხე, სიონის ეკლესია, ანჩისხატის ეკლესია, მთანმინდის პანთეონი და სხვა), სვანეთში და ა.შ.

საკრუიზო ხაზის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპორტო ქალაქისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორზე, აძლიერებს ბევრ ადგილობრივ ეკონომიკურ ელემენტს. ამას ემატება საკრუიზო გემის მიერ პორტის მომსახურებისათვის გადახდილი თანხები (სანავსადგურე მომსახურების, სალოცმანო გაცილების, საბუქსირე გემების, სანიტარული მომსახურების, წყლის მომარაგების და სხვა). საშუალო ზომის კრუიზის გემი (700 მგზავრით და 400 ეკიპაჟის წევრით) ბათუმის ნავსადგურში შესვლისას აღნიშნული მოსაკრებლების სახით იხდის 36 ათას \$-ს. მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ ღირშესანიშნავი ადგილები, რესტორნები, საცალო ვაჭრობის მაღაზიები და სანაპირო ტუროპერატორები. ვითარდება სანაპირო ზოლის სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი ხელოსნობა და ტრანსპორტის სისტემა. ევროპის კრუიზის საბჭოს გამოკვლევებით 2011 წელს საშუალოდ ერთმა კრუიზის მგზავრმა შესვლის პორტში დახარჯა 62 ევრო, ხოლო გემის ეკიპაჟის წევრმა 21 ევრო. ხშირ შემთხვევაში საკრუიზო ინდუსტრია ხდება შესვლის პორტისა და სახელმწიფოს სხვადასხვა პროგრამების, საქონლისა და მომსახურების შექმნის სტიმული.

საკრუიზო ხაზები აქტიურ მონაწილეობას იღებენ გემების შესვლის პორტების ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც გამოიხატება საინვესტიციო აქტიურობაში და კრუიზის ორგანიზაციის გამოცდილების გაზიარებაში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია აჭარის მთავრობასა და საკრუიზო კომპანია Royal Caribbean-ს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მნიშვნელოვან პერსპექტივებს უქმნის ბიზნესის მოცემულ დარგს.

საკრუიზო ინდუსტრია უზრუნველყოფს დასაქმების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის. კრუიზის გემების ეკიპაჟის 85–90 % დაქირავებულია შრომის საერთაშორისო ბაზარზე. მათში ბევრია უმუშევრობის მაღალი დონის ქვეყნებიდან და მიღებული შემოსავლები წარმოადგენენ ადგილობრივი ეკონომიკური სისტემების გაძლიერების მნიშვნელოვან წყაროს. საკრუიზო გემებზე დასაქმების მეორე დადებითი მხარე არის ფასეული გამოცდილების მიღება, ახალი ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიური საკითხების შესწავლა, სამმართველო და პრაქტიკული უნარების ათვისება, რაც მოსამსახურეს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს წარმატებების მიღწევაში სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

### **ლიტერატურა:**

1. Gibson, P. Cruise Operations Management, Burlington 2006
2. Schulz, A. Auer, J, Kreuzfahrten und Schiffsverkehrim Tourismus, München 2010
3. Carnival Corporation Annual Report, 2012
4. Royal Caribbean Annual Report, 2012
5. The project “Cruise Black Sea” - // [www.blacksea-cruises.com/](http://www.blacksea-cruises.com/)

**მომგებისა და საშემოსავლო გადასახადები  
საზღვარგარეთ და საქართველოში,  
მათი აღრიცხვის სპეციფიკა**

**ყუყუნა ნიკლაური-შენგელია**  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

**ნათია შენგელია**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
სტუ უფროსი მასწავლებელი

**რევაზ შენგელია**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

ბიზნესში გადასახადებს დიდი ყურადღება ეთმობა. ხშირად თუ ამა თუ იმ ქვეყანაში დიდი გადასახადებია - ამან შეიძლება ინვესტორი დააფრთხოს და ინვესტიციის ჩადება გადააფიქრებინოს. გადასახადებს თავისი ადგილი უკავია ასევე ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ბიუჯეტი უპირატესად გადასახადებით ყალიბდება. სტატისტიკის წინასწარი მონაცემებით საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან შემოსულმა თანხამ 2012 წელს 2487,4<sup>1</sup> მლნ ლარი შეადგინა. თუ ბენჯამინ ფრანკლინის პერეფრაზირებას მოვახდენთ : „ გარდაუვალია სიკვდილი და გადასახადები“ <sup>2</sup>.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) I კარის მე-6 მუხლის მიხედვით გადასახადი სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანია ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გამამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. ამასთან საშემოსავლო, მოგებისა (სსკ-კარი#5) და დამატებული ღირებულების გადასახადები (დღგ- სსკ-კარი#6) საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადებია, განსხვავებით ქონების გადასახადისაგან, რომელიც ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება.

საქართველოში ამჟამად საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 %-ით, გარდა “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული “არსებული ხელშეკრულებების” განხორ-

---

1 <http://geostat.ge>

2 <http://www.cnbc.com/id/48054006/page/1>

ციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგებისა, რომელიც იბეგრება 10 %-ით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.<sup>1</sup>

ამერიკული CNBC<sup>2</sup>-ის ვებგვერდზე მეტად საყურადღებოა სტატია „Countries with Zero Income taxes“, რომელშიც საერთაშორისო აუდიტორული კომპანია KPMG-ის მიერ გამოქვეყნებული 2012 წლის 114 ქვეყნის მიმოხილვის საფუძველზე აღნიშნულია ის 10 ქვეყანა, სადაც მოგების/საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ნულის ტოლია. ეს ქვეყნები ბევრი გადასახადის არქონას ეტყობა ბუნებრივი რესურსების -გაზისა და ნავთობის დიდი რაოდენობით მოპოვებიდან მიღებული შემოსავლებით აბალანსებენ :

1) **გაერთიანებული არაბთა ემირატები** (გაე-1 სულ მოსახლეზე შემოსავალი-\$ 49000)-მოგების გადასახადი 0% -ია, მაგრამ უცხოური კომპანიებისათვის შეიძლება მერყეობდეს 55%-დან.

2) **კატარი** (მშპ 1 სულზე-\$ 102800)-აქ გადასახადები არაა პერსონალურ შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე, დივიდენდზე, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მათ თავიანთი შემოსავლიდან ზოგადად 5% უნდა გაიღონ სოციალური მიზნებისათვის.

3) **ომანი** - მოგების გადასახადი ნულია, გარდა იმისა, რომ ისინი თავიანთი ხელფასებიდან 6,5%-ს იხდიან ასევე სოციალური მიზნებისათვის;

4) **ქუვეითი** - მოგების გადასახადი 0%-ია(ხელფასიდან 7.5% -სოციალური უსაფრთხოებისათვის); 5) **კაიმანის კუნძულები**;

6) **ბაჰრეინი**;

7) **ბერმუდა**;

8) **ბაჰამა** ;

9) **საუდის არაბეთი** -საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ნულია, თუმცა ზოგიერთი თვითდასაქმებულებისათვის -20%;

10) **ბრუნეი**-საშემოსავლო გადასახადი ხელფასზე-0 %, თუმცა სოციალური მიზნებისათვის -5 % -ით განისაზღვრება(იხილეთ ქვემოთ ცხრილი 1- საგადასახადო განაკვეთები მსოფლიოში, რომელიც მომზადებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია KPMG-ის მიერ ).

---

1 <http://www.gsscode.ge/gsscode/share.aspx?Command=DisplayCommand&DisplayMode=Index&BaseID=238288&ItemID=238405&ModifierID=345033&CurrentState=0&Date=01072013&Info=1CC6B797>

2 <http://www.cnbc.com://www.cnbc.com/id/48054006/page/1>

ცხრილი 1

კორპორაციული საგადასახადო განაკვეთი (მოგების გადასახადი)<sup>1</sup>

ქვეყანა	2008	2009	2010	2011	2012	2013
სომხეთი	20	20	20	20	20	20
აესტრალია	30	30	30	30	30	30
აესტრია	25	25	25	25	25	25
ბაჰრეინი	0	0	0	0	0	0
ბელარუსია	24	24	24	24	18	18
ბერმუდა	0	0	0	0	0	0
ბონინია-ჰერცოგოვინა	10	10	10	10	10	10
ბრაზილია	34	34	34	34	34	34
კაიმანის კუნძულები	0	0	0	0	0	0
ჩინეთი	25	25	25	25	25	25
ეგვიპტე	20	20	20	20	25	25
საფრანგეთი	33.33	33.33	33.33	33.33	33.33	33.33
საქართველო						15
გერმანია	29.51	29.44	29.41	29.37	29.48	29.55
საბერძნეთი	25	25	24	20	20	26
ჰონ-კონგი	16.5	16.5	16.5	16.5	16.5	16.5
ინდოეთი	33.99	33.99	33.99	32.44	32.45	32.45
ირლანდია	12.5	12.5	12.5	12.5	12.5	12.5
ისრაელი	27	26	25	24	25	25
იტალია	31.4	31.4	31.4	31.4	31.4	31.4
იაპონია	40.69	40.69	40.69	40.69	38.01	38.01
თურქეთი	20	20	20	20	20	20
უკრაინა	25	25	25	25	21	19
დიდი ბრიტანეთი	30	28	28	26	24	23
აშშ	40	40	40	40	40	40
ევროპის საშ. მაჩვ.	<b>22</b>	<b>21.7</b>	<b>21.52</b>	<b>20.88</b>	<b>20.5</b>	<b>20.67</b>
გლობალური საშ. მაჩვ.	<b>26.12</b>	<b>25.4</b>	<b>24.71</b>	<b>24.52</b>	<b>24.43</b>	<b>24.08</b>

თუ ცხრილი 1 მიხედვით შევადარებთ საქართველოს გადასახადების მაჩვენებელს სხვა ქვეყნებს, ან, მაგალითად, ევროპისა და გლობალურ საშუალო მაჩვენებელს, მაშინ მოგების გადასახადი საქართველოში აშკარად ნაკლებია, 15 % < 20.67%, 24.08 %-2012-2013 წლებში.

1 <http://www.kpmg.com/GLOBAL/EN/SERVICES/TAX/TAX-TOOLS-AND-RESOURCES/Pages/corporate-tax-rates-table.aspx>

ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი<sup>1</sup>

ქვეყანა	2008	2009	2010	2011	2012	2013
სომხეთი	20	20	20	20	25	2
ავსტრალია	45	45	45	45	45	45
ავსტრია	50	50	50	50	50	50
ბაჰრეინი	0	0	0	0	0	0
ბერმუდა	0	0	0	0	0	0
ბრაზილია	27.5	27.5	27.5	27.5	27.5	27.5
კაიმანის კუნძულები	0	0	0	0	0	0
ჩინეთი	45	45	45	45	45	45
საფრანგეთი	40	40	41	41	45	45
საქართველო	25	20	20	20	20	0
გერმანია	45	45	45	45	45	45
საბერძნეთი	40	40	45	45	45	42
ინდოეთი	30	0	30	30	30	30
ირლანდია	41	46	47	48	48	48
ისრაელი	47	46	45	45	48	50
იტალია	43	43	43	43	43	43
იაპონია	50	50	50	50	50	50
კატარი	0	0	0	0	0	0
რუსეთი	13	13	13	13	13	13
სინგაპური	20	0	20	20	20	20
თურქეთი	35	35	35	35	35	35
გაერთიანებული არაბთა საემირატოები	0	0	0	0	0	0
დიდი ბრიტანეთი	40	40	50	50	50	50
აშშ	35	35	35	35	35	39.6
ევროპის საშ. მაჩვ.	34.76	34.4	34.9	34.67	34.94	35.43
გლობალური საშ. მაჩვ.	31.9	31.41	31.71	31.29	31.91	3208

1 <http://www.kpmg.com/Global/en/services/Tax/tax-tools-and-resources/Pages/individual-income-tax-rates-table.aspx>

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, ესეც საგრძნობლად ნაკლებია ცხრილი 2-ში მოცემულ ევროპისა და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით- 20 % < 35.43%, 32,08 %. მაგრამ ქვეყნების მიხედვით თუ შევადარებთ, ზოგან ძალიან მაღალია, მაგ.ამერიკაში -40 %-კორპორაციული გადასახადი ზოგადად, ხოლო გაერთიანებული არაბთა საემირატო- დუბაიში -0 %. საწარმოები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკას წარმართავენ ფასს-ების მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ, როგორც ცნობილია, საგადასახადო კანონმდებლობა ყველა ქვეყანაში არ ემთხვევა ფასს-ის მოთხოვნებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება განსხვავება სააღრიცხვო (საფინანსო) და საგადასახადო მოგებას შორის. ასე მაგალითად, საგადასახადო მიზნებისათვის ძირითად საშუალებებთან მიმართებაში გამოიყენება ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმები; არსებობს ზოგიერთი ხარჯების აღიარების საგადასახადო შეზღუდვები (წარმომადგენლობითი, საპროცენტო, რემონტის ხარჯის და სხვა), ხოლო ზოგიერთი ხარჯი საერთოდ არ აღიარდება საგადასახადო მიზნებისათვის (გართობაზე გაწეული ხარჯები, საექვო ვალები, პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, არაეკონომიკური დანიშნულების, საბიუჯეტო საგადასახადო ჯარიმები და სხვ.)<sup>1</sup>. მაგრამ, ყველა შემთხვევაში საგადასახადო და სააღრიცხვო მოგება გაიანგარიშება ფორმულით:

**მოგება (ზარალი) = შემოსავლები - ხარჯები**

სააღრიცხვო მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა დარიცხვის და შესაბამისობის პრინციპით აღიარებულ შემოსავლებისა და ხარჯების საბალანსო ღირებულებებს (ბაზა) შორის. სააღრიცხვო მოგება არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება(ზარალის) თანხა მოგების გადასახადის გამოქვითვამდე<sup>2</sup>. ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ არეგულირებს მოგების გადასახადის აღრიცხვას. საგადასახადო მოგება (ზარალი) სსკ-ით გათვალისწინებული წესებით გამოთვლილი მოგებაა საგადასახადო სიდიდეების ბაზაზე, რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გაანგარიშება.

---

1 სსკ-მუხლი 106-თავი-# 15

2 „ბუღალტრული აღრიცხვა“ - ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ.გოგრიჭიანი

- აქტივის საგადასახადო ბაზაა ის თანხა, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიქვითება აქტივიდან წარმოქმნილი სამომავლო ეკონომიკური სარგებლიდან. თუ აღნიშნული სარგებელი არ დაექვემდებარა დაბეგვრას, მაშინ საგადასახადო ბაზა აქტივის საბალანსო ღირებულების ტოლი იქნება.

- ვალდებულების საგადასახადო ბაზა (Tax Base-TB) არის ის საბალანსო ღირებულება (Carrying Value-CV), შემცირებული იმ ოდენობით, რომელიც მომავალში გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისათვის(Future Value-Fv) :  $TB= CV- Fv$

მაგალითად, მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს დარიცხულ(საპროცენტო )ხარჯებს საბალანსო ღირებულებით -1000 ლარი. დაკავშირებული ხარჯი საგადასახადო კუთხით გამოიქვითება საკასო მეთოდით. ე.ი. ხარჯები აღიარებულია , საგადასახადო შედეგი კი არა. საგადასახადო ბაზა ნულის ტოლია = 1000 (საბალანსო ღირ.) - 1000 (მომავალში შესამცირებელი გამოსაქვითი თანხა) ;

ავანსად მიღებული ამონაგების დროს წარმოქმნილი ვალდებულების საგადასახადო ბაზა იქნება ვალდებულების საბალანსო ღირებულება, შემცირებული იმ ამონაგების ოდენობით, რომელიც არ დაიბეგრება მომავალ პერიოდებში.

ბალანსში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობას დროებითი სხვაობა ეწოდება, რომლის აღიარება გადავადებულია რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდით და ბალანსში აისახება როგორც გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება იმისდა მიხედვით ეს სხვაობა მომავალში დასაბეგრია თუ გამოსაქვითი.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების წარმოქმნა აისახება გატარებით:

- 1) გადავადებული საგადასახადო ვალდებულება გატარდება :  
დებეტი 9210 სააღრიცხვო მოგების გადასახადი  
კრედიტი 4210 გადავადებული მოგების გადასახადი
- 2) გადავადებული საგადასახადო აქტივი გატარდება:  
დებეტი 2340 გადავადებული საგადასახადო აქტივი  
კრედიტი 9210 სააღრიცხვო მოგების გადასახადი

**ღარბობრივი აქონების**

3) საგადასახადო ხარჯი= საგადასახადო მოგების გადასახადი + გადავადებული საგადასახადო ვალდებულება- გადავადებული საგადასახადო აქტივი;

მაგალითად : კომპანიამ „Computer Service“ თავის 6000 ლარის ღირებულების ავტომობილს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკით დაარიცხა ცვეთა -25 %, ხოლო სსკ-ის მიხედვით- 20 %. ვივარაუდოთ რომ სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე იყო 10 000ლ.

CV TB დროებითი სხვაობა  
 $6000-(6000 \times 25 \%)^* = 4500$  ლ.  $6000-(6000 \times 20\%)^{**} = 4800$  ლ. **300 ლ**

**ცხრილი N 3**  
**მოგების გადასახადის გაანგარიშების ცხრილი**

მაჩვენებლები (ლარში)	1 წელი	
	საგადასახადო კოდექსით	ფინანსური აღრიცხვით
მოგება ცვეთის გამოკლებამდე	10 000	10 000
ცვეთის თანხა	1 200**	1 500*
დასაბეგრი მოგება	8 800	8 500
მოგების გადასახადი (15%)	1 320	
დროებითი სხვაობა		( 300)
გადავადებული საგადასახადო აქტივი (300 X 15%)		(45)
საგადასახადო ხარჯი		1275 (1320-45)
წმინდა მოგება		7 225

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების წარმოქმნა აისახება გატარებით:

- 1) გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება :  
 დებეტი 2340 გადავადებული საგადასახადო აქტივი 45  
 კრედიტი 9210 სააღრიცხვო მოგების გადასახადი 45

2) მოგების გადასახადის დარიცხვა :

დებეტი 9210 სადარიცხო მოგების გადასახადი 1320

კრედიტი 3310 გადასახადელი მოგების გადასახადი 1320

3) მოგების მიმდინარე გადასახდელის გადახდა :

დებეტი 3310 გადასახადელი მოგების გადასახადი 320

კრედიტი 1210 ფული ბანკში 320

ზოგადად მოგების გადასახადს საქართველოში იხდიან ავანსად -კვარტალურად ,ანუ იყოფა 4 ნაწილად. მაგ. თუ 2012 საანგარიშგებო წლის განმავლობაში სულ გადახდილი მოგების გადასახადის მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების ჯამი ნაკლები აღმოჩნდება უკვე 2012 წლის გამოანგარიშებულ მოგების გადასახადზე (2012 წლის მოგება გაიანგარიშება და მოგების წლიური დეკლარაცია ბარდება 2013 წლის 1 აპრილამდე) , მაშინ ეს სხვაობა უნდა გადახდილ იქნეს დეკლარაციის ჩაბარებისას და ამით მთლიანად შესრულდება 2012 წლის მოგების საგადასახადო ვალდებულება. 2013 წელს ისევ დაიწყება წინა წლის მოგების გადასახადის შესაბამისად მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების გადახდა კვარტალურად (4 ნაწილად- 15 მაისამდე, 15 ივლისამდე, 15 სექტემბრამდე, 15 დეკემბრამდე) 2013 წლისათვის.

დიდი კომპანიებში მოგების გაანგარიშებისას ხარჯების დიდი ნაწილია შრომის ანაზღაურება ,ანუ ხელფასის ხარჯი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ხელფასზე ამჟამად 20 %-ია. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2013 წლიდან შემოღებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმის ცნება დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას, რაც წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებიდან 1 800 ლარს შეადგენს. 2013 წლიდან აღნიშნული შეღავათით ისარგებლებენ ის პირები, რომელთა დაქირავებით მიღებული შემოსავალი წლის გამავლობაში არ აღემატება 6000 ლარს.

განვიხილოთ ხელფასთან დაკავშირებული ბუღალტრული გატარებები:

1) ხელფასის დარიცხვა

დებეტი - 7410 შრომის ანაზღაურება / ხელფასის ხარჯი 125 ლ.

კრედიტი - 3130 გადასახდელი ხელფასები 125 ლ.

2) საშემოსავლო გადასახადის დაკავება (125\*20 %) :

დებეტი- 3130 გადასახდელი ხელფასები 25 ლ.

კრედიტი - 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 25 ლ.

3) საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვა:

დებეტი- 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 25 ლ.

კრედიტი- 1210 ფული ბანკში 25 ლ.

4) ხელფასის გაცემა

დებეტი- 3130 გადასახდელი ხელფასები 100 ლ.

კრედიტი- 1210/1110 ფული ბანკში/სალარო 100 ლ.

ამრიგად, მოგების და საშემოსავლო გადასახადების მნიშვნელობა ბიზნესში უაღრესად დიდია და ის შეიძლება საინვესტიო გარემოს გადამწყვეტი ფაქტორიც კი იყოს. ამასთან მეტად საყურადღებოა გადასახადების ფინანსურად სწორად აღრიცხვა , რომლის შესახებაც ინფორმაცია თავს იყრის ფინანსური ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება კი , თავის მხრივ, ბაზისია ინვესტორისა თუ სხვა მრავალი მომხმარებლისათვის ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად.

## **საკრუიზო ტურიზმი - თავისებურებები, არსებული კვლევარეობა და განვითარების პერსპექტივები**

**მედეა ქავთარაძე**

ედ, ბათუმის საზღვაო აკადემიის  
ასოცირებული პროფესორი

**ნათია ბუჟანიძე**

ედ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

კრუიზების ორგანიზება XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება, ხოლო საკრუიზო ტურიზმის აქტიური განვითარება - XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, თუმცა, საზღვაო მოგზაურობები ცნობილია უძველესი დროიდან.


კრუიზი წარმოადგენს საზღვაო ტურს, რომლის საბაზრო დირებულებაში შედის კომპლექსური მომსახურება გემზე, კერძოდ: გემით მგზავრობის, კაიუტაში ცხოვრების (არჩეული კლასის შესაბამისად), სამჯერადი კვების, გართობის და, როგორც წესი, მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებები აღნიშნულ გემზე. დღეისათვის საზღვაო საკრუიზო ბაზარზე არსებული სიტუაცია გვიჩვენებს, რომ სერვისი საკრუიზო გემებზე მნიშვნელოვნად იცვლება, კლიენტთა განახლებული მოთხოვნების შესაბამისად. ეს ეხება როგორც კვების განსაკუთრებულ სისტემას, ასევე გასართობ პროგრამებს. კრუიზი გულისხმობს არა მხოლოდ ზღვით მოგზაურობას და სრულყოფილ დასვენებას, არამედ ითვისების წინებს სხვადასხვა ქვეყნის ნავსადგურებში გემით შესვლას, იქ ექსკურსიების ორგანიზებას და სხვ.

საკრუიზო ტურიზმი მიეკუთვნება ტურიზმის სპეციფიკურ სახეობას, რამდენადაც იგი ტურიზმის ერთ-ერთი საკმაოდ შრომატევადი და კაპიტალტევადი სახეობაა, რომელიც თავის თავში მოიცავს ტურიზმის რამდენიმე სახეობას - რეკრეაციულს, სპორტულს, სამკურნალო-გამაჯანსაღებელს, შემეცნებითს და ა.შ..

ძირითადი მახასათებელი, რაც განასხვავებს კრუიზს სხვა ტურებისგან - არის ის, რომ საკრუიზო ხომალდი წარმოადგენს ადამიანთა ერთიანად გადაადგილების, ცხოვრების, კვების, დასვენების

საშუალებას. ამიტომ თანამედროვე საკრუიზო ლაინერის ინფრასტრუქტურა უნდა პასუხობდეს ყველა აუცილებელ მოთხოვნას მგზავრებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად.

XX საუკუნის დასასრულს საკრუიზო ინდუსტრია ტურიზმის ინდუსტრიაში ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებად სექტორად იქცა. დღეისათვის საკრუიზო ტურიზმი იკავებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან სოციალურ - ეკონომიკური დარგების სიაში. საკრუიზო ნაოსნობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს სამი ძირითადი ფაქტორი: მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მრავალფეროვნებისაკენ მისწრაფება და სამგზავრო ფლოტის განვითარების ადეკვატურობა. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა (CLIA-ს შეფასებით) გვიჩვენებს, თუ როგორია ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის აუზში მგზავრთნაკადების დინამიკა 2001-2010წლებში.



ნახ.1. აშშ-ს და კარიბის აუზის მგზავრთნაკადების დინამიკა

ცხრილი №1 -ს მონაცემები ასახავს მსოფლიოს მასშტაბით ტურისტულ მიმართულებათა პოპულარობას მგზავრებს შორის.

**ცხრილი №1.**

**საკრუიზო მიმართულებების პოპულარობა ინდუსტრიის ლიდერებს შორის 2006 – 2010 წლებში**

მიმართულება	კაც/დღეების საერთო რიცხოვნობა				
	2006	2007	2008	2009	2010
კარიბები	31956	32162	30786	30940	36272
ხმელთაშუაზღვისპირეთი	10504	14748	16271	17536	18538
ალიასკა	6356	6927	6968	6864	5959
ბაჰამის კუნძულები	6073	4634	3477	4699	6795
მექსიკა	5214	5948	6451	5529	4947
ევროპა	6800	6798	7592	8739	9029
ბერმუდს კუნძულები	1388	1285	1266	1263	1502
ტრანსატლანტიკური	1467	2209	2830	2560	2691
ჰავაის კუნძულები	2885	3826	3031	1858	1770
აზია	611	431	557	724	1145
აფრიკა	43	25	59	176	160
მისისიპი	0	169	137	0	0
სამხრეთ აფრიკა	1446	2129	2676	3370	2348
ანტარქტიდა	197	260	285	217	236
სხვა	196	158	449	565	714
ჯამი	75136	81709	82835	85040	92106

მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ საზღვაო კრუიზებს შორის ყველაზე მეტი პოპულარული მიმართულება ბოლო წლების განმავლობაში კარიბის აუზია, მეორე ადგილზეა - ხმელთაშუაზღვისპირეთი, შემდეგ მოდის ევროპა, ბაჰამის კუნძულები, ალიასკა, მექსიკა. საკრუიზო კომპანიების მარკეტინგული განყოფილებები სისტემატურად ატარებენ კვლევებს ტურისტ-

ტების დაინტერესებულობის საგანზე ამა თუ იმ ქვეყანასთან მიმართებაში. კრუიზის მიმართულების არჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიგ ფაქტორებს:

- **საპორტო ქალაქების ბუნებრივი და კულტურული რესურსები.** რამდენადაც ვიზიტები ნავსადგურში, ხშირ შემთხვევაში, შეზღუდულია დროში - დაახლოებით რვიდან ათ საათამდე, ამდენად, აღნიშნული აქტივების გამოყენება გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დათვალიერება შესაძლებელია მოცემული დროის ინტერვალში;

- **საპორტო მოწყობილობები** - უზრუნველყოფენ ტურისტების გემიდან გადმოსხდომისა და ჩასხდომის ხელმისაწვდომობას და მოხერხებულობას. რამდენადაც მგზავრთა გარკვეული რაოდენობა შესაძლოა იყოს ასაკოვანი ადამიანები ან შეზღუდული უნარების მქონენი, ამდენად ჩასხდომა-გადმოსხდომის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგიერთ ნავსადგურებს არ გააჩნიათ ღირსეული საზღვაო სამგზავრო ნავმისადგომები, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. „ტენდერინგი“ (ინგლ. „tender boat“ – „შლუბკა“, მცირე ზომის ძრავიანი ნავი). მგზავრები ჯგუფებად გადაჰყავთ გემის ღუზაზე დგომის ადგილიდან ნაპირამდე. ასეთი პროცედურა ქმნის მრავალი სახის უხერხულობას, მაგალითად, ამინდის პირობებზე დამოკიდებულებას, შეზღუდული უნარების მქონე მგზავრებთან დაკავშირებით გარკვეულ სირთულეებს. ტურისტების ხმელეთზე ყოფნა ასევე იზღუდება „ტენდერინგით“, რადგან გემის გასვლამდე დიდი ხნით ადრე წარმოიქმნება რიგები ნაევში ჩასასხდომად.

- **გეოგრაფიული მდებარეობა - ჩასხდომის პორტის ადგილმდებარეობა და სხვა ნავსადგურებთან სიახლოვე.** საკრუიზო კომპანიების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს იმ ნავსადგურებს, სადაც არსებობს შესაძლებლობა მთელი დღე, და, თუ შესაძლებელია, საღამოც გატარებულ იქნეს ნავსადგურში. ნავსადგურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს (დაახლოებით 20 კვანძის სიჩქარით) - და მომდევნო ნავსადგურში გადასვლა უფრო სწრაფად ხდება. კრუიზები, სადაც ზღვაში გატარებული დღეების რაოდენობა ნაკლებია, უფრო მეტი მოთხოვნით სარგებლობს ვიდრე ის, სადაც არსებობს 2-3- დღიანი გადასვლები ნავსადგურებს შორის.

- **უსაფრთხოება** - ყოველი ნავსადგურის მნიშვნელოვანი პირობაა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ადგილებს, სადაც უშუალოდ ხდება ხომალდის ნავმისადგომთან მიდგომა და ტრაპის მიმაგრება.

- **განვითარებული ინფრასტრუქტურა** - ავტობუსების, გიდების, პოლიციის, საპირფარეშოების საკმარისი რაოდენობა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ წმინდა ტომასის კუნძული კარიბის აუზში, სადაც ერთდროულად შეიძლება თორმეტი სამგზავრო ლაინერის მიღება.

- **საკვებით უზრუნველყოფა**. ზოგიერთი საკრუიზო მარშრუტებისათვის საკვები პროდუქტებით, სასმელი წყლით და ა.შ. უზრუნველყოფა ხორციელდება ტურისტულ პორტებში, ეს დამახასიათებელია შედარებით ხანგრძლივი ტურებისათვის. თუმცა ამჟამად ყველა საკრუიზო ხაზებზე ესწრაფვიან ჩასხდომის პორტში დატვირთვას ყოველივე აუცილებელით, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილებისა და დატვირთვის დროის ეკონომიის მიზნით.


- **საპორტო მოსაკრებლები** - კონკურენტულ გარემოში, საკრუიზო ხაზები ზოგჯერ „განაწყობენ“ ნავსადგურებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ - თუ ერთ პორტს დოკზე დაყენების მოსაკრებელი ძალიან მაღალია აქვს, გემები ირჩევენ სხვა პორტს, ზოგჯერ ქვეყნისავე კი.

- **მარკეტინგი**. კრუიზების უმრავლესობა იყიდება როგორც მომსახურებების ერთიანი პაკეტი (დანიშნულების პორტებში შესვლა, განხორციელებული ღონისძიებები ხომალდზე, ნაწილობრივ ხმელეთზე და სხვ.), თუმცა განსაზღვრულ კრუიზებს შეუძლიათ ამ ფორმულის სახეცვლილება, სპეციალიზებულ ბაზარზე გაყიდვის მიზნით (მომხმარებელთა სპეციალიზებული სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე - ლათინური მუსიკის, აზარტული თამაშების მოყვარულები, დრავიერები, ოჯახური წყვილები) შედარებით შესაფერის მარშრუტებზე.

მსოფლიო საკრუიზო ბაზარი ხასიათდება კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონით, აღნიშნული ბაზრის მნიშვნელოვანი წილი განაწილებულია რამდენიმე მსხვილ კომპანიას შორის, კერძოდ: „Carnival Group“, „Royal Caribbean Cruises“ და „NCL“. ისინი

აკონტროლებენ მთელი საკრუიზო ფლოტის მგზავრთტევადობის 85%-ს.

### საკრუიზო ბაზრის ლიდერები



ნახ. 2. საკრუიზო ბაზრის ლიდერები

მსოფლიოს საკრუიზო ნაოსნობის ბაზარზე გლობალური მოთხოვნის სტრუქტურაში ყველაზე მეტი მგზავრების რიცხვი მოდის აშშ-ზე (ყველა მგზავრის საერთო რიცხოვნობის ნახევარზე მეტი), აგრეთვე, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაზე. შესაბამისად, საკრუიზო ტურიზმი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ ქვეყნების ეკონომიკაში. მაგალითად, საკრუიზო გადაზიდვებიდან შემოსავლებმა აშშ-ში 2010 წელს 1997 წელთან შედარებით შეადგინა 28 მლრდ დოლარი. საკრუიზო კომპანიების რაოდენობის საშუალო წლიური ზრდა აღწევს 10%-ს. საკრუიზო ნაოსნობის ინდუსტრია აშშ-ში 200 ათას სამუშაო ადგილს აჭარბებს და დასაქმებულთა რიცხოვნობაც ეკონომიკის ამ სექტორში სისტემატურად იზრდება. ხოლო რაც შეეხება ევროპას მთლიანად, აქ საზღვაო მოგზაურობებისა და ტურიზმის წვლილი ხასიათდება ზრდის ტენდენციით და 2012 წელს მშპ-ში იგი შეადგენს 1.720.2 მლნ დოლარს (მშპ 7,9%). საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით, ეს ციფრი 2022 წლისათვის კიდევ უფრო გაიზრდება და შეადგენს 2.177.5 მლნ დოლარს.

როგორც ვხედავთ, საზღვაო მოგზაურობები ტურისტებისათ-

ვის მეტად მიმზიდველია. ამიტომაც მსოფლიო საკრუიზო ბაზარი ბოლი წლებში განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. მაგალითად, 2010-2011 წლებში კრუიზების მგზავრთა საერთო რიცხოვნობა გაიზარდა 18,7 მლნ-დან 20,6 მლნ-მდე., აქტიურად მიმდინარეობს საკრუიზო ბიზნესის რესტრუქტურირაცია: ერთმანეთზე მიყოლებით ექსპლუატაციაში შედის ახალი გიგანტური ხომალდები, ხორციელდება საკრუიზო კომპანიების შერწყმა, მიმდინარეობს ახალი ტერიტორიების ათვისება და საკრუიზო კომპანიებს შორის აქტიური კონკურენცია. ტურისტის მიერ კრუიზის, როგორც დასვენების სახეობის, შერჩევის დროს ძირითად უპირატესობას წარმოადგენს გამარტივებული სავიზო სისტემა, ტურისტს ესაჭიროება მხოლოდ იმ ქვეყნის ვიზის მიღება, სადაც ხდება გემზე ჩასხდომა. ნავსადგურების მიერ გემის მიღება ხდება გემის დოკუმენტაციის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ეროვნების ადამიანი იმყოფება აღნიშნულ ხომალდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება მგზავრების რაოდენობასა და კრუიზის ხანგრძლივობას შორის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად კრუიზებად, ითვლება 6-დან 8- დღემდე ხანგრძლივობის მოგზაურობები.

ცხრილი №2

**მგზავრების რაოდენობასა და კრუიზის ხანგრძლივობას შორის ურთიერთდამოკიდებულება**

	მგზავრები, ათასი კაცი		ზრდა, %
	1990	2010	
2-5 დღე	1,434	4,030	181,0
6-8 დღე	1,966	<b>7,895</b>	301,6
9-17 დღემდე	358	2,662	643,6
18+ დღე	16	231	1343,8
ჯამი	3,774	14,819	292,7

საინტერესოა, აგრეთვე, ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში საკრუიზო გემების შემოსვლისა და მგზავრთნაკადების დინამიკა

ცხრილი №3

**საკრუიზო გემების შემოსვლისა და მგზავრთნაკადების დინამიკა 2009-2012 წლებში**

	2009		2010		2011		2012	
საკრუიზო გემებისა და მგზავრთნაკადების რაოდენობა	10	4127	10	3127	8	2564	18	3007

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში საკრუიზო გემებიდან მგზავრთნაკადის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს 2009 წელთან შედარებით იგი შემცირდა 25%-ით, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა 17,2 %-ით, აღნიშნული ზრდა ვერ ჩაითვლება მგზავრთნაკადების პროგრესულ განვითარებად.

მსოფლიო საკრუიზო ბაზრის დინამიური ზრდა განაპირობებს ამ სფეროში მოღვაწეობისადმი დაინტერესებას, როგორც ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მხრიდან, რომელსაც გააჩნია სამგზავრო ტერმინალი და მნიშვნელოვანი ზომების საკრუიზო გემების მიღების შესაძლებლობა, ასევე პოტენციური საკრუიზო ოპერატორების და ტურისტული კომპანიების მხრიდანაც.

სამწუხაროდ, საკუთარი ფლოტის არქონის გამო ჩვენი ქვეყნის ნავსადგურები საერთაშორისო საკრუიზო ოპერატორების მიერ განიხილება მხოლოდ როგორც სატრანზიტო პორტები, ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულების რეისებისათვის. ასეთ პირობებში, საკრუიზო ბაზრის განვითარების არსებით კანონზომიერებას წარმოადგენს მიზნობრივი ინვესტიციების განხორციელება, სხვადასხვა სახის ინოვაციების ფართო გამოყენება და ეფექტური მენეჯმენტი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Бабкин А.В. Специальные виды туризма. - Ростов-на-Дону: Феникс.
2. Зорин И.В., Каверина Т.П. Менеджмент туризма: туризм как вид деятельности. М.: Финансы и статистикаю.
3. Косолапов А.В., Руденко Л.Л. Мировой туризм. – Спб.: Нева, 2004.
4. Холлоуей Дж. К., Тейлор Н. Туристический бизнес: Пер. С англК.: Знания.
5. Review of maritime transport 2009. UN: New York, Geneva, 2009
6. Peisley T. Global Changed in the Cruise Industry 2003-2010, Seatrade Communications, 2003.
7. Berger A. Review of Ocean Travel and Cruising: a Cultural Analysis, The Haworth Hospitality Press, 2004.

## მარაგები და მათი უზრუნველყოფის გამართლებების მეთოდები

ერეკლე სოლომნიშვილი  
თსუ დოქტორანტი

დღესდღეობით ფირმებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარაგების მართვის პრობლემების კვლევა. ოპტიმალური სასაწყობო ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწარმოებელი ინდუსტრიისათვის. როგორც წესი, ასეთ ორგანიზაციებში მარაგი ბალანსის 10-15% შეადგენს. მაშასადამე, მარაგის ოპტიმალური მართვა, ხარჯების დაზოგვის დიდ პოტენციალს მოიცავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარაგების ეფექტიანი მართვა გადამწყვეტია იმისათვის, რომ მათში განხორციელებული ინვესტიცია სარგებლიანი იყოს. ფირმებმა მარაგის ინვესტიციის ოპტიმალური მოცულობა შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით უნდა განსაზღვრონ: 1. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მარაგების ოპტიმალური მოცულობის შესაბამისობა მასზე არსებულ მოთხოვნასთან; 2. მარაგის ინვესტიციასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი საქონლის ჩაერთოს კალკულაციაში; 3. მარაგის ინვესტიციების მოცულობის ოპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს გადასახადების გავლენის გათვალისწინებით. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ორგანიზაციები შემდეგი დილემის წინაშე დგანან: ერთი მხრივ, კომპანიას სურს განახორციელოს ინვესტიცია მარაგში (საქონელში), რათა ამ მარაგიდან მოხდეს ცვალებადი მოთხოვნის დაკმაყოფილება. მეორე მხრივ, ასეთი ინვესტიცია დაკავშირებულია საინვესტიციო ხარჯებთან. ამავე დროს საქონლის შესასყიდი და გასაყიდი ფასი ექვემდებარება ცვლილებას, რაც გავლენას ახდენს ინვესტიციის სარგებლიანობაზე.

მარაგების ცნებაში იგულისხმება ნედლეული, დამხმარე მასალები და საწარმოო დანიშნულების მასალები, დაუსრულებელი პროდუქტები და დაუსრულებელი სამუშაოები, მზა პროდუქტები და საქონელი. ნედლეული, დამხმარე მასალები და საწარმოო დანიშნულების მასალები წარმოადგენს ნაყიდ სამომხმარებლო საქ-

ონელს, რომლებიც ირიბად ან პირდაპირ შედის პროდუქტებში. მისგან განსხვავებით თვით წარმოებული ნედლეული, დამხმარე მასალები და საწარმოო დანიშნულების მასალები დაუსრულებელ პროდუქტებში აისახება. ისინი ჯერ არ არის გაყიდვისათვის მზა საქონელი, რომლებიც საწარმოში დამუშავდება ან გადამუშავდება, რისი საშუალებითაც წარმოიშვება პირდაპირი ხარჯები საწარმოო სამუშაოებისთვის და ასევე საერთო (ზედნადები) ხარჯები.<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების განევა საბოლოო აღრიცხვის ჩატარების დღისთვის სრულად არ განხორციელდება ან შეკვეთები არ არის დასრულებული, აღრიცხვა ხორციელდება პოზიციამი - დაუსრულებელი სამუშაოები.<sup>2</sup>

ეკონომიკურ ლიტერატურაში სასაწყობო მარაგის ცნება ზოგჯერ არ არის ან სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ამიტომ ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაცია - ნედლეული, დამხმარე მასალები და საწარმოო დანიშნულების მასალები, დაუსრულებელი პროდუქტები და დაუსრულებელი სამუშაოები, მზა პროდუქტები, საქონელი და განხორციელებული ავანსები, საგადასახადო ბალანსისთვისაც მნიშვნელოვანია. მწარმოებელი საწარმოებისთვის, ნედლეული, დამხმარე მასალები, საწარმოო დანიშნულების მასალები, ასევე დაუსრულებელი და მზა პროდუქტები მნიშვნელოვან პოზიციებს ქმნის ბალანსში. მისგან განსხვავებით, სავაჭრო საწარმოებს ახასიათებს სავაჭრო საქონელი.

მარაგების აქტივების შეფასებისათვის გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ ყველა აქტივის ღირებულება უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე მათი ყიდვის დროს განეული და საწარმოო ხარჯებით.<sup>3</sup> ყიდვის დროს განეულ ხარჯებს მიეკუთვნება შეძენის ფასი, შეძენასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (მაგალითად ტრანსპორტირება) და შემდგომი ხარჯები. შეფასების დროს ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას ფასდაკლებები და პრემიები.<sup>4</sup>

1 Sead.Smidt/labrenc (2009), Beck-ის ანგარიშგების სახელმძღვანელო, პუნქტი 87.

2 Sead.hundsdoerfer(2009), წლიური ბალანსის სახელმძღვანელო, გვ. 5.

3 Sead.baetge/qirS/Tile (2007), გვ. 369.

4 Smidt/labrenc (2009), Beck-is angariSgebis saxelmZRvanelo, gv. 54-69.

საბრუნავი კაპიტალისათვის ინდივიდუალური შეფასება შეიძლება რთული აღმოჩნდეს ან ეკონომიკური თვალსაზრისით არ იყოს მიზანშეწონილი. ერთი მხრივ, ბევრი მარაგის შექმნა და გაყიდვა/დახარჯვა სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული ფასებით ხორციელდება და მეორე მხრივ, ხშირად ხდება მარაგების შერევა ადრე განხორციელებულ სხვადასხვა ოპერაციებთან. ამიტომ ხშირად შეუძლებელია დანახარჯების ცალკეულ მარაგზე პირდაპირ მიკუთვნება, რის გამოც შესაძლებელია ინდივიდუალური შეფასების პრინციპებიდან გადახვევა მოხდეს. გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დასაშვებია მარაგების ყიდვის და ნაშთების დახარჯვის დროს განეული ხარჯების ან სანარმოო თვითღირებულების განსაზღვრის გამარტივებული (შეფასების გამარტივების მეთოდები)<sup>1</sup> მეთოდი.

შეფასების გამარტივების მეთოდების საილუსტრაციოდ შესაძლებელია შემდეგი მაგალითის გამოყენება:

**შეფასების გამარტივების მეთოდების მაგალითი<sup>2</sup>**

ცხრილი 1

შემოსავლის/ხარჯვის შედეგი		რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
<b>საწყისი ნაშთი/მარაგი</b>		1.500	6,00	9.000
+	შემოსავალი 1	3.000	10,00	30.000
-	ხარჯვა 1	-1.000	-	-
+	შემოსავალი 2	10.000	12,00	120.000
-	ხარჯვა 2	-5.000	-	-
+	შემოსავალი 3	2.000	15,00	30.000
-	ხარჯვა 3	-3.000	-	-
<b>საბოლოო ნაშთი/მარაგი</b>		7.500	-	-

1 Sead.filing (1976), გვ. 153 ფ.; Taixgreber (1977), გვ. 20.

2 შმიდტ/ლაბრენცის მიხედვით (2009), Beck-ის ანგარიშგების სახელმძღვანელო, გვ. 87.

შეფასების გამარტივებული მეთოდის წინაპირობას წარმოადგენს მარაგების მსგავსება/ანალოგიურობა. აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს თვისობრიობიდან ან ფუნქციის მსგავსებიდან. თვისობრიობა არსებობს მსგავსი ტიპის საქონელთან. ფუნქციის მსგავსების/იგივეობის კრიტერიუმს ასრულებს ის საქონელი, რომელიც იგივე მიზანს ემსახურება. ამასთან, სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასების გამარტივებული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი სახელმწიფო საბუღალტრო ანგარიშგების სისტემის პრინციპებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგების დახარჯვის საბუღალტრო შეფასება მთლიანად არ უნდა შეესაბამებოდეს მარაგების გამოყენების ფაქტობრივ თანმიმდევრობას.

ანალოგიური საბრუნავი კაპიტალის შეფასება შესაძლებელია როგორც პერიოდული, ასევე პერმანენტული საშუალო შეწონილი მეთოდით. აღნიშნული მეთოდის გამოყენების წინაპირობაა ერთი მხრივ, სახელმწიფო საბუღალტრო ანგარიშგების მოქმედ პრინციპებთან შესაბამისობა, მეორე მხრივ, შესრულებული უნდა იყოს ანალოგიური ზემოთ დასახელებული კრიტერიუმები.

სასაწყობო მარაგის ერთგვარი ან მიახლოებით ერთგვარი სასაწყობო მარაგი შეიძლება გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ერთ ჯგუფში გაერთიანდეს და შეწონილი არითმეტიკული მეთოდით შეფასდეს.

შეწონილი არითმეტიკული მეთოდის დროს საწყისი ნაშთებიდან და შემოსავლებიდან შედგება შეწონილი არითმეტიკული სიდიდე, რომლითაც შეფასდება დანახარჯები და სამეურნეო წლის საბოლოო ნაშთი.<sup>1</sup> ამ მეთოდის დროსაც განასხვავებენ პერმანენტულ (ასევე მცოცავ) და პერიოდულ მეთოდებს. პერიოდული მეთოდის დროს შეფასება ხორციელდება პერიოდის ბოლოს. პერიოდად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვე, ნახევარი წელი ან სამეურნეო წელი.<sup>2</sup>

1 Sead.hundsdoerfer (2009), წლიური ბალანსის სახელმძღვანელო, გვ. 75.

2 Sead. maier-vegelin (2008), Küting/Weber, §256, გვ. 46.

შემოსავლის/ ხარჯვის შედეგი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	ხარჯვა (ლარი)
<b>საწყისი ნაშთი/მარაგი</b>	1.500	6,00	9.000	
+ შემოსავალი 1	3.000	10,00	30.000	
+ შემოსავალი 2	10.000	12,00	120.000	
+ შემოსავალი 3	2.000	15,00	30.000	
<b>ჯამი</b>	16.500	11,45	189.000	
<b>ხარჯვა</b>				
- ხარჯვა 1	1.000	11,45	-11.455	11.455
- ხარჯვა 2	-5.000	11,45	-57.273	57.273
- ხარჯვა 3	-3.000	11,45	-34.364	34.364
<b>საბოლოო ნაშთი/მარაგი</b>	7.500	11,45	85.909	
<b>ხარჯვა</b>	-9.000			103.091

მარაგის დახარჯვის საბუღალტრო შეფასების მეთოდებიდან აღსანიშნავია LIFO-მეთოდი. მისი გამოყენების არსი ის არის, რომ ბოლოს შექმნილი ან წარმოებული მარაგები თავდაპირველად არის დახარჯული ან გაყიდული. ამგვარად, საბოლოო აღრიცხვის ჩატარების დღისთვის საბოლოო ნაშთი შედგება უფრო ადრინდელი შემოსავლების ან საწყისი ნაშთისგან.<sup>1</sup> ჰპერიოდული LIFO-მეთოდის გამოყენება რამდენიმე პერიოდზე სხვადასხვა კუთხით არის პრობლემატური, რადგან პერიოდის ბოლოს საბოლოო ნაშთი უფრო მეტი, იგივე ან უფრო ნაკლები შეიძლება იყოს, ვი-

1 Sead. Sefler(2007b), გვ. 204.

დრე სანყისი ნაშთი. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ნაშთი სანყის ნაშთს აჭარბებს, მთლიანი ნაშთი უნდა დაიყოს სანყის ნაშთად და შემოსავლად.

მარაგების შეფასების **FIFO**-მეთოდს საფუძვლად უდევს წინაპირობა, რომ თავდაპირველად შექმნილი ან წარმოებული სასანყობო მარაგი დაიხარჯება ან გასხვისდება და შედეგად მოგება-ზარალის ანგარიშში ხარჯის სახით აისახება. აღნიშნულის შესაბამისად, წლის ბოლოს სანყობში მოცემულია მხოლოდ ბოლოს შემოსული მარაგების ნაშთები, რომლებიც უნდა შეფასდეს მათი შესყიდვის ფასებით. ეკონომიკური თვალსაზრისით **FIFO**-მეთოდი წარმოადგენს სასაქონლო მარაგის გამოყენების საბუღალტრო შეფასების მიზანშეწონილ გამარტივებას. ამ მეთოდის წინაპირობაა ის, რომ მარაგის ახალი შექმნები მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც მათი გამოყენება უახლოეს მომავალში იგეგმება.

მონოტონურად მზარდი ფასების პირობებში **FIFO**-მეთოდით ხდება ფარული რეზერვების შექმნის თავიდან არიდება. კლებადი ფასების დროს **FIFO**-მეთოდით შეფასებული მარაგი უნდა შემოწმდეს ღირებულებიანობაზე.

**HIFO**-მეთოდის მიხედვით უმაღლეს ფასად შექმნილი სასანყობო მარაგი თავდაპირველად გაიხარჯება ან გასხვისდება, რასაც მიყვარათ მოგების მანიპულაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობამდე. მონოტონურად მზარდი ფასების დროს აღნიშნული მეთოდი მოქმედებს როგორც **LIFO**—მეთოდი და იგი ფარული რეზერვების შექმნას უწყობს ხელს.

**LOFO**-მეთოდი დაფუძნებულია ფიქციაზე, რომ თავდაპირველად ყველაზე დაბალი თვითღირებულების სასანყობო მარაგი გაიყიდება ან გასხვისდება. ამგვარად, საბოლოო აღრიცხვის ჩატარების დროს, ნაშთი შეიცავს მხოლოდ შემოსვლებს უმაღლესი ფასებით. მონოტონურად კლებადი ფასების პირობებში აღნიშნული მეთოდის გამოყენება იმავე შედეგს იწვევს, როგორც **LIFO**-მეთოდი, მონოტონურად მზარდი ფასების დროს იგი ემთხვევა **FIFO**—შეფასების შედეგს.

ნაშთისა და ხარჯვის შეფასება სხვადასხვა მეთოდით მზარდი ფასების შემთხვევაში

ცხრილი 3

მარაგის შეფასების მეთოდი	საბოლოო ნაშთი/	ხარჯვა
პერმანენტული შენონილი არითმეტიკული მეთოდი	89.039	99.961
პერიოდული შენონილი არითმეტიკული მეთოდი	85.909	103.091
პერიოდული LIFO მეთოდი	75.000	114.000
პერმანენტული LIFO მეთოდი	77.000	112.000
პერიოდული FIFO მეთოდი	96.000	93.000

ზემოთ წარმოდგენილი შეფასების გამარტივების მეთოდების საფუძველზე დანახარჯების შეფასებისათვის ბალანსის შედგენის დღეს ხორციელდება ღირებულებების შეფასების გარკვევა (აღნიშნული პროცესი ემსახურება მხოლოდ ყიდვის დროს განეულები და სანარმოო თვითღირებულების ხარჯების გამარტივებულ განსაზღვრას. ამიტომ მარაგების ღირებულებითი შეფასება ყოველი ბალანსის შედგენის დღეს უნდა შემოწმდეს მათი არაგეგმიური ამორტიზაციის საჭიროების კუთხით.<sup>1</sup>

ამრიგად, ზემოთ მოცემული შეფასების გამარტივებული მეთოდები ქმნის საბალანსო პოლიტიკის შემუშავებისა და მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობებს. მზარდი ფასების დროს საშუალო შენონილი და FIFO—მეთოდის გამოყენების შედეგია მარაგის მაღალი შეფასება. აღნიშნულის გამო ხდება ფიქტიური მოგების ასახვა. ფიქტიური მოგება წარმოიქმნება იმის საშუალებით, რომ გასაღება შეფასდა არა აქტუალური ფასებით, არამედ უფრო დაბალი ფასებით. LIFO-მეთოდის დამხარებით შესაძლებელია მზარდი ფასების დროს ფიქტიური მოგების თავიდან აცილება, რადგან დახარჯული მარაგები აქტუალური ფასების მიხედვით ფასდება. თუმ-

1 Sead. koenberg (2005), გვ. 204.

ცა, იმავდროულად LIFO-მეთოდის გამოყენება იწვევს ფარული რეზერვების შექმნას, რადგანაც მარაგები აისახება მათი ისტორიული ყიდვის დროს დახარჯული და სანარმოო თვითღირებულების ხარჯებით. სტოქსტიკური მოთხოვნის დროს LIFO-მეთოდმა ერთ პერიოდში შეიძლება გამოიწვიოს შეფასების რეზერვების გაუქმება, რის გამოც მარაგების ხარჯი ძალიან მცირედ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ამას გარდა, საბალანსო-პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მარაგის ნაშთების შეგნებულად ფარულად გაუქმება, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს ფირმის შემოსავლებისა და წლიური შედეგების სურათს. მონოტონურად კლებადი ფასების დროს სამივე მეთოდი იწვევს სამარაგე ნაშთის გადაჭარბებულად შეფასებას.

## მათემატიკური მოდელირების მეთოდები ეკონომიკურ ანალიზში

**დარეჯან ჩხუბაძე**

ეკონომიკის დოქტორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნებისმიერი საწარმო ფუნქციონირებს რა ბაზარზე, ყოველთვის ექცევა მთელი რიგ ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შესწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვა და წარუმატებლობის განვითარება.


საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოდგენილია მათი საქმიანობის ანალიზის გარეშე, რისთვისაც აუცილებელია მთელი რიგი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება. დიაგნოსტიკა და თვალყურის დევნება ცვლილებების ტენდენციებზე და დინამიკაზე, ასევე საწარმოს გადახდისუნარიანობის გათვალისწინება იმისათვის, რათა ამის საფუძველზე მიღებულ იქნეს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება.

პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი შეფარდებითი ანალიტიკური კოეფიციენტები. (იხ. სქემა 1)

დღეს საქართველოში შექმნილია საწარმოების და ფინანსური მდგომარეობის შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობით ხორციელდება საწარმოს კრიზისის დადგომის ალბათობის ან რეალობის განსაზღვრის სპეციალურად ორგანიზებული მოქმედება. იგი ტარდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება პირველადი ინფორმაციის შეგროვება. მეორე ეტაპზე საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით ახორციელებენ მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. სახელდობრ:

ინფორმაციას ამუშავებენ სპეციალური მეთოდით, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ბალური შეფასების ფორმირების პრინციპზე შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მიმდინარე ლიკვიდობის (Kმ.ლ.); ფინანსური

სქემა 1. ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები



დამოუკიდებლობის (Kდამოუკ); ოპერაციების ეფექტურობის (საწარმოს აქტივების და ამონაგების შეფარდება) - (Kფ); აქტივების რენტაბელობის (Pაქ.) და სამ თვემდე ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების (Πვალ.).

ქულების დარიცხვისათვის თითოეულ მაჩვენებელს მიენიჭება ზედა და ქვედა ზღვარი, ე.ი. დასაშვები მნიშვნელობა. როცა მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება ქვედა ზღვარს, ბალური მაჩვენებელი მიიღებს 1 ქულას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - 0-ს. როცა მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება ზედა ზღვარს, ბალური მაჩვენებელი უტოლდება 0-ს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - 1-ს. კომპლექსური ბალური მაჩვენებელი გაიანგარიშება თითოეული მოცემული მაჩვენებლის ბალური შეფასების ჯამით. როცა საწარმოს კომპლექსური შეფასების მნიშვნელობა 0-დან 2 ქულის ინტერვალშია, იგი იმყოფება პოტენციური გაკოტრების მდგომარეობაში და საჭიროებს სანაცვას.

მესამე ეტაპზე ხდება ყველა გამოკვლეული საწარმოს რანჟირება მათი მდგომარეობის მსგავსების, დარგობრივი კუთვნილების და ტერიტორიული განლაგების კრიტერიუმების მიხედვით. ამის შემდეგ, ყოველი გამოყოფილი ჯგუფისათვის მზადდება კონკრეტული ანტიკრიზისული გადაწყვეტილებები.

საწარმოთა მდგომარეობის შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტეგრარული მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია მულტიპლიკატური დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდით. ყველაზე მარტივი მოდელია ორ ფაქტორული ანალიზი, რომლის აგებისას გათვალისწინებულია ორი მაჩვენებელი: ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (დაფარვის) და ბ) ნასესხი სახსრების აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი. დასავლეთის პრაქტიკის საფუძველზე, თითოეული ამ ფაქტორებიდან გამოვლენილ უნდა იქნას შეწონილი კოეფიციენტები:

$Z = -0.3877 + (-1.0736) X Kმ.ლ. + 0.0579 X Kნასესხი$  საშ. როცა:  $Z > 0$  – გაკოტრების ალბათობა მაღალია;  $Z < 0$  – გაკოტრების ალბათობა დაბალია.

გაკოტრების ალბათობის ორ ფაქტორული მოდელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მხარეებს არ გამოხატავს: აქტივების

ბრუნვადობას, რენტაბელობას, რეალიზაციიდან ამონაგების ცვლილების ტემპს და ა.შ.

დასავლეთის ფირმების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში გაკოტრების შეფასებისათვის ფართოდ გამოიყენება Z-ანგარიშიანი ხუთ ფაქტორული მოდელი, რომელშიც Z-ანგარიში გაიანგარიშება ფორმულით:

$$Z = 1.2 X_1 + 1.4X_2 + 3.3X_3 + 0.6X_4 + X_5$$

სადაც,  $X_1$  - საბრუნავი კაპიტალის წილია აქტივებში;  $X_2$  - გაუნაწილებელი მოგების წილი საწარმოს აქტივებში (აქტივების რენტაბელობა);  $X_3$  - რეალიზაციიდან მოგების შეფარდება საწარმოს აქტივებთან;  $X_4$  - ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების საბაზრო ღირებულების შეფარდება საწარმოს პასივებთან;  $X_5$  - გაყიდვების მოცულობის შეფარდება აქტივებთან.

Z-ანგარიშის მნიშვნელობის შესაბამისად საწარმოს გაკოტრების ალბათობის შეფასება წარმოებს განსაზღვრული სკალის მიხედვით. შედარებით ზუსტი მოდელით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გაკოტრების პროგნოზირება 5 წლის ჰორიზონტზე 70%-მდე სიზუსტით. მოდელში გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: აქტივების რენტაბელობა, მოგების დინამიურობა, პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, ავტონომიის კოეფიციენტი, საწარმოს ქონების ღირებულება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს შეფასებისათვის ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება რეიტინგული რიცხვი:

$$K=2K_0 + 0.1K_{m.l.} + 0.8K_i + 0.45K_m + K_{კაპ.რენტ.}$$

სადაც,  $K_0$  - საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;  $K_{m.l.}$  - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;  $K_i$  - ავანსირებული კაპიტალის ბრუნვის ინტენსივობა, რომელიც ახასიათებს საწარმოს საქმიანობაში ჩადებული სახსრების 1 ლარზე რეალიზებული პროდუქციის მოცულობას ( $K_i > 2.5$ );  $K_m$  - მენეჯმენტის კოეფიციენტი რომელიც ხასიათდება რეალიზაციიდან მოგების შეფარდებით რეალიზაციიდან ამონაგების სიდიდესთან; სადაც არის  $K_{კაპ.რენტ.}$  - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

როცა  $K < 1$ , ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება როგორც არაღამაკმაყოფილებელი;

$K=1$ , ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება როგორც დამაკმაყოფილებელი - ნორმალური;  $K>1$ , ფინანსური მდგომარეობა კარგია.

მაგრამ, რეიტინგული რიცხვის საფუძველზე წარუმატებლობის დიაგნოსტიკა ვერ უზრუნველყოფს «გადახდისუნარიანობის ზონაში» საწარმოს მოხვედრის მიზეზების შეფასებას. გარდა ამისა, რეიტინგული შეფასებისათვის გამოსაყენებელი ნორმატიული მნიშვნელობა არ ითვალისწინებს საწარმოს დარგობრივ თავისებურებებს. ამისათვის მოდელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს გადახდების შეფერხების ალბათობა, ხდება შემდეგი დისკრიმინანტული მაჩვენებლის მნიშვნელობის შესაბამისად:

$$Q = -0.16Y1 - 0.22Y2 + 0.87Y3 + 0.10Y4 - 0.24Y5$$

სადაც,  $Q$  - ფირმის გადასახადების შეფერხების მაჩვენებლის მნიშვნელობა;

ფულადი სახსრები – დებიტორული დავალიანება

$$Y1 = \frac{\text{ფულადი სახსრები – დებიტორული დავალიანება}}{\text{ბალანსის ჯამი}}$$

$$Y2 = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი პასივები}}{\text{ბალანსის ჯამი}}$$

$$Y3 = \frac{\text{ფინანსური ხარჯები (ხარჯები სესხის მომსახურებაზე)}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

$$Y4 = \frac{\text{დანახარჯები პერსონალზე}}{\text{დამატებული ღირებულება (დაბეგვრის შემდეგ)}}$$

$$Y5 = \frac{\text{მოგება პროცენტისა და საგადასახადო ვალდებულებების გადახდამდე}}{\text{ნასესხები კაპიტალი}}$$

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიაგნოსტიკის დისკრიმინანტული მრავალფაქტორული მოდელების პრაქტიკაში გამოყენება თანამედროვე პირობებში ვერ ხერხდება შემდეგი ფაქტორების გამო:

1. არ არსებობს მეთოდის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოდელის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების ეროვნული სტანდარტის პირობებში; 2. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასრულყოფილება და არაორგანიზებულ საფონდო ბაზარზე აქციის კურსის ღირებულების არასაიმედო შეფასება; 3. საწარმოს აქციების საბალანსო და საბაზრო ღირებულების შეუსაბამობა, რამდენადაც ამ შესაბამისობის მიღწევის მეთოდებს - ცენტრალიზებული წესით აქტივების სპონტანური გადაფასება ერთიანი კოეფიციენტებით - არ შეუძლიათ უზრუნველყონ აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულების რეალური შესაბამისობა.

თანამედროვე საქართველოში დისკრიმინანტული ფაქტორული მოდელების პრაქტიკული გამოყენების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის დისკრიმინაცია. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მწვავედ დგას აუცილებლობა იმისა, რომ შემუშავდეს საწარმოთა მდგომარეობის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდისა.

## **სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში**

**ირმა ჩხაიძე**

ეკონომიკის დოქტორი  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის პირობებში მეტად მწვავედ დგება დემოგრაფიული პრობლემები, მით უმეტეს მცირერიცხოვანი ერისთვის. ქვეყნებმა აუცილებელია შეიმუშაონ თავიანთი დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რადგან თითოეული ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება უალრესად არათანაბარზომიერად მიმდინარეობს და ცალკეული სახელმწიფოები საკმაოდ შემფოთებულიც არიან თავიანთი დემოგრაფიული მომავლით. თანამედროვე ეტაპზე რეალური საფრთხის წინაშე დგას ცალკეული ერები, არომელთათვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური შემცირება, შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა, სიკვდილიანობის და მკვდრადშობადობის მაღალი დონე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლება, შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება და მოსახლეობის დაბერების ზრდის ტენდენცია, შიდა და გარე მიგრაციული პროცესების ფათო მასშტაბები. სწორედ ორი ათეული წელია, რაც ასეთი საფრთხის წინაშე იმყოფება საქართველო და მისი ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირეული ერთეული-სოფელი, რომელიც დასახლების ერთერთი უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა, და რომლის გარეგნული იერსახე განსხვავებულია ქვეყნის ბუნებრივი პირობებითა და საწარმოო მიმართულებით.

მე-XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში და მათ შორის აჭარაში დაფიქსირდა მოსახლეობის რიცხოვნობის კლება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. 1990-2008 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 19,5%-ით, 1990-2010 წლებში 22.72 %-ით, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით

0.31%-ით მაშინ, როდესაც მათი რიცხვი 1975-1990 წლებში გაიზარდა 11%-ით.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2001 წელს საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა მთლიანი მოსახლეობის 48,2%-ი, 2012 წელს 46,8%-ი, ანუ 2105.9 ათასი კაცი, რაც 2013 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 0,4%-ით და შეადგინა 2096,8 ათასი კაცი (კონფლიქტური რეგიონების გაუთვალისწინებლად საქართველოში 3668 სოფელია). 2013 წელს აჭარის მოსახლეობა შეადგენს საქართველოს მოსახლეობის 8,5%-ს, ხოლო აჭარაში სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს სულ სოფლად მცხოვრებთა რაოდენობის 10,1%-ს.

აჭარის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2006-2008 წლებში აჭარის მოსახლეობა გაიზარდა 7,2 ათასი კაცით, აქედან სოფლის მოსახლეობა 4,5 ათასი კაცით. 2008 წელს აჭარის მოსახლეობამ შეადგინა 380,2 ათასი კაცი, აქედან, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 43,9%-ი, ანუ 166,9 ათასი კაცი, სოფლად 56,1%-ი, ანუ 213,3 ათასი კაცი.

დემოგრაფიული მაჩვენებლების განალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური შემცირების მიზეზად სახელდება როგორც ფართო მასშტაბიანი მიგრაციული (18-50 წლის ასაკის მოსახლეობაში მიგრაციამ განაპირობა 1989-2002 წლებში ქართველების რიცხვის 126 ათასზე მეტით შემცირება) პროცესები ასევე სიკვდილიანობის მაღალი დონე და შობადობის დაბალი მაჩვენებელი. აჭარის რეგიონში 2006-2008 წლებში სოფლის მოსახლეობის ზრდის ტენდენციას განაპირობებდა ბუნებრივი მატება.

ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების გათვლებით, საქართველო შობადობის მიხედვით მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ერთი ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა) 1,4-1,7-ის ფარგლებშია, ანუ საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით 70-80%-ს განაახლებს.

საქართველოში დაბადებულთა რიცხოვნობა 2011 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 7,30%-ით, მათ შორის სოფლად 13,68%-ით. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოსახლეობის ათას სულზე დაიბადა 40 ბავშვი, 1913 წელს-28, 1960 წელს-24, 1990 წელს-17, 2007 წელს-11 ბავშვი. ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 და 2007 წელს-173 ბავშვი, მაშინ როდესაც მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწერისათვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს 210 ბავშვი. ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 1,5-ჯერ დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. შობადობის შემცირების მიზეზებია სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც აისახება ოჯახის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში.

საქართველოში შობადობასთან ერთად სიკვდილიანობის მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები), როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რომელიც გენდერული მდგომარეობის არსებითი მაჩვენებელია, დაახლოებით 5-ჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციული უფლებების დაცვასთან, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობასთან და სამედიცინო მომსახურების დაბალ დონესთან.

გაეროს მონაცემებით სიკვდილიანობის დონე 2000-2005 წლებში შეადგენდა წელიწადში საშუალოდ 49 ათასს, ხოლო 2005-2010 წლებში წელიწადში საშუალოდ 52 ათასამდე გაიზარდა. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვლილთა რაოდენობამ საქართველოში 2010 და 2012 წლებში შესაბამისად შეადგენდა 701 და 703 ბავშვი, მათ შორის სოფლად 322 და 361 ბავშვი. შობადობა 2000-2005 წლებში შემცირდა და წელიწადში საშუალოდ 55 ათასი შეადგინა. 2005-2010 წლებში წელიწადში დაახლოებით 53 ათასამდე დავიდა. შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა ურთიერთმეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შობადობის შემცირების და

სიკვდილიანობის ზრდის (ან სტაბილურია) პარალელურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. მოსახლეობის ბუნებრივი მატებამ საქართველოში 2012 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 44,32%-ით. სტატისტიკური მონაცემებით 1963 წელს ჩვენს ქვეყანაში დაიბადა 106000 ბავშვი, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი მატების თვალსაზრისით საქართველოსთვის აღნიშნული წელი სარეკორდო იყო ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა არსებულთან შედარებით მილიონნახევრით ნაკლები იყო.

აჭარაში 2011 წელს 2010 წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხოვნობა შემცირდა 9,3%-ით, მათ შორის სოფლად 31,1 %-ით, გარდაცვლილთა რაოდენობა გაიზარდა 1,9%-ით, მათ შორის სოფლად შემცირდა 3,8 %-ით. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვლილთა რაოდენობამ რეგიონში 2010 და 2011 წლებში შეადგინა 68 და 81 ბავშვი, მათ შორის სოფლად 38 და 44 ბავშვი.

საქართველოში დღეისათვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე დაბერების ზრდის პრობლემა, რაც განვითარებული ქვეყნების მახასიათებელია. გაეროს ექსპერტთა შეფასებით ბევრი განვითარებული ქვეყნების მსგავსად იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში შობადობის კლების პარალელურად შეინიშნება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი საფრანგეთის მოსახლეობაში 25%-ს აღწევს, 2050 წელს მოსალოდნელია, რომ მიწის 50%-ს.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აჭარის რეგიონის მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ახალგაზრდაა, რადგან აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10,6%-ი, საქართველოს მიხედვით ეს მაჩვენებელი 16,5%-ს შეადგენს. მოსახლეობის დაბერების მიმდინარე პროცესი ცხადყოფს, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 19%-ზე მეტი 60 წლის ასაკს გადაცილებულია და ეს პროცესი მომდევნო ათწლეულებში უფრო დაჩქარდება.

საკითხისადმი პრობლემატურ მიდგომას განაპირობებს მზარდი მიგრაციული პროცესები. გაგაეროს მონაცემებით 2000-2005 წლებში საქართველოდან მიგრაციის რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 62 ათასამდე, ხოლო 2005-2010 წლებში 50 ათასამდე შემცირდა. ექსპერტთა შეფასებით 1992-2003 წლებში მზარდი გარე მიგრაციის შედეგად მათმა რაოდენობამ ნახევარ მილიონ ადამიანს გადააჭარბა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელს მიგრაციულმა სალდომ შეადგინა -27,8 ათასი კაცი და იგი 2000 წელთან შედარებით შემცირდა 7,4 ათასი კაცით. მიგრაციული სალდო 2007 წლისათვის შემცირდა -20,7 ათას კაცამდე, ხოლო 2008 წლისათვის -10,2 ათას კაცამდე. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს მსგავსად მიგრაციის პრობლემა მოქმედებს ყველა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. ჯოზეფ შამის (გაეროს მოსახლეობის განყოფილების დირექტორი) შეფასებით 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ი, ანუ 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა, რაც მეტყველებს მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე.

აჭარიდან XX საუკუნის 90-იან წლებში საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი, ანუ აჭარის მოსახლეობის 13,1%-ი. აღნიშნულ წლებში არსებული საყოველთაო კრიზისის პირობებში ცხოვრების დონის დაცემამ განაპირობა ერთი მხრივ რეგიონში ემიგრაციული პროცესების განვითარება, და მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის შემცირების პარალელურად შრომითი რესურსების რიცხოვნობის 4%-ით შემცირება. XXI-ე საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოდან მიგრაციის მასშტაბი, მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით იმდენად მაღალი იყო, რომ 2007 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო, მისი მოსახლეობის ხვედრითი წილის მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიგრაციულ ქვეყნად დასახელდა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედი მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ასევე ნე-

ბაყოფლობითი, იძულებითი, მუდმივი და დროებითი მიგრაციის მიზეზების შედეგად მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე. 2008 წელს (1 იანვრის მდგომარეობით) აჭარის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 24%-ი 15-წლამდე ასაკისაა, რაც 5,2%-ით აღემატება საქართველოს მიხედვით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს და აიხსნება აჭარაში შობადობის შედარებით მაღალი დონით და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით. აჭარის მოსახლეობის 48,2%-ს კაცები შეადგენენ, 51,8%-ი ქალია. ხანდაზმულთა კატეგორიაში ქალების რიცხვი 1,6-ჯერ აღემატება კაცებისას (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებით, 65 წლისა და უფროსი ასაკის 33 ათასი პიროვნებიდან 20 ათასი ქალი იყო). აჭარა ასევე გამორჩეული რეგიონია უხუცესთა რაოდენობითაც: 2002 წლის აღწერით, აჭარაში 90 წელს გადაცილებული 790 პიროვნებაა, ხოლო 100 წელს გადაცილებული-113 პიროვნება ცხოვრობდა. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა (შესაბამისად, 76,1 და 81,4%) ქალები იყვნენ.

აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, ბუნებრივი მატებისა და ემიგრაციის პროგნოზული შეფასებებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში და საშუალოვადიან პერსპექტივაში არ უნდა ველოდოთ რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას და მხოლოდ საჭირო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ აჭარამ შეინარჩუნოს „დემოგრაფიული დონორის“ მისია საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. ამასთან, დემოგრაფიული დაბერების პროცესის ინტენსივობის გაზრდა (რასაც განაპირობებს მრავალრიცხოვანი თაობების გადასვლა საპენსიო ასაკში) გამოიწვევს შრომითი რესურსების რაოდენობის კლებას და შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. აჭარის მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები უაღრესად აქტუალურს ხდის ამ რეგიონის შრომითი

პოტენციალის განვითარება-გამოყენების საკითხს. შრომითი პოტენციალის გამოყენება არსებითად არის დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და შრომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წარმოშობილმა დემოგრაფიულმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ქართული სოფელის როლი ეკონომიკურ ცხოვრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა ძირითადად შემოტანილი პროდუქტით იკვებება, მაშინ როცა XX საუკუნის 90-იან წლებამდე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აკმაყოფილებდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2007 წელს 2003 წელთან შედარებით შემცირდა 47,1%-ით, 2011 წელს 2007 წელთან შედარებით 5,5%-ით. მრავალწლიანი კულტურებიდან 2011 წელს 2007 წელთან შედარებით ხილის წარმოება შემცირდა 17,7%-ით, ციტრუსის წარმოება 44,5 %-ით, ჩაის წარმოება 94,7 %-ით. მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 2000 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 9,3%-ით, 2011 წელს 2007 წელთან შედარებით 3,6%-ით. 2007-2011 წლებში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება შემცირდა 6,9%-ით, ხორცის წარმოება 32,5%-ით, ხოლო ხორცისა და ხორცპროდუქტების იმპორტი გაიზარდა 53,3 ათასი ტონიდან 71,3 ათას ტონამდე.

აჭარაში 1990 წლიდან 1995 წლამდე ჩაის ფოთლის წარმოება შემცირდა 91,4%-ით. 1989-2001 წლებში ციტრუსისა და თამბაქოს წარმოება შემცირდა 4,5-ჯერ, მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 8,6%-ით. მინიმუმამდე იქნა დაყვანილი აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტი. სასაქონლო წარმოება თანდათან შეიცვალა ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირე არ იძლევა მსხვილი ფერმერული მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. ამიტომაც დარგი უპირატესად წვრილი-ფერმერული მეურნეობებით არის წარმოდგენილი, უმეტესად 0.1-დან 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთით.

შესაბამისად, სამენარმეო სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა უმნიშვნელოა. 2006 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 73,6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 72,0 მლნ ლარი გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებზე მოდიოდა, ხოლო 1,6 მლნ ლარი - სამენარმეო სექტორზე. აჭარის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 84,1 ათასი კაცი, მათგან 82,1-თვითდასაქმებულია. წერილფერმერულ მეურნეობებში დასაქმება, როგორც წესი, დაბალმწარმოებლური და დაბალეფექტიანია.

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია აუცილებელია ითვალისწინებდეს სარეალიზაციო ბაზრების მოპოვების პარალელურად სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ამაღლებას, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას, ეროზიული პროცესების შემცირებას, სელექციურად გაუმჯობესებული სარგავი მასალით მოსახლეობის უზრუნველყოფას, ცხოველთა ჯიშობრივ განახლებას, მცირე და საშუალო მექანიზაციის საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფას. ყოველივე აღნიშნულის რეალიზაცია ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია სოფლის მოსავლიანობის შემცირებაზე მოქმედი ცვალებადი ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

ამრიგად, საქართველოში მოქმედი სისტემური კრიზისის ხასიათის დემოგრაფიული პრობლემები (კერძოდ, მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის პირთა კლება და დაბერების ზრდის ტენდენცია), რომლებიც განაპირობებს ეკონომიკური ზრდის ტემპის ვარდნას, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროებს სახელმწიფოს მიერ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას. მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ აუცილებელია შემუშავდეს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგრამები. განსახორციელებელ დემოგრაფიულ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს, ერთი მხრივ, საქართველოში და მის ცალკულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირეულ

ერთეულში-სოფელში არსებული დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და მისი მასშტაბების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, შემდეგ კი საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის შექმნით არსებული ვითარების გაუმჯობესება (უფასო მშობიარობა; მშობიარობისას შვებულებისა და ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, დახმარება მრავალშვილიან ოჯახებზე), რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების გადანეწყვის გზების დასახვას და ღონისძიებების შემუშავებას.



## **ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი**



### **საქმიანი კულტურა უმღარაბითი მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი**

**ევგენი ბარათაშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
სტუ სრული პროფესორი

**ანა ბოლქვაძე**

ეკონომიკის დოქტორი,  
სტუ ასოც. პროფესორი

შედარებითი (კროს-კულტურული) მენეჯმენტი გულისხმობს ბიზნესის ეროვნული თავისებურებების შესწავლას. შესაბამისად, საქმიანი კულტურა წარმოადგენს ბიზნესის პროცესში პრინციპების, ტრადიციების და ქცევითი სტერეოტიპების ერთობლიობას.

განსახილველი საკითხის სიღრმისეული გაგებისთვის კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზოთ საბაზო ცნებები, „კულტურა-მენტალობა-კულტურული გარემო“-ს დონეზე დავაკვირდეთ მათ ურთიერთკავშირს.

ზოგადად, კულტურა წარმოადგენს ქცევისა და ზნე-ჩვეულებების ერთობლიობას. სოციოლოგები განსაზღვრავენ მას, როგორც „ადამიანისეული საქმიანობის ორგანიზაციისა და განვითარების სპეციფიკურ ხერხს, განსაზღვრულს მატერიალური და სულიერი შრომის პროდუქტში, სოციალური ნორმების სისტემაში, სულიერ ფასეულობებში, ადამიანების ბუნებისადმი, ერთმანეთისადმი და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებში“<sup>1</sup>.

კულტურის ჩამოყალიბება ხდება ცოდნის, მრწამსის, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, წეს-ჩვეულებების და სხვა თვისებების

---

**1 Гордеев, «Кросс-культурные промлемы международного менеджмента», ж. «Менеджмент в России и за рубежом», №1, 1998, стр.46**

ზეგავლენით, რომლებიც საზოგადოებამ შეიძინა თავისი განვითარების პროცესში. კულტურის ზეგავლენით, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს უყალიბდებათ ფასეულობების საკუთარი სისტემა.

თავის მხრივ, ფასეულობების სისტემას მენეჯმენტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ცალკეული მუშაკების და კოლექტივების მართვა ასე თუ ისე ემყარება ობიექტურ შეხედულებას ფასეულობების სისტემის შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ქცევას. ხოლო მართვის მრავალი ასპექტი, მაგალითად მოტივაცია, თითქმის მთლიანად არის აგებული ფასეულობათა სისტემაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ზეგავლენის შესწავლას საზოგადოების ეკონომიკური სფეროსათვის, საქმიანი გარემოსათვის, მოგების მიღებისა და გადანაწილების პროცესისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კულტურის ადრინდელი კვლევები ემყარებოდა შესაძარებელ სიტუაციებში საზოგადოების წარმომადგენლების ქცევის სპეციფიკური მაგალითების გამოვლენას. ხოლო, შედარებითი მენეჯმენტის ფარგლებში კულტურების ურთიერთობების შესწავლის მიზანია ეროვნული კულტურის განზომილებასა და საქმიანი ორგანიზაციების მართვის შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრა.

კულტურას გააჩნია მრავალდონიანი სტრუქტურა, რაც ასახავს მისი ფუნქციების ნაირსახეობას ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. მოკლედ განვიხილოთ კულტურის ძირითადი ფუნქციები:

საინფორმაციო (თაობიდან თაობამდე, ეპოქიდან ეპოქამდე სოციალური გამოცდილების გადაცემის საშუალება);

შემცნებითი (იძლევა ცოდნის დაგროვების საშუალებას, ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს მისი შემეცნებისა და ათვისებისათვის. საზოგადოება ინტელექტუალურია იმდენად, რამდენადაც იყენებს მთელი მსოფლიოს გამოცდილებას. ამის მაგალითია - იაპონია, რომელიც ახდენს დინამიზმის დემონსტრირებას ეკონომიკის ყველა სფეროში);

ნორმატიული (დაკავშირებულია ადამიანებისა და საზოგადო-

ების საქმიანობის სპეციფიკის განსაზღვრასთან.

ნებისმიერ სფეროში: საყოფაცხოვრებო, პიროვნული კავშირების, შრომის, ურთიერთობები ასე თუ ისე რეგულირდება, კულტურა კი გავლენას ახდენს ამა თუ იმ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებზე, აკონტროლებს ქცევასა და საქციელს. აქვე შიძლება აღინიშნოს ზნეობა და უფლებები);

ნიშნობრივი (უმნიშვნელოვანესია კულტურის მთელ სისტემაში. ამ ფუნქციისათვის უპირველესია ენა, რომელიც არის ადამიანთა შორის ურთიერთობების საშუალება);

ფასეულობითი (ადამიანს უყალიბდება ფასეულობების და ორიენტაციის განსაზღვრული სისტემა).

უპირველესად, მეცნიერები კულტურას განასხვავებენ მისი მატარებლის მიხედვით: შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო და ეროვნული კულტურები. ეროვნული კულტურა ასახავს კონკრეტული საზოგადოების თავისებურებებს სულიერ (ენა, რელიგია, მუსიკა და ა.შ.) და მატერიალურ სფეროებში (ეკონომიკური ყაიდის, მეურნეობის წარმართვის, შრომისა და წარმოების ტრადიციების თავისებურებები).

მატერიალურ სფეროში ეროვნული კულტურის როლი განიხილება როგორც ძირითადი ფაქტორი საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის დროს.

ეროვნული კულტურა დაღს ასვამს პიროვნებას, ადამიანის ხასიათს და აისახება ბიზნესის გაძღოლის მეთოდებში, ამავედროულად ყველა ქვეყანაში არსებობს თავისი ტრადიციები, საქმიანი ეთიკეტი და საქმიანი ურთიერთობების წესები.

კულტურული განსხვავები ყველაზე მკაფიოდ ვლინდება სხვა საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას - იქნება ეს მოლაპარაკების წარმართვა, ერთობლივი საწარმოს ორგანიზება თუ უბრალოდ გამოცდილების გაზიარება.

ცხადია, რომ მსგავსი კულტურების წარმომადგენლები უფრო სწრაფად პოულობენ საერთო ენას თანამშრომლობის ნებისმიერი სფეროში, და პირიქით - „საპირისპირო“ ერების ურთიერთქმედება აუცილებლად დაკავშირებულია სირთულეებთან.

გარდა ამისა, სხვადასხვა კულტურების ურთიერთქმედების

პროცესში არსებობს სტერეოტიპიზაციის საშიშროება, რაც თავის-თავად უშლის ურთიერთობების კონსტრუქტულობას. ხანდახან, განსაზღვრული ტიპის სტერეოტიპები, ე.წ. „იარლიყი“, რომელსაც ვანიჭებთ სხვადასხვა კულტურების და ერის წარმომადგენლებს, იწვევს იმას, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ობიექტურ აღქმაზე და ინფორმაციის ანალიზზე, ვოპერირებთ „ეროვნული შტამებით“.

ეროვნული სტერეოტიპიზაცია არის ამა თუ იმ კულტურის განვითარების რთული პროცესი. მართვაში შედარებითი მენეჯმენტის ერთ-ერთი ამოცანაა სტერეოტიპების გაქარწყლება სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაცვლი-სა და ურთიერთობათა პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით.

კულტურის ზეგავლენით ყალიბდება ერის მენტალობა, რომელიც საკმაოდ არსებითი ცნებაა ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. ფაქტიურად, ყველა თანამედროვე მეცნიერი შეუერთდა იმ მოსაზრებას, რომ ეროვნული და რეგიონული მენტალობა წარმოადგენს ზეგავლენის მნიშვნელოვან ფაქტორს მართვის ფორმებზე, ფუნქციებზე და სტრუქტურაზე, ე.ი. მენეჯმენტის სპეციფიკაზე.

გარდა ამისა, მენეჯმენტსა და მენტალობას შორის არსებობს უფრო ღრმა, არსებითი კავშირი, რომელიც აისახება „მენეჯმენტისა და მენტალობის შესაბამისობის პრინციპში“. არსებობს მენტალობის რამოდენიმე განსაზღვრა: მენტალობა არის „ერის ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური თავისებურებების ერთობლიობა“, „ერის თავისებური მეხსიერება წარსულზე, მილიონი ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური დეტერმინანტა, ისტორიულად ჩამოყალიბებული თავის „კოდის“ ერთგული ადამიანები...“; „...სუბიექტის-ერის, ეროვნების, მისი მოქალაქეების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა...“<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, მენტალობა ეს არის ერის ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების კომპლექსი, რომელიც ჩამოყალიბდა ქვეყნის ხანგრძლივი ევოლუციის განმავლობაში ბუნებ-

---

**1 Trompenaars Fons and Hampden-Turner Charles Riding the Waves of Culture. Understanding Cultural Diversity in Business London Nicholas Brealey Publ. 2000 - 266 pp.**

რივი, ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით.

ადამიანების ქცევის ფსიქოლოგიური პროგრამის გამოვლინება გავლენას ახდენს ადამიანის სხვადასხვა საქმიანობაზე. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვაზე. ვანალიზებთ რა სხვადასხვა ქვეყნის მართვის ფორმებსა და მეთოდებს, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ გერმანული პედანტობა, ინგლისური კონსერვატიულობა, ამერიკული პრაგმატიზმი, იაპონური პატერნალიზმი, რუსული დაუდევრობა, ქართული სიზარმაცე. ადამიანი არ არის თავისუფალი საზოგადოებისგან, თავისთავისგან, თავისი მენტალობისაგან. იგი ყოველთვის იმყოფება განსაზღვრულ იერარქიულ სისტემაში: ან ხელმძღვანელია, ან ვილაცის დაქვემდებარებაშია. მარტოდ ყოფნის დროსაც კი ადამიანი მართავს თავის მოქმედებებს, ქცევებს, რომლებიც ქვეცნობიერად გამომდინარეობს მისი მენტალობიდან.

მენტალობის თავისებურებებიდან გამომდინარე ყალიბდება ძირითადი ურთიერთობები, მენეჯმენტის სისტემა. თუ ადამიანი შეჩვეულია ჯგუფურ მუშაობას, მაშინ სპეციფიკურ საფუძველს, რომელიც აყალიბებს მართვის სისტემას წარმოადგენს კოლექტივი, კოლექტიური კონტროლი და გადაწყვეტილებების მიღება. თუ კი საზოგადოებაში ინდივიდუალიზმზე დამყარებული ფასეულობების სისტემაა, მაშინ მართვის საფუძველს წარმოადგენენ ინდივიდუალური მახასიათებლები, კონტროლის ინდივიდუალური ფორმების გამოყენება.

შრომისმოყვარეობის, ყაირათიანობის, პუნქტუალობის უპირატესობა ასევე განსაზღვრავს მართვის ფორმებსა და მეთოდებს, მართველების ქმედებებს. დასჯისა და ნახალისების, მატერიალური და მორალური სტიმულირების და მართვის სხვა ასპექტები უნდა შეესაბამებოდეს მენტალობას, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის ეფექტიანი.

ამრიგად, მართვა შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანში ჩადებული შინაგანი, სიღრმისეული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროგრამის ფორმა. ამ სახით მენტალობა არის ქცევითი მენეჯმენტის ზოგადი საფუძველი. ამაში გამოიხატება მენეჯმენტის შესაბა-

მისობა მენეტალობასთან.

„მენეტალობა-მენეჯმენტი“, მათი შესაბამისობა და წინააღმდეგობა წარმოგვიდგება როგორც შინაარსი და ფორმა, არსი და მოვლენა. ისინი იმყოფებიან განუყოფელ ობიექტურად განპირობებულ, მუდმივად ცვალებად ურთიერთკავშირში, რომელიც შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც „მენეტალობისა და მენეჯმენტის შესაბამისობის პრინციპი“. მენეტალობასა და მენეჯმენტის შორის შესაბამისობა განაპირობებს წარმოების შედარებით მდგრად სისტემას, აცხრობს წინააღმდეგობებს მართველსა და დაქვემდებარებულთა შორის, ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციების დაძლევას. შესაბამისობა მენეტალობასა და მენეჯმენტს შორის წარმოადგენს სოციალური სისტემის წონასწორობის ერთ-ერთ ფუძემდებლურ მახასიათებელს.

უცხოური პარტნიორების ფსიქოლოგიური და კროს-კულტურული თავისებურებების გათვალისწინება არის საწარმოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

- 1.Эпштейн М.З., Сравнительный менеджмент. С.П.2003.
2. ბარათაშვილი ე. კომპარატივისტული მენეჯმენტი. ჟ. „ეკონომიკა“ 2008. N10
3. ბარათაშვილი ე. მენეჯმენტის ეროვნულ-კულტურული მოდელები. ჟ. „ეკონომიკა“, 2008. N12

## **მზრობითი პოტივაციის როლი პერსონალის მართვის პროცესში**

**მანანა სამადაშვილი**

სტუ ასოცირებული პროფესორი

სტიმულირების მძლავრი სისტემა განაპირობებს კომპანიის წარმატებით მუშაობას. ჯპერსონალს სამუშაოზე შექმნილი უნდა ქონდეს ისეთი პირობები, რაც მის მაღალ შრომითუნარიანობას განაპირობებს.

მოტივირება ადამიანის იმ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული შინაგანი მდგომარეობაა, რომლებიც სტიმულს აძლევენ მის მოქმედებებს და დასახული მიზნების მისაღწევად წარმართავენ.

ძლიერად მოტივირებული მუშაკი გულისხმობს ადამიანს, რომელიც ცდილობს კარგად შეასრულოს სამუშაო, აღიარებს ორგანიზაციის მიზნებს და მთელ ძალასა და მონდომებას არ ზოგავს მათ მისაღწევად.

მრავალფეროვანი მოთხოვნილებების და სურვილების გამო ადამიანი იშვიათად მოქმედებს მხოლოდ ერთი მოტივის გავლენით და მოტივირების მიზეზებიც განსხვავებულია.

უშემეტესობის აზრით მუშაობას ხელს უწყობენ შემდეგი მოტივები: საზოგადოებრივი მდგომარეობა, სტატუსი, აღიარება, საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა, კარიერა, პროფესიული ზრდის მოთხოვნილება, ფული და სხვა. ზოგიერთი მტკიცება სპეციფიკური და კონკრეტულია, სხვა კი ზოგადი.

კომპანიის წარმატებისათვის სასურველია გავითვალისწინოთ:

- პერსონალი დარწმუნებული უნდა იყოს თავისი სამუშაოს აუცილებლობაში და მნიშვნელობაში. მიღებული შედეგი უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში საბოლოო შედეგთან;
- პერსონალისათვის უნდა არსებობდეს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად;
- პერსონალს უნდა დაეკისროს მთლიანი პასუხისმგებლობა თავის შესრულებულ სამუშაოზე;

- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს აღიარება და დაფასება;

- რამდენად მნიშვნელოვანია პერსონალისათვის სამსახურეობრივი წინსვლა

მოტივაციის თეორიები პირობითად ორ კატეგორიად იყოფა: შინაარსობრივი თეორიები და პროცესუალური თეორიები.

თავდაპირველად მოთხოვნილების თეორიების მიხედვით, ადამიანს განსხვავებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები გააჩნდა, რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება შრომითი საქმიანობით.

მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა იწვევს შრომით უკმაყოფილებას და დაძაბულობის შეგრძნებას. როცა ერთი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, აქტიურდება სხვა მოთხოვნილება.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელის მიხედვით მუშაობა განპირობებულია პიროვნების აქტუალური მოთხოვნილებებით.

მასლოუს მიხედვით ადამიანს აქვს ბაზისური მოთხოვნილებების ხუთი კატეგორია:

1. ფიზიოლოგიური (გადარჩენის) მოთხოვნილება;
  2. უსაფრთხოების (ფიზიკური გარემოდან ტკივილის, ვნების აცილება) მოთხოვნილება;
  3. სოციალური (მიკუთვნებულობა, ზრუნვა, თანამშრომლობა და სიყვარული);
  4. ეგოს მოთხოვნილებები (თვითშეფასება და შეფასება სხვათა მხრიდან);
  5. თვითაქტუალიზაცია სამუშაოს ტერმინებში მასლოუს მოდელი შეიძლება გადმოვცეთ შემდეგნაირად:
    1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილება;
    2. სამუშაოს პირობების უსაფრთხოება;
    3. მეგობრობა და ჯგუფის წევრობა;
    4. მიღწევის შინაგანი გრძნობა და აღიარება;
    5. შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია;
- მასლოუს მიხედვით დაბალი რანგის მოთხოვნილების დაკმაყოფილება

ოფილების შემდეგ აქტიურდება და ქვეყნის განსაზღვრას იწყებს უფრო მაღალი რანგის მოტივები: უსაფრთხოების, სოციალური და ეგო-მოთხოვნილებები. ბოლო ეტაპზე კი თვითპატივისცემისა და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები.

პერსონალის მართვის სწორი სტრატეგიის განსაზღვრავად საჭიროა: ორგანიზაციის მენეჯმენტში მასლოუს თეორიის ორი სავარაუდო გამოყენება. პირველ რიგში დავადგინოთ იერარქიის რომელ საფეხურზეა მომუშავე და რა ტიპის მოთხოვნილებები Dდომინირებენ მასში. შემდგომ პერსონალის ბაზისური ინტერესების დაკმაყოფილება. ორგანიზაციაში პერსონალის ეგო და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებების გააქტიურება ხელს შეუწყობს ორგანიზაციისა და პიროვნების ინტერესების თანხვედრას.

მასლოუს თეორიაში გათვალისწინებული არ არის ინდივიდუალური თავისებურებები. იგი ეფუძნება უფრო მეტად თეორიულ მსჯელობებს და მასზე აგებული მენეჯმენტიც ნაკლებად სანდოა.

აღდერფერმა ჩამოაყალიბა შემდეგი პრინციპები:

1. მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა იწვევს ძლიერ სწრაფვას მისი რეალიზაციისაკენ.

2. დაკმაყოფილებული კონტაქტის მოთხოვნილების ნაკლებობა განაპირობებს ბაზისური მოთხოვნილებების სიძლიერეს.

3. დაკმაყოფილებული თვითდამკვიდრების ეგომოთხოვნილების ნაკლებობა იწვევს ძლიერი კონტაქტების მოთხოვნილებისკენ სწრაფვას.

ადამიანის მისწრაფება არა მხოლოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაშია, არამედ უფრო მეტისკენ მისწრაფებაშია. ადამიანი არა არის პასიური მაშინაც კი, როცა იგი კომფორტშია. ადამიანს გააჩნია განუსაზღვრელი პოტენციალი, რაც მის არსებობას მუდმივი განვითარებისაკენ უბიძგებს, რაც ნიშნავს საკუთარი თავის მუდმივ გარდაქმნას და მოტივაციის ერთი დონიდან უფრო მაღალი დონისკენ -მეორისაკენ მოძრაობას.

თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდის მიერ შესრულებული სამუშაო წარმოადგენს თვითშეფასების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. პერსონალის თვითშეფასება დიდად არის დამოკიდებული მისი მუშაობის წარმატებასა და ხელფასის რაოდენობაზე, დანინ-

აურების სისწრაფესა და სტატუსზე.

პერსონალის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მისი მოტივირებისათვის სასურველია ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს:

- შეაფასოს და წაახალისოს პერსონალი მიღწეული შედეგებისათვის;

- აქტიურად ჩააბას პერსონალი ორგანიზაციის მიზნების ფორმულირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- იზრუნოს პერსონალის კარიერაზე, თანამდებობრივ წინსვლაზე, ნახალისებაზე;

- ყოველმხრივ წაახალისოს და ხელი შეუწყოს პერსონალის შემოქმედებითი უნარების განვითარებას

პერსონალის მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებს მართვის სამსახურის, ასევე ნებისმიერი მენეჯერის მიერ უშუალო დაქვემდებარებულების კონკრეტული მოტივების, მოთხოვნილებების და ინტერესების ცოდნა. მათი მხარდაჭერა შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური.

პოზიტიური მხარდაჭერა ზრდის სასურველი ქცევის ალბათობას. ის მნიშვნელოვნად ზრდის პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობას შრომითი ურთიერთობების დროს. გასათვალისწინებელია განვსაზღვროთ თითოეული მომუშავისათვის ის მნიშვნელოვანი ფასეულობა, რომელიც მხოლოდ მისთვისაა (მეორისათვის შეიძლება არაფერს წარმოადგენდეს). მაგალითად მომუშავეთა ერთი ნაწილისათვის შეიძლება მთავარი იყოს სამუშაოს მნიშვნელობა და პრესტიჟი, ხოლო მეორე ნაწილისათვის ხელფასი იყოს განმსაზღვრელი.

ნეგატიური მხარდაჭერა ამუხრუჭებს პერსონალს არასასურველ ქმედებებს, ან პირიქით სტიმულს აძლევს წარმატებების მისაღწევად.

დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის მოტივირებისათვის მენეჯერის მიერ სწორი სტრატეგიის არჩევას. არასწორი სტრატეგიის არჩევამ შეიძლება ბევრი სირთულეები წარმოქმნას:

1. პერსონალის შრომის შედეგების არასათანადო შეფასება გამოიწვევს პერსონალის აქტივობის და მოტივირების შემცირებას;

2. არასაკმარისი მოტივირება არ წარმოადგენს პერსონალისათვის ეფექტიანი ქცევის სტიმულირებას;

3. წახალისება უნდა იყოს სამართლიანი, იმისათვის რომ არ გამოიწვიოს პერსონალის შრომის მაჩვენებლების გაუარესება;

4. მენეჯერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პერსონალის ინდივიდუალური თავისებურებები

შრომითი მოტივირებისათვის მენეჯერმა სასურველია გამოიყენოს ის კანონზომიერებები და პრინციპები (მოტივების იერარქიული ორგანიზება, სამართლიანობის პრინციპი, შრომითი ქცევის პოლიმოტივირება, მხარდაჭერის პრინციპი), რაც პერსონალის მუშაობისათვის სტიმულირების ეფექტიანი სისტემის შექმნას შეუწყობს ხელს.

## **უკუშეპრობის თანაქმედროვე ტენდენციები და მისი გართვის პერსპექტივები**

**თამარ ლამბაშიძე**

ედ,ასოციირებული პროფესორი

**ნაირა ლვედაშვილი**

ედ,ასოციირებული პროფესორი

პოსტსაბჭოთა სივრცისათვის და არა მხოლოდ ამ რეგიონისათვის დასაქმების პრობლემამ ძალზედ აქტუალური ხასიათი შეიძინა, რომელსაც ბუნებრივია უმუშევრობის თემის წინ წამოწევა მოჰყვა. საქართველოში უმუშევრობის მაღალ დონეს ორი ძირითადი პრობლემა განაპირობებს. პირველი დაკავშირებულია სამეწარმეო და მომსახურების სფეროების სუსტ განვითარებასთან და ვაკანსიების მცირე რაოდენობასთან, მეორე კი პირდაპირ ეხება მეწარმეებისა და განათლების სისტემის ინტეგრაციის არარსებობას. შრომის მიწოდების სტრუქტურა და კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, რაც განაპირობებს იმიგრანტების შრომის გამოყენებას. ეკონომიკური კრიზისი იწვევს სხვადასხვა პრობლემის გამწვავებას: გენდერულ უთანასწორობას, ხელფასის შემცირებას და სამუშაო პირობების გაუარესებას. წარმოქმნილ ვითარებაში ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ საკადრო პოლიტიკის შემუშავებით უნდა გადაწყვიტოს პერსონალის სტიმულირების, სწავლების, გათავისუფლების და დაქირავების პრობლემები.

საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება.

ბაზრის სტრუქტურის შემადგენელი მთავარი ნაწილები - შრომის კანონმდებლობა, კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურები, პროფკავშირული გაერთიანებები, სამუშაო ძალა - სუსტად არის განვითარებული. ქვეყანაში ისევ საბჭოური შრომის კანონმდებლობა მოქმედებს. მის შესაცვლელად მომზადებული კანონპროექტი გან-

ხილვის პროცესშია. სამუშაო ძალაც ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს, რადგან სპეციალისტების გადამზადების სახელმწიფო სამსახურები უმოქმედოა. ბაზარზე მოქმედ კერძო კომპანიებს უჭირთ ყველა იმ სფეროს ათვისება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალის ცვლილების მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში 2 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანია. 2 მილიონიდან კონტრაქტით დასაქმებული იყო 750 ათასი ადამიანი. აქედან, 300 ათასი სახელმწიფო სექტორში მუშაობდა. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა მათი დასაქმების ალტერნატივა არ ჩანს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული საწარმოები, დარგები და პროფესიები გამუდმებით იცვლება და ქრება, ამ დროს კი სხვები ჩნდება, იზრდება და ვითარდება. ვინაიდან ტექნოლოგიური პროგრესის გამო ცვლილებები სწრაფად მიმდინარეობს, გაიზარდა მოთხოვნა მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის სამუშაო ძალაზე. ამ ცვლილებებით რომ ისარგებლონ, მუშაკებს ისეთი პროფესიონალური უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ, რომელიც მათ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. დღეს ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე ათი წლის წინ, ვხვდებით ისეთ მუშაკებს, რომლებიც არა მარტო სამსახურს, არამედ მთელ კარიერასაც იცვლიან, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ბიზნეს-გაერთიანება “ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ სამეგრელოს რეგიონი იქნა გამოკვლეული. მათ განსაზღვრეს პრიორიტეტული სექტორები. ეს იყო მშენებლობა, აგრონომია, სოფლის მეურნეობა, ინფორმატიკა, ტურიზმის სექტორი. ეს პროექტი საკმაოდ ფართო დიაპაზონის იყო, რადგან შრომის ბაზარი შეისწავლეს კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, რაჭაში, გამოიკვლიეს ქუთაისის ადმინისტრაციული ზონა.

რეგიონებში ძირითადად ოთხი სექტორია მიმზიდველი. გამოავლინეს სამი ყველაზე მოთხოვნადი პროფესია. ესენია სამშენებლო პროფესიები: დურგალი, მემონტაჟე, მომპირკეთებელი. არსებული მდგომარეობის კვლევა საინტერესო სურათს ქმნის. შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ ინფორმაცია ძირითადად

მედიით და ინტერნეტით ვრცელდება. გვერდები ეთმობა განცხადებებს რუბრიკებით: “გთავაზობთ სამუშაოს”, “ვეძებ სამუშაოს”. “ვარ მაღალი, ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობის, ენერგიული, 22 წლის, ვიმუშავებ სერიოზულ ფირმაში მდივნად”; “დამთავრებული მაქვს კონსერვატორია, ვასწავლი მუსიკალურ სასწვლებელში, ვიმუშავებ სუპერმარკეტში ადმინისტრატორად ან გამყიდველად”.

სამუშაოს მძებნელთა ამ განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ შრომის ბაზარზე დასამკვიდრებლად ერთ-ერთი კარიერის შეცვლას აპირებს და სურს ადმინისტრატორი გახდეს, მაგრამ სათანადო პროფესიული გადამზადების კურსები ჯერ არ გაუვლია. პირველი განაცხადის ავტორს კი სპეციალობა საერთოდ არა აქვს.

გავრცელებული ინფორმაციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომის ბაზარზე სამუშაოს მძებნელებსა და არსებულ ვაკანსიებს შორის ბალანსი არათანაბარია. უმეტესობას ოფისში მუშაობა სურს, მოთხოვნა კი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო სექტორში მომუშავე სპეციალისტებზე მოდის. მათ შორის: გამყიდველი, მიმტანი, პურის მცხობელი, ხელოსანი, ძიძა და ა.შ. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მონაცემებიც იგივეს ადასტურებს. გასულ წელს, საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით რეგისტრირებული თავისუფალი სამუშაო ადგილებიდან კომუნალურ, სოციალურ და პერსონალურ მომსახურებაზე 37 პროცენტი მოდის, საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, ავტომობილების, მოტოციკლების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი ნივთების რემონტზე - 18,4, განათლებაზე - 8,1, ოპერაციებზე უძრავი ქონებით, იჯარასა და სხვა კომერციულ საქმიანობაზე - 7,7, ტრანსპორტზე, სასაწყობე მეურნეობასა და კავშირგაბმულობაზე - 7,5, მრეწველობაზე - 7,3, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე - 5,0 პროცენტი.

როგორც საწარმოთა მესაკუთრეები ახდენენ ინვესტირებას თავიანთ საწარმოებში, ზუსტად ასევე მუშების ინვესტირება ხორციელდება პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნაში. ეს მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია დღეს, რადგან ცოდნა, იდეები და “ტვინის ძალა” სულ უფრო და უფრო დიდი როლს თამაშობს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში.

თბილისის ცნობარის (ყვითელი ფურცელი) მიხედვით, ქვეყანა-

ში ძალზე მცირეა იმ კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ სერტიფიცირებას ემსახურება. გამოკითხულთა შორის მოქმედი კომპანიებიდან ნაწილი ცდილობს დასავლური სტანდარტებით იმუშაოს. ტარდება ჯგუფური ტრენინგები, სასწავლო პროგრამა კი შემდეგ საკითხებს მოიცავს: ეფექტური კომუნიკაციები, კლიენტთან ურთიერთობა, სატელეფონო კომუნიკაცია, გუნდი და ლიდერობა, ეფექტური მენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი, პრობლემების გადაწყვეტა, შემოქმედებითი აზროვნება, საქმიანი მოლაპარაკება, კონფლიქტების მოგვარება, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, სიტუაციების მოდულირება, ვიდეოგადაღება და ვიდეოანალიზი, და სხვები.

ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლება და გამოცდილება გავლენას ახდენს შრომის ბაზრებზე არსებულ მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ნავთობსადენის - “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” მშენებლობის დროს კომპანია “ბი-პი“-მ მიღების შემდუღებლებიც კი უცხოეთიდან ჩამოიყვანა, რადგან ადგილობრივ სპეციალისტებს სათანადო პროფესიული გამოცდილება არ ჰქონდათ. როგორც ირკვევა, სამშენებლო ფედერაციასთან არსებული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი შემდუღებლების, დეფექტოსკოპიის, მასალათმცოდნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, ტესტირებას და სერტიფიცირებას ემსახურება.

მოთხოვნასა და მიწოდებას თუ გავითვალისწინებთ, არ უნდა გავვიკვირდეს, რომ სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებს განსხვავებული ხელფასი აქვთ.

ამით საბაზრო ეკონომიკა მუშაკებს მნიშვნელოვან ინფორმაციას და სტიმულებს აძლევს. ამის შედეგად ზოგის ხელფასი იზრდება, ზოგის კი მცირდება. ასეთი ფასისმიერი სიგნალების საფუძველზე მეტი მუშაკი მიედინება მზარდ, მომავლის დარგებსა და პროფესიებში, სხვები კი ტოვებენ ჩამორჩენილ დარგებს. მუშაკები აფართოებენ ინვესტირებას იმგვარ უნარ-ჩვევებს, განათლებასა და გამოცდილებაში, რომლებიც შრომის ბაზარზე სულ უფრო მეტად ფასობს. საქართველოს შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა კვალიფიკაციის დეფიციტია. საზოგადოება კვალიფიკაციის ასამაღლებლად და

პროფესიების შესაცვლელად მზად არ არის. არის კიდევ ერთი საკითხი - არაინფორმირებულობა. ინფორმაციის დეფიციტს არა მხოლოდ უმუშევარი ადამიანი, არამედ ბევრი კომპანია განიცდის. უნდა მოხდეს მეწარმეებისა და განათლების სისტემის ინტეგრაცია. სასწავლო პროგრამები მეწარმეებზე უნდა იყოს მიმართული. მეწარმეები ხშირად ამბობენ: კანდიდატის მონაცემებს ვკითხულობთ, კარგი მონაცემებია, მაგრამ პირისპირ შეხვედრისას მისი დონე არ გვაკმაყოფილებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმე უფრო მაღალგანვითრებულია, უბრალოდ, კანდიდატს ხშირად ის ცოდნა და გამოცდილება არ აქვს, რაც მეწარმეს სჭირდება. გავაანალიზოთ შრომის ბაზრის სტატისტიკა.


საქართველოში 2011 წლის უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2010 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.1 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონის შემცირებასთან ერთად აღინიშნა მოსახლეობის აქტიურობისა და დასაქმების დონეების ზრდა. 2011 წელს 2010 წელთან მიმართებაში აქტიურობისა და დასაქმების დონეები, შესაბამისად 1.0 და 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურობისა და დასაქმების დონეები გაზრდილია, როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებში.

2011 წელს 2010 წელთან მიმართებაში თითქმის ერთნაირად გაიზარდა როგორც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რის შედეგადაც აღნიშნული თანაფარდობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. უმუშევრობის დონე დაბალია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. ამასთან, სოფლის ტიპის დასახლებებში უმუშევრობის დონე შემცირდა 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში - 0.7 პროცენტული პუნქტით (ნახ. 1).


რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებელს რეგიონულ ჭრილში, აღსანიშნავია მისი კლება შიდა ქართლის რეგიონში (3.8 პროცენტული პუნქტით), იმერეთის რეგიონში (2.4 პროცენტული პუნქტით) და კახეთის რეგიონში (2.2 პროცენტული პუნქტით) (ნახ.-2).

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2011 წელს 2010 წელთან მიმარ-

(ნახ. 1)



(ნახ. 2)




\* სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი

თებაში უძრავი ქონების დონის შემცირება თითქმის ერთნაირად გამოიკვეთა, როგორც ქალაქში, ასევე კაცებში. კერძოდ, უძრავი ქონების დონე ქალაქში 1.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო კა-

## ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ცებში აღნიშნული მაჩვენებლის კლებამ 1.2 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ქალებში უმუშევრობის დონე ნაკლებია, ვიდრე მამაკაცებში. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ქალები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები, ძირითადად წარმოადგენენ დიასახლისებს და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 44.2 და 23.5 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე (ნახ. 3).




აქტიურობის დონის სქესობრივ ჭრილში განხილვისას, აღსანიშნავია, რომ ქალებში აქტიურობის დონემ 2011 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ხოლო კაცებში - ბოლო ათწლეულის მანძილზე (ნახ 4).


აქტიურობის დონის ანალოგიურად, ქალებში დასაქმების დონემ 2011 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ხოლო კაცებში - ბოლო შვიდი წლის მანძილზე.

უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის გარდა, უმუშევრობის დონე შემცირდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. გარდა ამისა, უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე მაღალია 20-24 წლის ასაკობრივ

(ნახ. 4)



(ნახ. 5)



ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი - 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამ უკანასკნელის მიზეზია ის, რომ 65+ ასაკის მოსახლეობა წარმოადგენენ პენსიონერებს, რომელთა დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული და არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნებიან (ნახ. 5).

როგორც ვხედავთ, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია ახალგაზრდებში (20-24წწ). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე ტენდენცია ახასიათებს მსოფლიო შრომის ბაზარს იმ განსხვავებით, რომ ახალგაზრდათა შორის უმუშევრობა ევროპისა და აშშ-ის შრომის ბაზარზე ატარებს მოკლევადიან ხასიათს. შედარებისთვის, გერმანიაში ახალგაზრდებისთვის 35% უმუშევარია 6 თვეზე მეტი, ამავე დროს ქრონიკულად უმუშევართა წილი 12.6% შეადგენს.

ILO-ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) მონაცემების მიხედვით 2011 წელს უმუშევართა რიცხოვნობამ 197 მლნ ადამიანს გადააჭარბა (უმუშევრობის 6%), რაც მეტია 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (5.5%). ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონე დაფიქსირდა სამხრეთ აზიაში (3.8%), ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩინეთი და სინგაპური, დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა ლათინურ ამერიკაშიც. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სამხრეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთით და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (17%მეტი).

ასეთი არაერთგვაროვანი სიტუაციის საფუძველია ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურა. კრიზისის პერიოდში განითარებულმა ქვეყნებმა შეამცირეს წარმოება, რაც უარყოფითად აისახა ნედლეულის ექსპორტიორ ქვეყნებზე.

იმის მიუხედავად, რომ კრიზისის ყველაზე მძიმე პერიოდი უკვე გავლილია, საერთაშორისო ბაზარი მაინც ვერ ახერხებს გაჯასანდებას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით უმუშევრობის დონე გააგრძელებს ზრდას 2013 და 2014წწ. უმუშევართა რიცხოვნობა 2013 წ გადააჭარბებს 202მლნ, ხოლო 2014 წ - 205 მლნ ადამიანს.

უმუშევრობის ზრდასთან ერთად ფიქსირდება სამუშაო პირობების გაუარესება და სახელფასო განაკვეთის განსხვავება გენდერული ნიშნის მიხედვით. 43 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცების და ქალების სახელფასო განაკვეთებს შორის სხვაობა საშუალოდ 20% აღწევს. მაგალითად, თუ მამაკაცის საათობრივი განაკვეთი 10\$, ქალის მხოლოდ 8\$, ამასთან, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და სირთულე ერთნაირია. გენდერული უთანასწორობა ასევე ვლინდება თანამდებობის მინიჭების პოლიტიკაში,

როგორც წესი, ქალის კვალიფიკაცია მეტია, ვიდრე მოეთხოვება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას. უფრო მწვავედ უსამართლობას საკუთარ თავზე განიცდიან შვილიანი ქალბატონები. შრომის კოდექსისა და საერთაშორისო ნორმების მიუხედავად, კომპანიები ხშირად უარს ამბობენ შვილიანი ქალების დასაქმებაზე ან ასაქმებენ მათ დაბალ სახელფასო განაკვეთზე, რომელიც ჩვეულებრივი განაკვეთის მხოლოდ 68% შეადგენს.

კრიზისის პერიოდში შრომის ბაზარს ახასიათებს ვაკანსიების რაოდენობის სიმცირე, ამასთან სამსახურზე აყვანის მსურველთა რიცხოვნობა ძალიან დიდია. ასეთ სიტუაციაში კომპანიების უმეტესობა ახორციელებს არსებული კადრების ჩანაცვლებას უფრო კვალიფიციური მუშაკებით. ამის დასაბუთება ადვილია, ფირმას სურს აიმაღლოს მწარმოებლურობისა და სამუშაოს შესრულების ხარისხი ხელფასის ხარჯის ზრდის გარეშე. ამასთან, სამუშაოზე მიღების პირობები მკაცრდება, კანდიდატისგან მოითხოვება უფრო მეტი ცოდნა, კვალიფიკაცია, უნარ-ჩვევები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირად თვისებებს, მაგალითად, სტრესგამძლეობას და შრომისმოყვარეობას. ცნობილია შემთხვევა, როდესაც ადამიანს უარი უთხრეს მხოლოდ იმიტომ, რომ ანკეტის გრაფაში „ინტერესები“ მითითებული ჰქონდა „ექსტრემალური სპორტი“. „ექსტრემალური სპორტით გატაცება შეიძლება მავნებელი იყოს ჯანმრთელობისთვის, არავინ არ არის დაზღვეული უბედური შემთხვევისგან“, - ამით დაასაბუთა უარი დამსაქმებელმა.

ასევე დიდ ყურადღება ეთმობა წინა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზს, იქნება ეს დისციპლინის დარღვევა, კოლეგებთან კონფლიქტი თუ საკუთარი სურვილით წასვლა. გასაკვირი არც არის, რომ შერჩევის მკაცრ პირობებში კანდიდატთა 2/3 მალავს სამსახურიდან წასვლის მიზეზს და ცდილობს საკუთარი თავი წარმოაჩინოს უკეთესი მხრიდან, ხშირად ტყუილსაც იყენებს. ასეთი მიდგომა არასწორია, ვინაიდან ძალიან ადვილია ტყუილის გამოვლენა კანდიდატის ყოფილი ხელმძღვანელისგან მიღებული დანასიათების საფუძველზე.

ასეთ ვითარებაში მენეჯერების წინაშე დგას კითხვა: სჭირდებათ თუ არა მომუშავეებს დამატებითი მოტივაცია? კონსერვატორები,

ალბათ, ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებენ, მათი აზრის დასაბუთება ადვილია: ეკონომიკური კრიზისის პერიოდში სამსახურის მიღების მსურველთა რაოდენობა ძალიან დიდია და ადამიანი იძულებულია გაუფრთხილდეს მის მიერ დაკავებულ თანამდებობას, ხარისხიანად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, რათა არ დაკარგოს სახელფასო შემოსავალი. ამ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი, თუმცა სიტუაცია არაცალსახაა. შემოსავლის დაკარგვის შიშით ადამიანი ემსგავსება მანქანას, აპარატს, რომელიც ავტომატურად ასრულებს თავის მოვალეობას და არ არის დაინტერესებული კომპანიის განვითარებასა და პრობლემის მოგვარებაში. დაუსვით კითხვა საკუთარ თავს: მზად ხართ თუ არა დაიკისროთ დამატებითი პასუხისმგებლობა და შეასრულოთ მეტი სამუშაო მხოლოდ საკუთარი ინიციატივის ხარჯზე წახალისების გარეშე? სავარაუდოდ, არა.

თუ კოლექტივში დამყარებულია მეგობრული კონკურენციის ატმოსფერო, მიზანშეწონილი იქნება კომპანიის შიგნით კონკურსის ჩატარება, რომლის მონაწილენი მცირეფასიანი ნივთებით ან სიგელებით დასაჩუქრდებიან. სასარგებლო იქნება საუკეთესო მუშაკის გამოვლენა, აქტიურობის რეიტინგის შედგენა და ა.შ. ყველაფერი ეს დაარწმუნებს სამტატო ერთეულს, რომ კომპანია აფასებს მას და საშუალებას აძლევს გააგრძელოს კარიერული წინსვლა. თუმცა, ამ ქმედებებს გააჩნია უარყოფითი მხარე: კოლექტივში შეიძლება გაჩნდეს კონფლიქტები და უთანხმოება. არაფულადი ინსტრუმენტებით წახალისებისას აუცილებელია ობიექტურობისა და აღქმის პრინციპების დაცვა, რაც იმას გულისხმობს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული მაჩვენებლები და ფაქტორები უნდა იყოს გასაგები და მისაღები პერსონალისთვის, ე.ი. არ უნდა მოხდეს ზემიზნების დასახვა, დაკისრებული სამუშაო უნდა იყოს გასაგები და შესრულებადი და გამოირჩეოდეს ზომიერი სირთულით.

ეკონომიკური კრიზისის დროს დამქირავებლები მიმართავენ პერსონალის ტრენინგების ჩატარებას. მომუშავენი შეისწავლიან იმას, თუ როგორ შეიძლება რესურსების მინიმალური ხარჯვით საუკეთესო შედეგების მიღწევა, ე.ი. სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და რაციონალური გა-

დაწყვეტილების მიღებაზე. ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს როგორც ორგანიზაციის მომუშავეს, ასევე გარედან მოწვეული ადამიანის ხელმძღვანელობით. სწავლების ფორმა დამოკიდებულია ორგანიზაციის ხელთ არსებული რესურსების ოდენობასა და განსახილველი პრობლემის სპეციფიკაზე. როგორც წესი, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში კომპანია განიცდის ფულადი სახსრების დეფიციტს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია ტრენინგის ხელმძღვანელად დაინიშნოს საუკეთესო გამოცდილი მუშაკი, რომელიც კარგად ერკვევა ფირმის პრობლემებში, შეუძლია გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება. გაწვრთნილი და დაფასებული მომუშავეებისგან მიღებული სარგებელი გადაფარავს ტრენინგზე გაწეულ ხარჯს, ე.ი. სწავლება გამართლებულია.

პერსონალი წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიულ რესურსს, რომლის მასობრივი დათხოვნა გამართლებულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მსხვილი კომპანიები მიმართავენ სხვადასხვა ხერხს, რათა არ დაუშვან კადრების გადინება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულების საფუძველზე მოზიდული კადრების გათავისუფლება, ორგანიზაციისთვის უფრო ფასეულია საშტატო ერთეულები, ვიდრე შტატგარეშე მომუშავენი. მეორე მეთოდი დაკავშირებულია პერსონალის ნაწილის გადაყვანასთან ნახევარ განაკვეთზე. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადამიანები გამოხატავენ სოლიდარობას და გამოთქვამენ სურვილს იმუშაონ და მიღონ ნაკლები, რათა არ მოხდეს სამსახურიდან კოლეგების დათხოვნა. მესამე მეთოდი გულისხმობს მომუშავეთა გადაყვანას თავისუფალ (free line) რეჟიმში, რაც ახლოსაა საიჯარო ხელშეკრულების პრინციპებთან. მეოთხე მეთოდი ეფუძნება თანამდებობრივ მოვალეობების გადახედვას და საკადრო სისტემის რეორგანიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურიდან გათავისუფლება გარდაუვალია, კომპანია ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს ადამიანს. დახმარებამ შეიძლება მიიღოს მატერიალური სახე, მაგალითად, ერთჯერადი ფულადი დახმარება, რეკომენდაციის დაწერა და CV-ის გაგზავნა სხვა კომპანიებსა და დასაქმების სააგენტოებში. ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Sony, Ford, სთავაზობენ უფასო იურიდიულ და ფი-

ნანსურ კონსულტაციებს და ოფისის გამოყენების უფლებას რამდენიმე თვის განმავლობაში საკუთარი ბიზნესის გახსნის შემთხვევაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს შრომის კოდექსი.

2. **Ричард Л. Дафт. Менеджмент.** 2001. Год выпуска: 2001. Автор: **Ричард Л. Дафт.** Издательство: Питер.

3 Edwards, T. and Kuruvilla, S. (2005) 'International HRM: National Business Systems, Organizational Politics and the International Division of Labour in MNCs', International Journal of Human Resource Management, 16 (1): 121.

**4. ინტერნეტ მასალები:**

1. [www.mof.ge](http://www.mof.ge)

2. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

3. [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

4. [www.ilo.com](http://www.ilo.com)

5. [www.hrmonitor.ru](http://www.hrmonitor.ru)

6. <http://www.termpaperwarehouse.com/essay-on/Mitsubishi-Sex-Scandal-Research-Paper/139970>

## სტრატეგიული ალიანსები და მათი როლი კონსერვანტუნარიანობის ამაღლებაში

ალექსანდრე შარაშენიძე  
თსუ დოქტორანტი

სტრატეგიული ალიანსი წარმოდგენს ორი ან მეტი ორგანიზაციის შეთანხმებას ითანამშრომლონ განსაზღვრული ბიზნესს აქტივობის განსახორციელებლად, თითოეული სტრატეგიული პარტნიორი სარგებლობს ერთმანეთის სიძლიერით და ამით მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას. სტრატეგიული ალიანსების გაჩენა გლობალიზაციის შედეგად ბიზნესს გარემოს ერთდროულად გაუმჯობესებამ და გართულებამ გამოიწვია. სტრატეგიულ ალიანსებში ერთდროულად ხდება პარტნიორების ცოდნისა და პროფესიონალზმის გაზიარება და ამავე დროს ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების განვითარება.

ხშირად სტრატეგიული ალიანსის გაიგივება ხდება ერთობლივ საწარმოსთან, მისგან განხვავებით სტრატეგიულ ალიანსებში კონკურენტების გაერთინება და მისი არსებობის პერიოდი ხანმოკლეა. სტრატეგიული ალიანსების გაჩენამ გამოიწვია „კორპორატიულ კულტურაში და ბიზნესის წარმოების მეთოდებში დიდი ცვლილება არა მესაკუთრეობაზე არამედ პარტნიორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების სწრაფი ზრდა.“<sup>1</sup>, ეს მოწმობს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში პარტნიორული ურთიერთობების კონკურენტულ უპირატესობაზე. სტრატეგიული ალიანსები, კომპანიებსა და საერთაშორისო ბიზნეს სისტემებში ფორმირებული ორგანიზაციათაშორისი ურთიერთობები ყალიბდება იმ შემთხვევებისთვის, როცა მიზნის მისაღწევად თანამშრომლობა უკეთესი საშუალებაა, ვიდრე კონკურენცია. სტრატეგიული ალიანსი შეიძლება ვუნუდოთ პროცესს, როდესაც ხდება ბიზნეს პრაქტიკის კორექტირება დუბლირებისა და ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით.

სტრატეგიულ ალიანსს წვლილი შეაქვს სტრატეგიული გეგმის

---

1 Drucker , 1996.

წარმატებით განხორციელებაში. სტრატეგიული ალიანსი, შესაძლებელია ითქვას წარმოადგენს, სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. მარტივად რომ ვთქვათ, სტრატეგიული ალიანსი შესაძლოა განვიხილოთ პარტნიორობა, რომელიც ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას ერთობლივი სარგებლიანობისთვის და მდგრადი კონკურენტული უპირატესობების მისაღწევად გააერთიანოს ძალები.

სტრატეგიული ალიანსები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ ბიზნესში. სტრატეგიული ალიანსის მეშვეობით კომპანიამ შესაძლებელია აამაღლოს კონკურენტული მაჩვენებელი, შეაღწიოს ახალ ბაზარზე, გააუმჯობესოს პროფესიული უნარები და მოახდინოს რისკისა და ხარჯების გადანაწილება. სტრატეგიული ალიანსი ძირითადი მახასიათებლებია:

1. ორი ან მეტი ორგანიზაცია თანხმდება მიაღწიოს საერთო ინტერესების მქონე მიზნებს, ამასთანავე ორგანიზაციები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას;

2. პარტნიორების მიერ ხდება როგორც უპირატესობების, ასევე მენეჯმენტზე კონტროლის გადანაწილება;

3. პარტნიორები თავიანთი საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით ცდილობენ წვლილი შეიტანონ ალიანსის სხვადასხვა სეგმენტის განვითარებაში.

სტრატეგიული ალიანსის სასარგებლო მხარეებია:

1. ბაზარზე ადვილია შესვლა (უცხო ბაზარზე შესვლის ხარჯები ერთი ფირმისათვის შესაძლოა დიდი იყოს);

2. რისკების გაზიარება;

3. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება (ცალკეული ფირმები კომპეტენტურნი არიან ერთ სფეროში და ნაკლები გამოცდილება მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროში, ძალების გაერთიანება ამ დანაკლისის აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა);

4. სინერგია და კონკურენტული უპირატესობა.

სტრატეგიული ალიანსის ტიპები შესაძლოა იყოს შემდეგი:

• **ერთობლივი სანარმო** (ორი ან მეტი მხარის შეთანხმება განსზღვრული პროექტის განსახორციელებლად). თვითეულ მათგანს

აქვს თანაბარი კაპიტალის წილი და იყოფენ შემოსავალს, ხარჯებსა და მოგებას. ერთობლივი სანარმოები იშვიათად გვხვდება მცირე ბიზნესში ვალდებულებებისა და ხარჯების სიდიდის გამო;

- **აუთსორსინგი** (შიდა ბიზნესს პროცესების წარმართვის გარეშე ორგანიზაციასთან/პირთან შეთანხმება);

- **პარტნიორული მარკეტინგი** (ბიზნესის ინტერნეტის საშუალებით განვითარების მეთოდი - ვებ პარტნიორებთან თანამშრომლობით), პარტნიორი გვერდის თითოეული დამთვალირებლისთვის ან განხორცილებული გაყიდვისთვის იღებს საზღაურს;

- **ტექნოლოგიების ლიცენზირება** - გარიგება სავაჭრო ნიშნების, ინტელექტუალური საკუთრების გარეშე ორგანიზაციასათვის ლიცენზირების შესახებ. ჩამოიყენება ძირითად უცხო ბაზარზე შესვლისას ხარჯების შესამცირებლად. ტექნოლოგიის ფლობაზე კონტროლის დაკარგვა წარმოდგენს უარყოფით მხარეს;

- **პროდუქტის ლიცენზირება** - ტექნოლოგიების ლიცენზირების მსგავსია. განხვავებას წარმოადგენს ის, რომ ხდება გამსაზღვრული პროდუქტის წარმოებისა და გაყიდვის ლიცენზირება. როგორც ნესი ლიცენზია გაიცემა განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალზე;

- **ფრანჩიზა** - სხვა ფირმის წარმატებული ბიზნეს მოდელის გამოყენების პრაქტიკა. მოდელის გადმოღებისთვის ხდება გარკვეული საზღაურის გადახდა;

- **სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-კონსრუქტორული სამუშაოებზე (R&D)** დაფუძვნებული ალიანსები შესაძლოა ერთობლივი სანარმოს კატეგორიას მივაკუთვნოთ, ამ დროს ორი ან მეტი სანარმო ერთობლივი ძალებით ანხორცილებს კვლევას;

- **დისტრიბუტორები** - პროდუქტის გასაღება დისტრიბუტორების საშუალებით ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, თითოეული დისტრიბუტორი პასუხისმგებელია თავის ტერიტორიულ მონაკვეთზე.

ზოგადად სტრატეგიული ალიანსის წარმატებისთვის საჭიროა თითოეული პარტნიორის კოოპერაციულ ქცევა. ალიანსის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორებიცაა პრობლემების გადაწყვეტა, სანდომიანობა, პარტნიორების რესურსებისა და შესაძლებლობების კომბინაციის ღირებულების

შექმნა, პარტნიორობის თვითდაჯერებულება თანამშრომლობის აუცილებლობასა და საქმიანობის შეთახმებაში.

სრატეგიულ ალიანსის ჩამოყალიბებას წინ უძღვის:

- სტრატეგიის შემუშავება: ალიანსის მიზნების განხორციელებადობის შესწავლა, ალიანსის მიზნების შეთავსება ძირითად კომპანიის სრატეგიასთან;

- პარტნიორების შეფასება: პოტენციური პარტნიორის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, პარტნიორის მენეჯმენტის სტილთან შეთავსების სტრატეგიის შემუშავება, პარტნიორის შერჩევის კრიტერიუმის დადგენა, პარტნიორის გაერთინებისკენ მამოძრავებელი მოტივის გააზრება, დადგენა თუ რამდენად მჭიდროდაა ეს კავშირში პოტენციური პარტნიორის რესურსების შესაძლებლობების ზღვართან;

- ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება: დადგენა თუ რამდენად რეალური მიზნები აქვს მხარეებს, თითოეული პარტნიორის წვლილისა და სარგებლის განსაღვრა, აგრეთვე კორპორატიული ინფორმაციის დაცვა, ალიანსის მოქმედების ვადების განსაღვრა, არასათანადოთ ვალდებულების შესრულებისას შესაბამისი სანქციების განსაღვრა, სადავო შემთვევების შესაძლო შედეგების განზღვრა;

- ალიანსის ოპერატიული გეგმა: მენეჯმენტის პასუხიმგებლობის განსაღვრა, რესურსებს/ბიუჯეტსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს შორის უკუკავშირის განსაზღვრა, ალიანსის შედეგების შეფასება;

- ალიანსის გაუქმება - ალიანსის მიზნების ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით შეუსრულებლობისას.

სტრატეგიულ ალიანსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფირმის კონკურენტუნარიანობისათვის. კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ხშირად შეუძლებელია ცალკეული ფირმისთვის, რადგან მას არ გააჩნია საკმარისი რესურსი და სამენარმეო და ინოვაციური ცოდნა დინამიური კონკურენტული ბაზრისათვის. ორგანაზაციათაშორისი ურთიერთობები იძლევა ფირმის რესურსებისა და უნარების გაზიარების შემოთავაზების შესაძლებლობას, პარტნიორებთან თანამშრომლობით ხდება მათი განვითარება და

თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული სარგებლის კონკურენტულ უპირატესობად გარდაქმნა.

კონკურენტული უპირატესობები გამომდინარეობს ორგანიზაციის უნართან ითანამშრომლოს სხვა ორგანიციებთან ბიზნეს ქსელების, მომწოდებლებისა და მყიდველების ჩათვლით, რითაც გარკვეულწილად ხდება გეოგრაფიულად და კუთურულად დაშორებულ პარტნორებთან დადებითი და უარყოფითი მხარეების გაზიარება.<sup>1</sup> გლობალიზაციის წარმართველი ძალები წარმოადგენენ კონკურენტული უპირატესობების წარმართველ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. სტრატეგიული ალიანსები კი წარამოედგენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებთან ადაპტაციის გზას.

არც ერთი ბიზნესი იზოლირებულ კუნძულს არ წარმოადგენს, რამდენადაც კომპანიებს ერთმანეთთან ხანრძლივი ურთიერთკავშირი აკავშირებს<sup>2</sup>. ბიზნესის მზარდი ხარჯები კიდევ უფრო ამძაფრებს ალიანსის ჩამოყალიბებისკენ ზიძგს, ალიანსებს მათი დიდი მნიშნელობის გამო სამომავლო ზრდის პირველად ძრავას უწოდებენ. ამრიგად, სტრატეგიული ალიანსი აღარ არის სტრატეგიული ალტერნატიული გზა, არამედ ის წარმოადგენს აუცილებლობას, როგორც დარგის ასევე ბაზრის განვითარებისათვის.

---

**1 Strategic Alliances & models of collaboration Emanuela Todeva. School of Management, University of Surrey, Guildford, Surrey, GU2 5XH 2005**

**2 To Compete or Cooperate – A Strategic Dilemma. Sören Kock\*. Entrepreneurship, Management and Organization. Hanken School of Economics. Finland.**

## **ANALYSIS OF CASH FLOWS AND PROFIT & LOSS STATEMENTS , INTERCONNECTIONS AND DIFFERENCES BETWEEN THEM**

Natia Shengelia,  
GTU, Senior Teacher

Even though three main financial statements : Statement of Cash Flows, Income Statement and Balance Sheet each of them contain very distinct information, they are completely connected. In fact, you can't produce a balance sheet without first creating a statement of profit and loss (P & L statement) , and you can't prepare a statement of cash flows without having already produced the other two financial statements. Below we would like to analyze the statement of cash flows(IAS 7 ) and the statement of Profit and Loss(IAS 1-revision) in detail in conjunction with each other.

Some Readers of a company's financial statements might be misled by a reporting profit figure in the statement of Profit and Loss (P & L ). However paying dividends or wages in reality depends on liquidity or cash flows. The Statement of Profit and Loss is based on accruals principle, while cash itself is important for preparing the Statement of Cash flows. Firstly, Share holders might believe that if a company has a profit after tax , for example 50 000 Gel, this amount could be afford to pay it out as dividends. Unless the company has enough cash to stay in business and also to pay dividend, the shareholders' expectations would be wrong and disappointing. Secondly, employers believe that referring a high profit figure in P & L Statement, it is possible to get paid higher wages, this is also incorrect: the ability to pay wages or debts or dividends depends on availability of cash. The aim of IAS 7 is to provide information to users about the company's ability to generate cash and cash equivalents.

This statement<sup>1</sup> will cover the same period as the statement of profit and loss. It starts with the beginning cash balance for the period (which is

---

**1** <http://www.netplaces.com/accounting/preparing-financial-statements/the-statement-of-cash-flows.htm>

the same as the ending cash balance for the last period). Then, there are three categories (formatted on the report as separate sections) that track the cash flowing through a company: operating activities, investing activities, and financing activities.

**Operating activities** include all the day-to-day transactions that bring in or use up cash; mainly, revenues and expenses. This section differs according to the method that will be chosen: direct or indirect; this will be discussed below in detail.

**Investing activities** include buying and selling fixed assets, stocks and bonds, property improvements (for example, paying to have a building renovated).

**Financing activities** include the things you do to raise cash for your company, such as taking out loans or bringing in more equity contributions; they also include the payments you make as you pay down debt or pay out dividends.

Of the three sections, operating activities is the most important. This category speaks to how successfully your business maintains a positive cash position solely through its daily transactions. If your company is generating enough cash to survive from its operating activities, it means it can stay in business and continue operating.

The standard offers 2 methods for reporting cash flows:

1) **Direct method**<sup>1</sup>: disclose gross cash receipts and payments; It focuses on grouping the major sources of cash receipts and causes of cash payments. For example, cash used to pay to suppliers for inventory is listed separately from cash used to pay employees.

2) **Indirect method**<sup>2</sup>: Net profit or loss is adjusted for the effects of a non-cash nature, any deferrals or accruals of past or future operating receipts or payments, and items of income or expenses associated with investing or financing flows. For example, non-cash expenses such as depreciation are added back to the bottom-line number, and accruals and

---

1 ACCA-F7- Financial Reporting (International and United Kingdom)-Study Textbook

2 ACCA-F7- Financial Reporting (International and United Kingdom)-Study Textbook

deferrals (used in accrual basis accounting) are converted into their cash effect. Here's how a conversion works: A decrease in accounts receivable from the period prior to this one indicates more cash has come in, since accounts receivable decreases based on customer payments. That converts on-account sales information into the cash effect for this period. The basic conversion strategy is this: Increases in liabilities, such as accounts payable, translate to increases in cash-not paying off debts, and vice versa; Increases in assets, such as accounts receivable(not receiving cash), inventory(paying cash for buying them) translate to decreases in cash, and etc.<sup>1</sup> Remember, the bottom line on the statement of cash flows — your cash at the end of the period — must equal the cash figure on your current balance sheet. Moreover, it should be explained in detail why some items are added and others subtracted in the Statement of Cash flows:

1) Depreciation -as a non-cash item but is deducted during calculating profit in P&L Statement. Therefore, to eliminate it is necessary to add back.

2) A loss on disposal of a non-current asset as it was already deducted from profit now here it needs to be added back.

3) An increase in Inventories -means having spent much money on buying inventory-thus less cash.

4) An increase in receivables- you have not still received money from your customers-thus less cash.

5) Increase in Liabilities- you paid off your debts-thus less cash logically and etc.

Below you can see 2 different operating activities section using different methods (see images):

As an example of the often used complete Statement of Cash flows generally can be like this:

The balance sheet is sort of the financial statement middleman. It pulls information from the statement of profit and loss and offers information to the statement of cash flows. As you might guess, the statement of cash flows needs to know how much cash the company started the period with,

---

**1 <http://www.netplaces.com/accounting/preparing-financial-statements/the-statement-of-cash-flows.htm>**

<b>DIRECT METHOD</b>		
<b>Cash Flows from Operating Activities</b>		
<b>Cash Receipts</b>		
Cash collections from customers	\$782,000	
Interest on investments and loans	1,000	
<b>Total Cash Receipts</b>		<b>\$783,000</b>
<b>Cash Payments</b>		
Merchandise purchases	545,000	
Salaries and wages	129,000	
Advertising	20,000	
Telephone and utilities	15,000	
Supplies and postage	6,000	
Insurance	11,000	
Property taxes	7,000	
Interest	5,000	
<b>Total Cash Payments</b>		<b>(738,000)</b>
<b>Net Cash Flows from Operating Activities</b>		<b><u>\$ 45,000</u></b>

<b>EMERSON CORPORATION</b>		
<b>Statement of Cash Flows (Indirect Approach)</b>		
<b>For the Year Ending December 31, 20X<sub>1</sub></b>		
<b>Cash flows from operating activities:</b>		
Net income		\$1,000,000
Add (deduct) noncash effects on operating income		
Depreciation expense	\$ 120,000	
Gain on sale of land	(150,000)	
Increase in accounts receivable	(250,000)	
Decrease in inventory	40,000	
Increase in accounts payable	70,000	
Decrease in wages payable	<u>(30,000)</u>	<u>(200,000)</u>
Net cash provided by operating activities		\$ 800,000
<b>Cash flows from investing activities:</b>		
Sale of land	\$ 750,000	
Purchase of equipment	<u>(150,000)</u>	
Net cash provided by investing activities		600,000
<b>Cash flows from financing activities:</b>		
Proceeds from issuing stock	\$ 80,000	
Dividends on common	(50,000)	
Repayment of long-term loans	<u>(900,000)</u>	
Net cash provided by financing activities		<u>(870,000)</u>
<b>Net increase in cash</b>		<b>\$530,000</b>
<b>Cash balance at January 1, 20X<sub>1</sub></b>		<b><u>170,000</u></b>
<b>Cash balance at December 31, 20X<sub>1</sub></b>		<b><u>\$ 700,000</u></b>
<b>Noncash investing/financing activities:</b>		
Issued preferred stock for building		<u>\$ 300,000</u>
<b>Supplemental information:</b>		
Cash paid for interest		\$ 100,000
Cash paid for income taxes		300,000

and then works down to the ending cash balance. Sometimes, it needs additional balance sheet information f. ex. increase or decrease in accounts receivable, accounts payable or inventory that are given in the balance sheet. The statement of cash flows also gives something back to the balance sheet: verification. If the ending cash on the balance sheet doesn't match the ending cash on the statement of cash flows, there is a mistake somewhere that you need to correct. Furthermore, the revision of IAS 1 in 2007 introduced a new statement -the statement of comprehensive income that can be presented in 2 statements: a separate Income Statement ( or the P & L statement) and statement of other comprehensive income which might include:

- \* Exchange differences on translating foreign operation<sup>1</sup>,
- \* Available-for-sale financial assets,
- \* Cash flow hedges<sup>2</sup>,
- \* Gains/Losses on Property revaluation,
- \* Share of other comprehensive income of associates etc.

However the statement of profit and loss is by far the favorite and easy to understand among business owners; after all, this is the one that shows the profits. This statement can show you much more than the bottom line, though. It can let you know if you've been setting your prices too low, paying too much for the merchandise that you resell, or spending much too much on postage, customs etc. In addition to spelling out just how well your business has done over the past year (or month or quarter), it contains clues for improving profitability and beefing up that bottom line. First, though, you have to put it together. Three kinds of accounts appear on this financial statement: revenues, costs, and expenses. The statement is a kind of vertical equation that basically says "revenues minus costs minus expenses equals profit or loss."<sup>3</sup> In the body of the report, revenues are listed right on top; costs (if you sell products) come next; and expenses are at the end. At the very bottom comes the bottom line, the company's

---

1 ACCA-F9- Financial Management Syllabus

2 ACCA-F9- Financial Management Syllabus

3 <http://www.netplaces.com/accounting/preparing-financial-statements/the-statement-of-profit-and-loss.htm>

overall net profit or loss for the period. Statements of profit and loss for service businesses are shorter than those for product-based businesses. Service companies don't need a section for cost of goods sold or gross profit, because they don't sell any goods. Other than that missing section, the statements look pretty much the same.

An analysis of expenses must be shown either in the income statement or by note by classifying them either by Nature of Expense or by their function. Function of Expense method can be also called as Cost of Sales method. Below we can see the following formats:

**Income Statement by Nature of Expense:**

		Gel
Sales Revenue		X
Other Incomes		X
Changes in Finished Goods and WIP	X	
Consumed materials	X	
Staff Costs	X	
Depreciation and Amortization Expenses	X	
Other Expenses	X	
Total Expenses		<u>(X)</u>
<b>Profit</b>		<b><u>X</u></b>

**Income Statement by Function of Expense**

Sales Revenue	X
Cost of Goods Sold	(X)
Gross Profit	X
Other Incomes	X
Commercial Expenses	(X)
Administrative Expenses	(X)
Other Expenses	<u>(X)</u>
<b>Profit</b>	<b>X</b>

In Summary, the differences exist between Cash flows and Income statements in profitability and actual real cash. **Some companies can ex-**

**perience net income, and yet not possess sufficient cash to keep their businesses afloat.** In the statement of Profit and Loss , profit is smoothed out through accruals, prepayments, provisions. Most companies use the accrual basis for recognizing revenue, which causes the cash account to lag behind net income. Transactions within the assets, liabilities and shareholders' equity accounts on the balance sheet also affect the cash account. In Business reality profit is not as important as the extent to which a company can convert its profit into real available cash on a continuing basis. However the statement of cash flows is strongly connected with the Income Statement as it takes important information from it; But differing from P & L statement, it focuses on actual cash. Thus both financial statements are interconnected and simultaneously differ in some categories, but each of them have it own independent right and importance for users during business decision-making process.

## ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი

### ვასილ ხიზანიშავილი

სოციალური მეცნიერებათა დოქტორი  
ეკონომიკაში, თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბიზნესის თითოეული სფეროს მართვა გულისხმობს როგორც წარმოების, მარკეტინგის, ფინანსური ანგარიშგების, ჰუმანური რესურსების საკითხებს, ისე მართვის ყველა იმ ფუნქციას, რაც აყალიბებს მოქმედებათა მთელ არეალს, მოცულს დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და კონტროლის ფორმალური და არაფორმალური საშუალებებით. თუმცა, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის ძირითადი რელევანტური ასპექტებია სწორედ ის ასპექტები, რომლებიც არის აშკარად შესამჩნევი და მიმართული სპეციფიკურად ეთიკური პრობლემებისა და საკამათო საკითხების გადასაწყვეტად. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია მისი ამგვარი დეფინიცია: **ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი არის ეთიკური საკამათო საკითხებისა თუ პრობლემების ფორმალური თუ არაფორმალური მართვის პირდაპირი მცდელობა სპეციფიკური პოლიტიკით, პრაქტიკით და პროგრამით.**

არსებობს მრავალი მართველობითი საქმიანობა, რომელთაგან ზოგიერთი, როგორცაა ეთიკის კოდექსი, სამართლიანად არის კარგად დაფუძნებული პრაქტიკაში, მაშინ როდესაც დანარჩენი, ისეთი როგორც არის სოციალური აუდიტი, დასავლეთში განვითარების ჯერ კიდევ შედარებით ადრეულ სტადიაზე იმყოფება. მაშასადამე, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი მოიცავს განსხვავებული ელემენტების მთელ ნყებას, რომელთაგან თითოეული ბიზნესში ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურ კომბინაციაში. ეს ელემენტებია:

ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის ტიპური კომპონენტები
<p>კორპორაციის გაცხადებული მისია ანუ ფასეულობები ეთიკის კოდექსი საანგარიშო მოხსენების / შეტყობინების არხები ეთიკის მენეჯერები, ოფიცრები და კომიტეტები ეთიკის კონსულტანტები განათლებისა და ტრენინგის ეთიკა სტიკეჰოლდერების საკონსულტაციო, დიალოგის და საპარტნიორო პროგრამები აუდიტი, ფინანსური ანგარიშგება და რეპორტი.</p>

**ნახ.1. ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი<sup>1</sup>**

შევეცადოთ მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:  
**კორპორაციის გაცხადებული მისია ანუ ფასეულობები.**  
 არსებობს ძირითადი განაცხადი კორპორაციის განზრახვების, შეხედულებათა და ფასეულობების თაობაზე.

ამგვარი განაცხადი ხშირად შეიცავს სხვადასხვა სახის სოციალურ მიზნებს<sup>2</sup> და აღნიშნავს ეთიკური მოქმედების ვალდებულებას.

**ეთიკის კოდექსი.** განსაზღვრული ორგანიზაციის, პროფესიისა თუ ინდუსტრიის ფარგლებში ეთიკური თვალსაზრისით ყოველთვის არსებობს გარკვეული საფუძვლები იმის შესახებ, თუ მოქმედებათა რა ტიპი შეიძლება იყოს სასურველი და მოსალოდნელი.

**საანგარიშო მოხსენების /შეტყობინების არხები.** ეთიკური საკითხების შესახებ თავმოყრილი ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი **input**<sup>3</sup> ეფექტიანი მენეჯმენტისათვის, და ზემოთ

**1 Andrew Crane, Dirk Matten., Business Ethics; A EUROPEAN PERSPECTIVE ( Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization)., Oxford, New York, 2004, P.145**

**2 Starkey, K., Durkheim and the limits of corporate culture: Whose Culture ? Which Durkheim ? Journal of management Studies, 35/2, 1998, P.125.**

**3 აქ input გულისხმობს დროის, ცოდნის, იდეების და ა.შ. ინფორმაციულ ერთობას, რაც შესაძლოა განთავსდეს სხვადასხვა სახის შრომაში, პრო-**

აღნიშნული არხები შეიძლება იქცეს პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებებად, ამავე პრობლემების გამწვავება — გასაჯაროებამდე.

**ეთიკის მენეჯერები, ოფიცრები და კომიტეტები.** ზოგიერთ ორგანიზაციაში, სპეციფიკური ინდივიდები თუ ჯგუფები თანხმდებიან და / ან იღებენ პასუხისმგებლობას ეთიკის მენეჯმენტისათვის მათსავე ორგანიზაციებში. დანიშნული ეთიკის ოფიცერი აშშ-ში პოპულარული და პრეველენტური, ანუ ფართოდ გავრცელებულია დღეს. შტატებშივე დაფუძნებული ეთიკის ოფიცრების ასოციაცია ახდენს საუკეთესო პრაქტიკებისა და საინფორმაციო რესურსის ბიზნესეთიკის მენეჯერთა შორის განაწილებას<sup>1</sup>. ასევე, მრავალრიცხოვან მსხვილ კორპორაციებს გააჩნიათ ეთიკის კომიტეტები, ან კსპ-ის კომიტეტები, რომლებიც მეთვალყურეობენ ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის მრავალ ასპექტს. ამ კომიტეტების პასუხისმგებლობა წარმოადგენს სწორედ კსპ-ის, პრიორიტეტების დადგენისა და მომავალი საქმიანობების დაგეგმვის კომპანიისეულ მიდგომათა იმპლემენტაციას და მიმოხილვას.

**ეთიკის კონსულტანტები.** ბიზნესის ეთიკის კონსულტანტებს მოკრძალებული, მაგრამ მყარად განსაზღვრული პოზიცია გააჩნიათ ბაზარზე. ბიზნესის ეთიკის გარკვეულ სფეროთა სახელმძღვანელოდ, კორპორაციები შიდა აღმასრულებელ ორგანოებზე მეტად გარე კონსულტანტებს ანიჭებენ უპირატესობას. საწყისი ზრდა ამ სექტორში გამოწვეულია გარემოს კონსულტანტების მიერ ტექნიკური ხასიათის რჩევების შეთავაზებით. თუმცა, კომპანიების სოციალური და ეთიკური დღის წესრიგი განაპირობებს მომსახურების ფართო პორტფელის შეთავაზებას კვლევის წარმოების, პროექტის მენეჯმენტის, სტრატეგიული რჩევების, სოციალური და გარემოს აუდიტის და რეპორტის, შემოწმების, სტიუკპოლდერების დიალოგისა და სხვათა ჩათვლით.

**განათლებისა და ტრენინგის ეთიკა.** ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთიკის განათლები-სა და ტრენინგის საკითხებს, რაც პირდაპირ კავშირშია ეთიკური პრობლემების გადაჭრასთან ბიზნესურთიერთობებში და რისი

---

ექტში და სხვ., წარმატების მიღწევის მიზნით., Oxford Advanced Learners Dictionary, 7th edition, 2010, P.801

1 [www.eben.org](http://www.eben.org)

საჭიროების შესახებ მრავალი დასავლელი სწავლული ამახვილებს ყურადღებას<sup>1</sup>. სიტუაციათა იდენტიფიცირება გადანყვეტილებების მიღების პროცესში, ორგანიზაციის კულტურისა და ფასეულობების გააზრება, და ორგანიზაციაზე ეთიკური გადანყვეტილებების გავლენის შეფასება<sup>2</sup> – ყველა ეს ასპექტი წარმოადგენს განათლებისა და ტრენინგის ეთიკის მიზნებს.

**სტეიკჰოლდერების საკონსულტაციო, დიალოგის და საპარტნიორო პროგრამები.** კორპორაციული გადანყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა საშუალებებთან ერთად აქტიურად განიხილება ორგანიზაციათა სტეიკჰოლდერების საკითხი კორპორაციული ანგარიშვალდებულების მხრივ. ცხადია, რომ ბიზნესის ეთიკა ეხება

მართებულ საქმიანობებს, სადაც მსგავსი პროგრამები ძალზედ მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისათვის.

**აუდიტი, ფინანსური ანგარიშგება და რეპორტი.** არსებობს მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული საქმიანობები, რომლებიც ეხება ორგანიზაციის გავლენის გაზომვას, შეფასებასა და კომუნიკაციას, სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებით სოციალურ, ეთიკურ და გარემოს საკითხებთან მიმართებაში.

მიუხედავად ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის ამ ელემენტების ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში არსებობისა, კორპორაციული მოქალაქეობის ერაში მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი ითამაშონ კორპორაციული ანგარიშვალდებულების ამალღების მხრივ. შესაბამისად, კორპორაციათა დღის წესრიგში დგება ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტის განსხვავებული კომპონენტების ორგანიზებისა და კომპანიაში მათი ინტეგრირების საკითხი კორპორაციათა მიზნების მიღწევისათვის. დასასრულს, ბიზნესის ეთიკის მენეჯმენტი კორპორაციისათვის მნიშვნელოვანია განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ სივრცეში, ეთიკური ქცევების კონტროლის და მართებული ეთიკური გადანყვეტილებების კონტექსტით.

---

1 Thore Leclair, D. and Ferrell, L. „ Innovation in experiential business ethics training”. *Journal of Business Ethics*, 23 (3/1), 2000, P.313.

2 Kirrane, D.E., „Managing values: a systematic approach to business ethics”. *Training and Development Journal*, Nov: 53-60, 1990.

## **დროის მართვის რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა პერსონალის მართვის პროცესში**

**მანანა სამადაშვილი**

სტუ ასოცირებული პროფესორი

დროის მართვა და მისი რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და აქტუალური პრობლემაა. ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია სამუშაო დროის ყოველმხრივი მართებული დაგეგმვა და მართვა.

დროის მართვის პროცესში: ვასრულებთ ან სასწრაფო და მნიშვნელოვან, ან არასასწრაფო და მნიშვნელოვან, ან სასწრაფო და არამნიშვნელოვან, ანდა არასასწრაფო და არამნიშვნელოვან სამუშაოებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამუშაოთა მრავალფეროვნების, თავისებურებებისა და სხვა სპეციფიკურ მახასიათებელთა გამო არ არსებობს შრომის პროცესისა და სამუშაო დროის შესწავლის რომელიმე უნივერსალური მეთოდი. ხშირად ყველაზე ეფექტიანია რამდენიმე მეთოდის კომბინირებული გამოყენება.

შრომის პროცესის ეფექტიანობაზე მიუთითებს დროის რაციონალური გამოყენება. სამუშაო დრო და შრომის პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შრომის პროცესი კი დროში მიმდირარეობს.

დროის გამოყენების შესწავლის საკმაოდ მრავალფეროვანი მეთოდები არსებობს. შესაძლებელია სამუშაო დროის შესწავლის და შრომის პროცესის მეთოდების სამ ჯგუფში გაერთიანება: მომენტური დაკვირვების მეთოდები, უშუალო დაკვირვების მეთოდები, და ფსიქოფიზიოლოგიური შესწავლის მეთოდები.

უშუალო დაკვირვების მეთოდები წარმოადგენენ ფართოდ გავრცელებულ მეთოდებს. დროის დანახარჯების გაზომვის გარეშე, ასევე საუბრისა და გამოკითხვა-ინტერვიუს საშუალებით შრომის პროცესის შესწავლა მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ობიექტის შესახებ. ისეთი მეთოდების გამოყენებით როგორცაა ქრონომეტრაჟი, დროის გამოყენების ფოტოგრაფია,

ფოტოქრონომეტრაჟი ხშირად საკმაოდ სანდო შედეგებს ვღებულობთ.

ქრონომეტრაჟის მეთოდის საშუალებით შეგვიძლია გამოვარკვიოთ სამუშაოს და მისი შემადგენელი ნაწილების შესრულების წესი, როგორცაა: თანამიმდევრობა, ხანგრძლივობა, რაციონალობა, მათი უფრო ეფექტიანად შესრულების რეზერვები, წესდება დროისა და გამომუშავების ნორმები. ქრონომეტრაჟის მეთოდი წარმოადგენს კონკრეტული სამუშაოს შემადგენელი ელემენტების შესწავლისა და მათ შესასრულებლად საჭირო დროის დანახარჯების უშუალო გაზომვის მეთოდს.

დროის გამოყენების ფოტოგრაფიის მეთოდი მოიცავს სამუშაო დროის მთლიან ხანგრძლივობას, ან მის რომელიმე მნიშვნელოვან ნაწილს. ეს მეთოდი წარმოადგენს შრომის პროცესში მომუშავის მიერ სამუშაო დროის გამოყენების შესწავლას დროის ყველა დანახარჯის დაკვირვებისა და გაზომვის გზით. ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი მიზანია მომუშავის სამუშაო დროის გამოყენების მდგომარეობის, დროის დანაკარგების მიზეზების გარკვევა და ღონისძიებებების დასახვა მათ აღმოსაფხვრელად.

არსებობს მომუშავის სამუშაო დროის ფოტოგრაფიის ოთხი სახე: ინდივიდუალური ფოტოგრაფია, ჯგუფური ფოტოგრაფია, მარშრუტული ფოტოგრაფია და თვითფოტოგრაფია.

სამუშაო დროის ყველა სახის ფოტოგრაფიის ჩატარება, ოთხი ეტაპისაგან შედგება: დაკვირვებისათვის მომზდება, უშუალოდ დაკვირვება და სამუშაო დროის დანახარჯების გაზომვა, დაკვირვებით მიღებული მასალის დამუშავება, მიღებული შედეგების ანალიზი და სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვა.

ინდივიდუალური ფოტოგრაფიის დროს დაკვირვების ობიექტი მხოლოდ ერთი მომუშავეა.

ჯგუფური ფოტოგრაფიის განხილვის დროს დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს მომუშავეთა ჯგუფი. ერთი დამკვირვებელი დაკვირვებას აწარმოებს არა უმეტეს 10 კაცზე. სამუშაო დროის გამოყენების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მომუშავეთა ჯგუფი. დამკვირვებელს უნდა შეეძლოს ყველა ობიექტისათვის თავი-

სუფლად თვალის დევნება, ყოველი 2-3 წუთის შემდეგ სამუშაო ადგილებზე მდგომარეობის დაფიქსირება.

მარშრუტული ფოტოგრაფია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა დასაკვირვებელი ობიექტი გარკვეული მარშრუტით მოძრაობს (მაგ., კურიერი, საქმისმწარმოებელი), ან დამკვირვებელი ვერ ახერხებს დასაკვირვებელ ობიექტზე უშუალო დაკვირვებას სივრცობრივად დაშორების გამო.

ორივე შემთხვევაში საჭიროა დაკვირვების მარშრუტის შემუშავება. დამკვირვებელი განსაზღვრული ინტერვალების დაცვით, ამონმებს სამუშაო ადგილებს და აღრიცხავს იქ არსებულ მდგომარეობას.

მარშრუტული ფოტოგრაფია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა დასაკვირვებელი ობიექტი გარკვეული მარშრუტით მოძრაობს (მაგ., კურიერი, საქმისმწარმოებელი), ან დამკვირვებელი ვერ ახერხებს დასაკვირვებელ ობიექტზე უშუალო დაკვირვებას სივრცობრივად დაშორების გამო. ორივე შემთხვევაში საჭიროა დაკვირვების მარშრუტის შემუშავება. დამკვირვებელი განსაზღვრული ინტერვალების დაცვით, ამონმებს სამუშაო ადგილებს და აღრიცხავს იქ არსებულ მდგომარეობას.

თვითფოტოგრაფია წარმოადგენს ფოტოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო სახეს, როცა დამკვირვებლის როლს უშუალოდ მომუშავე ასრულებს. მომუშავე თავისივე მუშაობას აკვირდება.

სამუშაო დროის გამოყენების შესწავლის ეს მეთოდი ნაკლებად შრომატევადია და გვადიდებს საკმაოდ ზუსტ მონაცემებს მომუშავეს სამუშაო დროის გამოყენების შესახებ იმ შემთხვევაში თუ მეთოდურად სწორად არის დამუშავებული და მომუშავეს მხრიდან აქტიურად, შეგნებულად და დაინტერესებული მონაწილეობით ტარდება.

ორგანიზაციაში ნებისმიერ მომუშავეს შეუძლია ამ მეთოდის გამოყენება სიმარტივის გამო და თუ ფიქრობს რომ სამუშაო დროს არაეფექტიანად იყენებს, ასევე სურს დაადგინოს დროის არარაციონალურად ხარჯვის მიზეზები.

თვითფოტოგრაფიის დაკვირვების ფურცლის საშუალებით მომუშავე აფიქსირებს სამუშაო დროის დანაკარაგებს (მოცდენებს) და მათ მიზეზებს.

დროის დანახარჯების უშუალო გაზომვების მეთოდების აღნიშნულ ნაკლოვანებებს თავიდან გვაცილებს ე.წ. მომენტური დაკვირვების მეთოდი, რომელიც მათზე ბევრად უფრო მარტივი და ნაკლებშრომატევადია.

მომენტური დაკვირვების მეთოდის საშუალებით შესაძლებელია მომუშავეთა დიდ რაოდენობას დავაკვირდეთ ერთდროულად და შედარებით ხანმოკლე დროში. მომენტური დაკვირვების მეთოდს ზოგჯერ სამუშაო დროის შესწავლის სტატისტიკურ მეთოდსაც უწოდებენ.

მომენტური დაკვირვების მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამუშაო დროის შემთხვევით შერჩეულ მომენტებში, მოულოდნელი დაკვირვების დროს იზომება თუ რა სახის ქმედებებს ასრულებს მომუშავე (მუშაობს თუ არა, კორესპონდენციას ეცნობა, ტელეფონით საუბრობს, მომსვლელებს იღებს და ა.შ.). დაკვირვება განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება.

მომენტური დაკვირვებისას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაკვირვების მომენტთა აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრას, რაც დაკვირვების მოცულობას ახასიათებს. რაც შეეხება დასაკვირვებელი ობიექტის შემოვლათა აუცილებელ რაოდენობას, განსაზღვრება მომენტურ დაკვირვებათა რაოდენობის ერთდროულად დასაკვირვებელ მომუშავეთა რაოდენობაზე გაყოფით.

დაკვირვების შედეგების ანალიზის დროს სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით უნდა დაჯგუფდეს და კრიტიკულად შეფასდეს აუცილებელი სამუშაოები, განმეორებადი სამუშაოები, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მომუშავეების მიერ შესასრულებელი სამუშაოები, შემოქმედებითი სამუშაოები და უსარგებლო სამუშაოები.

დროის ეკონომიის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი რეკომენდაციების გავითვალისწინებით:

- მოვახდინოთ სამუშაოთა და პასუხისმგებლობათა დელეგირება;
- გავიაზროთ სამუშაოს საჭიროება და მიზანი; მიზნის მიღწევა მოცემული სამუშაოს შესრულებით; ხელსაყრელი დროის დადგენა მის შესასრულებლად; მომუშავესათვის პასუხისმგებლობის

## **აიხნასი, მანეჯმენტი, მარკეტინგი**

---

დაკისრება სამუშაოს შესასრულებლად; რაციონალურად სამუშაოს შესრულება;

- მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს პატარიდან დიდისკენ, მარტივიდან რთულისკენ შემუშავებული გეგმით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ეკონომიურად შევასრულოთ სამუშაო. გავაკონტროლოთ მისი მიმდინარეობა;

- მეტი სტიმული მივცეთ მომუშავეებს ინიციატივისა და დაოუკიდებლობის კუთხით;

- დავალება უნდა იყოს გასაგები დაქვემდებარებულებებისათვის. უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათ ყველაფერი სწორად გაიგეს; ამასთან, ზუსტად უნდა შეფასდეს დაქვემდებარებულთა მიერ შესრულებული სამუშაოების როგორც მოცულობა, ისე ხარისხი;

- ნებისმიერი სამუშაოს შესრულების პროცესში ნელ-ნელა უნდა მოვუმატოთ ძალისხმევას;

- ვიმუშაოთ ზომიერად და რითმულად; წინასწარ განვსაზღვროთ სამუშაოს მოცულობა, შევადგინოთ სამუშაოს შესრულების გეგმა.

ხელმძღვანელთა და მომუშავეთა სამუშაო გეგმებისა და გრაფიკების ურთიერთშეთანხმება და კოორდინირება, ასევე ოჯახური და საზოგადოებრივი გარემოს სწორი ორგანიზება წარმოადგენს შრომის რაციონალური ორგანიზებისა და დროის ეკონომიის მიღწევის საფუძველს.

## გლობალურ ბარაქოში ბიზნესის მართვა კომპანია «ZARA»-ს მაგალითზე

ქეთევან კინმარიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი

ევროპულ საცალო ქსელს Zara-ს ხშირად ახასიათებდნენ, როგორც GAP-თან შედარებით უფრო ძლიერს, Target-თან შედარებით უფრო სწრაფად მზარდს და Wal-Mart-თან შედარებით სასაქონლო-მაგერიალური მარაგების მართვის დიდი გამოცდილების მქონეს. იმის მიუხედავად, რომ ამერიკაში ეს კომპანია არაა მაინცდამაინც ცნობილი, მისმა მენეჯერებმა მაინც შეძლეს მისი ისეთი ფირმის სახით წარმოდგენა, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს გლობალურ ბაზარზე. ეს წარმატება ემყარება ერთ მეტად მარტივ პრინციპს – მოლაში იმაზე უფრო მნიშვნელოვანი არააფერია, ვიდრე ბაზარზე ახალი საქონლის გამოგანის სისწრაფე. Zara-ს მაღაზიების (რომელთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში 530 აღემატება) მენეჯერები ყოველდღიურად განიხილავენ ახალი ქსოვილების შექმნის, თარგების და მოდის მიმართულებების საკითხებს. ლა-კორუნესში (ესპანეთი) მთავარ ოფისში მყოფი სპეციალური ჯგუფი ახალიზებს ყველა ახალ იდეას და შერჩევის გზით იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საქონლის რეალიზაციის შესახებ. კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით დიზაინერები ქმნიან ახალ მოდელებს და შიდა კორპორაციული ქსელის საშუალებით აგზავნიან უახლოეს ფაბრიკებში. რამდენიმე დღეში იწყება გამოჭრისა და შეკერვის პროცესი და სულ რაღაც სამი კვირის შემდეგ მზა ნაწარმი მიდის სარეალიზაციო მაღაზიებში ბერლინიდან ბეირუთამდე. ეს ხდება კონკურენტებთან შედარებით 12-ჯერ უფრო სწრაფად! Zara-ში მოქმედებს კვირაში ორჯერ მიწოდების გრაფიკი, ამიტომ მოძველებული მოდელები სწრაფად იცვლება ახლით. მაშინ, როცა მის კონკურენტებს სემონის განმავლობაში ახალი ტიპის განსაცმელი ბაზარზე შემოაქვთ მხოლოდ 1-2-ჯერ. ამ ეფექტური ოპერაციული პროცესის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია საწყობი, რომელსაც მართავს ლორენა ალბა – კომპანია Zara-ს მაგერიალური მომარაგების საკითხების

ღირექტორი. იგი ეფექტურად და ისეთი სიმუსტით ხელმძღვანელობს ოთხსართულიან სასაწყობო მეურნეობას (საერთო ფართი – 500 კვ.კმ), რომ მისი საქმიანობა შეიძლება შევადაროთ საათის მექანიზმს. მისთვის საწყობი არის არა განსაცმლის შესანახი შენობა, არამედ გადასაადგილებელი ტერიტორია. საწყობი მრავალი გვირაბისა და ლიანდაგის საშუალებით უკავშირდება კომპანიის 14 ფაბრიკას. ამ ლიანდაგების საშუალებით შეფუთული და დანომრილი საქონელი ბუსგად მიეწოდება დანიშნულების ადგილს. საწყობის თითოეული სართული წარმოადგენს „საეცაპო მონას“, სადაც ხდება კონკრეტული საქონლის შეფუთვა, შემდეგ საქონელი შედის დასაგვირთ ბაქანზე და იგვირთება საგვირთო ავტომანქანებზე, რომლებსაც აღნიშნული გვირთი გადააქვთ მაღაზიებში.

იმის გამო, რომ Zara ახალ-ახალ მაღაზიებს ხსნის მთელ მსოფლიოში, ლორენას უწევს მუშაობის შესწავლა სხვადასხვა ქვეყნის და კულტურის მქონე მაღაზიების პერსონალთან და მომწოდებლებთან. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ამ მენეჯერის ადგილზე და მიხვდებით კულტურების განსხვავებით გამოწვეული რამდენი პრობლემა შეიძლება შეხვდეს მას ამ დროს და როგორ დიდ დახმარებას უწევს ლორენას ამ კულტურების ცოდნა.

Zara-ს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ გლობალურ კომპანიებსაც კი უწევთ გლობალურ გარემოსთან დაკავშირებული რთული ამოცანების გადაჭრა. მმართველი პერსონალისთვის გლობალური ბაზარი ჯერ კიდევ წარმოადგენს პრინციპულ სიახლეს. მთელი მსოფლიო გადაქცეულია ერთიან ბაზრად, საზღვრები ქვეყნებს შორის სულ უფრო „გამჭვირვალეა“, ამიტომ პროცესის ორგანიზების ხარისხი განუმომლად გაიზარდა. მაგალითად, 1250 სხვადასხვა ფირმაში ჩაგარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რეალიზაციის მოცულობის მრდის შედარებით უფრო მაღალი ტემპები შეინიშნება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში მომუშავე კომპანიებში, იმ კომპანიებისგან განსხვავებით, რომლებიც საქმიანობენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ქვეყნებში. შესაბამისად, გლობალურ გარემოში მენეჯერისთვის ჩნდება მრავალი ხელშემწყობი პირობა, თუმცა, როგორც ამ თავის დასაწყისში იყო აღნიშნული, გლობალურ ბაზარზე გავსელის პროცესს აქვს როგორც

დადებითი, ისე უარყოფითი მხარე, რადგან გლობალური ბიზნესის მართვა მეტად რთული პროცესია. მენეჯერებს უწევთ იმ მრავალ-  
ლი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განსხვავებების  
გათვალისწინება, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ქვეყნებს შო-  
რის. დღევანდელ დღეს, გლობალური ორგანიზებულობის დროს,  
მენეჯერებს მართვა უხდებათ აღამიანების გამრდილი არაპროგ-  
ნომირებადობის, შიშის და შფოთის პირობებში. გარდა ამისა,  
შესაძლებელია ახალი კონკურენტები მოულოდნელად გაჩნდნენ  
დედამიწის ნებისმიერ ადგილზე. ამიტომ მმართველმა პერსონ-  
ალმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გლობალური გარემოს  
ტენდენციები და დაგეგმვის, ორგანიზაციის, მართვისა და კონტრო-  
ლის პროცესში მხედველობაში მიიღოს რეგიონის თავისებურებე-  
ბი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მიაღწევს დიდ წარმატებას  
საერთაშორისო ბაზარზე.


## ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზება

### ვასილ ხიზანიშავილი

სოციალური მეცნიერებათა დოქტორი  
ეკონომიკაში, თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი

იმისათვის, რომ კომპანიამ შესძლოს საკუთარი მიზნების მიღწევა, მისი ფუნქციონირების გარკვეულ ეტაპზე სავსებით შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აღწევს ის სხვადასხვაგვარი კომპონენტების საუკეთესოდ ორგანიზებას და მათი ინტეგრირებას თავისსავე წიაღში.

არსებობს ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორი, ფორმალური და არაფორმალური მიდგომა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა. ფორმალური მიდგომა მოიცავს თანხმობის, ფასეულობების, გარე და დაცვის მიმართულებებს<sup>1</sup>, რაც სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



• თანხმობის მიმართულება. ამ მიდგომის არსი მდგომარეობს კანონდარღვევათა პრევენციაში, გამოვლენასა და დასჯაში. პერსონალი ინფორმირებულია არსებულ წესთა შესახებ და მართებულ ფუნქციონირებას შიშის ფაქტორი განაპირობებს. ამგვარი მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ კონკურენტულმა გარემომ შესაძლოა წააქეზოს თანამშრომლები საქმის ნებისმიერი ფორმით კეთებისაკენ, მათ შორის არალეგალური თუ არაეთიკური მოქმე-

**1 Treviño, L.K., Weaver, G.R., Gibson, D. G., and Toffler, B.L., „Managing ethics and legal compliance: what works and what hurts”. California Management Review, 1999, #41/2, P. 131-51.**

დებების ჩათვლით.<sup>1</sup>

• ფასეულობების მიმართულება. ეს მიდგომა ეფუძნება ორგანიზაციული ფასეულობების განსაზღვრასა და მოსამსახურეთა ვალდებულებების შესრულების საიმედობას, ქეშმარიტად ეთიკური მისწრაფებით.<sup>2</sup> ტრევინოსა და მისი კოლეგების<sup>3</sup> თანახმად, ფასეულობების მიდგომა „ფესვგადგმულია პერსონალურ თვითმართვაში“ და გარკვეული საშუალებებით უზრუნველყოფს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, სადაც ცალკეულ ნესთათვის ადგილი აღარ რჩება.

• რაც შეეხება გარე მიმართულების მიდგომას, ის ნაკლებად ფოკუსირდება კომპანიის ფასეულობებზე, და მეტად – გარე სტიკეჰოლდერების (კლიენტები, საზოგადოება და აქციონერები) დაკმაყოფილებაზე.<sup>4</sup> აქ სამართლიანად მიიჩნევა ის, რაც მოსალოდნელი ან მისაღებია უმთავრესად გარე სუბიექტებისათვის.

• დაცვის მიმართულება. დასასრულს, ზოგიერთი პროგრამები<sup>5</sup> უპირატესად ორიენტირებულია ტოპ - მენეჯმენტის დაცვაზე, ეთიკური პრობლემებისა თუ სამართლებრივი დარღვევების ბრალდებებისაგან. აღნიშნული მიდგომა ფირმის თანამშრომლებისა და სხვა სტიკეჰოლდერებისათვის არის უფრო მეტად ეთიკის მენეჯმენტის შესავლის სფერო, ვიდრე მენეჯერთათვის ლეგალური საფარის შექმნის მცდელობა, ზოგიერთი სახის სამართალდარღვევის შემთხვევაში.

ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ჩვენს მიერ განხილული ფორმალური მიდგომის ოთხი მიმართულებიდან, აშშ-ში გაბატონებულია თანხმობის მიმართულება,<sup>6</sup> მაშინ როდესაც ევროპაში დომინი-

---

1 Hoffman, W.M., Driscoll, D. –M., and Painter-Morland, M., „Integrating ethics”. In C. Moon and C. Bonny (ads.), *Business Ethics: Facing up to the Issues*. London: The Economist Books, 2001, P. 38-54.

2 Paine, L.S. „Managing for organizational integrity”. *Harvard Business Review*, 1994, Mar.-Apr., P. 106-17.

3 იხ. წყარო 1

4 იხ. წყარო 1

5 იხ. წყარო 1

6 Weaver, G., Treviño, L.K., and Cochran, P.L., „Corporate ethics programs as control systems: influences of executive commitment and environmental factors”. *Academy of Management Journal*, 1999, #42/1, P.41-57.

რებს გარე და ფასეულობებზე დაფუძნებული მიმართულებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ეს მიდგომა არ არის ურთიერთსაინანააღმდეგო და ურთიერთშეუთავსებადი.<sup>1</sup> მაგალითად, მრავალი ეთიკური კოდექსი ეფუძნება ძირითად კორპორაციულ ფასეულობებსა და პრინციპებს, მაშინ როდესაც ამგვარი კოდექსის ეფექტიანობა ასევე დამოკიდებულია სათანადო იმპლემენტაციასა და შემდგომ ღონისძიებებზე. როგორცაა, სხვადასხვა სახის დარღვევებზე თანამშრომელთათვის დისციპლინარული სასჯელის დანესება (თანხმობის მიმართულება). ფასეულობების, გარე და თანხმობის მიმართულებათა გაერთიანების მიზნით, ანალოგიურად მკაცრად კონტროლდება სტეიკჰოლდერებთან შეხვედრებსა და კონსულტაციებზე დაფუძნებული ეთიკური აუდიტის პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მიდგომების (და მიდგომათა კომბინაციების) ეფექტიანობის შესახებ წარმოებული კვლევა საკმაოდ მწირია, მაინც აღსანიშნავია გასული საუკუნის ბოლოს აშშ-ში, მეცნიერთა ერთი ჯგუფის<sup>2</sup> მიერ ექვს უმსხვილეს კომპანიის 10 000 მეტ თანამშრომელზე განხორციელებული დაკვირვება, რამაც აჩვენა, რომ ფასეულობების მიმართულება ყველაზე ეფექტიანი ერთადერთი მიმართულებაა ეთიკური ქცევების ნახალისების კუთხით, თუმცა თანხმობისა და გარე მიმართულებები ნაკლები ხარისხით ასევე შეიძლება იყოს გამოსადეგი. რაც შეეხება დაცვის მიდგომას, ის ცალსახად საზიანო მიმართულებააა მიჩნეული. მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს ფორმალური ელემენტები წარმოადგენს ბიზნესეთიკის მართვის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს. მრავალი დასავლელი მეცნიერი<sup>3</sup> გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფირმის კულტურასა და გარემოში არსებული ფართო ეთიკური კონტექსტი დიდი ზემოქმედების მქონეა ეთიკური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში. ამგვარად, ბიზნესეთიკის მენეჯმენტის ორგანიზებისას, ასევე მნიშვნელოვანია ფირმის ეთიკური კულტურის მხედველობაში მიღება.

---

1 იხ. ნყარო 7

2 იხ. ნყარო 1

3 Andrew Crane, Dirk Matten., *Business Ethics: A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization)*, Oxford University Press, Oxford, 2004, P. 172

არაფორმალური მიდგომა დაკავშირებულია სწორედ ორგანიზაციის ეთიკურ კულტურასთან. ორგანიზაციის კულტურას და ნორმებს გააჩნია საკმაოდ დიდი გავლენა ეთიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც ზოგიერთ მკვლევარს ბიზნესეთიკის მზარდი მნიშვნელობის მხარდასაჭერად აძლევს კულტურის ცვლილებისა და მისი „უფრო გაეთიკურების“ თქმის შესაძლებლობას. „ეთიკური გადაწყვეტილებების ფორმირების სრულყოფა ადასტურებს ორგანიზაციის ფასეულობათა მართვის ტრანსფორმაციის საჭიროებას, რათა შესაძლებელი გახდეს კულტურათა უფრო მეტად გაეთიკურება“.<sup>1</sup> ამიტომ, მათი აზრით, სასურველი იქნებოდა თუკი კომპანიები აქტიურად განავითარებდნენ ეთიკურ ორგანიზაციულ კულტურასა და კულტურის ცვლილებით მოახერხებდნენ „ეთიკურ პრობლემებთან“ გამკლავებას.<sup>2</sup>

კულტურული ცვლილების მიდგომის პოპულარობის მიუხედავად, საკმაოდ მწირი ყურადღება ეთმობა თავად ამ კულტურულ ხდომილებათა მიზეზ-შედეგობრივ პროცესს: როგორ არის შესაძლებელი მსგავსი ტრანსფორმაცია, რა განაპირობებს მას, ან შესაძლებელია კი მისი ყველაზე განვრცობა? ამგვარ სიტუაციაში აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ კულტურის წინასწარგანზრახული მართვა წარმოადგენს რთულსა და ხანგრძლივ პროცესს და ცალკეული გამოწვევის გარდა, როგორც წესი იშვიათად თუ არის წარმატებული. ძალზე ძნელია იმის დასაბუთება, რომ ეთიკური ქცევების სფეროში ნამდვილად იყოს შესაძლებელი კულტურის მართვა. არსებული კულტურული რწმენები და ფასეულობები სწორისა და არასწორის, კარგისა და ცუდის შესახებ, როგორც ცნობილია დიდ წინააღმდეგობაში იმყოფება ცვლილებებთან. ამიტომ, ფასეულობათა ცალკეული ჯგუფის კონფორმიზმზე დაფუძნებული „ეთიკური კულტურების“ შექმნის ნაცვლად, მისაღებია დასავლეთში უკვე აპრობირებული კულტურათა შესწავლის მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება ფირ-

1 Chen, A.Y.S., Sawyers, R.B. and Williams, P.F., „Reinforcing ethical decision making through corporate culture”. *Journal of Business Ethics*, 1997, #16, P. 855-65.

2 Treviño, L.K. and Nelson, K.A., *Managing Business Ethics: Straight Talk about How to do it Right*, 2 nd edn., New York: John Wiley., 1999, P.204.

## **აიზნავსი, მანეჟმენტი, მარკეტინგი**

---

მის შიგნით მყოფ მცირე სუბკულტურულ ჯგუფებზე. სწორედ ასეა შესაძლებელი კულტურათა ადაპტაცია ორგანიზაციის მენეჯმენტში, რაც თავსმოხვეულ ავტორიტარულ იდეოლოგიურ კონტროლს გამოიწვევს.

ამკარაა, რომ ორივე, ფორმალური და არაფორმალური ეთიკური მენეჯმენტის მიდგომას გააჩნია თავისი ღირსება და ნაკლი. უმთავრესი, რაც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს არის ის, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს, ყველა დონის მენეჯერებს მათი გათვალისწინებით შესაძლებლობა ეძლევათ მმართველობით პროცესში მიიღონ ფირმის სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრაში მყოფი შესაბამისი ეთიკური გადაწყვეტილებები.

## ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა

### მანანა სამადაშვილი

სტუ ასოცირებული პროფესორი

ორგანიზაციის მართვის მთლიანი პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სტრატეგიულ ფუნქციას წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვა.

პერსონალის მართვის ძირითადი მიზნების და ამოცანების განხორციელების საშუალებაა პერსონალის მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავება.

ორგანიზაციის სწორად ჩამოყალიბებული მისია იძლევა შემდეგი ამოცანების გადანიშნულების საშუალებას:

- ორგანიზაციის ეფექტური იმიჯის შექმნა;
- ორგანიზაციის ეფექტიან ფუნქციონირებაზე ზრუნვა;
- ორგანიზაციის მუშაობის სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზება.

ორგანიზაციაში პერსონალის მართვის ამოცანების დაკონკრეტება უნდა განისაზღვროს მენეჯერების მიერ ორგანიზაციის მისიიდან გამომდინარე კონკრეტული შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული ორგანიზაციის სტრუქტურის, მისიის, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციული გარემოს, ასევე თვით პერსონალის განვითარება დროის სხვადასხვა პერიოდში.

პერსონალის მართვის სტრატეგია უნდა იყოს რეალური, რესურსებით დაბალანსებული, ზომიერად რისკიანი, გარემოსთან შეთავსებადი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მომცველი.

პერსონალის სტრატეგიული მართვის ობიექტს წარმოადგენენ: ორგანიზაციის მომუშავეები, შრომის პირობები და პერსონა-

ლის სტრუქტურა. პერსონალის სტრატეგიული მართვისას დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფას. კოლექტივის პერსონალის სტრუქტურიზაციის კრიტერიუმებია: სქესი, ასაკი, ეროვნება, კვალიფიკაცია. სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია მრავალი ადამიანის ერთობლივი მუშაობა.

ზოგიერთ ორგანიზაციას გააჩნია რამდენიმე სტრატეგია. ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს გენერალური სტრატეგია, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის მისიის განხორციელების წესებსა და გზებს; სპეციალური სტრატეგიები განკუთვნილია ცალკეული შემთხვევებისათვის.

სტრატეგიის მთავარი ელემენტებია:

1. პერსონალის მართვის წესები;
2. პერსონალის გამოყენების, განაწილების ძირითადი პრინციპები;
3. ორგანიზაციის საერთო-ორგანიზაციული და სპეციფიკური მიზნები.

პერსონალის მართვის ძირითად პროცედურებს წარმოადგენს:

- პერსონალის საჭიროების განსაზღვრა;
- პერსონალის მოზიდვა და შერჩევა;
- პერსონალის უშუალო მართვა;
- პერსონალის ატესტირება;
- კარიერის მართვა;
- პერსონალის ტრენინგი და განვითარება;
- პერსონალის სამუშაოს შესრულების შეფასება.
- მოტივირება და შრომის ანაზღაურება.

მოხელეთა ქცევის შეცვლას, მათი საქმიანობის ეფექტიანობას, პასუხისმგებლობის დონეს, ასევე მოტივირებას განაპირობებს ის, თუ რამდენად ეფექტიანად და სწორად იყენებენ პერსონალის მართვის სამსახურები და მენეჯერები ამ ინსტრუმენტებს.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა მოიცავს შემდეგ კონკრეტულ მიმართულებებს:

- მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება;
- პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურების მოდერნიზება;
- პერსონალის მოტივირებისა და შრომის ანაზღაურების თანამედროვე სისტემის შექმნა;
- ატესტირების ჩატარების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- მოხელეების სამუშაოთა აღწერების სრულყოფა;
- პერსონალის ტრენინგი.

პერსონალის სტრატეგიული მართვა დამყარებულია კონცეფციაზე, რომ იგი ინტეგრირებული უნდა იყოს კორპორაციის ან ბიზნესის სტრატეგიასთან.

სტრატეგიული მართვა უშუალოდ ეხება ბიზნესის სტრატეგიის ჩამოყალიბებას. მილერმა ეს შემდეგნაირად განსაზღვრა: “ესაა ბაზარზე ორიენტირებული კონცეფცია, რომელზედაც გავლენას ახდენს პროდუქციისა და ბაზრის მიზანშეწონილობის კრიტერიუმი და რომელიც მიმართულია კონკრეტული უპირატესობის მიღწევისაკენ”.

ბიზნესის სტრატეგია გულისხმობს ორგანიზაციის მომავალ მდგომარეობას, რა სახით მიაღწევს მას და რა მიმართულებს დასახავს მის მისაღწევად.

ანალიტიკური მოდელი უოკერის აზრით მოიცავს სამ პროცესს: ინტეგრაციის, პარალელურ და ცალკე პროცესებს.

ინტეგრაციის პროცესი. ბიზნესის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ადამიანური რესურსების სტრატეგია, ყველა სხვა ფუნქციურ სტრატეგიასთან ერთად.

პარალელური პროცესი. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ვითარდება ბიზნესის სტრატეგიასთან ერთად.

ცალკე პროცესი. ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა განიხილებოდა მთლიანი ბიზნეს გეგმისაგან განცალკევებით.

დაიერმა და ჰოლდერმა განავითარეს ადამიანური რესურსების ჩამოყალიბების სისტემური მიდგომა.

1. შესრულების შეფასება, ანუ საქმის წარმატება დამოკიდე-

## **ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი**

---

ბულია საჭირო ადამიანთა გარკვეული რაოდენობის დროული მოძიებზე.

2. სასურველობის დადგენა, ანუ სტრატეგიის წინაპირობების გამოკვლევა.

3. მიზნების განსაზღვრა, ანუ ორგანიზაციის და ბიზნესის სტრატეგიის შინაარსიდან გამომდინარე უნდა დამუშავდეს მთავარი მიზნები.

4. მიზნების მიღწევის საშუალებების შერჩევა, ანუ გარეგანი და შინაგანი შესაბამისობა.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა ეფუძნება იმ აზრს, რომ ადამიანურ სტრატეგიას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ბიზნესის სტრატეგიას.



**გლობალიზაცია და სტაბილურობის  
აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში**

(სამეცნიერო-საინოვაციო გლობალიზაციის ძირითადი  
საპროგნოზო მიმართულებები)

**ნონა ახვლედიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გლობალურმა ცვლილებებმა წარმოშვეს გლობალური პროცესების საერთაშორისო რეგულირებისა და მართვის აუცილებლობა. **ჩგლობალიზაცია** ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ქმნადობის და ფუნქციონირების ურთულეს პროცესებს და თავის მხრივ, შედგება ერთმანეთთან ინტეგრირებული, ერთმანეთის „ინსპირატორი“ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების, ბაზრების, მომსახურების, ფინანსების, ინფორმაციული სისტემების, ინსტიტუციური სტრუქტურების, კულტურებისა და სხვათა ერთობლიობებისაგან, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ გლობალიზაციას. გლობალიზაციის გამომწვევ ძირითად, ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთაგან მნიშვნელოვანია: ახალი საერთაშორისო შრომის დანაწილება, ფინანსების ინტერნაციონალიზაცია, ახალი ტექნოლოგიების სისტემა და საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრების ჰომოგენიზაცია. მონოგრაფიაში „ეკონომიკის გლო-

ბალიზაცია: მიმართულებები, გამონვევები, პერსპექტივები“, (ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი) ნაჩვენებია ის აშკარა საფრთხეები, რითაც გლობალიზაცია ემუქრება საქართველოს სუვერენიტეტსა და ეროვნულ ფასეულობებს, მოჰყავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს ფრიად ტევადი და შორსმიმავალი შემდეგი სიტყვები: „ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც ძირითადად საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა - სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი. ეს ყველაფერი გლობალიზაციის გამოვლინებაა.. სხვადასხვა ფორმებით და საშუალებებით მიმდინარეობს ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლა-გადაგვარებას“.

**გლობალიზაციასთან მიმართებაში ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკური მეთოდოლოგიის (საინდექსო. სარკისებური სტატისტიკის მეთოდის, ვარიაციის და ა. შ.) სრულყოფა-გამოყენებას.** ჟურნალ “Foreign Policy”-ს მარტიაპრილის ნომერში (ვიქტორ ელენსკი - უკრაინის რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი) უკვე მეოთხეჯერ გამოქვეყნდა გლობალიზაციის მსოფლიო ინდექსი (A.T.Kearny/Foreign Policy Globalization Index), მასში მოყვანილია პლანეტის შემდგომი შემჭიდროვების პროცესების ანალიზის საექსპერტო რეზულტატები, გლობალიზირებული ქვეყნების სიაში მოხვდა 62 სახელმწიფო, რომლებშიც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 84 პროცენტი და რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო პროდუქციისა 96 პროცენტს. გლობალიზაციის ინდექსი გამოითვლება 14 მაჩვენებლით, რომლებიც 4 ნაწილად იყოფიან.. პირველი \_ ეს არის მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ინტეგრაციის დონე, სადაც მხედველობაში მიიღება ვაჭრობის, ინვესტიციების გან-

ვითარება, კაპიტალის მოძრაობა და ა.შ. მეორე \_ პერსონალური კონტაქტები, საერთაშორისო ტურიზმი, სატელეფონო კავშირის ხარისხი, ფულადი გაცვლები, სხვადასხვა სახის არასახელმწიფოებრივი ტრანზაქციები. მესამე \_ ინტერნეტის განვითარება და მეოთხე \_ საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური თანამონაწილეობა, ანუ მონაწილეობა საერთაშორისო ორგანოზაციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციაში, ნვლილი გაეროს მშვიდობისმყოფელი ძალების საქმიანობაში (იხ. “Measuring Globalization” In, Foreign Policy, March-April 2004, pp.54-69). გლობალიზაციის ინდექსი უდავოდ სერიოზული მასალას იძლევა განხილვისათვის. საყურადღებოა, რომ მსოფლიოს ყველაზე გლობალიზირებული სახელმწიფო A.T.Kearny/Foreign Policy Globalization Index-ის თანახმად \_ არის ირლანდია. ეს ქვეყანა ზედიზედ მესამეჯერ არის პირველ ადგილზე ამ ინდექსში როგორც მსოფლიოსთან თავისი მჭიდრო ეკონომიკური და პერსონალური კავშირების, ასევე საკუთარ ეკონომიკაში კოლოსალური ინვესტიციების წყალობით. საინდექსო მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია ასევე გლობალიზაციაზე მოქმედი სხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც სპეციფიკურია ამა თუ იმ ქვეყნისათვის და სტატისტიკური კვლევის საგანს წარმოადგენს. რაც შეეხება სარკისებური სტატისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებას, ის აუცილებელი პირობაა, როგორც გლობალიზაციის სწორად წარმართვისათვის, ასევე ქვეყნებს შორის ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრის თვალსაზრისით. აღნიშნული მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენებისას ხდება პარტნიორი ქვეყნების ექსპორტი-იმპორტის მონაცემთა შედარება. თეორიულად ეს მონაცემები ტოლი უნდა იყოს, თუმცა პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება. საქართველო “სარკისებური სტატისტიკის” მეთოდს სულ რამდენიმე ქვეყანასთან იყენებს (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი გერმანია და ა. შ.). მნიშვნელოვან განსხვავებას პარტნიორი ქვეყნების ექსპორტი-იმპორტის მონაცემებში ინვეს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვაში მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავების არსებობა. პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე არანაკლებ გავლენას ახდენს კლასიფიკაციებთან დაკავშირე-

ბული პრობლემები. დღეისათვის საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში რამდენიმე კლასიფიკატორი გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აღნიშნული კლასიფიკატორების ერთმანეთში გადასაყვანი ცხრილები, ნომენკლატურული განსხვავების არსებობა გამორიცხული არ არის. პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა განსხვავების მეორე ჯგუფის მიზეზებს მიეკუთვნება შეფასებითი ხასიათის განსხვავებები. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა შორის განსხვავების მიზეზებს ასევე მიეკუთვნება შეცდომები საბაჟო დეკლარაციების შევსებისას, რომელიც შეიძლება იყოს შემთხვევითი და წინასწარგანზრახვითი. საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ხარისხის თვისობრივად გაუმჯობესებისათვის საჭიროა სარკისებური შედარებების პარალელურად ჩატარდეს სპეციალური კვლევები, როგორც არაორგანიზებული საგარეო ვაჭრობის, ისე ცალკეული საქონელთა ჯგუფის მიხედვით. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ასიკუდას მსგავსი ერთიანი ქსელის პროგრამირება, რაც თავის მხრივ ავტომატურად მოახდენს, ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვას პარტნიორ ქვეყნებს შორის.

როდესაც ვახასიათებთ სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიურ სფეროში გლობალიზაციის თანამდეროვე პროცესებს, საჭიროა გამოიყოს რიგი ასპექტები. უწინარეს ყოვლისა ეს ტენდენციები ასახვას ჰპოვებენ უშუალოდ, საკვლევი სამუშაოების შინაარსსა და მიმართულებებში. ფუნდამენტური მეცნიერება თავისი არსით იმთავითვე წარმოადგენს ინტერნაციონალურს, რომელიც გადალახავს სახელმწიფოთაშორისო საზღვრებს და ხდება საკაცობრიო თვითშემეცნებისა და მსოფლიოს განვითარების პროგნოზირების ზოგადსაკაცობრიო საშუალება. მეცნიერებატევად პროდუქციას მსოფლიო ბაზრის ჩარჩოებში, გააჩნია სხვადასხვა ტექნოლოგიური სპეციალიზაცია. ჩამოყალიბდა შრომის საერთაშორისო განაწილება, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების იმ მიმართულებით, სადაც ისინი ფლობენ განვითარებულ პოტენციალს. შედეგად ძლიერდება სახელმწიფოებს შორის ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდე-

ბულება.. თანამდეროვე პირობებში სამეცნიერო-საინოვაციო ტექნოლოგიების სფეროს გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები. გრძელდება საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კორპორაციების პირველადი ფორმების ხარისხობრივი განვითარება - საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დამუშავება და რეალიზაცია, მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო გაცვლა. ამასთან ერთად, ძალას იკრებს ინტეგრაციის უფრო ღრმა ფორმები - საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივები, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უნიკალური ობიექტები, რომლებიც საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენენ, ერთობლივი საწარმოები, რომლებშიც ამუშავებენ და აწარმოებენ მეცნიერებატევად პროდუქციას. შეიქმნა სამეცნიერო-საინოვაციო საქმიანობის საკოორდინაციო მექანიზმი. საერთაშორისო ტექნიკური პროექტები და პროგრამები მუშავდება და რეალიზაცია უკეთდება სახელმწიფოთაშორისი და ფირმებშორისი შეთანხმებებისა და რეგიონული ინტეგრაციული ინსტიტუტების ჩარჩოებში, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების - გაერო, იუნედო, იუნესკო და სხვ. ეგიდით. გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სამეცნიერო-საინოვაციო ინფრასტრუქტურის ისეთი შემადგენლების უნიფიკაციის მიზნით, როგორცაა სტანდარტები, სერთიფიკაციის სისტემები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმი და ა.შ. სწრაფი ტემპებით ვითარდება სამეცნიერო ტექნოლოგიური კომპლექსის საერთაშორისო საფინანსო ინფრასტრუქტურა-საბანკო ქსელი, ფონდები, ვენჩურული და სადაზღვევო კომპანიები, ასოციაციები და ა.შ., რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საინოვაციო პროექტების ინვესტირებაზე არიან სპეციალიზებული. მეცნიერებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა სულ უფრო მეტად მსოფლიო საერთო პრაქტიკას ეყრდნობა და საერთაშორისო ერთიანი კრიტერიუმებით ფასდება. სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური გლობალიზაციის ძირითად საპროგნოზო მიმართულებებად შეიძლება წარმოადგენილ იქნეს, როგორც: 1. ტექნოლოგიების პრიორ-

იტეტული დამუშავებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის საინფორმაციო ურთერთმოქმედებას და საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლას; 2. გლობალური მეტატექნოლოგიების დამუშავება (ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების ინტეგრირება); 3. ინტელექტუალური რესურსების საერთაშორისო მობილურობის რადიკალური ინტენსიფიკაცია; 4. მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ნაწილობრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება, უწინარეს ყოვლისა ეკოლოგიური პრობლემების მიზნით, ასევე „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შემცირება; 5. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ბიზნესის ორგანული ჩართვა; 6. ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და კომპანიების განვითარება, რომლებიც სამეცნიერო-საინოვაციო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე მოახდენს სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური რესურსების აკუმულირებას; 7. მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსის განვითარების პროცესის რეგულირებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმოქმედება. სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ტენდენციის ხასიათი უმეტესად განისაზღვრება ქვეყანაში ფორმირებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელით. გლობალურ საინტეგრაციო პროცესში მეცნიერებისა და საინოვაციო-ტექნოლოგიური საქმიანობის გარდაქმნასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები დამოკიდებულია სისტემური რეფორმებისა და სტრუქტურული პოლიტიკის ხარისხზე, რომელიც ღია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებასა და მისი მსოფლიო პრაქტიკისადმი ადაპტირებას, სამამულო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინტელექტუალური პროდუქტის, მეცნიერებატევადი საქონლისა და მომსახურეობის მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ითვალისწინებდეს. დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი მიღწევები და აღმოჩენები, მიუხე-

დავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი. გლობალიზაციის პროცესს ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, რომელშიც ერთიანი ნორმების, ინსტიტუტებისა და კულტურული ღირებულებების ფორმირების ტენდენცია შეიმჩნევა. იგი ჩვენი ცხოვრების რეალობაა, რომელსაც ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისგან განსხვავებით, მთელი რიგი არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბ. გაბიაშვილი “სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა მენეჯმენტში“ 2010წ.
2. ე. მექვაბიშვილი „ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები“, 2010წ.
3. ჟურნალ “Foreign Policy”-ს მარტი-აპრილი.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) და ა.შ.

## **მეცნიერება და რეალიზია ეკონომიკური გლობალიზაციის ბაზატიშობის პირობებში**

### **როლანდ სარჩიმელია**

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

### **გელა ლობჯანიძე**

ეკონომიკის დოქტორი,  
პროფესორი

21-ე საუკუნის ეკონომიკური გლობალიზაცია ეფექტიანია როგორც მისი მეცნიერებაში თავისუფალი გამოყენების შესაბამისად, ასევე რელიგიაში. ცხადია ისიც, რომ პოლიტიკურ გლობალიზაციაში არ უნდა ჩავერთოთ, როგორც დახმარების მიმღებნი. ამ მხრივ ჩვენც უნდა გაგვაჩნდეს გარკვეული შესაძლებლობები. მიუღებელია ისიც, რომ მსოფლიოს მდიდარი სახელმწიფოები დანარჩენ სამყაროს მოსახლეობაზე დახმარებას მხოლოდ ნარჩენი კაპიტალის ნაწილობრივი გამოყენებით ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში გლობალიზაციას გონივრული გამოყენება სჭირდება, რაც ქვეყნის სასიკეთოდ უნდა იქნას მიმართული.

მეცნიერება აღრმავებს ჩვენს წარმოდგენას სამყაროზე, ადამიანის სულიერი არსება კულტურას ქმნის ღვთის მიერ ნაბოძები ნიჭით, ხოლო, „სიყვარულის ენერგია, რომელიც ღმერთის სულისაგან მოედინება მთელ ბუნებას ამოძრავებს. იგი სიცოცხლის წყაროა [1.გვ.92].

ფიზიკური და გონებრივი შრომის ავტომატიზაცია მაღალი დონის კოლოსალურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის საზოგადოებაზე. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ დახვეწილად მოყვანილია ნ. ბერდიაევის ნააზრევი ედვარდ კოდუას წიგნში [2.გვ. 181], საიდანაც გამოვყოფთ მსჯელობას, რომ მანქანა არა მარტო იპყრობს ბუნებას ადამიანებისათვის, არამედ ადამიანს იმონებს. ამას კომპიუტერ-

იზაცია ამწვავებს, რაც სახიფათოა უნებისყოფო ადამიანების შემთხვევაში, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

სიბრძნეს ადამიანი მნიშვნელოვანწილად წიგნის საშუალებით ითვისებს, თუმცა ეს წილი ტექნიკის განვითარების შედეგად საგრძნობლად შემცირდა. კომპიუტერმა არ უნდა დააკნინოს წიგნის მნიშვნელობა, პირიქით, ორივემ ერთად კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ადამიანის სულიერი მრწამსი, აზროვნების უნარი, მეტყველების კულტურა... თუმცა ბევრი წიგნის წაკითხვა არ ნიშნავს, რომ ადამიანმა ჭეშმარიტი ცოდნა მიიღო. ადამიანები ხშირად ხედავენ მრავალ სასწაულს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ მათ. ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ უფლის უდიდეს რწმენასა და მორჩილებას ახლავს.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია „ტექნიკური პესიმიზმის“ თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მე-19 საუკუნეში უგუნურები იმეორებდნენ ფსიქოლოგიურ არასასურველ დასკვნას ღმერთი მოკვდაო, ხოლო მე-20 საუკუნეში პრობლემად ადამიანის სიკვდილი მიიჩნის... აქედან გამომდინარე, მე-19 საუკუნეში არაადამიანურობა სისასტიკეს ნიშნავდა, ხოლო მე-20 საუკუნეში პათოლოგიურ თვითგაუცხოებას. ამრიგად, წარსულის საფრთხე ადამიანების დამონება იყო, მომავლის საშიშროებად კი, ადამიანების რობოტად გადაქცევას მიიჩნევენ. 21-ე საუკუნეში მდიდრებისა და ღარიბების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება, რომელიც თვითდინებაზე მიშვეებულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მოჰყვა. თითქოს ბუნებრივია, რომ ადამიანები ტექნიკურ გამოგონებებს სიხარულით ხვდებიან, მაგრამ ვერ უკვირდებიან გარდაუვალი ბოროტების სახით მიმდინარე კულტურის სიღარიბეს.

ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მამა ღმერთია ადამიანის მხსნელი და იგი აძლევს ადამიანთა საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ გადაურჩეს ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ კატასტროფის მძიმე შედეგებს. აქედან გამოსავალია ის, რომ უსულო საგნები, მათ შორის კომპიუტერი ადამიანის მორჩილია და ღმერთის რწმენა ადამიანს იმის ძალას მატებს, რომ ადამიანი კომპიუტერის მაცდუნებელი აზროვნებით გაძლიერებულ ენერგიას მოერიოს, ხოლო საერთოდ, ცივილიზაციაზეც კონტროლი განახ-

ორციელოს და ღმერთთან სინერგიული ეფექტიც გამოიყენოს.

უფალი ბრძანებს: „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესსა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6. 22-33). ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე სიცოცხლის ბოლო ნუთამდე ეძიებს ღმრთის სასუფეველს, რისთვისაც ის მიწიერ ცხოვრებაში ღვთისათნო ცხოვრებით აღასრულებს საღმრთო მცნებებს; მცნებათა ცოდნა მას ეხმარება საღმრთო კანონებთან შესაბამისობით, ყოველ ეპოქაში, დროის შესატყვისად შეაფასოს მიმდინარე მოვლენები, სამეცნიერო მიღწევები და ცივილიზაციის მონაპოვრები. საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქრისტიანული მოდელი, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანების სულიერ საგანძურში ფესვგადგმულ ზნეობრივ სანყისებზე. ხოლო, მისი ეკონომიკა უნდა იყოს პასუხისმგებლური, პერსპექტიული და სამართლიანი.

მართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებს მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ ფული, რომელიც არის სიმბოლო ადამიანის შრომის და მატერიალური დოვლათისა, დღევანდელ ეტაპზე სულ უფრო შორდება შრომას და მის შედეგად შექმნილ მატერიალურ ფასეულობებს. როცა, რეალური (მწარმოებლური) ეკონომიკა სულ უფრო შორდება ფინანსურ ეკონომიკას და ამას მივყავართ იქითკენ, რომ ფული იწყებს რეალური ცხოვრებისგან დამოუკიდებლად არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ეკონომიკა ამ მიმართულებით გააგრძელებს განვითარებას, მაშინ იგი რაღაც გარკვეულ მომენტში კვლავაც გარდაიქმნება უზარმაზარ პირამიდად, რომელიც ადრე თუ გვიან დაინგრევა, ანუ ახალ მსოფლიო კრიზისს გამოიწვევს.

გამომდინარე ზემოაღნიშნული საფრთხიდან, დღეს მრავალი სახელმწიფოს ლიდერი და მეცნიერ-ეკონომისტი თვლის, რომ საჭიროა ფინანსური ეკონომიკის დაახლოება საქონლისა და მომსახურების ბაზართან. იმის გამო, რომ ამ ორივე სექტორში თანდათანობით მატულობს აფიორა და თაღლითობა, საჭიროა მათზე სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და საერთაშორისო კონტროლის გაძლიერება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება

სათანადო ზეგავლენა მოახდინოს იმ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს საფინანსო ეკონომიკურ სექტორში. დღეისათვის ეკონომიკის გლობალიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მასში მეტნაკლებად მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, რის შედეგადაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ვერც ერთი მათგანი გვერდს ვერ აუვლის.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მიუკერძოებლად და ობიექტურად აფასებს თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისულ მდგომარეობას. უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, რომ – ახლა ჩვენს ხალხს მოუწია პოსტსაბჭოთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმის გადატანა, ცხოვრების ერთი წესიდან მეორეში გადასვლა, უმუშევრობა, შიმშილი, ომი, მორალური კრიტიკიუმების შეცვლა, ძალადობისა და სიცრუის მორევში მოხვედრა ჯერჯერობით არც ხვალინდელი დღე იძლევა უკეთესი მომავლის იმედს, რადგან მთელი მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში შედის, რომელიც შეიძლება სისტემურ კრიზისად იქცეს... კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთმა კურსი ეკონომიკის სექტორში სახელმწიფო სექტორის შედარებით გაძლიერებაზე აიღო. უწმინდესი და უნეტარესი ილია II ემხრობა რა ეკონომისტთა და დარგის სპეციალისტთა მოსაზრებებს, რომ აუცილებელია საშუალო და მცირე სანარმოების დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგის სწრაფი განვითარება. მისი უწმინდესობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სოფლის მეურნეობას. „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრებისათვის ღვინო და პური, გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცსა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა, ამიტომაც ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულად უვლიდა; და ეს უნდა აღდგეს“ [3. გვ. 576].

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაჩნია, რომ ეკო-

ნომიკური კრიზისის დაძლევის, ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას უნდა მივუდგეთ სისტემურად და მასშტაბურად. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის გაღრმავება და კულტურათა შორის დიალოგი, ქართული ბიზნეს-სექტორის გაფართოება და შეძლებული საშუალო ფენის შექმნა, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის რელიგიურ შეხედულებათა სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ცალკეული რელიგიების მიერ მსგავსი ან განსხვავებული კონცეფციებითაა წარმოდგენილი, მთლიანობაში ერთიანდება თანამედროვეობის ისეთ მოვლენასთან, როგორცაა მსოფლიო გლობალიზაცია, რომელიც ზოგადად ნიშნავს სამყაროს გამთლიანებას. უფალმა ერთიანი ქვეყანა სამყარო შექმნა, ეს იყო გლობალური სამყარო, მაგრამ გლობალიზაცია და ერთიანობა იყო უფლის გარშემო. თუმცა შემდგომში გლობალიზაცია ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი იყო უფალთან ერთად გაერთიანება, ღვთისადმი თავყვანისცემა და ერთგულება; მეორე კი - გლობალიზაცია ან სამყაროს გაერთიანების მცდელობა - უფლის გარეშე.

სამყაროს უფლის გარეშე ძალისმიერი მეთოდებით გაერთიანების მრავალი მაგალითი არსებობს კაცობრიობის ისტორიაში. ალექსანდრე მაკედონელი, რომელიც შეპყრობილი იყო ძველბერძნული ფილოსოფიის უნივერსალიზმის იდეოლოგიით, ომებით ცდილობდა სამყაროს გაერთიანებას. რომის იმპერიამ ასევე ომებით შეძლო ბრიტანეთის კუნძულებიდან ახლო აღმოსავლეთამდე და ცენტრალური გერმანიიდან აფრიკამდე უზარმაზარი ტერიტორიების თავის გამგებლობაში მოქცევა. ცივილიზაციის გარიჟრაჟზე სამყაროს გლობალიზებას ცდილობდა სპარსეთის სამეფო, ცნობილია აგრეთვე ისლამური ხალიფატის ექსპანსია, რომელმაც მოიცვა ტერიტორიები ატლანტის ოკეანიდან ჩინეთამდე, მონღოლეთი და ოსმალეთის იმპერია. XX საუკუნეში დაძა-

ლებითი გლობალიზაციის მაგალითია კომუნისტური რეჟიმი (სსრკ) და გერმანიის ნაციზმის იდეოლოგიით სამყაროს უნიფიცირების მცდელობა. თანამედროვე ეტაპზე უფლის გარეშე სამყაროს გლობალიზაციის ახალი ფორმები და მეთოდები გამოიყენება. ესაა ლიბერალური კაპიტალიზმის ეკონომიკური ინდიკატორი მსოფლიო ფულის სახით, რომლის ექსპანსია სხვადასხვა ქვეყნებში მათი გლობალიზაციის მიზნით, წარმოშობს ინტეგრირებულ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას და სწორედ ესაა გლობალური კრიზისების ყველაზე მთავარი მიზეზი. ის, რისი გაკეთება მიმართულია უფლის ნების წინააღმდეგ, ყოველთვის კრიზისებით დამთავრდება.

„ჩვენ ვცხოვრობთ საშიშ დროში, მსოფლიო გლობალიზაციის დროში. მე აგისხნით იმას, თუ რა არის გლობალიზაცია. გლობალიზაციის დროს არსებობს სუბიექტი და ობიექტი... მაგრამ ჩვენ, ქართველმა ერმა უნდა ვიცოდეთ, რისი დათმობის უფლებაც არა გვაქვს — ყოველივე ის წმიდა, რაც ჩვენს მამა—პაპას ჩვენთვის დაუტოვებია,“ – ბრძანებს უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე[3]. მართლაც, ეროვნული თვითმყოფადობა არის ის, რისი დაკარგვის უფლებაც არც ერთ ქართველს არ აქვს. „მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები უწინდელ მნიშვნელობას კარგავს, რასაც თან სდევს ხალხებისა და კულტურების ასიმილირების რთული პროცესი, ამიტომ ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალია რჩება, მითუმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა; საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს“.

ამ ორივე პირობის შესრულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის. თუნდაც ერთ-ერთი მათგანის მოკლება უმძიმესი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნისათვის.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთა თვით-მყოფადობის

უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალია რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უნიტულ დანიშნულებას.

კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაშიც.

გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა.

ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. ეს დღესაც უნდა შევძლოთ“[3]. ტექნიკატექნოლოგიების განვითარებამ დამანგრეველი ძალა შეიძლება შეიძინოს, თუ ის ჭეშმარიტ რწმენასთან ერთად არ მიმდინარეობს. თავის მხრივ, უფლის თხოვნითა და შენევნით, სულ უფრო მნიშვნელოვანი და სასიკეთო აღმოჩენები მიიღწევა ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

თავის მხრივ, „ისტორია არის მუდამ განახლებადი ბრძოლა თავის მძიებელ და თავის თავს მოკლებულ სიყვარულს შორის“. ადამიანის ყველა ქმნილების დანიშნულებაა სამყაროს ისეთი გადასახვა, რომ იგი შეესაბამებოდეს თვითყოფიერებას და თვითგანხორციელებას ძალას აძლევდეს. ამით კი ინდივიდი ღმერთს უკავშირდება [1. გვ.409].

ადამიანი არ შეიძლება მხოლოდ თავის თავში ხედავდეს სრულყოფილების საფუძველს. მხოლოდ ღმერთთან ერთიანობის გზით არის შესაძლებელი სრულყოფილი თვითყოფიერება. ღმერთის გარეშე ადამიანი როგორც დამოუკიდებელი არსება გაუგებარია.

ყურადსაღებია პროფ. გიორგი ჰაპავას მოსაზრება უნებლიედ დაშვებული შეცდომების (პარადიგიზმის) გამოყენების საშიშროებაზე, რათა ეკონომიკის ყველა დონეზე გამოირიცხოს მცდარი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება [4. გვ.26].

ეკონომიკას დროსთან მიმართებაში ახლებური დაზუსტება სჭირდება, როცა სიტყვა პერიოდი შემოვლას (ნრებრუნვას) ნიშნავს და იგი შუალედს აფიქსირებს. დროის ხანგრძლივობა მოძრავია და იგი ფარდობითიცაა, ხოლო დროის ეკონომიის მოთხოვნა სწორი გამოთქმა არ არის. შეიძლება საქმის შესრულებას ნაკლები დრო მოანდომო, დანარჩენი დრო კი სხვა სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენო. მეცნიერებისა და რელიგიის ერთიანობას თუ კი ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემას დაუკავშირებთ, მაშინ დროსთან მიმართებაში პროფ. გიორგი ჰაპავას დამაკვალიანებელი მსჯელობები პარადიგიზმს აგვაცილებს. ღმერთის გენიამ შექმნა ადამიანი და მისი სხეულის მორფოლოგიური აღნაგობა. ადამიანები კი თავისი ქცევებით აყალიბებენ და ცვლიან ეკონომიკის მორფოლოგიურ აღნაგობას. ყოველივე ამის გათვალისწინება მოითხოვს ადამიანების მიერ განხორციელებული დროის პერიოდის მიხედვით უწყვეტად მოქმედი და წარმოსაქმნელი ეკონომიკური რეალობის მორფოლოგიურად მაღალუკუგებთან მიზანმიმართულ შეუღლებებს, თანაც ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის წელში გამართული ფუნქციონირებისათვის [4. გვ.5].

ვასილ ხიზანიშვილს სტატიაში [5.გვ.136-140] დახასიათებული აქვს რელიგიის ფაქტორი ეკონომიკაში. მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებს საფუძველზე მოჰყავს მსჯელობები, პირველ რიგში, მეცნიერ-კლასიკოსის ადამ სმიტის შედეგებიდან, რომ რელიგიური მრწამსი კარგი სტიმულია, რათა ინდივიდი ზნეობრივ სტრუქტურაში მოექცეს. ამით ხელი ეკონომიკურ ზრდას ეწყობა. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების 2003 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რელიგიური რწმენა უშუალოდ მოქმედებს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით სიცრუის აკრძალვის დადებითი ეფექტით. რელიგიას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური განვითარების დონე ზნეობრივი ფაქტორებით, როგორცაა მომჭირნეობა, რომელიც სტიმულის მომცემია დანაზოგებისათვის, ინვესტიცი-

ებისა და ეკონომიკური ზრდა-განვითარებისათვის... აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესში რელიგია არ კარგავს თავის მნიშვნელობას და გავლენას ახდენს ეკონომიკის მზარდ დინამიკურ ძალებზე [5. გვ.136-137].

მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ ეკლესიას სახელმწიფოს გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დააკისრა, რომელიც რწმენასთან ერთად მამულის, ენისა და სარწმუნოების მოვლა-პატრონობაში ფუნქციონირებს. მისი აღქმა გენიოსურად მოაზროვნეთა საშუალებით მიმდინარეობს ადამიანთა აზროვნების დასაკვალიანებლად და გასაღრმავებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია, იმანუელ კანტის დასკვნა, რომ ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე, ესენია ვარსკვლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში [6. გვ.21].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მამა ღმერთის უდიდესი მეცნიერის შემოქმედების შემდგომი გაგრძელებაა. ამ მხრივ აღსანიშნავია სინერგია — ღვთისა და ადამიანის ენერჯის გაერთიანება, რომელიც ჩვენი აზროვნების შემეცნებისათვის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II შემოგვთავაზა [7. გვ.4-5].

სახელმწიფოს მონყობა დედამიწაზე რეაქციული ბუნებისაა, ხოლო ამით იგი თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედებით თავს აბეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, მაშინ ასეთი აგრესიული სახელმწიფო უფლის მფარველობისაგან აუცილებლად გაქრება. მსგავსი საფრთხე მცირე ქვეყნებსაც ემუქრება თუ კი ისინი თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნით დემოკრატიულ სანყისებზე გაძლიერებას ვერ შეძლებენ [8. გვ.255].

თუ კი ადამიანი ღმერთის მორწმუნე არ არის და ამ მხრივ, იგი თითქოს თავისუფალია, სინამდვილეში იგი უპატრონოა და საცოდავად არის დარჩენილი. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, ი. კანტს გამონათქვამი რელიგიაზე მხოლოდ გონების საზღვრებში [6. გვ.23], რომ ადამიანს არ შეუძლია თავის თავს და საზოგადოებას უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს, ვიდრე ბოროტის ბატონო-

ბიდან გათავისუფლებათ: ის თავისუფალია, რომ მან „უარი თქვა ცოდვის კანონის მონობაზე, რათა სიმართლისათვის იცოცხლოს“ **(იგულისხმება, რომ ეს მსჯელობა ეხება ყოველ მორალურად კეთილმოაზროვნე ადამიანს)**, ხოლო თვით გლობალიზაციის მიმართ თანაგრძობა მორწმუნე ადამიანისათვის დამახასიათებელია. დღეს მსოფლიოს ყველა ეთნოკულტურა დგას უდიდესი გამოცდის წინაშე, რათა როგორმე შეძლოს და არ დაკარგოს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა. ერთი რამ ცხადია: მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ჩვენ, ქართველმა ერმა, უნდა გადავლახოთ ჩვენ წინაშე მდგარი მსოფლიო ერთიან სივრცეში უნიფიცირების უდიდესი საფრთხე, უნდა მოვარგოთ გასაღები შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და უნდა შევძლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. უნდა ვისწავლოთ გამორჩევა ძირითადისა მეორე ხარისხოვანისაგან. ჩვენი ერის წინაშე მდგარი უმთავრესი საფრთხე მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაში მდგომარეობს. ამასთან, ქართველმა ერმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად გლობალიზაცია არ შეიძლება იყოს ქართველი ერის არც მტერი და არც მოყვარე, რამეთუ იგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ნებისმიერი ერის მსოფლიოს ერთიან სივრცეში ინფორმაციული, სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრირების ობიექტურად აღძრულ პროცესს. გლობალიზაცია არის ცივილიზაციის განვითარების შედეგი და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აქტიურად გამოხატული მოვლენა, თავისი არსებობის სულ რაღაც ათ—თხუთმეტ წელიწადს ითვლის, დღეს უკვე წარმოადგენს იმ საერთაშორისო გარემოს, რომლის წინაშეც (მიუხედავად იმისა, აქვს ამის სურვილი ვინმეს თუ არა) მაინც მოუწევს მსოფლიოს ყველა ერსა და ეთნოსს გამოცდის ჩაბარება თავისი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. ის ერი, რომელიც ვერ ჩააბარებს აღნიშნულ გამოცდას, დაკარგავს თავის თავს. ხოლო ვინც შეძლებს ისე მოახდინოს თავისი ეროვნული სხეულის ინტეგრირება მსოფლიოს ერთიან ინფორმაციულ, სავაჭრო, ეკონომიკურ თუ ფინანსურ სივრცეში, რომ თავისი ეროვნული თვითმყოფადობა არ

დაკარგოს, გამოვა გამარჯვებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ გლობალიზაციის პროცესი ჩადგეს სახელმწიფოთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ ჩარჩოებში, რათა მან არ წაშალოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი მრავალ-საუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები, ღირებულებები, ეროვნული კულტურა და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი მიიღებს ერთგვაროვან სახეს, სადაც გაბატონდება ცალკეული ეკონომიკურად მდიდარი ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ცხოვრების წესი და საზოგადოება დაკარგავს მის ყველაზე მთავარ ნიშანს - მრავალფეროვნებას.

თანამედროვეობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალური ყოფიერების სრულყოფას საფუძვლად დაუდოს სულიერი ფუნდამენტი, დაუბრუნოს პრაქტიკას მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები. როგორც საღრმითო წერილიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის ცნობილი, ქვეყნიური სიკეთენი ამაო და წარმავალია; ამიტომ, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, გლობალიზაციის ურთულეს და უსწრაფეს პირობებში გაფართოვდეს კვლევა-ძიება ზემოაღნიშნულ საკითხებზე რელიგიური, ბიბლიური გააზრებით, რადგან ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეალმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ, ქრისტიანულ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას უკავია, რომელთაც მთლიანობაში მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციებსა და გამოვლინებებთან.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მღვდელმთავარი ლუკა (ლუკა-იასენეცკი), „მეცნიერება და რელიგია“ და „სული, სამშვიინველი და სხეული“, თბილისი, 2003, აპოლოგეტიკური ტრაქტატი.
2. ედვარდ კოდუა, ისტორიის ფილოსოფია, ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966, 414გვ.

3. უწმინდესისა და უწეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სიტყვანი, ქადაგებანი, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, წიგნი II, 1997, გვ. 468 და წიგნი III, 2008, გვ. 576.

4. გიორგი პაპავა, მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უწივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2012. 32 გვ.

5. ვასილ ხიზანიშვილი. რელიგიის ფაქტორი ეკონომიკაში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (11-22 ოქტომბერი, 2011), თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, გვ. 136-140;

6. კანტი მოაზროვნე, ავტორი ირმა წერეთელი, გამომცემლობა „დიოგენე“, პირველი გამოცემა, 2006;

7. უწმინდესისა და უწეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, თბილისი, 2006 წ.;

8. უწმინდესისა და უწეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სიტყვა, — სინერგია — ღვთისა და ადამიანის ეწერგის შერწყმა და გამთლიანება. ჟურნალი „კრილოსანი“. №3(49). ჩგვ. 4-5;

9. თემურ შენგელია. ჩგლობალიზაციის ზეგავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე). პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული (11-22 ოქტომბერი, 2011), თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, გვ. 88-92.

## **გლობალიზაცია და კეფის ფინანსურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი აქტუალური საკითხი**

**ხათუნა**

**შალამბერიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

მეორე ათასწლეულის დასასრულიდან მესამე ათასწლეულში კაცობრიობამ შემოიტანა არაერთი საინტერესო თემა და მათ შორის გლობალიზაციის, რომელზედაც მსჯელობა აქტუალური და საინტერესოა სხვადასხვა კუთხით, საზოგადოების ინტერესების სხვადასხვა სფეროში სისტემური მოვლენების, პროცესებისა და სიტუაციების წარმოშობა-განვითარებისა და ურთიერთგავლენა-ზემოქმედების რთულ კონტექსტში.

რას უნოდებენ გლობალიზაციას და რატომ არის ეს ტერმინი ასეთი აქტუალური დღევანდელ მსოფლიოში? ამ თემაზე დაობენ არა მარტო სპეციალისტები, არამედ სოციალური მეცნიერებებიდან შორს მყოფნიც. გარდა ამისა, ხშირად გლობალიზაციის არსის გადმოსაცემათ შეცდომით იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: „ვესტერნიზაცია“, „ინტერნაციონალიზაცია“, „ამერიკანიზაცია“ და სხვ. თავად მეცნიერთა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის შესახებ და მათ მიერ გლობალიზაციის ერთიანი განსაზღვრებაც კი არ არის შემუშავებული. ამას ერთვის ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესი, როგორც არ უნდა განვსაზღვროთ იგი, განუზრელად მიმდინარეობს და ყველა ქვეყანასა და მათ ყველა მოქალაქეს ეხება. გაჩნდა ისეთი ტერმინებიც, როგორებიცაა „გლობალისტი“ და „ანტიგლობალისტი“.

ანტიგლობალისტური გამოსვლები დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ეს პროცესი ნეოლიბერალების მოგონილი და წამოწყებულია, ვინაიდან ეს მათ პოლიტი-

კურ ინტერესებში შედის. გლობალიზაცია, მათი აზრით აკნინებს სუვერენული სახელმწიფოებისა და მათი მთავრობების როლს საერთაშორისო სისტემაში. ამ მოსაზრებას გლობალიზაციის ოპონენტები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და მიაჩნიათ, რომ გლობალიზაციამ კი არ შეზღუდა ეროვნული მთავრობების როლი, არამედ სხვა ფუნქცია შესძინა მათ. ასე მაგალითად, ეროვნული მთავრობები ახლა უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს საქმიანი შეხვედრებით, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა. გარდა ამისა, ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური გადანყვეტილება საერთაშორისო დონეზე მიიღება ურთიერთშეთანხმებით და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ეროვნული მთავრობების დამსახურებაა ის, რომ გლობალიზაციის პროცესი საერთოდ დაიწყოს და იგი ასე თანმიმდევრულად მიმდინარეობს. ოპონენტები ამის საპირისპიროდ განვითარებად ქვეყნებს ასახელებენ, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მიღებისგან გათიშულენ არიან.

გლობალიზაციის პროცესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი აცხადებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ტრანსაქციები უფრო ინტენსიურადაც კი მიმდინარეობდა, ვიდრე დღეს, ანუ საფაქრო და საფინანსო ბრუნვა არ ჩამოუვარდებოდა და, ხშირ შემთხვევაში, აღემატებოდა კიდევ დღევანდელ მაჩვენებლებს.

თვით ტერმინი „გლობალიზაცია“ ინგლისური სიტყვა „globe“-ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს, ხოლო „global“-მსოფლიოს, გლობალურს. გლობალიზაციის ტერმინის გამოჩენა დაკავშირებულია ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელთან, რომელმაც ის 1983 წელს სტატიაში გამოიყენა. მან ამ ტერმინით აღნიშნა ცალკეული საქონლის ბაზრების შერწყმის მოვლენა, ხოლო გლობალიზაცია ფართო მნიშვნელობით, როცა იგი ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს, 1990 წლიდან გამოიყენება, როცა გამოქვეყნდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის იაპონელი კონსულტანტის კ. ომეს ნიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ და მ. ელბოუს კრებული „გლო-

ბალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება”. ელბროუმ ამ ტერმინში გააერთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობით მსოფლიო ხალხები ერთიან, მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან.

ამგვარად, თუ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, ძალიან სწრაფად ფართო გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ზოგადად, არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება. პირველი შეხედულების თანახმად გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს უწყობს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეორე შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემოქმედება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებს, ერებს და მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ განიხილება როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია. სამეცნიერო წრეებში ტერმინი "გლობალიზაციის" განმარტებისას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება. ეკონომიკურ ლექსიკონში გლობალიზაცია განმარტებულია, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქალაქების რეალიზაციისას სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები.

გლობალიზაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილები ასევე, ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდს, როდესაც ეკონომიკური ტრანსაქციების ინტენსივობამ მნიშვნელოვნად იკლო იმ პროტექციონისტული პოლიტიკის გამო, რომლის გატარებაც დაიწყეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. განსაკუთრებით უარყოფითი როლი შეასრულა აშშ-ის მიერ მიღებულმა სმუთ-ჰოლდის აქტმა, რომელიც ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე პროტექციონისტული კანონი იყო. შემოსულ საქონელზე ტარიფების გაზრდით, ამერიკამ ფაქტიურად აიძულა სხვა

სახელმწიფოები, შეენყვიტათ მასთან სავაჭრო ურთიერთობები და მეტიც, იგივე ნაბიჯები გადაედგათ, ანუ ასევე მოემატებინათ ტარიფები იმპორტზე. ამ ისტორიულ მაგალითზე დაყრდნობით გლობალიზაციის სკეპტიკოსები ასკვნიან, რომ პირველ რიგში გლობალიზაციის პროცესი არ არის ახალი მოვლენა, და მეორე - ის არის სხვა, უფრო ფართო, პროცესის ნაწილი, რომელიც არათანმიმდევრულია და სერიოზული ცვალებადობებით გამოირჩევა. შესაბამისად, მათი აზრით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან აგორებული ახალი ტალღა აუცილებლად შეიცვლება, ვინაიდან სავარაუდოა, რომ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოები კვლავ ჩაკეტავენ საზღვრებს და დაუბრუნდებიან პროტექციონიზმს.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან გლობალიზაციის მომხრეები და მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ომებს შორის პერიოდის ეკონომიკური კრიზისი სწორედ იმის შედეგი იყო, რომ ქვეყნებს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული ღია ვაჭრობისა და ეკონომიკის ყველა სფეროში ინტენსიური ტრანსაქციების როლი. მათი აზრით, კრიზისი გამონვეული იყო იმით, რომ სახელმწიფოებმა არა ლიბერალური, არამედ პროტექციონისტური მოსაზრებებით იხელმძღვანელეს. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ ეს შეცდომა კარგად გააანალიზეს დასავლეთის სახელმწიფოებმა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ამის დასტურია.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესის ირგვლივ დღეს ცხარე კამათი მიმდინარეობს, ფაქტია რომ გლობალური ინტეგრაციის გაღრმავების ფაქტი ეჭვგარეშეა და რეალური.

გლობალური წარმოების განვითარების შედეგია ე.წ. „სპეციალური ეკონომიკური ზონები“, სადაც ადგილობრივი მთავრობების მიერ დაწესებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან საერთოდ გათავისუფლებულია საექსპორტო და საიმპორტო გადასახადებისაგან. პირველად ასეთი ზონები ევროპაში შეიქმნა, თუმცა მოგვიანებით ფართო გავრცელება ჰპოვა ლათინურ ამერიკაში, კარიბის კუნძულებზე და, განსაკუთრებით, შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ასეთი ზონების შექმნა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტისათვის ერთ-ერთ პრიორ-

იტეტადაც იქცა. გასულ საუკუნეში ამ ქვეყნების საოცარი ტემპებით განვითარების ერთ-ერთ მიზეზად ბევრი სწორედ მათ ასეთ ეკონომიკურ პოლიტიკას მიაწერს.

გლობალური წარმოების შედეგად მიღებული პროდუქტი, ბუნებრივია, გლობალური პროდუქტია, რომელიც ასევე გლობალურ ქსელებში იყიდება (ბენეტონი, ნაიკი, გეპი, პეჟო, რენო და მრავალი სხვა). გლობალურ წარმოებაში ჩაბმულ კომპანიებს ტრანსნაციონალური კორპორაციები ეწოდება. მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მათი დედა-კომპანია არის ერთ ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანიები - სხვა ქვეყნებში. მათ ფაქტიურად არ გააჩნიათ ეროვნება და, თავისთავად, არ სცნობენ საზღვრებს. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 60 ათასი ტრანსნაციონალური კომპანიაა და მათი რიცხვი განუხრელად იზრდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს 100 ყველაზე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიის აქტივების თითქმის ნახევარი იმ სახელმწიფოების საზღვრებს გარეთაა, სადაც სათავო ოფისებია, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ თავიანთ სახელმწიფოებშია.

ვაჭრობის გლობალიზაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ვაჭრობის ელექტრონულ ფორმას. ის ფართოდ იწყებს გავრცელებას მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდიდან და, თავის მხრივ, ინფორმაციის გლობალიზაციის შედეგია. სწორედ ინეტრნეტის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახლიდან გაუსვლელად რამდენიმე წამში ნებისმიერი პროდუქციის შექმნა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ვაჭრობის ამ ფორმაში უგულებელყოფილია დროისა და ტერიტორიული სიშორის ფაქტორები. ვაჭრობის გლობალურობის კიდევ ერთი მაგალითია ელექტრონული პლასტიკური ბარათების ფართო გავრცელება, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ფინანსურ გლობალიზაციასთან. პლასტიკური ბარათებით შესაძლებელია პროდუქციის შექმნა ან მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ ქვეყანაში.

რაც შეეხება ფინანსების გლობალიზაციას, მის დასაწყისად, ბრეტონ-ვუდსის შემდგომ პერიოდს მიიჩნევენ, როდესაც საუბარი დაიწყო ერთიანი საფინანსო რეჟიმის შექმნაზე და სახელმწიფო-

ების მიერ ერთობლივი საფინანსო პოლიტიკის შემუშავებაზე. ფინანსური გლობალიზაციის საბოლოო მიზანია ერთიანი საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება. რაც შეეხება გლობალურ ვალუტას, პირველად ამ ფუნქციის შესრულება დოლარმა დაიწყო, ხოლო ევროს შემოღებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფინანსური გლობალიზაციის არსებობა. გლობალური აქტივებიც ფინანსები გლობალიზაციის შედეგია. მაგალითად, ბანკების უმეტესობა ტრანსნაციონალურ საქმიანობას ეწევა. მათი ნებისმიერი ფილიალიდან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეიძლება ფულის გაგზავნა ან სხვა ტრანსნაციონალური ფინანსური ოპერაციის განხორციელება. გარდა ამისა, ბანკებმა დაიწყეს სესხების გაცემა სხვა ქვეყნებში და კრედიტორების საქმიანობას ელექტრონული კავშირით ახორციელებენ.

ასევე, წარმოებისა და ვაჭრობის გლობალიზაციის ერთ-ერთი შედეგია შრომის გლობალიზაცია, რასაც, თავის მხრივ, მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია მოჰყვა. დღეისათვის მიგრაციის ტენდენციაა განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში, რაც ძალიან ბევრ პრობლემას ქმნის. გამუდმებით იზრდება არალეგალურ მიგრანტთა რიცხვი, რომლებმაც სამუშაოს ძიებაში დატოვეს თავიანთი ქვეყნები და უფრო მდიდარ სახელმწიფოებს მიაშურეს.

ამრიგად, ის, რომ დღესდღეობით გლობალიზაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, ფაქტია. ყოველგვარი მსჯელობა, კამათი იმის შესახებ, რომ გლობალური ინტეგრაციის გაღრმავება კიდევ უფრო მეტად უნდა მოხდეს თუ შეიზღუდოს, ზედმეტია. მით უმეტეს რომ გლობალიზაციის პროცესი ერთ დღეს არ დაწყებულა, მისი ჩამოყალიბების საფუძვლები დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა და ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდა. გლობალურ ურთიერთობათა განვითარებას საზღვრები არ აქვს. მან საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა.

## საერთაშორისო ორგანიზაციის უმჯინოს ეტაპები

### ქეთევან კინმარიშვილი ეკონომიკის დოქტორი

ერთ ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე მომუშავე კომპანიის გლობალურად გარდაქმნა, ჩვეულებრივ, სამ ეტაპად მიმდინარეობს (სქემატურად მოცემულია ნახ. 1). ყოველი მომდევნო სტადია მოითხოვს სულ უფრო მეტ გლობალურ ინვესტიციებს და შესაბამისად დაკავშირებულია გაზრდილ რისკთან.

**ნახ. 1. როგორ გარდაიქმნებიან ორგანიზაციები გლობალურებად.**

I სტადია პასიური ეტაპი	II სტადია პირველი აქტიური მოქმედებები	III სტადია მუდმივი საერთაშორისო საქმიანობა
პროდუქციის ან მომსახურების ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში	უცხო ქვეყნის წარმომადგენლების დაქირავება ან კონტრაქტების გაფორმება უცხოელ მწარმოებლებთან	უცხოური ფილიალი საერთო საწარმოები სტრატეგიული ალიანსები ლიცენზირება ან ფრანჩაიზინგი

პირველ სტადიაზე მენეჯერები ცდილობენ თავისი კომპანიის საერთაშორისო არენაზე გაყვანას, ანუ იწყებენ ექსპორტს საზღვარგარეთ. გარდა ამისა, გლობალურ ბაზარზე გასვლის გადანყვეტილება კომპანიამ შეიძლება მიიღოს პროდუქტების იმპორტის გზით, ე.ი. თავის ქვეყანაში დაიწყოს საზღვარგარეთ წარმოებული საქონლის და მომსახურების გაყიდვა. როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი მოითხოვს მინიმალურ კაპიტალურ დაბანდებებს და რისკებს, ამიტომ ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს გლობალიზაციის დასაწყისში. მუშაობის დასაწყისში კომპანიათა

უმეტესობა სწორედ ამ გზით გადის გლობალურ ბაზარზე. მრავალი მათგანი, განსაკუთრებით კი მცირე კომპანიები შემდეგშიც იყენებენ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს, როგორც გლობალიზაციის პროცესის მთავარ მიდგომას. მაგალითად, მცირე ფირმა Haribhais Spice Emporium, რომელიც მდებარეობს დურბანაში (სამხრეთ აფრიკა), აწარმოებს სანელებლებისა და ბრინჯის ექსპორტს მთელ აფრიკაში, ევროპასა და აშშ-ში. უნდა ვღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა ორგანიზაციამ ექსპორტ-იმპორტის საფუძველზე შექმნა მილიონიანი ბიზნესი. ასე მოხდა მაგალითად სპეციალური ასორტიმენტით – Pier 1-ით საცალო ვაჭრობის ქსელის შემთხვევაში, რომელიც ეწევა ეგზოტიკური საქონლის იმპორტს და ყიდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მდებარე თავისი მაღაზიების საშუალებით.

მეორე სტადიაზე მენეჯერები აკეთებენ დიდ კაპიტალურ დაბანდებებს, იწყებენ პორდუქტის გაყიდვას საზღვარგარეთ ან აწარმოებენ უცხოეთის ფაბრიკებში და ქარხნებში, თუმცა ამ დროს კომპანიის თანამშრომლების მუდმივი ყოფნა საზღვარგარეთ არაა აუცილებელი. ამის ნაცვლად, კომპანიები თანამშრომლებს რეგულარულად აგზავნიან მივლინებებში. ამ დროს ისინი ხვდებიან იქაურ მომხმარებლებს, ქირობენ უცხოელ აგენტებს და ბროკერებს, რომლებიც წარადგენენ კომპანიის ასორტიმენტს უცხოეთში. საკუთარი პროდუქციის სხვა ქვეყნის საწარმოებში დასამზადებლად საწარმოო დარგის მენეჯერები კონტრაქტებს აფორმებენ უცხოურ ფირმებთან.

მესამე სტადიაზე მენეჯერები მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმარენ თავისი ორგანიზაციების უცხოეთის ბაზრებზე გასვლას. როგორც 1 ნახ. ჩანს, არსებობს ამ რთული ამოცანის განხორციელების მთელი რიგი საშუალებები. მაგალითად, მმართველ პერსონალს შეუძლია ისარგებლოს **ლიცენზირების** ან **ფრანჩაიზინგის** მეთოდით, უცხოელი პარტნიორების მიერ მათი ორგანიზაციების პროდუქციაზე თავისი საფირმო ნიშნის, ტექნოლოგიის ან ტექნიკური მახასიათებლების გამოყენების უფლებაზე, რისთვისაც ეს უკანასკნელი უზღიან მათ მოგების გარკვეულ ნაწილს (როგორც

ნესი, რეალიზაციის მოცულობის გათვალისწინებით).

ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ ლიცენზირებას ძირითადად იყენებენ მწარმოებელი ორგანიზაციები, ხოლო ფრანჩაიზინგს – სერვისის განმახორციელებლები. მაგალითად, ფილიპინელები სადილობენ Shakeys Pizza-ს რესტორნებში, ხოლო მალაიზიელები მიირთმევენ სენდვიჩს – Schlotzkys. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ამ საქონლის მწარმოებელმა კომპანიებმა ფრანჩაიზინგის ხელშეკრულებები გააფორმეს ამ ქვეყნების მწარმეებთან.

**სტრატეგიულ ალიანსს** უწოდებენ პარტნიორულ ურთიერთობებს ორგანიზაციასა და საზღვარგარეთულ კომპანიას შორის, რომლის დროსაც ერთობლივად იყენებენ რესურსებსა და გამოცდილებას ახალი ტიპის საქონლის და მომსახურების, ან ახალი საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად. გარდა ამისა, პარტნიორები ეწევიან როგორც ერთობლივ რისკს, ისე სარგებლობენ ამ ალიანსის ნაყოფით. მაგალითად, ამერიკულმა IBM-მა, იაპონურმა Toshiba-მ და გერმანულმა Siemens-მა გააფორმეს შეთანხმება პარტნიორობის შესახებ ახალი კომპიუტერული მიკროსქემების წარმოების სფეროში. ასევე არსებობს სტრატეგიული ალიანსის სპეციფიკური ტიპი, რომლის დროსაც პარტნიორები გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად ქმნიან დამოუკიდებელ ორგანიზაციას – **ერთობლივი საწარმოს** სახელით. მაგალითად, Hewlett-Packard-ს შექმნილი აქვს მრავალი ერთობლივი საწარმო სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა მიმწოდებლებთან, რომლებიც ქმნიან და აწარმოებენ კომპიუტერულ მონაცემილობებს. ასეთი პარტნიორობა წარმოადგენს სწრაფ და შედარებით იაფ საშუალებას, რომელიც ეხმარება კომპანიებს უფრო წარმატებით გაუძღონ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე ამას შეძლებდნენ მარტო მოქმედებით. და ბოლოს, მესამე სტადიაზე მენეჯერებს შეუძლიათ პირდაპირი ინვესტიციები განახორციელონ უცხო ქვეყნის ეკონომიკაში **უცხოური ფილიალის** შექმნის გზით (ცალკე და დამოუკიდებელი მწარმოებელი საწარმო ან ოფისი).

როგორც აღვნიშნეთ ამ თავის დასაწყისში, ფილიალის მარ-

თვა შესაძლებელია წარმოშობის ქვეყნიდან უცხო ქვეყანაში მართვით, ანუ ტრანსნაციონალური კომპანიების საშუალებით „ან „საზღვრების გარეშე“ ორგანიზაციის საშუალებით (გლობალური მართვა). ცხადია, ასეთი მიდგომა მოითხოვს რესურსების აქტიურ გამოყენებას და დაკავშირებულია დიდ რისკთან. მაგალითად, United Plastics Group-მა ჩინეთში ააგო პლასტიკატების მწარმოებელი სამი ქარხანა (წნევით ჩამოსხმა). ჩაკ ვილა, ბიზნესის განვითარების საქმეებში კომპანიის ვიცეპრეზიდენტი, ამტკიცებს, რომ ამ დონის ინვესტიციების განხორციელება აუცილებელია, რადგან „იგი კომპანიას საშუალებას აძლევს დარჩეს გლობალური კლიენტების გლობალური მიმწოდებელი“.



**გადასახადი. როგორც სახელმწიფოს შემოსავალი**

**ჟუჟუნა ნიკლაური**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

**ნათია შენგელია**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
სტუ უფროსი მასწავლებელი

**რევაზ შენგელია**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო საკუთარი ფუნქციების შესრულებისას გაიღებს გარკვეულ ხარჯებს. ეს ხარჯები ბიუჯეტიდან ფინანსდება. თავად ბიუჯეტი კი უპირატესად გადასახადებით ყალიბდება. სამგასამე-  
ლია, რომ საკუთარი ფულისა და ჯარის გარეშე სახელმწიფოს შეუ-  
ძლია არსებობა, გადასახადების გარეშე კი ვერ იარსებებს, ვერ განახორციელებს სამინაო და საგარეო ეკონომიკურ ფუნქციებს. ძირითადად გადასახადების ხარჯზე ფორმირებულ სახელმწიფო ბიუჯეტთან სისხლხორცეულ კავშირშია: მეწარმე, დაქირავებული მუშაკი, ოფიცერი, ჯარისკაცი, მესაზღვრე, მებაჟე, პოლიციელი, პარალმენგარი, მინისტრი, მოსამართლე, მეცნიერი, მწერალი, ექიმი, პედაგოგი, პენსიონერი, სტუდენტი, ინვალიდი, უმუშევარი და მრავალი სხვა, რადგანაც ყველა ისინი საბაზრო გარემოსა თუ არსებობისა და განვითარების წყაროს ბიუჯეტის ხარჯზე ღებუ-  
ლობენ. **სწორედ ამიტომ, ნებისმიერი მოქალაქე კარგად უნდა ერკ-  
ვეოდეს გადასახადების არსში, ფუნქციებში, სახეობებში და მათი აღმინისგრირებისა და გამოყენების საკითხებში.**

სამწუხაროდ, ზოგჯერ გადასახადს განმარტავენ როგორც უნაცვალგებო (აუნაზღაურებელ) შენატანს ბიუჯეტში (Современная экономика. Ростов-на-Дону «Феникс». 1999. С. 295), რის გამოც გადასახადი აღიქმება, როგორც ხარკი. ხარკს კი უხდიან დამპყრობელს. გადასახადი არც ბეგარაა. ბეგარას უხდიან მეზობლებს. გადასახადი არის სახელმწიფოს შრომის საზღაური იმ ფუნქციებისათვის, რასაც იგი აწარმოებს. ეს ფუნქციები და გადასახადი უნდა იყოს მჭიდრო კავშირში. ანუ სახელმწიფოს მიერ როგორც სრულდება კუთვნილი ფუნქციები, ისეთი უნდა იყოს გადასახადიც. მთავარია გაირკვეს—რას ვთხოვთ სახელმწიფოს? თუ ვთხოვთ სოციალური პროგრამების დაფინანსებას, უფასო ჯანდაცვას, განათლებას, მაშინ გადასახადები უნდა გაიზარდოს, რაც ბიზნესს შეაფერხებს. და პირიქით — თუ გვინდა სახელმწიფო შემლუღული ბიუჯეტით, მაშინ გადასახადები უნდა შემცირდეს, მეტი შემოსავალი უნდა დავეულოთ მეწარმეს, მოქალაქეს და ეს შემოსავლები, დაე, მათ გამოიყენონ სურვილისამებრ და უფრო ეფექტიანად.

სახელმწიფომ ჯერ მომგებიანი ანუ სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი საბაზრო გარემო უნდა შექმნას და მერე იფიქროს დაბეგვრაზე. ვინაიდან მოგების (შემოსავლის) უქონლობის შემთხვევაში, არც გადასახადს ექნება ადგილი. სახელმწიფო პირდაპირ გადასახადის აკრეფაზე არ უნდა გადავიდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში გადასახადი ზოგჯერ „რძის საწველი აპარატის“ (ფისკალურ) ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე „მართვის აღვირის“ (რეგულირების) ფუნქციას. ხაზგასასმელია, ისიც, რომ გადამხდელისათვის გადასახადის გადახდა ისეთივე არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებელი პროცესია როგორც კბილის ამოღება. თუ ექიმისათვის წმინდაა ჰიპოკრატეს ფიცი, გადამხდელისათვის პრინციპი — „გადაიხადე გადასახადი და იყავი მშვიდად“.

სახელმწიფოს ევალება აკრეფილი გადასახადების ადეკვატური ბიზნეს-გარემოს შეთავაზება მეწარმეთა ფენისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მორალური უფლება აქვთ თავი აარიდონ გადასახადების გადახდას. ამჟამად, მეწარმეც და სახელმწიფოც ასე თუ ისე ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას, დაქირავებული მუშაკი კი—ვერა. სახელმწიფო

ვალდებულია დაარეგულიროს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობები პროფკავშირების მეშვეობით. პოლიტიკოსებმა უნდა მართონ პოლიტიკა, ხოლო თავად პოლიტიკოსები არჩევნებიდან არჩევნებამდე—მოქალაქეებმა, ამომრჩეველებმა.

გადასახადის განაკვეთის საგანგებო ზრდით სუსტდება საწარმოს საქმიანობის ფინანსური და ეკონომიკური სტიმულები, მუხრუჭდება და დეფორმირდება ქვეყნის წარმოება, მნიშვნელოვნად კლებულობს შენაგანები ბიუჯეტში. ამით ძნელდება სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა, უმჯობესდება ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და ზოგჯერ საწარმოს საქმიანობა საერთოდ აზრს კარგავს. იკვლევდა რა გადასახადის განაკვეთსა და ბიუჯეტში შესული საგადასახადო შემოსავლებს შორის კავშირს **ამერიკელმა მეცნიერმა ა. ლაფერმა აჩვენა, რომ გადასახადის განაკვეთის ზრდა ყოველთვის არ ზრდის სახხემწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. კერძოდ, თუ გადასახადის განაკვეთი გასცდა რაღაც კრიტიკულ ზღვარს, შემოსულობანი ბიუჯეტში იწყებს კლებას. ა. ლაფერმა დაასაბუთა, რომ ერთი და იგივე შემოსავლის მიღება შესაძლებელია როგოც საკმაოდ დაბალი, ისე მაღალი საგადასახადო განაკვეთის პირობებში. საქმე იმაშია, რომ შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთი აუმჯობესებს დაბეგვრის ობიექტების რაოდენობას, იზიდავს სულ უფრო მეტ მეწარმეს. და პირიქით, გადასახდების ზრდასთან ერთად მეწარმეთა ნაწილი კოგრდება, გადადის ჩრდილოვან ეკონომიკაში და შრომისადმი სტიმულები ქრება. ა. ლაფერის თეორიის ნაკლი ის არის, რომ მან ვერ დაასახელა საგადასახადო განაკვეთის კრიტიკული სიდიდე. თუმცა, არსებობს ნიშნები, რომელთა მეშვეობით შეიძლება გაირკვეს, გადასახადი ზღვარს გადასულია თუ არა. ესაა: ა) საგადასახადო განაკვეთის ზრდასას ბიუჯეტში შემოსულობანის არაპროპორციულად ნელი ზრდა, მეტიც, შემცირება; ბ) ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა, გრძელვადიანი კაპლახანდებების შემცირება, მოსახლეობის მაგერიალური მდგომარეობის გაუარესება; გ) ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა, გადასახდების გადახდისაგან ფარული და აშკარა თავის არიდება. მაშასადამე, არსებობს გადასახადების ამოღების ობიექტური საზღვარი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთის**

მხრივ, გაიზარდოს სახელმწიფოს შემოსავლები, მეორეს მხრივ, გაიზარდოს მეწარმეთა დაინტერესება წარმოების განვითარებაში და ეკონომიკის გამოცოცხლებაში. ხელმძღვანელობს რა ამ დასკვნით, ბევრი სახელმწიფო ცდილობს სამეწარმეო საქმიანობა გახადოს უფრო მიმზიდველი, ხოლო გადასახადები—უნიფიცირებული, სტაბილური, მსუბუქი და მოქნილი.

გადასახადი, როგორც გადამხდელსა და სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი კატეგორია და ეკონომიკის მართვის ირიბი მეთოდი, მოწოდებულია დააბალანსოს გადამხდელისა და სახელმწიფოს ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარც გადამხდელი იქნება და აღარც სახელმწიფო. **სსენებული „მისიის“ განხორციელებისთვის გადასახადმა უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:**

**ფისკალური ფუნქცია** ანუ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზება, მართვის აპარატის, არმიის, გზებისა და მაგისტრალების მშენებლობის, საბიუჯეტო ორგანიზაციის მუშაკთა შენახვისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის ფუნდამენტური მიმართულებების განვითარებისათვის, შრომის უუნაროთა, უმუშევართა და სხვათა დახმარებისათვის.

**არსებობს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდის სამი ძირითადი წესი:** ა) გადასახადის გადამხდელთა წრის გაფართოება; ბ) იმ ობიექტების რაოდენობის ზრდა, საიდანაც ამოიღება გადასახადები; გ) საგადასახადო განაკვეთების ზრდა. ხამგასასმელია, რომ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისკენ სახელმწიფოს სრაფვამ არ უნდა შეასუსტოს გადამხდელთა ეკონომიკური საქმიანობით დაინტერესება;

**სოციალური სიკეთის გადანაწილების ფუნქცია** ანუ დაბეგვრის მეშვეობით მაღალშემოსავლიანი ფენებიდან შემოსავლების დაბალ შემოსავლიან სოციალურ ფენებზე გადანაწილება და ამით უთანაბრობის რამდენადმე შერბილება;

**ეკონომიკური განვითარების რეგულირების ფუნქცია** ანუ ეკონომიკური აქტივობის ზრდისა და შეკავების უზრუნველყოფა. **ეკონომიკური ფუნქციით გადასახადს შეუძლია შეასრულოს სამეურნეო საქმიანობის მასტიმულირებელი, შემზღუდველი და მაკონტროლე-**

**ბელი როლი.** ასე მაგალითად: ა) მცირე საწარმოებისადმი და ფერმერული მეურნეობებისადმი შეღავათების მიცემა არსებობის პირველ წლებში მათ საშუალებას აძლევს ფეხზე დადგნენ, დააგროვონ გარკვეული კაპიტალი წარმოების სრულყოფის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეროვნული წარმოების ჩამოყალიბების **სტიმულირებისათვის**; ბ) გადასახადებით არ იბეგრება რამოგების რეინვესტირებული ნაწილი ამით **ხელი ეწყო** წარმოების გაფართოებას; გ) სახელმწიფო მრდის რა ტარიფებს შემოტანის პროდუქციაზე, ამით იგი ზღუდავს უცხოური საქონლის შემოდინებას, **იცავს და კეთილ სასურველ პირობებს ქმნის სამამულო წარმოებისათვის**; დ) სახელმწიფო აწესებს რა ბემოგებაზე მაღალ გადასახადებს, ამით **აკონტროლებს** საქონელზე და მომსახურებაზე ფასების მოძრაობას; ე) გადასახადებს იყენებენ მთავრობის ამრით მავნე საქმიანობის ხელშესაშლელად, **შესაზღუდავად**. კერძოდ, გადასახადები სიგარეტზე და სპირტიან სასმელებზე, ე.წ. „ცოლვების გადასახადი“ ამოიღება როგორც შემოსავლების მიღების მიზნით, ასევე სიგარეტის მოწვევისა და სმისაგან ადამიანების ჩამოსაშორებლად.

**გადასახადების ჩამოთვლილი ფუნქციები მჭიდრო ურთიერთკავშირშია:** ფისკალური ფუნქციის რეალიზაცია მატერიალურ ბაზას ქმნის ეკონომიკური ფუნქციის ანუ სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელებისათვის. და პირიქით, უფრო შედეგიანი, ეფექტიანი საქმიანობისაკენ მიმართული საგადასახადო პოლიტიკა (**ეკონომიკური ფუნქცია**), შესაძლებლობას იძლევა აუცილებელი საშუალებებით შეივსოს სხვადასხვა დონის ბიუჯეტი (**ფისკალური ფუნქცია**). თუმცა, ფუნქციების ამგვარი შინაგანი ურთიანობა არ გამორიცხავს მათ შორის წინააღმდეგობას, კერძოდ, ფისკალური ფუნქციის გადამეგება ამცირებს სამოგალოების ეკონომიკურ აქტიურობას.

გადასახადები ჩვეულებრივ იყოფა პირდაპირ და ირიბად. **პირდაპირია გადასახადები, რომლითაც იბეგრება შემოსავლები და ქონება.** ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საშემოსავლო გადასახადი, მოგებიდან გადასახადი, ასევე, ქონების გადასახადი. ამ გადასახადებს ეწოდება პირდაპირი, რადგანაც გადასახადის

ტვირთი უშუალოდ მას აწვება, ვინც გადასახადს იხდის.

**ირიბი გადასახადებით იბეგრება ხარჯები.** ამ გადასახადებს შორის ყველაზე უფრო ცნობილია დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციბი ბენზინზე, თამბაქომე და ალკოჰოლურ სასმელებზე. ამ სახეობის გადასახადებს ირიბი ეწოდება იმიგომ, რომ მას, როგორც ფასის ნაწილს იხდის მყიდველი და ბიუჯეტში გადარიცხავს გამყიდველი.

განასხვავებენ, ასევე, პროგრესიულ, პროპორციულ და რეგრესიულ გადასახადებს. **პროგრესიული დაბეგვრისას გადასახადის საშუალო განაკვეთი იზრდება შემოსავლის ზრდის შესაბამისად.** მაგალითად, X პირის შემოსავალი შეადგენს 10 000ლარს, ხოლო Y პირისა – 20 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში X პირი იხდის 1 000 ლარს (10%-ს), ხოლო Y პირი – 2 000 ლარზე (10%-ზე) მეტს. **პროპორციული დაბეგვრისას გადასახადის საშუალო განაკვეთი უცვლელი რჩება შემოსავლის ნებისმიერი ღონისათვის.** მაგალითად, თუ X პირი 10 000 ლარის შემოსავალზე იხდის 1 000 ლარს (10%-ს), მაშინ Y პირმა – 20 000 ლარის შემოსავალზე უნდა გადაიხადოს. – 2 000 ლარი (10%). **რეგრესიული დაბეგვრისას გადასახადის საშუალო განაკვეთი მცირდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.** მაგალითად, თუ X პირი 10 000 ლარის შემოსავალზე იხდის 1 000 ლარს (10%-ს), მაშინ Y პირმა 20 000 ლარის შემოსავალზე უნდა გადაიხადოს 2 000 ლარზე (10%-ზე) ნაკლები.

არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო გადასახადებით ბეგრავს კერძო პირებსა და საწარმოებს. **გადასახადი არის სავალდებულო ფულადი შესაგანი, რომელსაც საოჯახო მეურნეობები და ფირმები სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიან მის მიერ საშინაო და საგარეო ფუნქციების შესრულებისათვის.** უწინდელი 21 გადასახადის ნაცვლად საქართველოს საგადასახადო კოდექსით (შემოღებული იქნა 2004 წლის 22 დეკემბერს) **გათვალისწინებულია ოთხი სახელმწიფოებრივი:** მოგების გადასახადი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, აქციბი და ერთი ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადი.

**საგადასახადო განაკვეთი არის** გადასახადის ოდენობა, რომელიც პროცენტებში გამოიხატება. საქართველოში გადასახადს

ანგარიშობენ და იხდიან ლარებში. **საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 20%-ს.** წინათ არსებული 12-პროცენტეანი საშემოსავლო და 20 პროცენტეანი სოციალური გადასახადის ნაცვლად, რომელთა ჯამი შეადგენს 32 პროცენტს, 2008 წლიდან დაწესდა ერთი ჯამური გადასახადი და დაიწია მან 20 პროცენტამდე. ამ გადასახადს ყოველთვიურად ის პირები (რეზიდენტი და არარეზიდენტი) იხდიან, რომლებიც შემოსავალს საქართველოში იღებენ, მიუხედავად იმისა, საქართველოს მოქალაქეები არიან თუ არა.

**2008 წლიდან მოგების გადასახადმა 20-დან 15 პროცენტამდე დაიწია.** აღნიშნულ გადასახადს იხდის როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის საწარმო (ფირმა), რომელიც საქმიანობს და მოგებას იღებს საქართველოში. დაბეგვრის ობიექტი არის მთლიანი მოგება, ანუ ის მოგება, რომელიც გაიანგარიშება, როგორც სხვაობა მთლიან შემოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის.

**დამატებული ღირებულების გადასახადი** არის საქონლის (მომსახურების) წარმოების ან განაწილების ყველა ეტაპზე დამატებული ღირებულების გარკვეული ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა. იგი არის ირიბი გადასახადი, რადგანაც მას იხდის მყიდველი, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხავს გამყიდველი. **დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი დღგ შეადგენს 18%-ს.** დღგ-ს იხდის მეწარმე, რომლის შემოსავალიც ერთი წლის განმავლობაში აღემატება 100 000ლარს, ასევე, ის გამყიდველი, რომელიც გარკვეული სახის იმპორტს ახორციელებს;

**აქციზი, ასევე, არის ირიბი გადასახადი.** აქციზის გადასახადს იხდის ის პირი, რომელიც საქართველოში აწარმოებს სახელმწიფოს მიერ დაგენილ აქციზურ პროდუქციას (ნავთობპროდუქტებს, თამბაქოს ნაწარმს, სპირტიან სასმელებს), ან ანხორციელებს აქციზური პროდუქციის იმპორტს. ამ გადასახადის ძირითადი მიზანია ბიუჯეტის შევსება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. **აქციზური განაკვეთი დგება ორი ფორმით; ადვალური—რაც ნიშნავს აქციზური განაკვეთის ფასის შესაბამის დადგენას და ფიზიკურ ერთეულზე (ლიტრი, კოლოფი და სხა).**

**ქონების გადასახადი, წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების უფლება აქვს თვითმართველობის ადგილ-**

**ობრივ ორგანოებს.** მასში შედის უძრავი ქონების, მსუბუქი ავტომობილების, თვითმფრინავების, იახტების, შვეულმფრენების მფლობელების, საქართველოს საწარმოების ქონების მფლობელობის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების -1%. **ადგილობრივ გადასახადის შემოღების უფლება აქვს თვითმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.**

**საბაჟო საქმის რეგულირების საფუძვლებს საქართველოში აწესებს საბაჟო კოდექსი. საბაჟო გადასახადით იბეგრება საქონლის უცხოეთიდან შემომზიდვა (იმპორტი) და უცხოეთში გაზიდვა (ექსპორტი).** ახალი საბაჟო კოდექსით წინათ მოქმედი 16 საიმპორტო ტარიფიდან დარჩა მხოლოდ სამი სახის საბაჟო ტარიფი: **ნულოვანი, 5-პროცენტიანი და 12-პროცენტიანი.** ნულოვანი განაკვეთი ვრცელდება მანქანა-დანადგარებზე, ძირითად საწარმოო საშუალებებზე, ნებისმიერი სხვა სახის არასასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე კი დაწესდა ყველაზე მაღალი განაკვეთი-12%. სასოფლო-სამეურნეო ნედლეული საბაჟო განაკვეთით არ იბეგრება, რათა ამ სექტორის განვითარებას შეეწყოს ხელი. **საბაჟო მოსაკრებელი** კი საბაჟო მომსახურების საფასურია.

## სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის არსი და მიზანი

რევაზ შენგელია

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის არსის გაგებისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს ის, თუ რა იგულისხმება თვით – “სახელმწიფოს” ქვეშ. მარტივად თუ ვიგყვიოთ, სახელმწიფო არის ხელისუფლების აპარატი, რომელიც მოქალაქეების მიერაა დაქირავებული საზოგადოების საქმეების კეთებისათვის (მართვისათვის). ღიას, მოქალაქეები ქირობენ სახელმწიფო აპარატის მოხელეებს (პრეზიდენტი, პარლამენტარი, მინისტრი, მოსამართლე და სხვა) და მათ მიერ გაწეულ მომსახურებას ანაზღაურებენ გადახდილი გადასახადებით. ნათქვამიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხელე საზოგადოების მსახურია. სწორედ ამიტომ, ისე, როგორც მეწარმის მომგებიანობის საწინდარია მის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების სარგებლიანობა, ასევე სახელმწიფო მოხელის არჩევა-დანისვნის, შრომის ანაზღაურების, შეღავათებისა და დაწინაურების წინაპირობა უნდა იყოს მის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეების კეთება [პ. ლეიაშვილი. ქართული რეფორმები “ინსტიტუცინალურ ხაფანგში”. თბ. 2003წ. გვ.17].

უფრო ვრცლად, სახელმწიფოს, როგორც საბაზრო ურთიერთობების ძირითადი სუბიექტის, ქვეშ მოიაზრება ხელისუფლების საკანონმდებლო, საპრეზიდენტო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების ერთობლიობა, რომელიც მეურნე სუბიექტებისათვის შეიმუშავებს, აკანონებს და შემდგომ აკონტროლებს კიდევ საბაზრო თამაშის წესებს. ხელისუფლების შტოები (საკანონმდებლო, საპრეზიდენტო, აღმასრულებელი და სასამართლო) უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და დაბალანსებულნი (თანასწორნი). დაბალანსებული სახელმწიფო ნიშნავს სახელმწიფოს, სადაც ხელისუფლების ოთხივე შტო დამოუკიდებელი (თანასწორი) და ძლიერია.

ერთი ხელისუფლება მეორის უფლებების უზურპაციას (მიტაცებას) არ უნდა ახდენდეს. ხელისუფლების თითოეულ შტოს უნდა ჰქონდეს სხვა “ადვირაბსნილი შტოს” შეკავების ფუნქცია. ამერიკელებს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი ახსოვთ არა მისი პრეზიდენტობის ვადების რაოდენობის მიხედვით, რომელიც იმ ხანად კონსტიტუციით არ იყო შეზღუდული, არამედ სოლიდური პოლიტიკური მემკვიდრეობითა და მისი შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტებით. თავის დროზე ფრანკლინ რუზველტმა განამტკიცა ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და წონასწორობის სისტემა, რომელიც დღესაც კარგად მუშაობს. ამ სისტემამ შემზღა საკუთარი საპრეზიდენტო ხელისუფლებაც. მაგალითად, როცა მას სურდა უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობის გაფართოება, მისი გადაწყვეტილება დაბლოკა ხელისუფლების სხვა შტომ [Russia's Economy and Prospects for US-Russian Economic Relations. 23.10. 2007].

ქვეყანა, სადაც რომელიმე სახელისუფლებო შტო იტაცებს სხვა ხელისუფლების ფუნქციებს (ვთქვათ, პრეზიდენტს აქვს უფლება მოსამართლის დანიშვნის, განთავისუფლების, პარლამენტის დათხოვნის) სახელმწიფო დაბალანსებული და ეფექტიანი ვერ იქნება. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლე ექვემდებარება არა კანონს, არამედ პრეზიდენტს. დემოკრატიულ ქვეყანაში კი ყველა და ყველაფერი კანონს ექვემდებარება. ან კიდევ, ავიღოთ საქართველოს პრეზიდენტის ასეთი განცხადება: “ვინც მომავალი აგვისტოსათვის ბათუმში და ქობულეთში ააშენებს სასტუმროს ის უფასოდ მიიღებს მიწას, ინფრასტრუქტურას და განთავისუფლება გადასახდებისაგან”. არადა, გადასახადების დაწესება, გაუქმება და შეღავათების დაწესება პარლამენტის პრეროგატივაა.

თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფო, როგორც არბიტრი (პარლამენტი, სასამართლო), შეიმუშავებს, იცავს და აკონტროლებს კანონებს; სახელმწიფო, როგორც მენეჯერი (აღმასრულებელი ხელისუფლება), აღასრულებს მოქმედ კანონებს, შინა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებს არეგულირებს პირადაპირი და ირიბი მეთოდებით; სახელმწიფო, როგორც მიმწოდებელი (მწარმოებელი), აწვდის კერძო და საზოგადოებრივ საქონელს;

სახელმწიფო, როგორც მომხმარებელი იძენს რესურსებსა და საქონელს საოჯახო მეურნეობებისაგან და ფირმებისაგან. **საბჭოთა-სმელია, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე სახელმწიფოს, როგორც უშუალო მონაწილის (მწარმოებლის) როლი იკვეცება, ხოლო არბიტრისა და მარეგულირებლისა ფართოვდება.** იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება იზღუდება **სახეზეა დერეგულირება.**

სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ანუ საბაზრო ეკონომიკის რეგულირება არის ერთობლივ მოთხოვნაზე და ერთობლივ მიწოდებაზე სახელმწიფოს ზემოქმედება მათი წონასწორობის ანუ ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მიზნით. სხვანაირად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება არის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკურ მოვლენებზე, პროცესებზე და მათში მონაწილე სუბიექტებზე ზემოქმედება მუდმივად ცვალებადი პირობებისადმი ეკონომიკური სისტემის ადაპტირებისა და განვითარების მიზნით. განასხვავებენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მეთოდებს. **ეკონომიკის რეგულირების ადმინისტრაციული ინსტრუმენტები** ემყარება სახელმწიფო ხელისუფლების ძალასა და მოიცავს ნებართვას, აკრძალვასა და იძულების ზომებს. **სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკურ ინსტრუმენტებად კი გვევლინება:** სარგებლის განაკვეთების შეცვლა, ფულისა და ფასიანი ქაღალდების ემისია, სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახადები და ფასები და სხვა [ივ. ქვაჩაია, რ. ქუციბე. **ეკონომიკური თეორია. თბ 2000წ. გვ. 335**].

სამი უნდა გაეხსენებინათ, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობა (ეკონომიკის რეგულირება) განპირობებულია არა ვინმეს ნება-სურვილით, არამედ იმიტომ რომ **მართალია, ბაზარი დღემდე არსებული ეკონომიკის ორგანიზების არსებულ ფორმებს შორის ყველაზე ეფექტიანია, მაგრამ არა ყოველისშემძლე და უნაკლო. რაში ვლინდება ბაზრის არასრულყოფილება ან როგორც ხშირად იცყვიან საბაზრო “ჩავარდნები”?**

**ბაზრის არასრულყოფილება ანუ “ჩავარდნები”.** “უხილავ ხელს”,

ჩვეულებრივ, ბაზრები რესურსების ეფექტიანი განაწილებისაკენ მიჰყავს. მიუხედავად ამისა, მრავალი მიზეზის გამო ეს “უხილავი” ხელი მოგვერ არ მუშაობს. იმ სიტუაციის აღსანიშნავად, როდესაც ბაზარი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას, ეკონომისტები იყენებენ ტერმინს **საბაზრო “ჩავარდნა”**. სხვაგვარად, საბაზრო “ჩავარდნა” ანუ ბაზრის არასრულყოფილება მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოშობს არასტაბილურობას, მონოპოლიებსა და უსამართლობას. უფრო დეტალურად:

1) **ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს მაკროეკონომიკური არსტაბილურობის ისეთი გამოვლინებები, როგორცაა: ეკონომიკის აღმავლობა და დაღმავლობა, უმუშევრობა, ინფლაცია, საგრეო ეკონომიკური უწონაწობა და სხვა.**

2) **საბაზრო მექანიზმი, ასევე, ვერ არეგულირებს მიკრო დონეზე სამეწარმეო საქმიანობის გარე უარყოფით და დადებით ეფექტებს ე.წ. ექსტერნალიებს.** ბაზრის პირობებში ეკონომიკური საქმიანობა ეხება არა მხოლოდ მისი უშუალო მონაწილეების, არამედ სხვა, გარეშე აღამიანების ინტერესებსაც. მისი შედეგები არც თუ იშვიათად აგარებენ ნეგატიურ ხასიათს. ცხადია, ეკონომიკური დოვლათის მრდის კვალობაზე გარე ეფექტების პრობლემა სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენს. ასე მაგალითად, გამოყენებული ავტომობილების რაოდენობის მრდას თან ახლავს ჰაერის გაბინძურება; სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქების ფართოდ გამოყენება მოხმარებისათვის კვების პროდუქტებს უვარგისს ხდის; ქიმიური კომბინატები პროდუქციის წარმოებასთან ერთად თავიანთი ნარჩენებითა და გამონახოლქვით აბინძურებენ აგმოსფეროსა და წყლის რესურსებს. რის აღმოსაფხვრელადაც საზოგადოებამ (სახელმწიფომ) უნდა გაიღოს გარკვეული ხარჯი. მაგრამ ეს ხარჯი კომბინატის კერძო ხარჯებში არ შედის. გამოდის, რომ ის რაც უჯდება პროდუქცია ქიმიურ კომბინატს და ის, რაც უჯდება ეს პროდუქცია საზოგადოებას, ერთი და იგივე არ არის. ე.ი. კომბინატის კერძო ხარჯები ბევრად ნაკლებია საოგადოებრივზე. სწორედ ამიგომ იგი მრდის ქიმიური პროდუქციის გამოშვებას და ინტენსიურად აბინძურებს გარემოს. ცხადია, ქიმიური კომბინატის გარე უარყოფითი

შედეგი უნდა აღმოფხვრას (დაიფაროს). როგორც ითქვა, თვით ბაზარს არ ძალუძს სამეწარმეო საქმიანობის ჩამოთვლილი და სხვა გარე უარყოფითი ეფექტებით მიყენებული ზარალის აღმოფხვრა ან კომპენსირება. **ამიგომ, როგორც ითქვა, სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში მრავალფეროვანი ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდებით:** აიძულებს ფირმებს გადაიხადონ გადასახადები ბუნებაზე და საზოგადოებაზე მიყენებული ზარალისათვის; კრძალავს ამგვარ საქმიანობას; განსაზღვრავს დაბინძურების ნორმებს, რომელიც შეუძლია “გადაამუშაოს” ბუნებამ თავისთვის ზიანის მიუყენებლად; ათავისუფლებს ქონებაზე გადასახადისაგან, ვთქვათ, იმ გამწმენდ მოწყობილობას, რომელიც გამონაბოლქვის გასაწეიგრალებლად იღვმება და სხვა.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წარმოების გარე დადებით ეფექტსაც. ე. ი. წარმოების დადებითი შედეგით ისარგებლონ მესამე პირებმა ანუ საზოგადოებამ. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ კეთილმოაწყო მიმდებარე გერიგორია, გააშენა დასასვენებელი პარკი (ბაღი), რომლითაც შეიძლება ისარგებლონ საზოგადოების იმ წევრებმა, რომელთაც ქარხანასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ასეთ შემთხვევაში, სხენებული საწარმო უნდა წაახალისოს სახელმწიფომ მისთვის სუბსიდიის (დახმარების) გამოყოფით. **წარმოების დადებითი და უარყოფითი ეფექტი, ასევე, მის დასარეგულირებლად განკუთვნილი გადასახადი აღმოაჩინა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა არტურ პიგუმ და მის პატივსაცემად ამ გადასახადს პიგუს გადასახადი ეწოდა;**

3) საბაზრო ჩავარდნის კიდევ ერთი მაგალითია საბაზრო ძალაუფლება. კონკურენტული ბაზარი თავად წარმოშობს თავის ანტიპოდს—მონოპოლიას, რომელიც ახშობს ფასობრივ და არაფასობრივ კონკურენტობას და ამით აფერხებს ეკონომიკის ეფექტიანობას. თუ ბაზარზე ერთადერთი მწარმოებელია (მონოპოლისტია), მაშინ მას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საქონლის ფასი ბემოგების მიღების მიზნით. ამ შემთხვევაში მის მიერ გამოშვებული პროდუქტის მოცულობა ეფექტიან ღონესთან შედარებით მცირეა. **ბაზარს არ შეუძლია დაუპირისპირდეს მონოპოლისტურ გენდენციებს.** სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლისტის საქმიანობის რეგუ-

ლირებას კი შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ეფექტიანობა;

**4) შემოსავლების განაწილებაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგჯერ უსამართლოა, ადამიანების შემოსავლების ღონე განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი პროდუქტების ან მომსახურების გადახდისადმი მზადყოფნას გამოხატავენ სხვა ადამიანები. მოკლედ, ბაზარს არა აქვს უნარი უზრუნველყოს სოციალური გარანტიები, მოახდინოს შემოსავლების განაწილებაში მკვეთრი დიფერენციაციის ნეიგრალიზება-მინიმიზება, რადგანაც შემოსავლების უთანაბრო განაწილება არა მარტო შედეგი, არამედ საბაზრო მექანიზმის გამართული მუშაობის წინაპრობაცაა.** ბაზარი თავისი ბუნებით იგნორირებას ახდენს სოციალური და ეთიკური კრიტერიუმებისა, ანუ სამართლიანობისა რესურსებისა და შემოსავლების განაწილებაში. იგი ვერ უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეების სტაბილურ დასაქმებას, უმუშევართა, უმწვოთა, ინვალიდთა სოციალურ დაცვას და სხვა. საბაზრო წესების მიხედვით თითოეული ადამიანი დამოუკიდებელი უნდა ბრუნავდეს თავის მდგომარეობაზე სამოგადოებაში, რაც უცილობლად იწვევს სოციალურ ფენებად დაყოფასა და სოციალური დაძაბულობის გაღრმავებას. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში იძლევა იმის გარანტიას, რომ სამოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს საკმარისი საკვები და განსაცემელი, ასევე, გააჩნდეს ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობები. აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ზომამე მეტად გაგაცება სოციალური სამართლიანობით ამცირებს ეკონომიკის ეფექტიანობას;

**5) ბაზარი ვერ უზრუნველყოფს “სამოგადოებრივ საქონელზე” (თავდაცვა, უშიშროება, მართლწესრიგი და სხვა) მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რადგანაც იგი მოთხოვნაში ვერ ჰპოვებს გამოხატულებას, მაგრამ აღნიშნული “სამოგადოებრივი საქონელი” ეროვნული მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტია. “სამოგადოებრივი საქონლის” თავისებურება ისაა, რომ იგი კი არ იყიდება, არამედ მოსახლეობაზე უფასოდ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ აკრეფილი გადასახადების ხარჯზე. დიახ, “სამოგადოებრივი საქონელი” უფასოა მომხმარებლისათვის, მაგრამ არა სახელმწიფოსათვის, რადგანაც როგორც ითქ-**

ვა, იგი აფინანსებს მის წარმოების ხარჯებს. “საზოგადოებრივი საქონელი” რაკი არ იყიდება, ამდენად მიმზიდველი არ არის მეწარმეთათვის. ამასთან, როგორც წესი, არ შეიძლება მისი გამოყენების შეზღუდვა. ასე მაგალითად, მოძრაობის წესების მარეგულირებელი საგზაო ნიშნების გამოყენება სავალდებულოა ყველასთვის არასასურველი შედეგების თავიდან აცილებისათვის. ვაქცინაციამ უნდა მოიცვას ყველა მაცხოვრებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია გამოირიცხოს ინფექციური დაავადება. ამგვარად, “საზოგადოებრივი საქონელი” არის ყველასათვის ხელმისაწვდომი არაკონკურენტული საქონელი და მომსახურება;

6) ბაზარს არ შეუძლია სტრატეგიული გარღვევა მოახდინოს ფუნდამენტური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში;

7) საბაზრო მექანიზმში ჰბადებს მწირ, არასრულ და ასიმეტრიულ ინფორმაციას. მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფლობს ბაზრის ყველა მონაწილე საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას ფასებისა და წარმოების განვითარების პერსპექტივის შესახებ. თუმც, თავათ კონკურენციავე აიძულებს ფირმებს დამალონ რეალური მონაცემები საქმის მდგომარეობის შესახებ. ბაზრის პირობებში ინფორმაცია ფული ღირს, შესაბამისად ეკონომიკური აგენტები—მწარმოებლები და მომხმარებლები— მას ფლობენ სხვადასხვა ზომით. ამ მიმართებით შედარებით სრულ და საიმედო ინფორმაციას იძლევა არა კერძო ბაზარი, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტები.

ამგვარად, ბაზარი ანუ “უხილავი ხელი” არ არის იდეალური მექანიზმი ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებისა. ბაზრის ხარვეზები (ჩავარდნები), რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია წმინდა საბაზრო ინსტრუმენტებით, შესაძლებელია შერბილებული იქნას სახელმწიფოს „ხილული ხელით”, შესაბამისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებითა და მათი გონივრული ამოქმედებით. ინსტიტუციონალური სისტემა ავსებს ბაზარს. ინსტიტუტები ეს არის კანონები, საკანონმდებლო ნორმები, ორგანიზაციული სტრუქტურები და გრადიციები. სწორედ ინსტიტუტები ქმნიან გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს ბაზარი და განსაზღვრავს უფლებებს და პასუხისმგებლობებს, რომელიც ეწინააღმდეგება ანარქიას

(თავაშვებულობას) და დეფორმაციებს საბაზრო ურთიერთობებში. მაგრამ მთლიანობაში, რაც ნაკლებად არის შებოჭილი მეწარმე, მით დიდი სიფრცევა საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის. მაშასადამე, ცივილიზებული ინსტიტუციონალური გარემო გულისხმობს არა მხოლოდ ცივილიზებულ კანონებს, სამართლებრივ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მიიღებენ და დაიცავენ კანონებს, არამედ მოსახლეობის მართლშეგნების, კანონისადმი მორჩილების, პატივცემლური დამოკიდებულების გამოქვეყნებას, ე. ი. მართლშეგნების მდიდარ გრადიენტსაც. ცხადია, ყოველივე ამას გარკვეული დრო სჭირდება. მით უფრო საქართველოში, სადაც, დიდი ილიას თქმით, კანონი გზაზე გადაებული თოკია, რომელსაც დიდი კაცი ზემოდან გადააბიჯებს, პაგარა კაცი კი ქვემოდან ძვრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არის ცივილიზებული ინსტიტუციონალური საბაზრო გარემო (თამაშის წესები), რომელშიაც ყველა მონაწილე თანაბარ და ჯანსაღ კონკურენციულ პირობებშია ჩაყენებული და სახელმწიფოს მხრიდან დაცულია ეს წესები. ჯანსაღი კონკურენციის, ცივილიზებული ბაზრის სასწაულმოქმედი ძალა იმაშია, რომ იგი მაქსიმალურად აახლოებს კერძო და საზოგადოებრივ (სახელმწიფოებრივ), მიმდინარე და პერსპექტიულ ინვესტიციებს. ასე მაგალითად, ჯანსაღ კონკურენციაში გამარჯვებული მეწარმე საზოგადოებას აწვდის მისთვის სასარგებლო, შედარებით იაფ და ხარისხიან ბევრ საქონელს და ამის გამო “ჯილდოვდება” მოგებით, საიდანაც იგი კუთვნილ სამღაურს (გადასახადს) უხდის სახელმწიფოს (საზოგადოებას) ხელსაყრელი საბაზრო გარემოს შექმნისათვის. არაცივილიზებული, არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში კი მეწარმე მიღებულ მოგებას თვითონ იჯიბავს და გადასახადებს არ უხდის სახელმწიფოს. ე. ი. კერძო და საზოგადოებრივი, მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნილებები (ინვესტიციები) ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

# **THE IMPROVEMENT OF TEACHING FINANCIAL ACCOUNTING WITH MODERN ACCOUNTING SOFTWARE**

**Natia Shengelia,**  
GTU, Phd, Senior Teacher

**Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia**  
GTU, Phd, Assoc. Professor

Accounting and Finance are key elements of business life, and Accounting software programs are also the lifeline of Accountancy . If you do not know one of these accounting software applications you will not be able to work as an accountant or an auditor , whereas information technologies are rapidly changing, improving that influence nearly on all spheres. It became essential at Universities to teach not only Financial Accounting but also Accounting Software Applications. This enables students to get to know in detail to real activities of the accountant, and then to become a professional and competitive in the labor market. Nowadays there are widely known the following programmes: “Oris Accounting”, “Super Fin”, “IC”, “Info”, “Apex”, “Fina” etc.

Accounting and accountancy are generally concerned with measuring and communicating the financial information provided from accounting systems, and the reporting of financial results to shareholders, lenders, creditors, employees and Government. The owners or shareholders of the wide range of business entities that use accounting may be assumed to have the primary objective of maximisation of shareholder wealth. Directors of the business manage the resources of the business to meet shareholders’ objectives.

The original, basic purposes of accounting were to classify and record monetary transactions and present the financial statement, results of the activities of an entity, in other words the scorecard that shows how the business is doing.

- how are we doing, and are we doing well or badly?



are included in published reports and accounts in a way that provides ease of analysis and interpretation of company performance. The role of financial accounting is therefore concerned with maintaining the scorecard for the entity. Financial accounting is concerned with the classification and recording of the monetary transactions of an entity in accordance with established concepts, principles, accounting standards and legal requirements and their presentation, by means of income statements, balance sheets and statements of cash flows, during and at the end of an accounting period . Furthermore, within most companies, the financial accounting role usually involves much more than the preparation of the three main financial statements. A great deal of analysis is required to support such statements and to prepare information both for internal management and in preparation for the annual audit by the company's external auditors . This includes sales analyses, bank reconciliations, and analyses of various types of expenditure. A typical finance department has the following additional functions within the financial accounting role: control of accounts payable to suppliers (the purchase ledger ); control of accounts receivable from customers (the sales ledger ), and credit control; control of cash (and possible wider treasury functions) including cash payments, cash receipts, managers' expenses, petty cash and banking relationships. Moreover, the financial accounting role also usually includes responsibility for payroll, whether processed internally or by an external agency. However, a number of companies elect to transfer the responsibility for payroll to the personnel, or human resources department, bringing with it the possibility of loss of internal control . The breadth of functions involved in financial accounting can require the processing of high volumes of data relating to purchase invoices, supplier payments, sales invoices, receipts from customers, other cash transactions, petty cash, employee expense claims and payroll data. Control and monitoring of these functions therefore additionally requires a large number of reports generated by the accounting systems, for example:

- analysis of trade receivables (debtors): those who owe money to the company – by age of debt

- analysis of trade payables (creditors): those to whom the company owes money – by age of invoice
  - sales analyses
  - cheque and automated payments
  - records of non-current assets
  - invoice list

All of these is impossible without accounting software applications. There also exist other Microsoft office programmes, such as Excel , Word and etc. Accountants may sometimes need to prepare tables in more detail, but they can be regarded as extra sources. However, the accounting programmes are orienting on getting the financial information in a special recommendable and generally accepted form, order,statement, arranged by date. Using them is more effective , it can be printed out quickly even the nearly all components of financial statements, rather than starting creating the new formats and documents and spend much time on doing this. By studying them, the students will know how to operate in a business environment, how to act effectively, how to get and provide others with useful information.

As we discussed above the main goal of financial information is to convey the company's current financial condition and results of past activities. This information helps the users to the goal and a plan of action, decision-making.

Accounting studying such issues as: the primary accounting field, the company has operations and cash registers to reflect the theme, which is necessary for the effective operation of any enterprise. It will examine the company's financial statements.

With the main course of study, students should be able to conduct business activities in the international accounting standards, according to a new Tax Code.

Financial Accounting plays a significant role but only studying its theory is not enough as a professional accountant must have a wide practical experience , that without accounting programmes nowadays is impossible.

Thus in the University Program Curriculum at first Financial Accounting course is studied and then Accounting Software Applications.

## პირენობისი აკონტროლი

The Students already know the basic terminology, principles, also can prepare financial statements, know primary documents: cash receipt order, cash payment order, Account Statement about Bank transactions etc. We can say that the accounting program today is a lifeline for Accountancy. If you do not know of these programmes you can not work as an accountant.

An accounting software records and processes the accounting transactions of a business within its functional modules. Financial statements - of the balance sheet, profit and loss account can be easily prepared with an Accounting software.

The accounting software is all about the various functional modules that it has. Some of them are- General ledger which takes care of the company's financial dealings; Accounts Payable where the company enters its bills and pays the money it owes; Furthermore, Accounts Receivable where money received is entered.

Abroad there are a lot of top accounting software available in every category. So, it is not easy to select the best ones. Below are top five accounting software in every category.

### **A.Small business/personal accounting software:**

1. ePeachtree (Best Software)
2. MYOB Plus for Windows (MYOB Software)
3. Peachtree Complete Accounting (Best Software)
4. QuickBooks Online (Intuit)
5. Small Business Manager (Microsoft)

### **B. Low-End Accounting Software:**

1. BusinessVision 32 (Best Software)
2. MAS 90 & MAS 200 (Best Software)
3. QuickBooks Pro 2003 (Intuit)
4. ACCPAC Pro Series (ACCPAC International)
5. Vision Point 2000 (Best Software)

**C. Middle-Market Accounting Software:**

1. ACCPAC Advantage Series Corporate Edition (Best Software)
2. Great Plains (Microsoft) MAS 90 & MAS 200 (Best Software)
3. Navision (Microsoft)
4. SouthWare Excellence Series (SouthWare)
5. SYSPRO (SysproUSA)

**D. High-end accounting ERP Market:**

1. Axapta (Microsoft Software)
2. e-Business Suite (Oracle)
3. MAS 500 (Best Software).
4. Solomon (Microsoft)
5. ACCPAC Advantage Series Enterprise Edition (Best Software)

Peachtree is an accounting application for small and medium-sized businesses (SMBs) made by Sage Software.

Navision software<sup>1</sup>, also referred to as Microsoft Dynamics Nav, is also a Microsoft software program designed to work with small and medium-sized enterprises. Navision provides assistance in such enterprise-related areas as customer relationship management, manufacturing and finance.

Navision software offers tools that enable enterprises to manage finances<sup>2</sup>.

QuickBooks<sup>3</sup> Simple Start is an easy accounting software solution for the business. It is best used for small businesses with few employees. It organizes your business's finances, tracks your sales and expenses, and provides help for you at tax time.

As we mentioned above In Georgia there are used the following accounting software applications: “Oris Accounting”, “ Super Fin”, “ 1C ”, “Info”, “Apex”, “Fina” etc.

FINA Accounting is a complete accounting program that is linked to a store - warehouse module, and with it the whole system. All trade transac-

---

1 [http://www.ehow.com/facts\\_7461222\\_navision-software\\_.html](http://www.ehow.com/facts_7461222_navision-software_.html)

2 [http://www.ehow.com/facts\\_7461222\\_navision-software\\_html#ixzz2Xc9R6Nes](http://www.ehow.com/facts_7461222_navision-software_html#ixzz2Xc9R6Nes)

3 <http://bizfinance.about.com/od/Finance-Accounting-Software/a/Top-Accounting-Software-For-Business.htm>

tions (purchases, sales, return, transfer, etc.), which serves as operator of the shop - warehouse module are automatically reflected in accounting, which significantly simplifies the bookkeeping operations and eliminates mistakes.

Almost all of these programmes include the following accounting operations: open a new a company, operations about generally production, its receipt-registration in detail according to their type, size, date, their cost calculation, written-off, tangible and non-tangible assets accounting, depreciation by different methods, or according to groups given in tax Code , accrue salaries and disbursements, cash transactions between the bank and cash, conversion, even create different documents, print out financial statements etc.

Thus after completing financial accounting, tax code and accounting software courses, undergraduate students should be able to complete tasks solution, which includes both financial statements and tax returns preparation and submission, giving the proper advice to directors in the difficult financial situation, adjusting advice and tax laws for the benefit of the company.

In Summary, Financial Accounting, Financial statement play a key role in making a business-decision ; But this is achieved easily, effectively and quickly by Accounting Software Applications. However, the accounting programmes are orienting on getting the financial information in a special recommendable and generally accepted form, order, statement, arranged by date etc. All this enable students to get to know in detail to practical experience, real activities of the accountancy department , in order to become a professional and competitive in the labor market. By studying the accounting software applications, the students will know how to operate in a business environment, how to act effectively, how to get quickly and provide others with useful and necessary financial information.

## **ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ობიექტური ასეციაციები. ფუნქციები, ფორმები და მასშტაბები**

**რევაზ შენგელია**

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

**ნათია შენგელია**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
სტუ უფროსი მასწავლებელი

**მოკლედ თუ ვიგყვით, ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობა განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: ჯერ ერთი, სახელმწიფო აკეთებს იმას, რაც ბაზარს არ ძალუძს (ეკონომიკური აგენტებისათვის “თამაშის წესების” შემუშავება და გაკონტროლება, “სამოგალოებრივი საქონლის” წარმოება, უმწვეთა სოციალური დაცვა, ფულის მიწოდება-რეგულირება და სხვ.) და, მეორე, სახელმწიფო ასწორებს ბაზრის მიერ დაშვებულ შეცდომებს და ხარვეზებს (ახორციელებს ანტიმონოპოლიურ და დემონოპოლიური ღონისძიებებს, არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობის თანმდევ ეფექტებს, უმუშევრობას, ინფლაციას და სხა). აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი განხილული უნდა იქნას თანამედროვე ეკონომიკის არა როგორც დანამატი, არამედ როგორც მისი ორგანული შემადგენელი ნაწილი, წარმოების მეხუთე ფაქტორი—მიწასთან, შრომასთან, კაპიტალთან და მეწარმეობრივ უნართან ერთად. სწორედ ამიტომ, თუ მიწაზე შემოსავლის სახით მოდის რენტა, შრომაზე—ხელფასი, კაპიტალზე—პროცენტი, სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარზე – უნდა მოვიდეს ირიბი გადასახადი [ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ. 2002წ. გვ.189-190]**

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სახელმწიფოს მონაწილეობა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში, შერეულ ეკონომიკაში და ბაზარზე გარდამავალ ეკონომიკაში.

**თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი და**

**ფუნქციები შეზღუდულია, ესაა:** 1) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, უშიშროებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა, გზატკეცილების მშენებლობა ანუ “საზოგადოებრივი საქონლის” წარმოება; 2) ფულის ემისია და მისი რეგულირება; 3) ბაზრის გარე დადებითი და უარყოფითი ეფექტების რეგულირება. ეს არის ფუნქციათა ის მაქსიმუმი, რაც ევალება სახელწიფოს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ, ამავდროულად, ეს არის ფუნქციათა ის მინიმუმი, რაც უნდა აკეთოს სახელმწიფომ რეგულირებადი (შერეული) საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**შერეულ ანუ რეგულირებად ეკონომიკაში ზემოთქმულ სამ ფუნქციასთან ერთად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებია:** 1) საკანონმდებლო ბაზის ანუ ბაზრის პირობებში “თამაშის წესების” შემუშავება და მის შესრულებაზე კონტროლი; 2) ეკონომიკის სტაბილურობა; 3) ეკონომიკის ეფექტიანობა; 4) სამართლიანობა.

სახელმწიფოს უპირველესი ფუნქცია ანუ სამართლებრივი ბაზის შემუშავების ფუნქცია ითვალისწინებს იმ საბაზრო “თამაშის წესების” შემოღებას, რომლებიც აუცილებელია ბაზრის ყველა მონაწილისათვის. ეს არის კანონები, რომლებიც ეხება საკუთრების უფლებებს, მეწარმეებს, მომხმარებლებს, ბანკებს, გადასახადებს, ხელშეკრულებებს, გაკოტრებასა და კიდევ აუარებელ სხვა მოვლენებს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს სხვადასხვა სუბიექტებს შორის. სამართლებრივ ბაზას უაღრესად დიდი ზეგავლენა აქვს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში ფირმების მეპატრონენი არ იყვნენ პასუხისმგებელი თავისი მუშების წინაშე მათი ავადმყოფობის შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც მუშებს ამუშავებდნენ ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში. დაუცველი იყო მომხმარებელიც, თუ იგი იყიდა წუნდებულ პროდუქციას. რა თქმა უნდა, თანამედროვე ეპოქაში კანონმდებლობა უფრო სრულყოფილია და ფირმები მეტად ბრუნავენ როგორც პროდუქციის ხარისხზე, ისე სამუშაო ადგილების უსაფრთხოებისა და შრომის ჯანსაღი პირობების შექმნისათვის;

**ეკონომიკის მასშტაბილიზებული ფუნქცია გულისხმობს** მკვეთრი რყევების გარეშე ეკონომიკის განვითარების სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას. ეს მოითხოვს ეკონომიკური ციკლის ფაზების და

განვითარების ეტაპების ადეკვატური ფისკალური, მონეტარული, საგარეო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარებას; ინფლაციის, დეფლაციის არარსებობას, დასაქმების მაღალ დონეს, სამართლებრივი ბაზის სტაბილურობას და სხვას;

**ეკონომიკის ეფექტიანობის ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ** სრულყოფილი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას ანუ მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლას (დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლიური საქმიანობა, საწარმოს ანალოგიური პროდუქციის იმპორტირება; გამსხვილებული მონოპოლიური საწარმოს დეკონცენტრაცია, დანაწევრება; ახალი კერძო საწარმოების მშენებლობა; უცხოური პირდაპირი ინვესტიციები), რათა არცერთ ფირმას არ შეეძლოს განსაზღვროს საქონლის ფასი და ერთმანეთს შეეჯიბრონ ხარჯების შემცირებით, ხარისხისა და სერვისის გაუმჯობესებით;

**სამართლიანობის ფუნქცია გულისხმობს** ბაზრის მიერ დაშვებული “შეცდომების” სახელმწიფოებრივ გამოსწორებას ანუ შემოსავლების პირველადი განაწილებისას ჩამოყალიბებული უთანაბრობის მეორადი განაწილებისას რამდენადმე შემსუბუქებას. ნათქვამის უკეთ გაგებისათვის წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ასპროცენტიანი ეფექტიანობით, მაგრამ ბევრი მას არ ჩათვლის იდეალურად. რატომ? მდიდარი მეპატრონის კატასა თუ ძაღლს შეუძლია დალიოს რძე, რომელიც აუცილებელია ღარიბი ოჯახის ბავშვისათვის, რათა ის ჯანმრთელი იყოს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ცუდად მუშაობს მიწოდება და მოთხოვნა. საბაზრო მექანიზმმა თავისი გააკეთა—საქონელი გაუგზავნა იმას, ვინც ხმა მისცა მას ფულით. ფასების მექანიზმის დამცველებმა და კრიტიკოსებმა უღა აღიარონ, რომ ეფექტიანი საბაზრო სიგემა აკვლავაწარმოებს არსებით უთანაბრობას. თუ ქვეყანა ხარჯავს მეტ პროდუქტებს ცხოველებისათვის, ვიდრე ღარიბების გამოკვებისათვის, ეს არა ბაზრის, არამედ შემოსავლების განაწილების დეფექტია. სახელმწიფოს შეუძლია ამ სიტუაციის შეცვლა. [პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი. ეკონომიკა. გომი პირველი. თბ 2000წ. გვ. 113]. სახელმწიფო გარკვეული კატეგორიის ადამიანებისათვის (შრომისუუნაროები, მოხუცები, მრავალშვილიანები, უმუშევრები

და ა. შ.) აწესებს პენსიებს, სხვადასხვა დახმარებებს, შემწობებს, უფასო სწავლებას, მკურნალობას და ამით ნაწილობრივ ასწორებს უსამართლობას, რომელსაც წარმოშობს თავის ნებაზე მიშვეებული საბაზრო ეკონომიკა. **ამას სახელმწიფო აღწევს მდიდრების პროგრესიული დაბეგვრის საფუძველზე შემოსავლის გადაანაწილებით ღარიბებზე და დაგაკებზე.**

ამგვარად, თანამედროვე პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობით შესაძლებელია მიღწეული იქნას ეკონომიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეფექტიანობა და სოციალური სამართლიანობა.

**მზრდანებურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო დამატებით იძენს რიგ სპეციფიურ ფუნქციებს, ესაა:** საბაზრო იდეოლოგიისა და თავისუფალი მეწარმეობის ფორმირების ხელშეწყობა; ეკონომიკისა და ფასების ლიბერალიზაცია; მასშტაბილიზებული პროგრამების განხორციელება; კერძო საკუთრების ფორმირება პრივატიზებითა და ახალი კერძო საწარმოების ჩამოყალიბებით და ამით კონკურენციული გარემოს შექმნა; ადმინისტრაციულიდან ეროვნული მეურნეობის საკანონმდებლო და ეკონომიკური მეთოდებით რეგულირებაზე გადასვლა; საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება; საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია; ბაზრისადმი სოციალური ადაპტაციის მექანიზმის ფორმირება.

**განასხვავებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის პირდაპირ და ირიბ ფორმებს.**

**პირდაპირი მონაწილეობის დროს სახელმწიფო, როგორც მეწარმე (მიმწოდებელი) და მომხმარებელი, უშუალოდ ბემოქმედებს ერთობლივ მიწოდებაზე და ერთობლივ მოთხოვნაზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო, როგორც მწარმოებელი, გვევლინება სამოგალოებრივი და კერძო საქონლის მიმწოდებლად, ხოლო როგორც მომხმარებელი—იძლევა შეკვეთებს, იძენს სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების საქონელს, მდიდრების “ჭარბ ფულს“ გადაანაწილებს სოციალურად დაუცველ ფენებზე, რომელთაც სახელმწიფოს თანადგომის გარეშე არ შეუძლიათ არსებობა, შეიმუ-**

შავეს ინდიკატურ და კრიტიკული სიგუაციიდან გამოყვანის საგანგებო გეგმებს, ვასცემს სუბსიდიებს, ღოტაციებს და სხვა.

**ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ირიბი ფორმებია:** მონეტარული, ფისკალური, სოციალური, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისა და სხვა ინსტრუმენტები.

**საკითხავია—რა ზომითა და მასშტაბებშია შესაძლებელი სახელმწიფოს მონაწილეობა საბაზრო ეკონომიკაში?** ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა: 1) ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება (**მაქსიმალური ჩარევა**), ანუ “ცხვირის ჩაყოფა” ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არეგულირებს თავად საბაზრო მექანიზმი. სახელმწიფოს ასეთი გადამეტებული ჩარევა, ვთქვათ, ფასწარმოქმნაში ან მეურნე-სუბიექტების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში, მკვეთრად ასუსტებს საბაზრო მექანიზმის ქმედუნარიანობას; 2) მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედით ყოფნა ანუ **მინიმალური ჩარევა** იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ინერგულობა საბაზრო ეკონომიკის ნეგატიურ შედეგებს აძლიერებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სახელმწიფოს მხრიდან მიზანშეწონილია ეკონომიკაში არა მაქსიმალური ან მინიმალური, არამედ ოპტიმალური (ზომიერი) ჩარევა. სახელმწიფო მონაწილეობს რა ეკონომიკაში უნდა ხელმძღვანელობდეს სამედიცინო პრინციპით—“არ ვავნო ბაზარს”. ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა თვითრეგულირებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ოპტიმალური შეხამება. ამ თანაფარდობის დარღვევას შეიძლება გაცილებით უარესი უარყოფითი შედეგები მოყვეს, ვიდრე თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებებია ეკონომიკაში. ეკონომიკაში სახელმწიფოს მეგისმეტად უხეში ჩარევა ან ინერგულობა მის დეფორმაციას იწვევს (ა. სისვაძე. ეკონომიკური თეორია. ნაწილი პირველი. 2006წ.გვ. 151).**

**სამწუხაროდ, ზოგჯერ სახელმწიფო იმ საკითხების გადაწყვეტაში ერევა, სადაც მას არაფერი ესაქმება.** მაგალითად, ავილოთ საქართველოს პრემიერდენგის ასეთი განცხადება: “ვისაც მილიონები აქვს ბანკში და არ გამოიყენებს სასტუმროს მშენებლობისათვის, მას ეს თანხა დაეკარგება”. ასეთი განცხადება, **ჯერ ერთი, ლახავს**

## **ეკონომისტი აუდიტორიაში**

---

მეწარმის არჩევანის თავისუფლებას **და, მეორე**, ამგვარმა განცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს პანიკა და შეანაბრებმა ერთბაშად დაიწყონ თანხების გაგანა.

**ზოგჯერ ისეც ხდება რომ იქ, სადაც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, იგი განზე დგება.** მაგალითად, ევროგაერთიანების მოთხოვნების შესაბამისად დასახვეწია შრომის კანონმდებლობა დაქირავებულთა უფლებების დაცვის ნაწილში; გასაუმჯობესებელია ანტიმონოპოლირი კანონმდებლობა და სამსახური; დასახვეწია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა და სხვა. სახელმწიფო კი ყოველივე ამას რაგომდაც ახანებს. არადა, ყოველივე ამის გარეშე ევროგაერთიანებაში გაწვერიანებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

## საშუალო, ზღვრული ხარჯი და ზღვრული პროდუქტი

რევაზ შენგელია

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

მუდმივი ხარჯებისა (FC) და ცვალებადი ხარჯების (VC) ჯამი არის წარმოების მთლიანი ხარჯები (TC). წარმოების მთლიანი (საერთო) ხარჯებისა (TC) და მის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის (Q) განაყოფი არის წარმოების საშუალო მთლიანი ხარჯები (Average Total Costs - ATC ან AC), ანუ ერთეულ პროდუქციაში განხორციელებული ხარჯები, რომელსაც ფულში გამოსახვლულ პროდუქციის თვითღირებულება ეწოდება. სხვაგვარად, საშუალო დანახარჯი უჩვენებს, თუ რა ჯდება საშუალოდ ერთეული პროდუქციის წარმოება.

ანალოგიურად გაიანგარიშება საშუალო მუდმივი და საშუალო ცვლადი ხარჯები. საშუალო მუდმივი ხარჯი (Average Fixed Costs - AFC) გოლია მუდმივი ხარჯების ჯამისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის განაყოფისა. ფორმულის სახით:  $AFC = FC/Q$ . სადაც FC მუდმივი დანახარჯებია, Q პროდუქტის რაოდენობა. საშუალო ცვლადი ხარჯი (Average Variable Costs - AVC) გოლია ცვლადი ხარჯების ჯამისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის განაყოფისა. ფორმულის სახით:  $AVC = VC/Q$ . სადაც VC ცვალებადი დანახარჯებია, Q პროდუქტის რაოდენობა. საშუალო მთლიანი ხარჯები (Average Total Costs - ATC ან AC) კი გოლია საშუალო მუდმივი ხარჯებისა და საშუალო ცვლადი ხარჯების ჯამისა. ფორმულის სახით:  $ATC = AFC + AVC$ .

გერმინი “ზღვრული” ნიშნავს ”დამატებითს.” წარმოების ფაქტორის ზღვრული პროდუქტი არის პროდუქციის მოცულობის ნამატი (ნაზრდი), რომელიც მიიღება ამ ფაქტორის ერთი ერთეულის დამატების შედეგად. სხვაგვარად, ზღვრული პროდუქტი არის სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში ერთი რომელიმე ფაქტორის მატებით მიღებული პროდუქტი. მაგ. ორი მკერავი თვეში 22

**ეკონომისტი აუდიტორიაში**

კოსტიუმს კერავს, თუ დავიქირავებთ მესამე მკერავს – საერთო პროდუქტი გაიზრდება 30 კოსტიუმამდე. ამ შემთხვევაში ზღვრული პროდუქტია:  $30-22=8$  (კოსტიუმი). ზღვრული ხარჯი (**Marginal Costs - MC**) კი არის ზღვრულ პროდუქტში განხორციელებული ხარჯები.

დანახარჯების გაანგარიშება საწარმოსათვის, რომელიც ამზადებს X საქონელს მოცემულია საწყისი მაჩვენებლები: გამოშვების სიდიდე, მუდმივი დანახარჯები, ცვალებადი დანახარჯები, მთლიანი დანახარჯები. საწარმო მაჩვენებლების მიხედვით შესაძლებელია შევავსოთ ცხრილის დანარჩენი გრაფები. როგორც ვიცით, ზღვრული დანახარჯები პროდუქტის დამატებითი ერთეულის წარმოებისთვის გაღებული დამატებითი ხარჯებია. თუ 100 დამატებითი ერთეული პროდუქტის წარმოება მთლიან დანახარჯებს 700-მდე მზდის, მაშინ ზღვრული დანახარჯები ერთეულ საქონელზე შეადგენს  $700:100=7$  და ა.შ. ცხრილში „ზღვრული“ ცვლილება გამოშვების მოცულობებს შორის აღინიშნება.

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით ისმის კითხვა – როდის შეიძლე-

მთლიანი გამოშვების ცხრილი	მუდმივი დანახარჯები FC	ცვლებადი დანახარჯები VC	მთლიანი დანახარჯები TC	მთლიანი დანახარჯების ცვლილება	საშუალო მუდმივი დანახარჯები FC/Q	საშუალო ცვლებადი დანახარჯები TC/Q	საშუალო მთლიანი დანახარჯები TC/Q	ზღვრული დანახარჯები ΔTC / ΔQ	MC გამოშვების ერთეული მოცულობისათვის
Q	FC	VC	TC	TC	ΔAFC	AVC	ATC	MC	
0	500	0	500	700	X	X	X	X	
				600				7,00	50
100	500	700	1200	600	5,00	7,00	12,00	6,00	150
200	500	1300	1800	500	2,50	6,50	9,00	5,00	250
300	500	1800	2300	700	1,67	6,00	7,67	7,00	350
400	500	2500	3000	800	1,25	6,25	7,50	8,00	450
500	500	3300	3800	1000	1,00	6,60	7,60	10,00	550
600	500	4300	4800	1200	0,83	7,17	8,00	12,00	650
700	500	5500	6000		0,71	7,86	8,57		

ბა ვაწარმოთ პროდუქციის დამატებითი ერთეული? – პროდუქციის დამატებითი ერთეული უნდა ვაწარმოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმოება მოიგანს მოგებას, ე.ი. თუ დამატებითი პროდუქტი შემოსავალს უფრო მეტად აღიღებს, ვიდრე დანახარჯებს. თუ პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოება დანახარჯებს უფრო მეტად აღიღებს, ვიდრე შემოსავალს, მაშინ მისი წარმოება მიზანშეუწონელია. პროდუქციის გამოშვების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრისას, მწარმოებელი უნდა დაემყაროს ზღვრული დანახარჯების ცნებას, რომლის მიხედვითაც ზღვრული დანახარჯები ზღვრული შემოსავლის გოლი (ან მასზე ნაკლები) უნდა იყოს. როცა ზღვრული პროდუქტი უარყოფითი სიდიდეა, წარმოების მთლიანი მოცულობა მცირდება.

**კლებადი უკუგების კანონი.** პროდუქციის წარმოების ზრდისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო რესურსების აბსოლიტურ მოცულობას, არამედ მათ თანაფარდობასაც. როგორც უკვე ითქვა, წარმოების ფაქტორები ურთიერთქმედებენ და განსაზღვრულ ფარგლებში ურთიერთშენაცვლებადია. მანქანას შეუძლია შეცვალოს ადამიანები. სამუშაო შეიძლება შესრულდეს მანქანებისა და მუშაკების სხვადასხვა კომბინაციით. მაგრამ ფაქტორთა ურთიერთშენაცვლებას საზღვარი აქვს, რომლის იქით ეფექტი მცირდება. მაგალითად, თუ ფეხსაცმელების წარმოებაში გამოყენებული დაზგების რაოდენობას უცვლელს დავგოვებთ და მუშაკთა რიცხვს გავზრდით, მაშინ გამოშვების მოცულობა დასაწყისში შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შემდეგ, როდესაც დაირღვევა რესურსების ოპტიმალური თანაფარდობა დადგება მომენტი, როცა წარმოებაში ჩართული დამატებითი მუშაკი სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ უკუგებას (ეფექტს), ზღვრულ პოდუქტს მოგვცემს. მაგალითად მეორე მუშაკის ზღვრული პროდუქტია 40 ფეხსაცმელი, მესამე მუშაკისა 30 ფეხსაცმელი, მეოთხე მუშაკისა 20 ფეხსაცმელი და ა. შ. ამ თვისებას ზღვრული პროდუქტის კლებადობა ეწოდება. იგივე შედეგს მივიღებთ მაშინაც, როცა მუშაკთა რაოდენობას უცვლელად დავგოვებთ და დაზგების რაოდენობას თანდათანობით გავზრდით. ასეთ შემთხვევაშიც დადგება მომენტი, რომლის იქით დამატებითი დაზგის გამოყენება კლებად ეფექტს მოგვცემს, ე.ი. დაზგების შექენაზე გაწეული

## ეკონომისტი აუდიტორიაში

ხარჯის ზღვრული ნაყოფიერება კლებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში ძალაშია კლებადი უკუგების ანუ კლებადი ზღვრული მწარმოებლურობის კანონი. ეს უკანასკნელი სხვა არაფერია თუ არა ცვლადი დანახარჯების ზრდა პროდუქციის ერთეულზე მუდმივი ხარჯების უცვლელობის პირობებში. ზღვრული უკუგება კი ეს არის წარმოების მოცულობის ნაზრდი, განპირობებული რესურსის დამატებითი ერთეულის გამოყენებით. საქონლის წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების რაოდენობასა და წარმოებული საქონლის მოცულობას შორის დამოკიდებულებას საწარმოო ფუნქცია ეწოდება.



## SUMMARY

The Scientific work of **Giorgi Malashkhia** discusses “ **Useless Economics and Losses of Welfare** ”. Created goods (wealth) and universal welfare, as well as their growth, do not correspond to one another. Welfare is much behind the quantity and growth of the goods (wealth). This is caused by lack of reasonability of consumption and gaining, i.e. satisfaction of the unreasonable, unsound requirements, consumption and accumulation of the greater quantities than needed, as well as use of the goods for detrimental reasons. In such cases, economic goods are not transformed into the social wellbeing, actual benefits. This, on its side, is based on excessive trends to gaining of wealth, unfair distribution thereof and unreasonable consumption behavior. Thus, generated goods (wealth) in excess to the quantities actually needed could be regarded as relatively useless, as it does not serve to obtaining of actual benefits (wealth). The other side of this situation is lack of goods for the most people, finally reduction of the common welfare and actual great loss of the goods.

In addition, the mentioned useless goods could be regarded from the other point of view, seeing in them significant reserves for improvement of welfare, which, in the certain sense, are actually free of charge, as already existing ones and which could be transformed into the actual resources from the excess and loss. This is required and possible ways for this are within the progressive development of the mankind

\* \* \*

В статье **Карло Гурцкая, Рамаз Отинашвили, Илья Папашвили, Екатерине Чиковани** „Эволюция отношений государства и экономики“ отмечено : как показывает опыт индустриально развитых стран, рыночная экономика никогда не существовала и не может су-

## SUMMARY

---

ществовать в чистом виде, без общества и отдельно от государства. Хотя рыночная ориентация экономики, которая, с одной стороны, подразумевает свободу выбора, теоретически учитывает отделение от государства экономических и социальных сфер, с другой стороны, это вовсе не значит, что государство отказывается от регулирования этих процессов на макро- и микроуровнях.

В результате управляющие органы развитых стран дошли до необходимости признания вмешательства государства как де-факто, так и де-юре в экономическую и политическую жизнь общества. Потребность осуществления единого руководства экономикой вызвала на протяжении всего XX века значительный рост регулирующей роли государства в экономической системе. В индустриально развитых странах росту роли государства в социально-экономической сфере особенно сильный импульс придал всемирно экономический кризис 1929-1933 годов, который окончательно рассеял иллюзии о неограниченном саморегулирующемся рынке.

\* \* \*

**Natalia Robitashvili's** article is about “**The Current Issues about Statistics of Population's Income Differentiation In Georgia** “. One of the most important issues for scientific researches is the survey of the transformational processes in living standards of the population.

The process of transition to a market economy influences the living standards of the population and differentiates it. Economic crisis causes social crisis and is reflected in social and material differentiation.

The goal of our country is to move to socially oriented market economy and raise living standards of the population.

In order to solve the social problems and reduce differentiation in the incomes and living standards of the population, it is desirable to study the issue theoretically and methodologically using statistical methods.

\* \* \*

**Nana Benidze, Jambul Bitsadze**' article analyzes “ **Private Insurance System Problems: the Characteristic Defects or Problems with the Administration ?** ” “ Total expenditure on health care is now one of the main index of public health priority. The World Organization estimates that Georgia has the last place among the indicators in Europe and the CIS countries.

Georgia has produced numerous scientific papers and researches that reasonably confirm problems in insurance business, in particular, the defective functioning of the Institute of Life Insurance in Georgia.

Whether the funds are spent properly, which are allocated for the benefit of citizens? The Chamber of Control data confirms that in 2011, only 40% of the money allocated to service the population - was spent and used for a fifth insured individuals only.

Thus, as we can see in terms of personal insurance picture is quite hard. There are numerous small areas that need to be regulated by the state. The next activities include a lengthy and tense work processes to be carried out, the state has to obtain optimal solutions by using regulated methods. The government should be able to secure the country's perspective private insurance model.

\* \* \*

The article of **Khatuna Shalamberidze** refers to “ **The Ways of Improvement of Banking Competitiveness in Georgia** ”. In the last few years banking system is developing dynamically. There are nineteen banks which operate in Georgia and offer its services to customers. Despite the fact that only ten - twelve years ago, few people had experience with the bank, the bank is increasingly becoming an integral part of our daily life. The banking sector in Georgia is one - one of the most developed and modernized sectors of economy. This sector, as a financial intermediary is a large contribution to the economic development of the country.

The banking sector's rapid growth and increasing competition among

## SUMMARY

---

banks in terms of the variety of banking services is growing rapidly. However, it is noteworthy that such rapid growth has disadvantages as well. Among the countless products and services, it is very difficult to find the right way and to select the required service for our customers. Along with the financial education, banking services has not been developed rapidly. This was partly due to the fact that more and more attention was paid to the service advertised, rather than exhaustive and detailed information about the services offered to customers. While relationship between the customer and bank staff, the appropriate attention is not paid to banking services in giving information in transparent and easy way.

\* \* \*

In the article of **Nargiza Qarqashadze, Lela Kamlaze** is discussed **“The Role and Importance of Cultural Tourism in the Development of Region”**. It also says that tourism poses to the region. It is noted that the concept of sustainable development of tourism in the local economy, we should consider, together with the support and participation of the local population, which will contribute to the comprehensive development of the local economy.

The article points out the essence of cultural tourism, forms and directions. It is said that cultural tourism in Georgia plays one of the main role. It explains the role of the state in the development of cultural tourism.

The article says that in Georgia there is a lot of opportunity to invest in the tourism sector. It also says that it is necessary to make a list of the most important monuments, because they constitute the basis for cultural tourism.

The article provides some statistical data that gives a clear impression of the tourist market, who are the most frequent users of Georgian tourist product.

Also it discusses the types of tourism seasonality. Is said about the importance of cultural heritage tourism.

**Sergo Turmanidze, Bagrat Devadze’s article “ The Development of Cruise Industry in Black Sea”** refers to the Cruise Industry issues. The cruise industry has enjoyed dynamic growth over a period of 30 years. Over the ten years from 2001 to 2011 demand for cruising worldwide has more than doubled from 9.9 million passengers to 20.6 million. Although North American cruise passenger numbers have increased by 66%, the region’s relative share of the total market has declined from 70% in 2000 to 56% in 2011. In 2001 an estimated 2.14 million Europeans cruised but by 2011 this figure had grown to 6.18 million, representing an increase of 189%. The global cruise fleet was served by approximately 417.000 berths on 285 ships at the end of 2011. North America was served by 138 ships with 248.000 berths, Europe was served by 121 ships with 155.000 berths.

Global sales revenue of the cruise industry has reached 29 billion dollars in the year 2011. It employs over 150,000 shipboard officers and crew as well as approximately 15.000 employees ashore. Indirectly, the industry provides employment for food suppliers, engineering services, manufacturers, port agents and authorities, hotels, destination companies, and car-hire and employment agencies.

The Black Sea is now a popular tourist destination, – cruise passengers have the advantage of taking in a breathtaking landscapes and famous landmarks of Turkey, Ukraine, Romania, Bulgaria, Russia and Georgia. The 18 port on the Black Sea region, which includes the Cruise Ships, the main of them: Odessa, Sevastopol, Varna, Constanta, Yalta, Sochi, Batumi. Over the ten years from 2001 to 2011 Cruise passenger number in Black Sea has more than doubled from 52.823 passengers to 134.869 (+250 %) with 25.5% growth. Azamara Club Cruises offers higher-end cruises with a number of amenities included in the fare, similar to various other competitors. Azamara’s style can be described as “upscale service and food, small ship coziness, and unusual itineraries. AIDA Cruises ships incorporate the successful elements of upmarket clubs and resorts in the

## SUMMARY

---

premium and four-star range, with a host on on-board amenities and facilities that attract younger, more active vacationers.

\* \* \*

В статье **М. Кавтарадзе и Н. Бежанидзе: «Круизный туризм – особенности, текущее положение и перспективы развития»** рассматриваются сущность круиза, как специфического вида туризма, ее отличительные особенности от сухопутного туризма, проанализированы показатели мирового круизного рынка, динамика прибытий по регионам мира и др.

Сделан вывод, что динамичное развитие мирового рынка круизного судоходства обуславливает интерес к этой сфере деятельности как со стороны отечественных морских портов, имеющих пассажирские терминалы и возможность принимать круизные суда значительных размеров, так и со стороны потенциальных круизных операторов и туристических компаний. К сожалению, отсутствию собственного флота пассажирские порты Грузии рассматриваются международными круизными операторами в качестве исключительно транзитных для рейсов, базирующихся на средиземноморских направлениях. Существенной закономерностью развития круизного является осуществление целевых инвестиций различных видов инноваций и правильного менеджмента.

\* \* \*

The article “ **The Role and Importance of Cultural Tourism in the Development of Region**“ of **Erekle Solomnishvili** analyzes the types of reserves, estimates working capital as an important part of the balance. The necessity of using methods that could facilitate evaluation is grounded in view of balancing policy and freedom of action. Based on a comparative analysis, it is concluded that during the rise in prices high-value assessment is a result of the use of the average and FIFO - method. In this regard, the fictitious profits arise, because sales are assessed not by

their actual but lower prices.

The LIFO-method evaluating discussion offers the ways to prevent fictitious profits during the rise in prices, but there is also proved that the application of this method leads to the creation of hidden reserves, as reserves are reflected in the cost of expenses during their historical acquisition and production cost. The article provides expected errors in using the LIFO method during stochastic demands. Based on the analysis it is concluded that while monotonically decreasing prices, all three methods produce an exaggerated assessment of the reserve balance.

\* \* \*

In the article of **Darejan Chkhubadze** “ there are discussed “ **Mathematical Modeling Methods of Economic Analysis**”. Any company operating in a market always falls under the influence of a number of factors, which are able to cause the loss or failure of development of the economic situation. To the economic sustainability of farming, diagnostics enables us to get a reasonable possibility of the functioning of the enterprise management solutions, develop its economy and to promote the sustainability of the activities.

Assessment of the financial condition of the enterprise is impossible without an analysis of their activities, for which it is necessary to calculate a range of financial indicators, diagnosis and tracking of changes in trends and dynamics, as well as the solvency of the enterprise in order to make optimal management decisions taken on this basis.

\* \* \*

**Irma Chkhaidze’s work discusses “ Demographic Problems of the Rural Population, and their Solutions in Georgia”**. At the modern Stage individual nations is facing the real threat, for which on the one hand it is characterized the problem of the physical continuity and on the

## SUMMARY

---

other hand, the annual decline of the population. Two decades has been such a threat to Georgia and its separate administrative - territorial division of the core units - villages, which outward appearance is different by the natural conditions and industrial areas.

This article discusses about Georgia and Achara, which is one of the administrative - territorial unit in the demographic problems, which finds its expression in the main demographic indicators: A significant reduction in the number of population, falling of birth rate to the critical thresholds, A significant increase in mortality, natural population growth has almost stopped, ageing of the population, indoor and outdoor wide-scale migration.

The role of demographic problems of the state is determinated. That will be implemented by the development of demographic effective program and consistent implementation. The demographic development will be devoted to a special place.

\* \* \*

The Thesis “ **Modern Trends of Unemployment and Prospects of its Management** “ of **Tamar Ghambashidze , Naira Ghvedashvili** “ is about the active problems of modern trends of unemployment and prospects of its management. In particular, labor market of Georgia is behind the time requirements. The main constituent parts of market structure - Labor legislation, qualification development services, trade unions, labor force – is weakly developed. It can't meet Western standards, because state services of specialist training is inactive. Private companies operating on the market have difficulties to assimilate all of these fields that will satisfy the requirements of changing labor force in the conditions of market economy. This thesis includes these and other active issues.

\* \* \*

В статье **Евгени Бараташвили** „Ана Болквадзе” **„Деловая культура – ключевой элемент сравнительного менеджмента”** рассмотрена сущность «кросс-культурного» и «ментального» менеджмента и их соответствие между собой. Также отмечена особая роль системы духовных ценностей для менеджмента. Хотя многие аспекты управления, например «мотивация», почти полностью основана на системе ценностей.

В статье внимание также заострено на менталитете нации, на взаимосвязях менеджмента и менталитета, которые нашли отображение в «принципах соответствия менеджмента и ментальности».

Соответствие между менеджментом и менталитетом обуславливает относительноустойчивую систему производства, сглаживает противоречия между управляемыми и управляющими, способствует преодолению кризисных ситуаций.

Соответствие между менеджментом и менталитетом является одним из основополагающих характеристик равновесия социальных систем.

\* \* \*

**Vasil Khizanishvili's** work is about “**Business Ethics Management**” . What does business ethics management mean? The most relevant aspects of the management of business ethics are those, that are clearly visible and directed specifically to resolving ethical problems and issues.

Business ethics management covers a whole range of different elements, each of which may be applied individually, or in combination to address ethical issues in business.

Organizing the different components of business ethics and their integration into the company is very important question in order to the corporation could achieve its goal.

\* \* \*

**Vasil Khizanishvili's article refers to "Organizing Business Ethics Management"**. Organizing business ethics management means to organize the various components best and to integrate them into the company in order to achieve its goals. There are two approaches – formal and informal, by means of which it is possible to solve the similar task. Formal approach consists of compliance, values, external and protection orientations. Informal approach is connected with the ethical culture of the organization. Clearly both approaches have their advantages and disadvantages. In spite of this, they help the managers to make the right decisions.

\* \* \*

In the article “**Globalization and Statistical Current Problems in 21th Century** ( main directions of scientific and innovative globalization)” of **Nona Akhvlediani** there are considered global changes in the world economy, science and technologies. Science and Technology in global processes arising from the need for international regulation and governance. In the statistical analysis of economic globalization an important role plays statistical methodology (Index, mirror method of variation statistics). From mirroring the necessity of using statistical methodology, as globalization properly conduct, as well as between countries in terms of elimination of the shadow economy, that can be achieved by a single electronic network, software realization and partner countries to export-import data.

\* \* \*

В работе **Роланд Сарчимелия, Гела Лобжанидзе “Экономическая наука и религия условиях активаций глобализаций”** обсуждаются отношения между наукой и религией в условиях активаций экономической глобализаций.

Глобализаций должна разумное использование, которое будет направлена на благо страны. Для этого, в первую очередь, необхо-

димо защита и развития духовных и национальных ценностей, материального благополучия народа, углубление связь между соседних государств и диалога культурами, расширения грузинский бизнес - сектором в целях создания среднего зажиточного класса, развития образования, науки, здравоохранения и социального инфраструктуры.

Важным моментом является то, что процесс глобализации в настоящее время проводился в согласованные рамки государствами, так что она не вычеркнула различных странах мира много древних исторических традиций, ценностей, национальной культуры, и так далее. Здесь наиболее важно чтобы основ материальное существование было бы совершенствование духовная основа, чтобы вернуться к практике морально-этическим соображения. Преобладающий между общечеловеческих и национальных ценностей в Библии, богословской, христианской морали и на него основан социально-экономической деятельности, которые общем оказывают значительное влияние на негативные тенденции и проявления глобализации.

\* \* \*

**Khatuna Shalamberidze**' thesis is about “**Globalization and Several Actual Aspects for Financial and Economic Development of the Country**”. Since the end of the second millennium the humanity brought many interesting topics in the third millennium, including globalization which is interesting and actual to be discussed within the difficult context of development and interference of systematic appearances, processes and situations in different spheres of interests of the society.

Furthermore globalization process hasn't been started one day, the basis of its formation has been continued for a long time and the process has been fulfilled gradually. Development of global relations is out of boundaries. It covered almost all spheres of civil life.

\* \* \*

В статье **Манана Самадашвили** „**Значение рационального использования управления времени в процессе управления персоналом**“ рассмотрены вопросы, касающиеся управления времени в организации в процессе работы, которое является важным элементом в процессе управления персоналом. Также рассмотрены методы исследования обучения времени в процессе работы: метод непосредственного наблюдения, метод хронометража, метод фотографий и метод моментального наблюдения. А также даны рекомендации для достижения экономии времени.

\* \* \*

В статье **Лела Ониани** “**Принципы взаимоотношений региональных филиалов коммерческих банков с корпоративными клиентами**” рассматриваются позиции отдельных клиентов в употреблении банковскими продуктами региональных филиалов кредитных организаций, доля корпоративных клиентов в употреблении кредитами и в размещение денежных средств на депозитных счетах.

Рассматривается также сущность стабильных депозитов коммерческих банков и принципы организации взаимоотношений банков корпоративными клиентами, которые повышают эффективность и конкурентоспособность банков.

\* \* \*

В статье **Лела Ониани** «**Анализ процентной политики коммерческого банка**» рассматриваются вопросы связанные с группировкой и анализом факторов, которые существенно влияют на формирование процентной политики коммерческого банка. Влияющие факторы разделено на две группы: внешние и внутренние. Сделано выводы, что для получения максимальной прибыли банк не должен устанавливать максимально возможную ставку по активам и минимально возможную по пассивам. Проанализировав внешнюю

экономическую среду, со своими клиентами надо применить дифференцированную процентную ставку, которая будет учитывать все особенности каждой конкретной сделки. Это поможет банку получить не только прибыль из за первенство на рынке, но и строить со своими клиентами долговременные и взаимовыгодные отношения.

\* \* \*

**ნათია შენგელიასა და ჟუჟუნა წიკლაური-შენგელიას** სტატიაში „**ფინანსური აღრიცხვის სწავლების ხელშეწყობა თანამედროვე საბუღალტრო პროგრამებით**“ განხილულია ფინანსური აღრიცხვის სწავლების გაუმჯობესების, სრულყოფის საკითხი თანამედროვე საბუღალტრო პროგრამების დახმარებით, რომელთა გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტურად და სწრაფად დავამუშაოთ სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია. გარდა ამისა, ფინანსური აღრიცხვის ძირითადი კურსის გავლის შემდეგ საბუღალტრო პროგრამების შესწავლა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნონ უფრო ახლო და დეტალურად როგორ ფუნქციონირებს ბიზნესი, როგორ აისახება, რეგისტრირდება და ჯგუფდება მომხდარი სამურნეო ოპერაციები საბუღალტრო პროგრამაში, რათა შემდგომში მივიღოთ საჭირო ფინანსური ინფორმაცია ბიზნესის ეფექტიანობისა და მომგებიანობის შესახებ, რომელსაც ეფუძნება პოტენციურ ინვესტორთა თუ სხვა მომხმარებლების ბიზნეს-გადაწყვეტილებები. ყოველივე ეს საბოლოოდ ხელს შეუწყობს მათ როგორც პროფესიონალურ და კონკურენტუნარიან კადრად ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე.

\* \* \*

В статье **Манана Самадашвили “Роль мотивации труда в процессе управление персоналом”** рассмотрены вопросы, касающиеся мотивации труда, пять категории основных потребно-

## SUMMARY

---

стей по Маслоу, а также принципы по Алдерферу, теории мотивации. Также даны рекомендации менеджерам по удовлетворению потребностей и для мотиваций труда персонала, которые играют важную роль для эффективной работы организации.

\* \* \*

В статье **Манана Самадашвили** “**Стратегическое управление человеческими ресурсами**» рассмотрены вопросы, касающиеся стратегии управления человеческими ресурсами, которая является важным элементом в процессе работы в организации.

В данной работе приведены главные элементы стратегии, конкретные направления стратегического управления, аналитический модель Уокера а также стратегия бизнеса и взаимосвязь с стратегией управления человеческими ресурсами.



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“  
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.  
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**  
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**  
**Тел. 233-50-23, 599 56-90-78**  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
გადაეცა ასაწყობად 15.06.2013წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.06.2013წ.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,25